


# ჩვენი მექოლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

2 მარტი 2007 №5 (31)



სამოთხე უსიყვარულოდ

ლორენსის დემოკრატია

ჰოლივუდის თეთრი ყვავი

დავით წერედიანის ახალი თარგმანები

მწერალი პერსონაჟებში იცნობა

ფოლკნერის დეტექტივი

<b>ექსპრეს-ინტერვიუ</b>	<b>2</b>	<b>დგება ზამი ცელილებათა (საუბარი კლაეს გ. რინთან)</b>
	<b>3</b>	<b>დემოკრატიისა მთამს, მაგრამ... (საუბარი სტივენ შენკთან)</b>
<b>გადი წიგნისა</b>	<b>4</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი პირველად იყო... ფიზიკა</b>
<b>პროზა</b>	<b>9</b>	<b>ჯემალ მონიავა სქანი გოლუაზირო</b>
<b>პირველი ჟოთავაზილება</b>	<b>12</b>	<b>ივანე ამირხანაშვილი მთელალი პერსონაჲგში იცხოვა</b>
<b>პოეზია</b>	<b>13</b>	<b>გიორგი კეკელიძე რატომ კვდებიან პოეტები</b>
	<b>17</b>	<b>სოსო მეშველიანი ღამე ღა სხვა ლექსები</b>
<b>ესეისტიკა</b>	<b>19</b>	<b>მაკა ჯონაძე სამოთხე უსიყვარულოდ</b>
<b>გამოსხავება</b>	<b>25</b>	<b>ნინო ტლაშვაძე ისევ ჯდა მფირალი</b>
<b>უცხოეთის ცხოვრებისა</b>	<b>26</b>	<b>სიმონ ლეისი MEMENTO MORI</b>
<b>რომორ ვეკოსელობათ ქლასიკას</b>	<b>27</b>	<b>როსტომ ჩხეიძე იქვე, შარაზე ღაურობებენ</b>
<b>ფიქრები</b>	<b>32</b>	<b>გივი ალხაზიშვილი მთაპეზილებათა ნაკალევი</b>
<b>ფიქრი ღა გასცა</b>	<b>36</b>	<b>ირაკლი ბათიაშვილი ისტორიული მამავიდრეობა ღა მოგავლის კონფურები</b>
<b>ეპისტოლება</b>	<b>38</b>	<b>როზა დევდარიანი ავანტიურისტის ცხოვრება ვრცელ ეპოქაზ</b>
<b>ლაურენცი სახელი</b>	<b>39</b>	<b>თამარ მიქაძე გურამ პატარაიას მონატრება</b>
<b>ეპისტოლება</b>	<b>43</b>	<b>ვაჟა ხორნაული უძღა გააგრძელოთ!</b>
<b>ლიმილის ცეთაში</b>	<b>43</b>	<b>ქარდა ქარდუხი ღასანანი იქნება</b>
<b>საორგო</b>	<b>44</b>	<b>მარტი ლარნი კუბო სართად</b>
	<b>46</b>	<b>გივი გამრეკელი როცა „პასადენები გადეგილი“ „რეიკიავიკელ ღვევილება“ იქცა</b>
<b>რევორტაჲი</b>	<b>47</b>	<b>თევდორე ბენდელიანი ნარსულთან – მისტიკური კავშირი (სპარსული პოეზიის საღამო „კავკასიურ სახლში“)</b>
<b>პრიზიკა</b>	<b>49</b>	<b>ნინო სადლობელაშვილი ნუგების ნიგნი</b>
<b>ართი მოტივი რჩ ხეავი</b>	<b>51</b>	<b>ოსიპ მანდელშტამი უძილო ღამე. ჰომიროსი...</b>
	<b>51</b>	<b>პოლ ვალერი ელენე, მაშუცვარე ღედოვალი</b>
<b>პოეზის მარილისები</b>	<b>52</b>	<b>ალი მოპამაზიადე მი ზეცის გვარ-ტომის ვარ</b>
<b>დატეპტივი</b>	<b>54</b>	<b>უილიამ ფოლკნერი შედეობა ქიმიაში</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>მოლოდინი</b>

**დამფუძნებელი „ილიონი“**

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

**რედაქტორი – (995 32) 96-20-62**

**რეკლამა – (995 77) 48-12-24**

**გავრცელება – (995 99) 93-18-52**

**ფაქსი: (995 32) 96-20-62**

E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯონაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჟანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იავალი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

**გარეკანზე: გრანდ კანიონი ამერიკაში**

**ჯემალ მონიავა**

**„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 16 მარტს**



სტივენ შნეკეი და კლაეს რინი ამერიკის წამყვან პოლიტოლოგთა ანუ პოლიტიკის მეცნიერთა შორის მოიხსენიებიან. უურნალ „ჩვენ მნერლობის“ რედაქტორი რამდენიმე კითხვით შემართა ამ ცნობილ და სანდო ამერიკელ პოლიტოლოგებს, რომელთაც ამჯერადაც დაუფარავად გამოთქვეს თავისი კითხვა შეშფოთება ამერიკის მომავლით. ამ ორ პიროვნებას შორის განსხვავება ის გაბლავთ, რომ სტივენ შნეკეი ცენტრისტია, ხოლო კლაეს რინი კლასიკური კონსერვატორი, თუმცა, როგორც ხედავთ, მათი შეედულებანი ამერიკის პრეზიდენტისა და მისი პოლიტიკის გამო ერთმანეთს უახლოვდება. ორივე ფირობს, რომ „მსოფლიო დემოკრატისათვის“ ბრძოლა გლობალურ პრობლემათა გადაჭრის პრიმიტიული და არარეალისტური გზაა.

სტივენ შნეკეი და კლაეს რინი აქტიური პოლიტიკოსები არ არიან, ამდენად მათი ნააზრევა უშუალო ზეგავლენას უერ ახდენს ამერიკის თანამედროვე პოლიტიკაზე. ამერიკის პოლიტოლოგიურ წრებში ჯერ კიდევ მდლავრობენ ნეოკონსერვატორი მოაზროვნები, მაგრამ აკადემიურ წრებში უკვე იგრძნობა მკვეთრი შემობრუნება; თუკი ერთი ჯერ კიდევ ამტკიცებენ, რომ ამერიკა „თითქმის“ ღვთის რჩეული ერა და მთელ მსოფლიოს უნდა მოჰყონოს ამერიკული, პროგრესული ცხოვრების წესი, სხვანი და-ეჭვებით გადასხვავენ პოპულარულ უნივერსალურ იდეოლოგიას, ამერიკელ ხალხს მოუწოდებენ დაუბრუნდნენ კონკრეტულ, ეროვნულ ღირებულებებს და თავისი უნიკალური სახე გადაიზინონ.

თუმცა ამგვარ მოღვაწებს ხშირად ვერ შეხვდებით ტელეკორანებზე, მათი წიგნები წარმატებით იყიდება და ამერიკელებიც სულ უფრო ხშირად უბრუნდებიან დიდი ბრიტანელი მოაზროვნის, ედმუნდ ბერკის შეგონებას, რომ თავისუფლება ყოველთვის არ უდრის დემოკრატიას და, რომ თავისუფლება ყოველთვის უდრის კონსტიტუციონალიზმს.

## დგება ზამი ცვლილებათა

\*

საუბარი  
კლას გ. რინთა

— რას ფიქრობთ ამერიკის პოლიტიკის უახლოეს მომავალზე. შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა რადიკალური ცვლილება საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?


— პრეზიდენტ ბერძის თავისუფალი მოქმედებანი საგარეო და საშინაო პოლიტიკაში მკაცრად შეიზღუდება. გარკვეულ სფეროებში ეგებ მთლიანად არ გაუცხოვდნენ, მაგრამ ერთმანეთს დაშორდებან პრეზიდენტი და კონგრესი. ბერძის შეეძლება ითანამშრომლოს კონგრესთან ისეთ საკითხებში, როგორიცაა ამერიკის მეტი ენერგოდამოუკიდებლობა. როგორც მთავარსარდალი, შეინარჩუნებს ერთგვარ დამოუკიდებლობას საგარეო პოლიტიკასა და ერაყის ომში, მაგრამ ძალზე მცირე დახმარების იმედი უნდა პერიოდეს ერაყის პოლიტიკაში, რადგან ამ საკითხში საკუთარ პარტიაშიც კი სერიოზულ აოპზიცია გამოიწინდა.

გარკვეული დროის შემდეგ კონგრესმა შეიძლება უარი უთხას ერაყის საომარ ქმედებათა დაფინანსებაზე. ვშიშობ, პრეზიდენტმა შეიძლება მაინც გადაწყვიტოს ირანის წინააღმდეგ საომარ მოქმედებათა დაწყება, ან ისრაელი დაესხას თავს ირანს და ომი აღლო აღმოსავლეთში გაძლიერდეს და გაფართოვდეს. ვიმედოვნებ, ბერძის ოპოზიცია კონგრესში ისე გაძლიერდა, პრეზიდენტს შეეშინდება ამგვარი ქმედების შედეგებისა. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში რაიმე რადიკალურ ცვლილებებს არ ველი, მაგრამ შემცირდება ამერიკის ერთპიროვნული მმართველობა. თუმც მძღავრი და ფესვგადგმული პოლიტიკური დინამიკის გამო ამერიკის საგარეო პოლიტიკა კვლავაც გაძლიერდება ახლო აღმოსავლეთში.

— როგორი იქნება თქვენი შენიშვნები ამერიკის პრეზიდენტის ნლევანდელი მიმართვის გამო ერისადმი?

— ნლევანდელ მიმართვაში ერისადმი ბუში შეეცადა შეეცვალა საკითხი, ანუ ყურადღება მოეცილებინა ერაყი-

სა და ახლო აღმოსავლეთის უბედურებებისაგან. ცდილობდა ისეთი საკითხები მოენახა, რაც საერთო ენას გამოაძებნინებდა დემოკრატებთან, და იმედოვნებს „ფუნქციასაც“ იპოვნის. ამავე დროს მიმართვაში გააგრძელა ძველი და გამალიზიანებელი თემა: „ამერიკა ჩვენი დროის გადამწყვეტი ბრძოლაშია ჩაბმული. თავისუფლება უპირისპირდება ტერორიზმს და მუსლიმურ „ტოტალიტარულ“ ექსტრემიზმს. შეერთებული შტატები არ უნდა დამარცხდეს ამ ბრძოლაში. ბრძოლა უნდა გადავიტანოთ მტრის სახლში, რათა ამერიკა დაცული იყოს. მარცხი ერაყში კატასტროფა იქნება და გააფართოვებს კონფლიქტებს მსოფლიოს იმ ნანილში.“



ნლევანდელი მიმართვა გვიჩვენებს, რომ პრეზიდენტი ჯერაც არ გათავისუფლებულა მარტივი იდეოლოგიური აზროვნების, გულუბრყვილობისა და არარეალისტური იმედებისაგან. ან ცოტა კიდეც გამოიწვიობლდა, მაგრამ სიამაყე ხელს უშლის შეცვალოს კურსი. იგი ძალზე ჯიუტია.

— თუ შეიძლება ორიოდე სიტყვა გვითხარით ახალდაარსებული ფილოსოფიისა და მნერლობის აკადემიის შესახებ.

— ფილოსოფიისა და მნერლობის აკადემია დააფუძნებს წამყვანას სწავლულებმა, როგორც ფორუმი, სადაც უნდა წარიმართოს მსჯელობა ამერიკისა და დასავლეური ცივილიზაციის გადასარჩენად. მე გახდავართ ერთ-ერთი თაოსანი და დირექტორთა საბჭოს წევრი (პრეზიდენტი არ გვყავს). მიზნად ისახავს უფრო თავისუფლად, ნაკლებ იდეოლოგიზებულ და ნაკლებ ბანალურ დისკუსიებს, ვიდრე იმ ორგანიზაციებში ვეზდებით, სადაც ე.ნ. სტრაუსელები და ნეოკონსერვატორები თამარბენ წარმმართველ როლს.

აკადემიის დაფუძნებას დიდი გამოხმაურება მოჰყვადა და მრავალ სურთ მის წევრად გახდომა (წევრობა შესაძლებელია მხოლოდ კანდიდატურის წარდგენისა და არჩევის შედეგად).

ვიმედოვნებ, დაგაკმაყოფილებთ ჩემი პასუხები.

# დემოკრატიისა მცამს, მაგრამ...

\*

## საუბარი სტილის შეცვალა

— რას ფიქრობთ უახლესი მომავლის ამერიკულ პოლიტიკაზე; შეაძლებინებს თუ არა კონგრესის ორივე პალატაზე კონტროლის მიღწევა და საპრეზიდენტო არჩევნებში მოსალოდნელი გამარჯვება დემოკრატიულ პარტიას, რადიკალურად შეცვალოს ამერიკის როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკა?

— უახლოეს მომავალში მოველი დემოკრატებისა და პრეზიდენტ ბუშის თანამშრომლობას საშინაო საქმეებში. ეს შეეხება ენერგეტიკას, გარემოს პრობლემებს, ჯანმრთელობის დაცვას და, ალბათ, ემიგრაციის საკითხებს. მაგრამ სექტემბრიდან, როცა საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია დაიწყება, ეს თანამშრომლობაც დასრულდება.

ჯერ მეტიმეტად ადრეა იმის თქმა, რომ დემოკრატები გაიმარჯვებენ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. საგარეო შოვლენები (მაგალითად, ტერორიზმი) ან დემოკრატების სუსტი პოლიტიკური ინიციატივები (ვთქვათ, კულტურის სფეროში) რესპუბლიკელთა კანდიდატების სასარგებლოდ იმოქმედებს.

— რა შენიშვნებს გამოთქვამდით პრეზიდენტ ბუშის ნლევანდელ მიმართვაზე ამერიკელი ერისადმი?

— ამასწინანდელმა მიმართვამ ერისადმი გვიჩვენა დასუსტებული პრეზიდენტი ბუში.

მისი რეიტინგი, გამოკითხვების მიხედვით, უტოლდება რიჩარდ ნიქსონის რეიტინგს უოტერგეიტის სკანდალის შემდგომ.

პრეზიდენტის სიტყვის პირველი ნაწილი გახლდათ მორცხვი და გაუბედავი. ამ დროს ბუში ნამდვილად არ გრძნობდა თავს ლალად, როცა საშინაო პოლიტიკაზე საუბრობდა და ცდილობდა დემოკრატებთან თანამშრომლობის სურვილი გამოიხატა. თუმცა ბუშის სიტყვის ბოლო ნაწილი ერაყს, ირანსა და საგარეო პოლიტიკას შეეხებოდა — ამ თემების გამო მას ჯერ კიდევ შენაჩუნებული აქვს შეტი მგზებარება. იგი დაუინებით იცავდა ახალი და ახალი ჯარის გაგზავნის აუცილებლობას ერაყში იმ მიზეზით, მარცხი გაცილებით უარესი იქნება და ახლანდელზე მეტ ქალს მოუტანს ამ ქვეყანასო.

ვფიქრობ, იგი რაღაც უპასუხისმგებლოდ ლაპარაკობდა იმ დროს, როცა ირანი დაგვიხატა ტერორის მთავარ წარმმართველად ახლო აღმოსავლეთში, ჰეზბოლას შემწედ ლიბანში და ერაყელ შიიტთა სიკვდილის ბრიგადების დამხმარედ.

როგორც უოველთვის სჩვეოდა, პრეზიდენტ ბუშის საგარეო პოლიტიკა წარმოდგენილი აქვს კეთილისა და ბოროტის შეჯახებად. იმ საღამოს იგი კვლავ სწორხაზოვანი იყო და ამტკიცებდა, „სიკეთე“ განისაზღვრება თავისუფლებითა და დემოკრატიითო. დემოკრატია უბირისპირდება ტერორიზმს, რომელსაც ტოტალიტარიზმთან აიგივებს.

— რა შედეგებს მოიტანს

დემოკრატიის გავრცელების ამერიკული პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნებში და რა გავლენა შეიძლება იქონიოს მან პოსტსაბჭოურ ქვეყნებზე?

— დემოკრატიის გათანასწორება თავისუფლებასა და სიკეთესთან ნიშანდობლივია ბუშის აზროვნებისათვის მისი პრეზიდენტობის მანძილზე. მაგალითად, იგი გაბრძობინებული საუბრობდა ლიბანის „კედრების რევოლუციაზე“, სირიელები რომ გარევეს ქვეყნიდან. ბრწყინვადა მაშინაც, როცა ახსენა რიგებში ჩამნერივებული მოქალაქეები, ვინც, საფრთხის მიუხედავად, ხმის მისაცემად გამოსულიყვნენ ერაყის საპარლამენტო არჩევნების დროს, რის შედეგადაც მალიკის მთავრობა მოვიდა ქვეყნის სათავეში. ეგებ ნაძალადევია ასეთი განზოგადება, მაგრამ აშკარაა, რომ ეს აზრი ბუშის გონიერების საქართველოს „ვარდების რევოლუციას“ წამოატივებდა.

გულით მნაშ დემოკრატიისა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მანუქებს პრეზიდენტ ბუშის გამარტივებული მიდგომა დემოკრატიისა და თავისუფლებისადმი.

ლიბანში შიიტები მოსახლეობის უმრავლესობაა და ისინი თავს იყრინან ჰეზბოლას გარშემო, რომელიც ახლანდელი მთავრობის ჩამოგდებას ისახავს მიზნად, ვიმედოვნებ, დემოკრატიული ხერხებით. ერაყის მოსახლეობაშიც უმრავლესობა შიიტები არიან. როგორი იქნება ეს გამარტივებული დემოკრატია ერაყში სუნიტებისა და ქურთებისათვის? და რაც უნდა მძაფრად ილაშქრებდეს ჯორჯ ბუში ირანის წინააღმდეგ ბირთვული ამბიციისა და ანტი-ამერიკულ ძალთა მხარდაჭერისათვის, ირანი უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ამერიკის მრავალი მოკავშირე ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ვეჭვობ, დღეისათვის ბუში ბევრს ფიქრობდეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე. თუ საქართველო გაახსენდება, ვფიქრობ, უფრო ახლანდელი „გარდების რევოლუცია“ და ადრინდელი გაბედული ბრძოლა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. მისი აზრები აქაც ცოტა გამარტივებულია, მაგრამ დიდად ემძღვება ქართული დემოკრატიისა.



ეკა ბუჯიაშვილი

## პირველად იყო... ვიზიტა

მერე კი ის ამბები, ახლა რომ უნდა მოგითხოთ.

პროფესიით ფიზიკოსი ბატონი კახმეგ კუდავა საგა-  
მომცემლო ასპარეზზე, პირველად არაქართული (აზერ-  
ბაიჯანული, რუსული, სომხური) სკოლებისთვის მომზა-  
დებული ქართული ენის სახელმძღვანელოებით გამოჩ-  
ნდა. გამომცემლობამ თავი „ინტელექტის“ სახელით  
გაგვაცნო.

ეს იყო 1995-96 წლები... და ამ საქმეს უდიდესი მნიშ-  
ვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის იმ რე-  
გიონებისთვის, სადაც ქართული ენის სახელმძღვანე-  
ლოს შეტანა ნიშნავდა თქმას: შენ საქართველოს მოქა-  
ლაქე ხარ!

„ინტელექტის“ თითქმის ათი წელი ეს საქმე სახელ-  
მწიფოს დაუხმარებლად აეთა, ხუთასამდე ასეთი სკო-  
ლისათვის. არც კი იცოდნენ, რომ საამისოდ თურმე ბიუ-  
ჯეტშიც ყოფილა გათვალისწინებული თანხები. მერე  
ქართული სკოლის სახელმძღვანელოებსაც მოკიდეს ხე-  
ლი და, დღესდღეობით, არაერთი კონკურსის წარმატე-  
ბით გავლის შედეგად მოპოვებული ლიცენზიით, სა-  
მოცხე მეტი დასახელების სახელმძღვანელოს გამოს-  
ცემენ.

თურმა... „ინტელექტის“ სახელს, დღევანდელი მკით-  
ხველი, უკვე არა მხოლოდ ამ საქმით, არამედ მრავალი სა-  
ინტერესო წიგნით იცნობს. გამომცემლობს ხელმძღვა-  
ნელი სამ ძირითად საგამომცემლო პროექტს გამოყოფს.  
ერთ-ერთი პირველი და გახმაურებულია სერია „ნობელის  
პრემიის ლაურეატები“, რომელსაც მკითხველის დიდი ინ-  
ტერესი მოჰყვა. ყველაფერი კი აი, ასე დაიწყო.

### დაცურული თემა და შეღებული პარი

მსოფლიოში ცნობილი ფიზიკოსი ლევ ლანდაუ ავტო-  
კატასტროფაში მოხვდა, მიამბობს ბატონი კახმეგი, – მას  
უმიმდესი ტრავმები ჰქონდა. ექიმები სამიედოს ვერა-  
ფერს ამბობდნენ. ლანდაუს მაშინ ჩვენი სტუდენტი  
ახალგაზრდობაც გულშემატკიცრობდა. ეს ის ფიზიკო-  
სია, რომელზეც ერთი ამერიკული ჟურნალი წერდა:  
„ლანდაუს შრომების კრებული იგივე გრძნობებს აღ-  
ძრავს, როგორსაც შექსპირის პიესები ან მოცარტის ნა-  
ნარმოებები“ (!)... და სიკვდილს სასწაულებრივად გა-  
დარჩენილი პაციენტი მოსკოვის საავადმყოფოს საკონ-  
ფერენციო დარბაზში იღებს ნობელის პრემიას! ამის შემ-  
დეგ კიდევ ექვსი წელი იცოცხლა დაუმ (როგორც მას

ეძახდნენ სიყვარულით). მე კი დავიწყე მასალების შეგ-  
როვება ნობელიანტებზე. სსრკ-ში „ნობელი“ თითქმის  
დახურულ თემად ითვლებოდა, მითუმეტეს, ბორის პას-  
ტერნაკის ამბების შემდეგ...

ფიზიკოსებით დავწინე, თუმცა მოძიებულ მასალებ-  
ში მხვდებოდა ცნობები ქიმიის, ბიოლოგიისა და მედი-  
ცინის, მშვიდობის, ლიტერატურის ნობელიანტთა შესა-  
ხებ... ზღვა მასალა დაგროვდა. წარმოიდგინეთ, საერ-  
თოდ, ნობელის პრემია 800-მდე ადამიანს აქვს მიღებუ-  
ლი, მათ შორის 102 ლიტერატურის დარგში გაიცა. ცხა-  
დია, ამ სიაში არიან დიდი მწერლები და ისეთებიც, გა-  
რემოვებათა გამო რომ ალმოჩნდნენ დაჯილდოებულთა  
რიგებში, მათი ნანარმოებებიც იმ დროს და იმ ეპოქას  
გაჰყვა. ისე, კარგად არის ნათქვამი: „ნობელიანტთა შო-  
რის ოროსანთა რაოდენობა პროცენტულად დაახლოე-  
ბით იმდენივეა, რამდენიც ნებისმიერ თანაკლასელთა  
შორის“.

ჩვენ გვინდა ლიტერატურული ნობელის ყველა  
მფლობელი გავაცნოთ ქართველ მკითხველს, თუმცა ადა-  
მიანი ფიქრობს, უფალი განაენდს. ნობელიანტ პოეტებს,  
ალბათ, ერთ წიგნად გამოვცემთ...

რაომომ ვაკეთებთ ამას?

რომ გითხრათ კომერციული პროექტიაო, არ ვიქნები  
სწორი. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამ კარის მიღმა ძალზე სა-  
ინტერესო სამყაროა. მეორეც, მინდა ქართველ მწერ-  
ლებს ვაჩვენო, რომ ამ თვალსაზრისით, არც ერთ კონტი-  
ნენტზე განსაკუთრებული არაფერი ხდება. მჯერა,  
მსოფლიოს სამწერლო ასპარეზზე ქართველი შემოქმედი  
ლირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს და ამ უპირველეს პრე-  
მიასაც დამისახურებს (სამწუხაროა, ნობელის პრემია  
სიკვდილის შემდეგ რომ არ გაიცემა)... ნაპოლეონის პე-  
რიფრაზი რომ მოვიშველით, „შეუძლებელი“ ქართული  
სიტყვა არ არის!

ქართველებსა და ნობელზე ცოტა მოგვიანებით, ახ-  
ლა კი...

### ეს უცნაური, უცნაური ნობელიანტები და... როგორ დაცხარჯოთ მიღიონი

ლიტერატურის დარგში ჩვენს მიერ გამოცემული წიგ-  
ნების შესახებ ხშირად მეკითხებიან: ამ ნანარმოებისთვის  
მიიღო მწერალმა ნობელი?

მინდა გითხრათ, რომ, საერთოდ, ნობელიანტთა სი-  
ას თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ სულ ხუთიოდე შემ-  
თხვევაა, სადაც კონკრეტული ნანარმოები სახელმდება  
(კნუტ ჰამსუნის, რეიმონტის, თომას მანის, ჯონ  
გლოზურორთის, ჰემინგუეის შემთხვევაში), ძირითა-  
დად მაინც მთელი შემოქმედების გათვალისწინებით  
გაიცემა. ჩვენ გამოსაცემად ნანარმოებს იმის მიხედ-  
ვით ვირჩევთ, რამდენად საინტერესო იქნება ის ქარ-  
თველი მკითხველისთვის... ასე მაგალითად, გასაგები  
მიზეზების გამო, ჰამსუნის ნანარმოებებიდან შევარჩი-  
ეთ „განცდილი და ნანახი კავკასიაში“. აქვე მადლობა

უნდა ვუთხრა თქვენს უურნალს ყურადღებისათვის, ძალზე საინტერესო და პროფესიული რეცენზიები დაბეჭდა „ჩვენმა მწერლობამ“ ნობელიანტთა სერიით გამოცემული ჰამსუნის, ჰასტერნაკის, მაჟიუზის ნანარმოებთა შესახებ.

ოცამდე მწერალი – ნობელიანტი უკვე გამოვეცით და თითოეული ავტორი თავისებურად გამახსოვრებს თავს. აი, თუნდაც ბოლო ნობელიანტი, ლიტერატურის დარგში, გახდა თურქი მწერალი

**ორჰან ფამუქი.** ეს ის კაცია, ვინც თურქეთში ქურთებისა და სომხების საკითხი წამონია, ამიტომ თურქები გულგრილად შეხვდნენ მის ლიტერატურულ ნობელს. მწერალმა სტოკოლმში გამართულ პრესკონფერენციაზე საუბარი ასე დაიწყო: “ვილაპარაკოთ მხოლოდ ლიტერატურაზე!“ მის ნანარმოებს – „თეთრი ციხე-სიმაგრე“ – თურქულიდან ქეთევან ტომარაძე გვითარგმნის, გამოცემა წიგნის ფესტივალისთვის მზად გვექნება.

ამავე სერიით გამოიცა 2004 წლის ნობელიანტი ავსტრიელი მწერლის, ელფრიდე იელინეკის „პიანისტი ქალი“ (გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა). გახსოვთ, ალბათ, ამ რომანის მიხედვით გადაღებულმა ფილმმა 2001 წელს მიიღო კანის ფესტივალის გრან-პრი და არაოფიციალური სტატუსი – „ახალი საუკუნის პირველი მნიშვნელოვანი წარმოები კინოსელენოვნებაში“. ძალზე საინტერესო შემოქმედია, ოღონდ არაორდინარული, თავისებური. მისი წიგნების სკანდალურ გამოცემებად ითვლება და ბესტსელერებიდან იქცა.

რაც გინდა გაგიკვირდეთ, ჩვენს გამოცემამდე ალექსანდრ სოლენიცინის მხოლოდ „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“ იყო თარგმნილი, რევაზ თვარაძეს ეს მოთხოვბა გადასახლებიდან დაბრუნებული მამის თხოვნით უთარესია.

მზადდება კიდევ ექვსი ნობელიანტის წიგნი და, რაც მთავარია, გამოსაცემად მზად გვაქვს ლიტერატურის ნობელიანტთა შეხედური ლექციები. მასში შედის უკალებლივ ყველა ლექცია (და საბანეტო სიტყვა), წაკით-

ხული სტოკოლმში, პრემიის მიღებისას, 1901 წლიდან დღემდე.

ერთ-ერთი ძლიერი მოხსენება, ვფიქრობ, სწორედ სოლენიცინისაა (ალბერ კამიუს ლექციას თუ არ ჩავთვლით)... აი, იოსიფ ბროდსკის ლექცია კი, ჩემი აზრით, საუკეთესოა. ბროდსკის შეხედულებები პოეზიაზე ქართულ ცნობიერებას არ შეესაბამება. საერთოდაც, ევროპაშიც, ამერიკაშიც პოეტი არ არის იმ რანგში აყვა-

ნილი, ჩვენ ილია, აკაკი და ვაჟა რომ გვყავს (იმ განზომილებას ვეულის-ხმობთ, არც მიწისა ვარ, არც ცისაო, აკაკი რომ ამბობს), ამიტომ მის მოსაზრებებს ვერ გაიზიარებ, მაგრამ ძალზე ღრმად და საინტერესოდ რომ აზროვნებს, ეს უდავოა. ამიტომ მგონია, ამ ადამიანთა წაზრევას ქართველი მკითხველიც უნდა იცნობდეს, – ამბობს კახმეგ კუდავა.

\* \* \*

ერთი მილიონი ევრო – ამ თანხით განისაზღვრა ჯილდო ერთი ნობელიანტისათვის 2006 წელს. საერთოდ, ეს თანხა ცვალებადია, იმის მიხედვით, თუ რამდენია ფერნდის მოგება, თუმცა პრემია საკმაოდ სოლიდურია. ის, თუ ვინ რისთვის ხარჯავდა ამდენ ფულს ან როგორ ხვდებოდა ცნობას „ნობელიანტობის“ შესახებ, ცალკე თემაა. სწორედ ამის შესახებ მიამბობს ახლა ბატონი კახმეგი:

„ინტელექტი“ გამოსაცემად ამზადებს ნობელიანტი მწერლის სელმა ლაგერლოფის ნანარმოებს (აკაკი ბრეგაძის თარგმანი). მწერალი სამი წლის ყოფილა, მძიმე სენმა სანოლს რომ მიაჯავჭა. ბებია ეჯდა სასუმალთან და უყვებოდა ზღაპრებასა და საინტერესო ამბებს ქვეყნიერების შესახებ. მერე ის სოფლის სახლი გაუყიდიათ, იმ ფულით მამას ქალაქში წაუყვანია, უმკურნალია და ფეხზე დაუყენებია. წლები გავიდა მას შემდეგ. ლაგერლოფი სკოლაში მუშაობდა მასნავლებლად და სახელმძღვანელოებს წერდა ბავშვებისათვის... ცნობილი მწერლის სახელიც მოიხვეჭა, და აი, ათწლეულების მერე, როცა ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა, პირველი, რაც იღონა, იყო ის, რომ ბავშვობის სახლი დაიბრუნა – სადაც დაიბადა, ფეხი აიდგა, ლოგინს მიჯაჭვული ბების ზღაპრებს

ისმენდა, მამამ მისი გულისთვის რომ გაყიდა და ფეხზე დააყენა – აი, ის სახლი დაიბრუნა... ნობელის თანხით.

**ვლადისლავ რეიმონტის უთქვამს:** „რა საშინელებაა – ნობელის პრემია, ამდენი ფული, საყოველთაო აღიარება, დიდება და... სხვის დაუხმარებლად ტანსაცმლის ჩაცმაც კი არ შემიძლია“.

**ივან ბუნინი,** საფრანგეთში გადახვეწილი, კინოთეატრში იჯდა და ფილმს უყურებდა, ცოლს რომ მიუკითხავს, დარბაზში მოუქებნია და უყრში უჩირჩულებია: სასწრავოდ წამოდი, სტოკოლმიდან გირეკავენ და გყითხულობენ.

– მოიცა, ჯერ ფილმი დამთავრდესო, – უპასუხა თურმე მწერალმა.

1929 წელს **თომას მანს** ნობელის პრემიის მიღება რომ აცნობეს, მხრები აიჩეჩა თურმე: – როგორ? ამ წანარმოებისთვის? დავიჯერო? თუ „**ბუდენბროკებისათვის**“ მომანიჭეს, მაშინ 25 წლის წინათ რატომ არ მომცეს? აი, როგორია თომას მანის აზრთა მდინარება: „ეჭვიც არ მეპარება, ნობელის კომიტეტი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ არცთუ მთლად თავისი ნებით. კომიტეტი გრძნობს, რომ პრემიის მინიჭება არ შეუძლია მსოფლიო აღიარების გარეშე... მეტისმეტი აღიარება, ეტყობა, ჩემი ხევდრი იყო... შეიძლებოდა ამ ამბიდან მეტად საამო განცდა დამუტლებიდა და ჩემი თავი მომზენის, ფრანსის, ჰამსუნის, ჰაუპტმანის ტოლად მიმეჩნია. მაგრამ იმაზე მეტად არაფერს შეუძლია დაგიცხროს ამგვარი საოცნებო ეგზალტაცია, ვიდრე ფიქრს იმაზე, ვისაც ეს პრემია არ მიუღია“.

**ფრედერიკ მისტრალმა** ლიტერატურულ ნობელში აღებული თანხით საგვარეულო ციხეში გახსნა პროვანსის ეთონგრაფიისა და ფოლკლორის მუზეუმი.

„აიღეთ თქვენი ჯილდო, მიეცით თერაპევტებს და იყავით ბედნიერი!“ – უთქვამთ რიგით მეათე ნობელიანტი ქალბატონისათვის. – ერთ მილიონ ევროს ექიმებს ნამდვილად არ მივცემ, ამას მირჩევნია იაპონური კაბა ვიყიდო! – უპასუხა თურმე ელფრიდე იელინეგმა.

**ჰემინგუეი?** ნობელის პრემიის მიღებასთან დაკავშირებით მწერალმა ჰავანაში გადაიხადა დიდი წევულება. კუბის წამყვან ინტელიგენციასთან ერთად ნობელიანტმა ბანეტზე მოიწვია ყველაზე ძვირფასი სტუმრები – მისი მეგობრები, რამდენიმე წერა-კითხვის უცოდინარი მეთვეზე, სოფელ კოხიმარადან. მათ შორის იყო პრემირებული წანარმოების „ბერიკაცი და ზღვა“ მოხუცი ჰერსონაჟის პროტოტიპი, გრიგორიო ფუენტენა. ეს ამბავი მოგვიყვა ექსკურსიამდლოლმა კუბაში, ჰავანის გარეუბანში მდებარე ჰემინგუეის სახლ-მუზეუმში.

– ნობელიანტებზე კიდევ გავაგრძელოთ? ერთი კვირა არ გვეყოფა. იუმორი? ერთ-ერთ სუფრასთან ჩემზე დაწერილი ექსპრომტი შემიძლია გითხრათ, კი ბატონო:

ნაპირას რომ დაიბადა,  
დიდი მდინარის ნობელის,  
ლაურეატი რომ არის  
ჩვენი ალფრედის, ნობელის,  
მარტვილის ცენტრში უდგამენ  
კვარცხლბეკზე მაღალ ობელისკს.

## ძართვები და ცოგელი

პირველი ქართველი, ვინც ნობელის პრემიაზე წარადგინეს, ცნობილი მხატვრის, ფიროსმანის კინოროლის შემსრულებლის ავთო ვარაზის მამა ყოფილა. გასული საუკუნის ოცდათოიან წლებში პროფესორი ვასილ ვარაზაშვილი თბილისის სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტის ბიოქიმიის კათედრის გამგედ მუშაობდა და პარაზიტოლოგისა და ტროპიკული მედიცინის საკითხებს იკვლევდა. ერთი სიტყვით, სტოკოლმიდან მოწვევა მისვლია, მაგრამ მას საბუთები არ გაუგზავნია. ეს ამბავი არვის გაუგია, თურმე, მისი გარდაცვალების შემდეგ გაუხმაურებიათ ახლობლებს, ისიც მას მერე, რაც შემთხვევით, თაროზე, ერთ-ერთ წიგნში საგულდაგულოდ დამალული მოწვევა უპოვნიათ.

სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, გასული საუკუნის ოცდათანი წლები იდგა, ნობელის პრემიამდე ასვლა, შესაძლოა, დახვრეტით დამთავრებულიყო.

ამ პრემიაზე წარუდგენიათ ნევროპათოლოგი იური მოლაშეია, რომელიც ტვინის უჯრედებში მიმდინარე პროცესებს იკვლევდა ახალგაზრდობაში.

შეიძლობის ნობელზე ზევიად გამსახურდია და მერაბ კოსტავაც ყოფილან წარდგენილნი, სხვა დისიდენტებთან ერთად. მწერლებიდან, ამ სიაში, გრიგოლ რობაქიძე მოხვედრილა; ამბობენ, ჭაბუა ამირეჯიბიც იყო წარდგენილი, ბოლო წლებში კი – ოთარ ჭილაძე. ისე, წარდგენილთა სია საიდუმლოა, თვით კანდიდატმაც არ იცის ხშირად. მაგალითად, კასტერნაკი ამის შესახებ ირიბად გებულობდა, სამამულო კრიტიკის თავდასხმათა გამწვავების მიხედვით. არქივები მხოლოდ 50 წელიწადში ერთხელ იხსნება. სხვათა შორის, ნობელის პრემიის მიღების სურვილს სტალინსაც აბრალებდნენ.

– სტალინისა რა გითხრათ, აი, **ხრუშჩიოვს** რომ ნობელიანტის უნდობა, ამის შესახებ უამრავი დამადასტურებელი მასალა არსებობს, – ამბობს ბატონი კახმეგი, – ნიკიტას თურმე საგანგებო კომიტეტიც შეუქმნია საიმისოდ, რომ მიზანმიმართულად ემუშავათ შვედეთის საელჩინისან. სხვათა შორის, ის პრემია, მშვიდობის დარგში, ხრუშჩიოვს აუზდენელ ოცნებად რომ დარჩა, ათწლეულების შემდეგ მიხეილ გორბაჩიოვს მისცეს სსრკ-ს დაშლისათვის.

შეიძლობის ნობელის პრემიაზე მოხეილ სააკაშვილიც იყო წარდგენილი, ვიქტორ იუშჩენკოსთან ერთად.

## ასი ლექსი და ერთი მიზანი

პირველად „ასი ლექსი“ გალაკტიონს გამოუქვეყნებია.

**პალლ იაშვილი** შეხვედრია ქუჩაში და ასი კი არა, ოთხმოცდათვრამეტიაო, – დაუძახია შორიდან – რამ დაათვლევინა ამ ოჯახაშენებულს, გავირვებია გალაკტიონს.

დღესდღეობით კი ცნობილი ქართველ პოეტთა ლექსებს გამომცემლობა „ინტელექტში“ ითვლიან და მეოთხეულისთვის ამზადებენ სერიას „ასი ლექსი“. უკვე ოცნებების კრებული გამოიცა. ეს „ინტელექტის“ მეორე მნიშვნელოვანი საგამომცემლო პროექტია.

— საერთოდ, პოეზია ცუდად იყიდება, — ამბობს გამომცემელი — ოლონდ ამ შემთხვევაში ფორმატმა მოიგონ. წიგნი პატარაა, ჯიბეში ჩაიდებს კაცი. ეს არ არის აკადემიური გამოცემა სქოლიობით, შენიშვნებით და ა. შ. უპრალიდ უბით სატარებელი ლექსებია მათვის, ვისაც პოეზია უყვარს. ახალგაზრდები დაინტერესდნენ ძალიან, აგროვებენ. ამ სერიით ასი პოეტის ას-ასი ლექსის გამოცემა გვინდა. ახლა ვამზადებთ ირაკლი აბაშიძის, ბესივ ხარანაულის, შოთა ნიშნიანიძის და ზურაბ გორგილაძის კრებულებს. მზადაა „ცისფერყანწელთა“ „ასი ლექსი“ (მემდგენელი და წინათქმის ავტორი მაია ჯალიაშვილი). მალე გამოვა „ასი ლაზური ლექსი“. იგი აერთიანებს როგორც ხალხური პოეზიის ნიმუშებს, ასევე სარფს იქეთა და სარფს აქეთა პოეტების ლექსებს (შემდგენელი ახალგაზრდა სპეციალისტი თეა კალანდია).

ლაზებთან დაკავშირებით ჩვენი რესპონდენტი ასეთ სენტიმენტალურ ამბავს მიყვება:

ამ ზაფხულს სტამბოლში ვიყავი. თარჯიმნად უმცროსი შვილი, მაია ნავიყვანე. საღამო ხანი იყო. ვსეირნობდით. მაიკო წინ მიდის. უცადა, სასტუმროსთან ორმა მამაკაცმა გააჩერა. გურჯი ხარო? — ჰკითხეს. — დიახო, — უპასუხა. — ლაზიო? — ლაზი მამაჩემიან. ამ დროს წამოვენიე, თან მეცინება: მე თუ ლაზი ვარ, შენ ლაზი არ ხარმეტე, — ვეუბნები შვილს. ერთი სიტყვით, იმათვან ერთერთმა მთხვევა: დედა მყავს ლაზი, სტამბოლში ცხოვრობს, ალბათ ოცი წელი იქნება ლაზური არ გაუგონია და იქნება დაელაპარაკოთო. დაურევა. გვიანი იყო და ოჯახის წევრმა უპასუხა: სძინავსო. გააღვიძეთო, — უთხრა შვილმა. ყურმილში მოხუცი ქალის ხმა გაისმა. — ბებო, როგორ ხარ? — ვეკითხები მეგრულად, იქიდან ის მელაპარაკება ლაზურად, სიტყვებს კარგად ვერ ვარჩევ, მაგრამ ვგრძნობ მეფერება, მეფერება... გურჯისტანის ამბებს მეკითხება, სამშობლოს ამბებს...

## ფარული განზომილება

ალბერტ აინშტაინისთვის ნობელის პრემია რომ არ მიეცათ, ამით მას არაფერი დააკლდებოდა, ეს უნინარესად, ალბათ, თვით პრემიას მატებდა პრესტიუს — ასე ფიქრობს ფიზიკოს-გამომცემელი, თუმცა ეს ჯილდო აიძტაინს ფარდობითობის თეორიის შექმნისათვის კი არა, ფოტოეფექტის მოვლენის ახსნისათვის მისცეს. ნობელის კომიტეტში აზრი გაიყო, წევრთა ნაწილი ეჭვობდა, საკმარისად მქაცრად არის თუ არა დამტკიცებული ეს თეორია ფიზიკის თვალსაზრისით? (ცნობილია, რომ მათემატიკაში ნობელის პრემია არ გაიცემა).

ალბერტ აინშტაინიც და მისი თეორიაც ახლა იმიტომ გავიხსენეთ, რომ „ინტელექტის“ მესამე მნიშვნელოვანი საგამომცემლო პროექტის შესახებ გიამბოთ. კახმეგ კუდავა ამ პროექტს „ინტელექტის“ სახედაც მიიჩნევს. ეს არის სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის სერია. ამ ციკლით უკვე თხუთმეტამდე წიგნი გამოიცა. მათ შორისაა შალვა საბაშვილის „ასტრონომია ყველასათვის“, თამაზ რობაქიძის „ატომი ატომი არ ყოფილა“ და „მოლეკულებიდან კვარკებამდე“, გივი ნი-

კობაძის „სამყაროს ფარული განზომილებები“... სხვათა შორის, ეს მეცნიერული თეორია აშშ-ში მოღვაწე ქართველ ფიზიკოსს, გიორგი დვალის ეკუთვნის (ორ უცხოელ თანავაჭრორთან ერთად). ის ერთ-ერთი პირველი მეცნიერია მსოფლიოში. საქმე ის არის, რომ გიორგი დვალი ჩვენს სამყაროში მეოთხე განზომილების არსებობის დამტკიცებას ცდილობს, და თუ მისი თეორიის შედეგები პრაქტიკულადაც დამტკიცდა, მაშინ „ნობელზე“ აღარც არის ლაპარაკი. აი, ასეთ საინტერესო მასალებს, ქართველი (და არა მხოლოდ ქართველი) მეცნიერების მიერ პოპულარული ენით დაწერილს, გამოსცემს გამომცემლობა „ინტელექტი“ თავისი მკითხველისთვის და პირდება, რომ ეს სერია გაგრძელდება და გაგვაცნობს კველაზე მნიშვნელოვანს, რაც მსოფლიოს სამეცნიერო ელიტაში ხდება.

ამ სერიის ერთ გამორჩეულ, ნატიფი გემოვნებით დაწერილ წიგნზეც მინდა გითხრათ (მთარგმნელი დავით ჯიქია): ლანდაუსა და რუმერის თანავაჭრორბით შედგენილი მომცრო ფორმატის წიგნი: „რა არის ფარდობითობის თეორია“ ფიზიკის ერთ-ერთი ურთულესი თემის პოპულარიზაციის საუკეთესო წიმუშია. თუმცა ამის თაობაზე ლანდაუ ასე ხუმრობდა: „ორი თალღითი არწმუნებს მესამეს, რომ მას ორ შაურად შეუძლია გაიგოს, რას წარმოადგენს ფარდობითობის თეორიას.“

## პროპლემა, ფუზულება და... ცერტიფიკა ასი ტონა ცყლის ასაღულებლად

ამას წინათ ტელეეკრანიდან, წიგნების ერთ-ერთი მაზაზის მეპატრონემ ბესტსელერებად სამი ყოვლად უმნიშვნელო წიგნი დაასახელა. ეს ცნობა გამახსენდა ახლა, როცა საუბარში თანამედროვე მკითხველის თემა ვახსენეთ და აღმოჩნდა, რომ არც მთლად ცუდადას საქმე. ბატონი კაბბეგის თქმით, „ინტელექტი“ ბევრ ახალ წიგნს უკვე განმეორებით გამოსცემს, აი, მაგალითად პასტერნაკის „ექიმი უივაგო“, მთელი ტირაუი გაყიდულა. ტერენტი გრანელისა და ნიკო სამადაშვილის კრებულებმა რეკორდები მოხსნა! ამიტომაც გამომცემელი თანამედროვე მკითხველის თემას იმედიანად უყურებს. კიდევ ეს ახარებს, რომ ახალგაზრდა მწერლებშიც, ხანდახან, მარგალიტებიც გამოერევა-ხოლმე. ახლახან, მაგალითად, „ინტელექტს“ სრულიად ახალგაზრდა გოგონას, ნინო სადლობელაშვილის მოთხოვნების კრებული „ბამბაზინის სამოთხე“ დაუსტამბავს.

— დაწმუნებული ვარ, ნინო კარგი მწერალი დადგება, — ამბობს ახალგაზრდა ავტორის პირველი წიგნის გამომცემელი.

„ინტელექტის“ ხელმძღვანელს ქართული მთარგმნელობითი სკოლის წარმატებებიც ახარებს:

— ადრე თითქმის ყველაფერს რუსულიდან ვთარგმნი დით, ახლა შეგვიძლია პირდაპირ ორიგინალებიდან გადმოქართულებული ტექსტები შევთავაზოთ მკითხველს. ძევლი თაობის მთარგმნელებთან ერთად ჭაბანს ეწვეიან ახალგაზრდებიც. უნდა ჩამოვთვალო: ებრაულიდან მა-მუკა ბუცხრიკიძემ გვითარგმნა შმუელ აგნონი, არაბუ-

ლიდან – მაია ანდრონიკაშვილმა მაჰუზი, ლილი მჭედლიშვილმა – ბუნინი რუსულიდან, ბაჩანა ბრეგვაძემ ფრანგულიდან – ანატოლი ფრანსი თარგმან; ზაურ კილაძემ ინგლისურიდან – ფოლკნერი; ინგლისურიდან-ვე რუსულან მახათაძემ – ჩერჩილი; პოლონურიდან, ნათელა გავაშელმა – სენკერი; ნოდარ ნონიაშვილის არის – პასტერნაკის „ექტი შივაგოს“ თარგმანი; პამსუნი გერმანულიდან რეზო კვესელავაძემ გადმიოქართულა... შესანიშნავი მთარგმნელები არიან: ნინო სილაგაძე, ციალა კალმახელიძე, აკაკი ბრეგაძე, გოლერძი რუხაძე, ვახტანგ პაიკიძე, ომარ დოხხნაძე... მიხარია, რომ ჩვენს მკითხველს ამის ფუფუნება აქვს.

\* \* \*

საგამომცემლო-პოლიგრაფიულ საქმეში დღესდღეობით ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ტექნიკური ბაზაა, – ამბობს „ინტელექტის“ დირექტორი, – საერთაშორისო დონის სტამბა საქართველოში, სამწუხაროდ, მხოლოდ ორია: „ომეგა თევზ“ და „სეზანი“.

საგადასახადო სისტემის თვალსაზრისით წიგნი დღგ-სგან რომ გათავისუფლდა, ეს კარგია. აი, მოგების გადა-სახადზეც რომ იყოს შეღავათები, ძალზე დაეხმარებოდა ქართულ წიგნს. საზღვარგარეთ დაბეჭდილი წიგნის შემოტანა გათავისუფლებულია გადასახადისაგან, მაშინ, როდესაც ქალალდის იმპორტი იბეგრება. ეს ქართველ გა-მომცემელს უბიძებს წიგნი დასაბამეჭდად უცხოეთში გაი-ტანოს.

ჩვენი საგამომცემლო ბაზარი კონკურენტუნარიანი ნამდვილად არის. წიგნის ინდუსტრიას მომავალი აქვს. სახელმძღვანელობი ჩვენს ქვეყანაში მაღალი დონისაა, არა მხოლოდ პოლიგრაფიულად, არამედ პედაგოგიკურ-მეთოდური თვალსაზრისით და შინაარსობრივადაც. ამას ხელს უწყობს რეფორმაც. შესაძლოა ვინმე გააღიზიანოს ჩემმა ნათქვამმა, მაგრამ, ვფიქრობ, ეს პორცესი ჩვენთან წარმატებულად და სწორად მიმდინარეობს. აი, მაგალი-თად, მოსკოვში ყოფნისას ფიზიკის სახელმძღვანელოთი დავინტერესდი. ბრძოლინვალე გარევანი აქვს. გადავშალე და... მობილურების ეპოქაში ისევ პოპოვის რადიოზეა სა-უბარი. საქმე ის არის, რომ „პოპოვის რადიო“ პოპოვს არ გამოუგონებია, ეს აღმოჩენა იტალიელ მეცნიერს – გუ-ლიელმო მარკონის ეკუთვნის და მას პმისთვის წოპელის პრემიაც მისცეს. ასეთი „პოპოვის რადიოს სქემა“, სსრკ-ში, ყველა სფეროში „მუშაობდა“ – ეს საბჭოთა იდეოლო-გიის ერთ-ერთი ნაწილი იყო, მაგრამ მას მერე ხომ ბევრი რამ შეიცვალა. ხომ გავიდა ის დრო, ლენინს და მარქსს რომ გვაზუთხვინებდნენ? ერთ ტონა წყალს აადუღებდა ის ენერგია, რაც ამაში გვაქვს დახარჯული მაშინდელ თა-ობას.

ახლა ერთი ამბავი გამახსენდა:

უნივერსიტეტში მეორად ფაკულტეტზე სწავლისას ბატონი რეზო კვესელავა გვიკითხავდა ლექციებს. ერ-თხელ ერთ სტუდენტს უთხრა: დიდი ქართველები ჩამო-მითვალეო. დაინტ იმანაც ჩამოთვლა: სტალინი, ვაჟა-ფშაველა...

– ამ ორი პიროვნების მძიმით გამოყოფა შეიძლება?! – შეაწყვეტინა ბატონმა რეზომ.

## ორი „კურდღლის“ გემო და... მთავარი

– ბატონო კახმეგ, როგორ ფიქრობთ, მართლა არსე-ბობს მეოთხე განზომილება?

– რა გითხრათ... ეს თეორია ფიზიკოსებისთვისაც არ არის ადვილი წარმოსადგენი, ვნახოთ, ექსპერიმენტი რას დაამტკიცებს. ისე, ყოლიო კიურის აქვს ნათევამი: „რაც უფრო შორდება ექსპერიმენტი თეორიას, მით უფრო უა-ლოვდება ნობელის პრემიას“.

– გისმენთ და ვფიქრობ: იმოდენა ძალისხმევას ხარ-ჯავთ თქვენი საქმისთვის, მგონი დიდი ენთუზიასტი უნდა იყოთ... განა ეს მეოთხე განზომილებაში ცხოვრე-ბას არ ნიშნავს?

– თქვენ მხატვრულად აზროვნებთ. საბოლოოდ „ინ-ტელექტი“ მაინც განათლების საკითხებს უტრიალებს, ამ საქმისთვის ირჯება. ეს კი ის სფეროა, მომავალზე ზრუნ-ვას რომ ნიშნავს. გარდა ამისა, საერთოდ, წიგნის დაბადე-ბა ისეთი საოცარი სამყაროა... ვერც კი აგიხსნით. ამას წი-ნათ ბატონი ლევან ბრეგაძე მიყენება:

**ბროდსკის ჰკითხებს:**

– წიგნი სად უნდა იყიდებოდესო?

– მარკეტებშიო, – უპასუხნია პოეტს, – შეიძლება აფ-თიაქმიცო...

„მართალს ამბობდა ბროდსკი. წიგნი მართლაც ჰგავს სულის აფთიაქს“... – დასძინა ბატონმა ლევანმა.

– თქვენი აზრით ეს XXI საუკუნეშიც ასეა?

– ბრონი ადამიანები ძალიან დაიღალნენ ყოფითი პრობლემებით, მათ შევება სჭირდებათ... ანა კალანდაძე რომ გამოჩენილა, ჰაერში ჯერ კიდევ ომის სუნი ტრია-ლებდა, კონცლაგერების თემა კვლავაც მტკიცნეულად აქტუალური იყო ყოფაშიც, ხელოვნებაშიც... უცებ გამო-დის ერთი პატარა გოგონა და ამბობს :

– ლამის სახლში შემოიჭრას თუთა, ლამის წელზე შე-მომხვიოს ხელიო...

მგონია, რომ წიგნს დღეს სწორედ ეს ფუნქცია უნდა ჰქონდეს. დღესაც და... ყოველთვისაც!

– თქვენ არა მხოლოდ საგამომცემლო საქმეში, არა-მედ ძირითად პროფესიაში – ფიზიკაშიც გქონდათ წარ-მატებები, ხარისხიც დაიცავით. ეს ის შემთხვევაა, რო-ცა ორი „კურდღლიც“ დაიჭირეთ და, ასე ვთქვათ, „გე-მოც“ გაუსინჯეთ?

– დიახ, პირველითგან იყო ფიზიკა და ფიზიკა იყო ღრმრთისა თანა; იყო სწავლა და სწავლება, ფიზიკის დიდაქ-ტიკით გატაცება, იყო ნიჭიერ ახალგაზრდებთან მუშაობის უდიდესი სიამოგზება; იყო დაფა, ცარცი, აუდიტორია... და იყო „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში“ – უურნალი, რომელ-მაც გადო ხიდს ჩემს ორ გატაცებას შორის. წიგნი ის სამყა-როა, რომლის მიღმაც დღეს სხვას ვეღარაფერს ვაკეთებ... ეს ის შემთხვევაა, როცა პროფესია და პობი როლებს ცვლიან.

– თავს წარმატებულ ადამიანად თვლით?

– პერანგში ნამდვილად არ დავბადებულვარა... ცხოვ-რების წესი თვითონ ავირჩიე. ბედს არ ვუჩივი. ალბათ იმი-ტომ, რომ ყოველთვის, ყველა ეტაპზე იმ საქმეს გაეთებ-დი, რომელიც მიყვარდა.

ასეა დღესაც.



ჩემი ძვირფასო მკითხველო, ასე იმიტომ მოგმართავ, რომ დღეს, თუკი ვინმე კითხულობს – ყველა შეძვირულასება.

ჰოდა, ჩემი ძვირფასო მკითხველო, აბა, გულზე ხელი დაიდე, თვალიც გამისინორე და მითხარი – რამდენ ხანია არ გიტქვამს სიტყვები: ჩემო თვალნათელო, ჩემო სულისდგმავ, ჩემო ჩაუქრობელო კელაპტარო, ჩემო ათასნაირო, შურიგე, თოლიგე, სქანი გოლუაფირო, შემოგევლე, შენი კვნესამე, გეთაყვა, გენაცელე...

დიდი ხანია, არა?

ჰოდა, რაკი დიდი ხანია, როგორც გოგლა იტყოდა ხოლმე: – „უამსიტყვებოდ არა გცივა?“

გცივა, პაი-პაი რომ გცივა და აკი მეც იმიტომ ვკრიმანჭულობ – ქართული უმშენიერესი სამეცყველო სუფრიდან წამოკინებილი ამ უგემრიელესი კერძებისა აღარც სურნელი და აღარც გემო რომ აღარ მომდის.

### ჯემალ მონიავა

## სქანი გოლუაფირო

### აღდგომის დილა

შიშს ხო დიდი თვალები აქვსო, მაგრამა დუქანაანთ იორამს უფრო დიდები ჰქონია. ეს უზარმაზარი კაცი, ვირგლა, დომბური, აღდგომის დილა-სისხამზე სასაფლაოს ფერდზე „ვაი-ვუის“ ძახილით მოკლეზე რო მოგორავდა, ყორანაანთ ჭიპჭიასა და წიტასა ჯაჭვზე გამობმული ძალებივით რო მოითრევდა და იმისი კაფანდარა ცოლი წივილაანთ ლიზაი კი თმაგაშლილი უკან რო მოუწიოდათ „გვიშველეთ ხალხო, გვიშველეთ!“ – სოფელი ქვემოდან ელდანაცემი მოლოდინობით შესცეკროდა.

ფერდი ჯერ კიდევ ლილო-ჭრილიანი იყო. შედგებოდა ეს აგორებული გუნდა ჭუჭყიან, გაყინულ თვალზე და დასხელტებოდა, დაცურდებოდა, მერე მინას მიღწეული აპლაკულ ფეხებს ისევ მოიკრევდა, წამოიშლებოდა და „ვაი-ვუით!“ ისევ სოფლისაკენ დაეშვებოდა. თან გზაზე მიმოიბნევდა კალათებიდან გადმოცვენილ ნაზუქებს, ხაჭაპურებს, ქათმის ბარკლებს, წითლად მოლუდლუდე კვერცხებსა თუ ხაშლამის ბელტ-ბელტა ნაჭრებს.

ან ამ ძალების ხროვამ როდისლა იგუმანა ღრენანკაცებით უკან რო მოსდევდა და ფერდზე მიმობნეულ სანოვაგეს ძალური ერთგულებით მოისუფთავებდა.

ეს აგორებული ტალღა სოფელს რო მოასკდა, ვინც გარეთ იყო ხო ზვავად დაედვნენ, შინიდან გამოცვენილები კი გამოუძინებელი თვალების სრესვით მოპკიოდნენ – „რა ხდება, ხალხო, გაგვაგებინეთ რა გეცათ, ეს რა აღდგომის დილა გაგვითენეთო!..“

ხალხი ორლობები ვეღარ შეეტია. გაინელა, გაინლანა და წინები რო დუქანაანთ ეზოში შეცვიდნენ, სოფელიც შეჰყვა. თუკი სადმე ფეხის მოსაკიდებელი ალაგი იპოვნებს მოენყენენ, მიქუჩდნენ, მითაკვრით მილაგდნენ, ისე რო, მართლაც ნემსის ყუნწი ვედარსად ჩავარდებოდა და სულგნაბულები მიაჩერდნენ იორამს, რომელიც წყლიდან ამოგდებული ლლავივით უაზროდ ალამუნებდა ტუჩებს, გულამოვარდნილი ყლაპავდა ჰაერს და თვალები კი

დასტყეტოდა დიდად, დიდრონად, აი, ალბათ შიშს რო აქეს იმაზე დიდადაც კი. ჭიპჭიაცა და წიტაცა უსიცოცხლოდ მიყრილიყვნენ. ერთი იორამის ცოლს, წივილაანთ ლიზას შერჩენდა სიცოცხლის ნიშატი. მარილის კვნიტივით გალეული იჯდა, შუბლს მუხლისთავებს ახლიდა და ბარძაყებს ითქვეფდა.

ორლობები გაჭექილ ხალხს არაფერი ესმოდა. ჯიუტად მიინებდა წინ. ღობეზე გადმოყუდებულებმა მოწოლილები ვეღარ შეიკავეს და დუქანაანთ მესერმაც აქა-იქ ავის-მაუნყებლად გაიჭახანა.

– შეჩერდით, ხალხო! – ისევ შიო პაპა მოეგო გონს, – შეჩერდით აღარ უნდა გავიგოთ რა დოზაანაა ჩვენს თავსა?

ხალხი შედგა, გაისუსა. უბედურების მოლოდინში გაქვავდა და სულგანაბული მიაჩერდა იორამს.

„რაო-რაო?“ უკანებმა, მაგრამ ისინიც ხელდახელ ჩააცხრეს. სამარისებურმა სიჩუმემ მოიცვა სოფელი. არსა-იდან ჩქამი აღარ გამოისმოდა.

– აღარ იტყვით რა მოხდა? – ისევ შიო პაპა მეთავეობდა, – როდემდე ვეყარნოთ ეგრე შლეგიანებივითა?

– აღსდგნენ, აღსდგნენ! – ცივი ხმით წამოიწიგოლა იორამის ცოლმა და გამლილ თმას უაზროდ დაუწყო მოკრევა.

– ვინ აღსდგნენ, ქალო? – რძლისკენ დაიხარა შიო. დანარჩენები უიმედოები ჩანდნენ.

– მკვდრები, – ისევ წაიკნავლა ლიზამ, – მკვდრები აღსდგნენ, პაპავ!..

– აბა, მკვდრები?

– ჩვენი, სასაფლაოზე მკვდრები აღსდგნენ. მეორედ მოსვლა დაიწყო, მეორედ მოსვლა.

– რაესა როტავ, დედაკაცო? – გაცხარდა პაპა.

– ჴო, ეგრეა, – სული მოიპრუნა ჭიპჭიამაცა, – ჩვენი მკვდრები დაცოცხლდნენ, პაპავ...

– აბა, უცეირეთ ამათა.

– თუ არა გჯერათ, ადით კატაულაზე და თავადა ნახეთ, – ენა ამოიდგა წიტამაც.

– დაილოცა ღმერთის სამართალი, – პირჯვარი ისახა ლიზამ და ისევ ბარძაყებს მიუბრუნდა.

– მაინც რამდენი აღსდგა? – თვალები მოჭუტა პაპამ.

– სულა, – როგორც იქნა გაშლილი თმა მოიგროვა ლიზამ და კეფაზე მოიგრავნა.

– რა სულა, დედაკაცო?!

– სულა, – კეტერი დაუკაცა ჭიპჭიამაც.

– ანა, სულ არა, სულ არა, – ხელები გაასაცსავა წიტამ,

– ასე, რვა-ათინი თუ იქნებიან. სუ შესუდრულები არიან, თეთრად გამოწყობილები, ქათქათები.

— წავიდეთ, ვნახოთ, — მეზობლებს თვალი მოავლო შიო პაპამ, მაგრამ არავინ გატოკებულა. კრიჭიშეერულები გამოიცეირებოდნენ და ადგილიდან დაძვრას არავინ ეპირებოდა. მერე ხალხმა ნელ-ნელა დაინია, ღობებს მიანყდა, ზედ აეკრო, ბილიკი გაათავისუფლა, წამსვლელებს გზა უტია, მაგრამ მსურველი მაინც არავინ გამოჩნდა. ხალხი დაზაფრული იდგა, შეშინებული.

სოფელს იორამის თვალები ჰქონდა.

\* \* \*

გონიერი მევენახე ვაზს სხვას გაასხვლევინებსო — ნათქვამია. სხვა უფრო დანდობილად გაიმეტებს ვინემ პატრონიო. ჰოდა, ჭია გოგი-ამაც ისეთებს დაადგა თვალი — დიდი გულმოწყალებით არც ერთი რო არ გამოირჩეოდა, თორებ აშარ ჯანჯალა-ანთ მაჯლაჯუნას, ავყია ტოლბუშინაანთ რობიზონას, გულზვიად შაყულაანთ ია-გორასა და ლიყყან ჩუჩუნა-ანთ ვანოს ისე ეხატათ გულ-ზე ერთმანეთი, როგორც კა-ტებსა და ძალებსა. ამიტომ ჭია გოგიამ ისინ შორი-შორ განაწესა, ერთმანეთს არა-ფერი ავნონო და საქმეს რო მორჩინენ, შინ კი არ შეიყვანა — ზავრადაანთ დათას სასა-უზმეში დასხა. სუფრა გაუწყო, ოთხი ბოთლი არაყიც ჩა-მოუმტერივა და დახლილარი დაამუნათა — „მე მაგ შარიანი ხალხის მომვლელი არა ვარ. აბა, შენ იცი, ჯამ-ჭურჭელი არ დამსხვრევინონ და რო-გორებ მშვიდობიანად გაისტუმრეო. თუ კიდე რამე მოგ-თხოვონ, ასე ათი ლარის ან-გარიში მიუმატე და მოიცი-ლეო“, — თავად საქმე მოიმი-ზება და გაერიდა.

დათამ პატიოსნად შეას-რულა დავალება. სუ „თქვენი ჭირიმეთ, თქვენ გენაცვა-ლოთ დათაიო“, — ემსახურა და მისდა გასაკვირად ესენიც რო ტებილად ჩაუკიფიდნენ და ჩამარტნენ, თავადაც გვერდით მიუჯდა. თავისი არაყიც ჭია გოგიას ხარჯში შე-მოიდგა და გაიხალისა. თანამენახეებმა ოთხი არაყი კიდევ შეიმატეს, პირზე საკოცნელადაც წაინიეს და სულ მალე ერთმანეთის სახელებიც აერით.

შუალამებ უშფოთველად მოანია, მაგრამა უცებ მაჯ-ლაჯუნა აიმღვრა, შუბლდაკოპილმა მაგიდას მუშტი დას-ცხო და დაიღრიალა — „მოდით, ჩვენ მკვდრებს გაუმარჯოთ, იმათ საფლავის ქვეშაცაო!..“

„შენ ვის აშინებ, გაუმარჯოს და გაუმარჯოს, მაინც აღდგომა დღეაო!“ — წამოიმართა ტოლბუშინაანთ რობიზონა.

— მო-მო-მოიცათ, აღდგომა ხო ხვა-ხვალეაო“ — წაიჩუ-ჩუნა ვანომ.

— ა, აღდგომა და ა, ხვალეო, — შაყულაანთ იაგორამ.

„ხვალ-ზეგ არ ვიცი მე, როცა მომინდება აღდგომაც მაშინ იქნებაო!..“ — სკამზე შედგა მაჯლაჯუნა, — „ვინც ახ-ლა სასაფლაოზე არ ავიდეს, მე იმისი!..“

„შენზე ნაკლები გულადისაცაო!“ — რობიზონამ და თა-ვადაც შეეცადა სკამზე შედგომას, მაგრამ გულაღმა გა-დაიქცა.

წამოაყენეს და რაკილა გაინიეს, იმათ რაღა დააკავებ-დათ. ჰოდა, დათამ ჭია-გოგიას ანგარიშში დახლებემოდან კიდევ ხუთი არაყი გამოაძვრინა, ანგარიში მაინც არეული ჰქონდათ და იმისი დამ-თვლელიც აღარავინ იყო. ყველი, ბური, ხორცი და მუ-ვე ცელოფანის პარკებში მო-აქუჩეს და სასაფლაოს ლი-ლო-ჭრილოიან აღმართს ღრიალ-ხრიალით შეუყვნენ.

\* \* \*

წესი არ არის, მაგრამ სოფლებში ხო აღდგომას იციან მიცვალებულთა მო-ფერება. ჰოდა, დიღლისათვინ, შიო პაპას, იორამი და იმისი ცოლი ლიზაი წინდანინვე ჰყავდა შეგულებული, რო სა-საფლაოზე აღრიანადვე ასუ-ლიყვნენ და ვიდრე ქალაქე-ლი ნათესაობა ამოუსნრებ-დათ, იქაურიბა მოენესრიგ-მოეკოლოზინებინათ. იმათ, ყორანანთ ჭიაჭია და წიტაც აედევნენ და ჯერ კიდევ სის-სამზე, მზის ამოსვლამდე აუყვნენ კატაულას აღ-მართს.

წეს ადრე მოატანა დღესასწაულმა. გაზაფებული ჯერ ვერ მომძლავრებული-ყო და დიღლის მწველი სუსხი ნესტოებს უნინენიდათ. იო-რამს ლვინიანი შტოფი აეკრდზე და აღმართში ხენეშით მიიზღაუნებოდა. ლიზას კალათებით სანოვაგე მოჰქონდა. ჭიაჭიაცა და წიტაც დატვირთულიყვნენ. ასე ქონდათ გადაწყვეტილი — ჯერ დუქანაანთ საფლავებს დააკოსტავებდნენ და მერელა მიხედავდნენ ყორანაანთ მიცვალებულებს. ბოლო-ბოლო ბიძაშვილ-მამიდაშვი-ლებს მიმსენიებლებიც ხო საერთო ეყოლებოდათ.

აღმართი ააარეს. იორამი ქშეილით შედგა და ირ-გვლივ თვალი მოატარა.

„აღარ გეთმობა ეგ ბოცაი, არა? — თვალები დაუკვესა ლიზამ, — ბალლივით რო ჩაგიკრამ, აღარ უნდა დადგა, კა-ცო?“

„გამამართვით, ამის პატრონი დედაცა, მეშინიან კენ-ჭიე არ დამედგას, ვახ!..“ — ამოილრიალა გაბიჯვულმა იო-



მხატვარი კარლო ფაჩულია

რამმა და, უცებ გვერდითა საფლავზე რაღაცამ დაიბუყ-ბუყა, მერე მძლავრად ამოიტებინა და ვიღაც მთელი ტანით აიმართა, აქანავებული აიზაყა. თეთრად დათრთვილული თვალისმომჭრელად ქათქათებდა.

„ვამეო!..“ – იორამმა. შეოფი ხელიდან გავარდა, ბეტონის ფილას დასკვდა და შეეფები გარეშემო მიმოფანტა.

ამ ხმაურზე იქითა საფლავიდანაც წამოიჯაგრა ვიღაცის თეთრი აჩრდილი. მერე აქედან, იქიდანაც... ჰიდა, ამოსულებმა დაავლეს ხელი თავ-თავიანთ კალათებს და თავდალმართში წიოკით დაეშვნენ. აბა, ქვევით რაც ჩამოჰყვათ, ხო უკვე იცით და მანანნალა ძალებმა რაც იხეირეს – ისიცა.

მცირე ხანში კი სოფელში აპაბანებულ-აპაგაბებული, გაფიჩებულ-გაფხავებული, მთლად შესუდრული ჯანჯალაანთ მაჯლაჯუნია, ჩურუნანთ ვანიო, ტოლბუზინაანთ რობიზინა და შაყულაანთ იაგორა შემოხანსალდნენ. გა-ხევებულ ფეხებს ვერა ხრიდნენ, ჩოჩიალით მოითრევ-დნენ. კრიჭაშეკულებს, მხოლოდ დათრთვილული ქუ-თუთოების სიღრმეშიღა მოუჩანდათ სიცოცხლის მკრთალი სხივი. ბედი, რო ნაარყალები იყვნენ, თორე ამ ცივ და-მეს ნამდვილად ვერ გაატანდნენ.

დუქანაანთ იორამმაც მოიხედა – სააქაოსკენა ჰერა პი-რი...

ჰო, მართლა, ზავრადაანთ დათო ხეირად ცელოფანის პარკებით არყის „ტარას“ მოითრევდა. იმისი ბარბარი ბოთლებსაც გადასდებოდა, ერთმანეთს ეხლებოდნენ და რაკა-რუკით შემოდიოდნენ სოფელში.

ეგრეა, ნათქვამია – აღდგომამდე არ უნდა გაიხსნილო...

## ... სეში ხეალი ჩადგაო

გაზაფხულმა და თინანომ ერთად იფეთქეს...

შარშნ გოგოს მკერდზე კვირტები რო დაასხდა, შე-მოდგომაზე ხო მოუბუტკოვდა, მაგრამ ზამთარმა სულიერიცა და უსულოც რო მობუდნა და თბილ სიზანტეში გა-ახვია, აღარაფერი ჩანდა. ეგრე უჩინრად უფუთფუთებდა სხეულში აქამდე რაღაც უცნობი ურულა, საამო ნეტარ-ყუჩობა.

ჰოდა, თებერვალიც დადგა და რა თქმა უნდა ხეშიც ჩადგა წყალი. მინამ სათბუნებელი გადაიძრო, ხეც გამოიკირტა, ჩიტებიც აურეშე დაგდებდნენ და მინდორიც ამობალადა.

თინანომაც გადაიძრო ბებოს ნაქონი თავშალი, დის გამონაცვალი ბალტოც გაიხადა, უაკეტიცა და გამოანათა. გამოანათა კი არა და, იგრე გამობრნყინდა – ავ თვალს ალარ ენახვებოდა. შარშან რო ქვედანელი თითქოს რიგია-ნად ედგა ტანზე, ეხლა მუხლისთავებამდეც ველარ ატან-და. თეძოებზე აქაჩულს აღარაფერი ესაშველა – გამოყვანილი მუხლისთავები და ფიტქინა ბარძაყები თვალისმომჭრელად უჭიატებდა. განზე გაქცეულ ძუძუებს ბლუზაც გადასკდომამდე გადაეჭიმა, გაჭიფებული ღილები გამნა-რებულები ჩაბლაუჭებოდნენ პირდაღებულ სალილებს და ცხადი იყო დიდხანს ველარც გაუძლებდნენ, სულ მალე შეუილით დაანწყდებოდნენ.

ბებოს თავშალი ახლა მკერდზე მოახვიეს და ზურგს უკან გაუკრეს, მაგრამ ყოველ ამოეშენაზე ნასკვი ებოშებოდა და ეხსნებოდა.

„ასეთი რა ჩაუდგა ამ გოგოს მკერდში, აუკარით ძუძუები, აუკარით, ვერა ხედამთ განზე გაექცაო!“ – ფოფინებდა დიდედა, მაგრამ მისთვის ვინ იცლიდა, საგაზაფხულო საქმიანობას მოელი სოფელი გარეთ გამოეფინა.

„ფუ, ეშმაკა... ეგრე უცებ რამ მოამზიფა? აუკარით, აუკარით!“ – გულს ასკდებოდა დიდედა.

არა და, თინანოს კლასელი, სახედამუწუკებული პაპი-აანთ ემზარა, თვალებდაელმებული იმათ ჭიშკართან ხენება-ხვნებით ათენ-ალამებდა.

დათბა, თავშალიც მოიფრიალა თინანომ, მთელი ქალიშვილური მშვენიერებით გამობრნყინდა და დიდედამ ისევ ჩამოიხოეს ლოყები – „აუკარით, ვერა ხედამთ, გაექცა, გაექცაო...“

ველარ მოასწრეს.

თინანო თავად გაიქცა. ჭიშკართან ატუზულ ემზარას მხარევეშ შეუდგა, სახლში ააყვანინა თავი და მის მშობლებს თავდასრილმა გამოუცხადა: – „მე აქედანა წამ-სვლელი აღარა ვაარო...“

ვიღა გაუშვებდა?!“

## გაბუ

სულ ველზე იყო გავარდნილი. ჭაბურლილების ოს-ტატს სხვა რა ექნა? იძვიათად ვხვდებოდი. სევდანარევი სიყვარულით მოგვიყითხავდა კლასელებს.

„აბა, ეს საჯმეა? თქვენ სადაცაა შვილიშვილებსაც მო-ესწრებით, მე კი ისევ ტყე-ღრეში დავწონიალობ. განა არ ვიცი, რომ გვაიან ოჯახს მოკიდებული კაცი შვილებს ადრე აობლებს, მაგრამ რა ვქნაო?..“

როგორც იქნა, ცოლიც შეირთო. ბედის ირონია იყო თუ რა – ბავშვი შეუგვიანდათ. ბოლოს ეყოლათ მწყაზარი, ანგელოზი გოგო. იმას შეპირფინებდა, ახლა იმისი ადრე გათხოვების იმედით ცოცხლობდა.

„თქვენ უკვე შვილიშვილების დაბინავებას იწყებთ, ჩემმა კი, ჯერ ასპირანტურა მოინდომა, მერე ბარემ დი-სერტაციასაც მოვიმთავრებო. რა მეშველებაო“, – წუნუნებდა.

ქალიშვილიც გაათხოვა, შვილიშვილიც შეეძინა, ლუკა, მკირცხლი, გონიერი ვარსკვლავბიჭუნა.

რუსთაველზე შემხვდა. ნეტარი ლიმილი გადაპფენოდა სახეზე.

„იცი რა ბიჭია? ლმერთმა იქნებ მაგის შვილსაც მომას-წროსაც“. „

მობილური აუხმიანდა ჯიბეში.

„ბაბუ, ბაბუ, ბაბუ, ბაბუ!!!“ – მოშიებული ბარტყის თავ-გადაკლული აბეზრობით ჭყლობინებდა ბაგშვის ხმა.

„ლუკა, ზარის მავივრად მყავს ჩანერილიო“, – გაკრეჭილი დასჩერებოდა.

„მერე გაეპასუხე, ცოდოა-მეთქი“. „

„რას ქვია ცოდოა? იძახოს ცოტა ხანს, რომ ვუსმენ მი-სარიაო“. „

„ბაბუ, ბაბუ, ბაბუ, ბაბუ!!!“ – არ ცხრებოდა ტელეფონი. ეს კი დასჩერებოდა ბედნიერი, სახეგასხივოსნებული.

## ტირიფი

დგას კოდმეზე მუხა ყინჩად. ამაყი, გაფუყული, თავ-დაჯერებული – თავისი სიძლიერით კმაყოფილი. მძლავრად ჩაბლუჯვია მინას. აუყრია ცისკენ თავისი დაძარღული ტოტები. ნაბდის კალთებივით ჩამოუშლია გალაქული, შეხუჭუჭებული ფოთლები და მზერა სადღაც შორეთისაკენ მიუქცევია – თითქოს „შორი გზიდან სატროს ელისო“, – არა და ეს საცოდავი ტირიფი აქვე ახლოს, ხელის გაწვდენაზე ამონვერილა. სუსტი, უსასო, იმედიანი. შესციცინებს ცრემლჩამდგარი თვალებით ამ გულიკრულსა. სურს გაინვართოს, გაინვდინოს მელაყები და მოეფათუროს – „აქა ვარ, აქაო“ – მაგრამ ამაოდ. გაიშვერს უილაჯო, სუსტ ტოტებს და ჩამოუცვივდება ისევ უსიცოცხლოდ. დას-თრევს მინაზე ძალაგამოცდილი.

მუხას კი აინუშმაც არ მოსდის მისი ფათი-ფუთი. ისევ იქით იმზირება მიუწვდომლისაკენ.

ამოვარდება ქარი, ააფათფათებს ტირიფს, აიშვერს ეს საცოდავიც ხელებს, წაიღებს ქარი, უწევს მუხის ტოტებს და ჩახლართაგს შიგ. აპაბანდება ნეტარებისაგან სიცოცხლეჩამდგარი ხე, ვნებამორეული, ელამუნება მუხის უგრძნობელ ჯაგარს და გააქვს კანკალი.

ის მანც ვერაფერსა გრძნობს. დგას კოპშეყრილი და ისევ შორეთისკენ გაიცეირება.

დაიღლება ქარიც, აიკრეფს თავის კალთებს და გადაიკარება. ჩამოუშვავდება ისევ ტირიფს მელაყები, მოტირალი დედაკაცივით ფეთხუმად აფუგნული თმა მინაზე დაუფხავდება. დგას და ტირის ეს უბედური.

ერთხელაც იქნება ამოვარდება ტაროსი, მოათხრევინებს ტირიფი თავს, აჰყებას გრიგალს და მიეხლება სატრფოს. ჩაეკონება ამაყ ტოტებში ჩაეკრობა, ჩაენასკვება და შეაჭერება კიდენაცა ამ უგრძნობელსა და გულნამცეცას.

მანამდე კი დგას ტოტებჩამოშლილი და მისი შემყურებალხი ამბობს: – „სულ რა ატირებს ამ ტირიფსაო?“

იტირებს, აბა, რა მოუვა?!

## პირველი შთაგეზღილება

### ივანე ამირხანაშვილი

# მცენარე პერსონაჟები იცნობა

ბუნებაში უთუოდ არსებობს კულტურულ-ინფანტილური შიშის ეს სახეობა: უყურებ სპექტაკლს და სულ იმის შიში გაქვს, რომელიმე მსახიობს რომელიდაც მომენტში სიტყვები დაავიწყდება და გაქრდება.

რა ხდება მას შემდეგ, რაც მსახიობს სიტყვები ავიწყდება?

ან თუნდაც: რა ხდება, როცა სიტყვებს მსახიობი ავიწყდებათ?

ძნელი სათქმელია. თუმცა ის კი ვიცით, რომ არც ერთ, არც მერე შემთხვევებში დაივიწყებას გაჩერება არ მოსდევს, რადგან დავიწყების სიცარიელეს საგნები ავსებენ.

ბუნებაში არაფერი იყარგება. არც მაშინ, როცა მსახიობი წერას იწყებს.

ეს მხოლოდ მწერლებს ჰგონიათ, რომ თუ მსახიობმა წერა დაიწყო, ის აღარც მსახიობი და აღარც მწერალი.

სინადვილეში მსახიობიც არის და მწერალიც. სწორედ რომ „მსახიობი და მწერალი“, თორემ „მსახიობი მწერალი“ და „მწერალი მსახიობი“ ჩვენში ბევრია ბევრნარი გაგებით.

არ მინდა შესავალი დავამსგავსო რევერანსს ან შედავათის მოთხოვნას.

ჯემად მონიავას ეს არ სჭირდება.

მისი არაჩერებულებრივი წიჭი, მაღალი ადამიანური კულტურა და მოქალაქეობრივი პრინციპებულობა ჩემთვის სრულიად საკმარისია, რომ ფრთხილი ვიყო შეფასებებში.

იგი თვითონ არის სიტყვის შემფასებელიც და დამფასებელიც, გემოუნება არასოდეს დალატობს.

კაცმა რომ თქვას, შეფასებებს არც ვაპირებ, უბრალოდ, მინდა, შეკითხვები დავსვა და ამ შეკითხვებს შეკითხვებითვე ვუპასუხო.

რატომ მიდის მსახიობი მწერლობაში? ანდა, არის კი ლიტერატურა იმდენად ღია, რომ როცა გინდა ადგები და შეხვალ?

სწობისტური შეკითხვებია, ვალიარებ. ნეტავ არსებობს მკითხველი, სწობიზმის ჭია რომ არ უდრლიდეს გულის-გულს.

იქნებ ეს „ნასვლა“ კი არა, შინაგანი იძულებაა, ან მოვალეობა სიტყვის ნინაშე, თუნდაც სინდისის გამოცდის ახალი გზა, ან სიცოცხლის მშევნიერების შეგრძნების ახალი საშუალება?..

თავისუფალი აზროვნების წესი?

გარდასახვის ბუნებრივი ფორმა?

ოცნების ასრულება?

მინდა ვიცოდე, საიდან ჩნდება ფორმისწარმოქმნელი ძალა. საიდან მოდის იმის შეგრძნება, რომ ხარ სწორედ „აქ და ახლა“.

ხომ შეიძლება მოგიბრუნდეს საკუთარი თავი და გეითხოს: სად „აქ?“ როდის „ახლა?“

ეჭვს ხომ უნდა დაძლევა, ფსიქოლოგიურ ბარიერებს – მოხსნა; ხომ უნდა იცოდე, სიმაღლის დასაბყრდობად მარტო მიდიხარ თუ თოვზე ხარ ჩაბმული; ხომ უნდა დარწმუნდე, რომ გზას მიაგენი, რომ ეს სიტყვები, ხმები, საგნები, მოვლა-ნები შენიდან ამოდის.

გენდობა თუ არა მთავარზე მთავარი რედაქტორი – შენი სინდისი?

ადამიანები ხომ დრამატული არსებები ვართ. ყველანი სცენაზე ვდგავართ, ყველანი თავს ვიქცევთ, ყველანი ვარტისტობთ, მაგრამ მხოლოდ პროფესიონალ მსახიობებს შეუძლიათ განიცადონ ჭეშმარიტების მომენტი, როცა სიტყვა არის უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ სიტყვა.

დარწმუნებული ვარ, პროფესიონალური სცენიდან სულ სხვანაირად შეიგრძნობა სიტყვისმიერი კავშირის მისტერია.

იქიდან, სხვა თუ არაფერი, თვალდათვალ მაინც ჩანს, როგორ აღიქამენ ადამიანები სიტყვას, როგორ მოქმედებს ტექსტი აუდიტორიაზე.

ჯემალ მონიავა სცენიდან არ გასულა, პირიქით, ავანსცენაზე გამოვიდა და თავისი ტექსტით განაგრძო ლაპარაკი. სხვისი ტექსტი „დაავინწყდა“.

სამაგიეროდ, სიტყვამ „გაიხსენა“ მასში მნერალი.

ამიტომ არის იგი მართალი და სანდო.

ჯემალ მონიავა ამბეჭს კი არ თხზავს, არამედ შინაგან-ცდებიდან ამოაქვს მზამზარეული ფორმები. მისი თემები მეტისმეტად ქართულია და არის ამ მეტისმეტობაში ზუსტი რეალიზმი, ემოციური სილრმე და ნოსტალგიური ჰუმანიზმი.

წერს თავისუფლად, ლალად, მხიარულად, თამაშ-თამაშით, ოღონდ არა საერთო გართობისათვის, არამედ საერთო ტკივილისათვის. მან იცის თამაშის ფილოსოფია. იცის, როგორ გამოხატოს ტკივილი თამაშით.

მომწონს მისი მოთხოვების მახვილგონიერი სიუჟეტები, ცოცხალი გარემო და რაღაცით გამორჩეული, უცნაური პერსონაჟები, – ტკირთმძიმენი თუ მძიმე ტკირთები ამ ცხოვრებისა, – რომლებსაც ერთადერთი საკუთრება შერჩენიათ – სიცოცხლე და რომლებიც ისა ჰეკალავენ გზას უსასრულო არარაობიდან უსასრულო ადამიანურობამდე, რომ ერთი საყვედურიც არ დასცდებათ, ერთხელაც არ დაარღვევენ ბუნების წმინდა კანონებს.

გადავიკითხოთ კიდევ ერთხელ, კიდევ ერთხელ გადავამოწმოთ და ვნახოთ, კარგი მწერალი პერსონაჟებში იცონდა.

## პრეზი



### გიორგი კეკელიძე

დაიბადა 1984 წელს ქალაქ იზურგეთში.

2004 წელს გამოსცა ლექსების კრებული „ძებნა სამოთხის კარისა“.

2005 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფილოლოგიის ფაკულტეტი.

ამავე უნივერსიტეტის პუბლიტარული ფაკულტეტის პირველი კურსის მაგისტრანტი.

ლიტერატურ პორტალ [www.lib.ge](http://www.lib.ge) მხატვრული რედაქტორი

რედაქტორი ლიტერატურული გაზისა „ლილ“.

ხოლმე...

მე კი მინდა თქვენთვის დავწერო –  
რად მიკაუნებს ყოველდამით ახალი დარდი,  
ვერ ვუმასპინძლებ, ბატონებო,  
ამოდენ სტუმარს...

ისე მომბეზრდა,  
არსაკადრისს შეგთხოვთ სამსახურს;  
თქვენ ხმა დააგდეთ –  
თითქოს ღია დავტოვებ კარს  
ყველასთვის,  
ჰოდა,  
მეწვიონ მალე...  
... თვითონ ავდგები და სარკმლიდან გავიპარები...

## მთვარე

ნუ გაიოცებთ  
ამ მთა-ველებს შიშის საფერ გაფითრებულებს –  
დედამინას გარდაცვლილი მზე ესიზმრება...

## გაფორი პის ჭოგრიფი

პ.პ.-ს ფოტოალბომიდან

ნაზამთრალ ცის სულის

წვეთ-წვეთ

დაქცეული და შედედებული

სისხლი-

ენძელა...

ნაზამთრალ მზის სულის

## სიკვდილი ივლისისთვის

...ეს ივლისია,  
როგორც წესი –  
შუალამისას დათქმულივით ვიღვიძებ ხოლმე...  
ეს ივლისია,  
ფრთაუცნაური დაბორგავენ ირგვლივ ლანდები  
და ძილს დავეძებ, სიზმრები რომ დავაბინავო...  
...ულევი გვალვის მდუმარებით გაგუდულ ბალებს,  
გახრწნილი ქარის უამური წამოსცდა სუნი და ოთახების  
მონაცრისფრო კედლებს მოვდო...  
...სამარხში ახლად გაღვიძებულ ფარაონს ვგავარ  
და როგორც წესი,  
თავთან მიდევს ორი ბარათი...  
ერთი დედისგან....  
შევინახავ სხვათა მსგავსად გაუხსნელს სადმე;  
იქ უსათოდ წაიკითხავთ –  
რომ წვიმებია,  
რომ სულ პატარა ვეზმანები  
და ჩემი ხმა გადაავინწყდა...  
... დანარჩენი თქვენ არ განაღვლებთ...  
მიჯნური ძველი ინერება –  
რომ სიკვდილს ელის,  
რომ ის მშვიდია  
და ამ ზაფხულს ვერ გადაიტანს...  
... ეს ივლისია, როგორც წესი დათქმულივით იღვიძებს

წვეთ-წვეთ  
დაქცეული და შედედებული  
სისხლი-  
ყაყაჩი...  
ნაზამთრალ ქალის სულის  
წვეთ-წვეთ  
დაქცეული და შედედებული  
სისხლი -  
მიწა.

### სულის ცერა ანუ სამრობის შესახვა კუძღნი წინაპრებს

ღმერთი ბავშვითი წერდა ვარსკვლავებს  
და მთვარე დაედგარა...  
და მერე შვილებს უყვებოდნენ ზღაპრებს ღრუბლებზე.

### და მერა თმებამ მოიცყინეს უსამააულოდ

მუხლამდე თოვლში ჩაეძინათ ფრთათეთო გვირილებს  
და ალარასდროს მისულან სახლში.

### შთაგეჭდილება

შენ გახსოვს მთების შიშველი  
თეძონი,  
თეძამი -  
- მდინარის სახელია...  
შენ სხვა სახელებიც გახსოვს,  
სოფლები გახსოვს -  
- სამაჭალო და გარიყულა...  
სიკვდილის სამარეს -  
თამარის ხიდს იგონებ,  
ციცაბო ბილიკებზე  
და სევდიან ციხეებზე,  
ვერნახულ ჩანჩქერებზე  
და არყოფილ მღვიმებზე ჰყვები თურმე -  
- მე კი მხოლოდ შენი  
თვალების  
ლიმილი  
გამომყვა...

### პოეზია ჩვენის

აეშაგი ვარ, ოჩოკოჩის გამოგზავნილი  
ზალ ჩხეიძე

ამ კედლებს რომ სისხლი  
ჰქონდეთ,  
სისხლი დამახრიობდა  
უტუოდ,  
დემონებო ნუ მომპარავთ

მათ ალერსში  
დამსხვრეულ ფრჩხილებს!  
ეს მოხდა ვირთხის წელიწადში;  
შესცივდათ ჩვენს სულებს  
ჯოჯოხეთში  
და  
დედამიწას ჩაესახლნენ...  
რა ეშველებათ ამ დაკაწრულ კედლებს,  
რა ეშველებათ ამ სხეულებს კედლებში  
გამოკეტილთ!  
ჩვენ ოდესლაც გიყავით ბავშვები,  
სიზმარი გვეწვეოდა საზარელი, ბავშვებს  
და  
გალვიდება გვიხაროდა...  
ჩვენ ახლაც გვსტუმრობს საზარელი სიზმარი,  
მაგრამ ახლა უარეს ღვიძილს ვუფრთხით!  
ჩვენ პოეტები გვეკვია  
და  
მე მეცოდება  
ამ ოთახის კედლები  
და დემონები მეცოდება;  
ისნი ყოველლამ გვსტუმრობენ ბეჯითად  
და  
ფრჩხილებს გვიან..  
ჩვენ კი ოთახიდან გასვლა გვეზარება..  
ღიაა ოთახის კარი,  
შესაბამისად მე არ მეცოდები  
ისევე, როგორც  
შენ.

### ვაჟლი

ტყიდან გამოდი ალ,  
ალ!  
ტყეს ნუ ეფარები,  
ტყეში სიცივეა ალ,  
ტყეში მე არ ვარ...  
ბოლოა  
ეს ძახილი, ალ,  
ბოლოა  
რახან მზეს ვემალები...  
... ისე მომბეზრდა სამყაროს  
ზვერა,  
რომ მინდა ვინმემ  
ჩამირაზოს  
სიზმრის კარები -  
- ძილად წასვლა მწადს  
ალ,  
სიბრმავე მომესურვა -  
- ალარ მინდა ამ გზებს  
ვხედავდე,  
ამ ქალაქს,  
ამ სოფელს,  
ამ ხალხს!

ბინდი მინდა, ალ!  
ნათელი შემეზარა!  
ნათელი შემეზარა!  
ტყიდან გამოდი, ალ!  
ტყიდან გამოდი  
და  
ჩემი სულის  
გახელილ  
თვალებს  
შეაყარე გარდაცვლილი  
ფოთლების მტვერი!!!

### პავავებო იპოვეთ თორმეთი განსხვავება

„თამარს ვაქებდეთ მეფესა...“  
ღმერთმა შეუნდოს ჩვენს ძმას  
შოთას შეცოდებანი, ძმანო,  
უფალმა ნათელი მიაგოს მის სულს.

შენ დედოფალი არ გერქმეოდა,  
შენ ალბათ მისი მხევალი იქნებოდი  
- უფალი გვირგვინს  
ამყოფინებს დედოფლებს,  
შენ ლამაზი ხარ ...  
მე მეჭურჭლე არ მერქმეოდა  
მე ალბათ თიხის მძერნი ვიქნებოდი -  
- უფალი ლარებს ამყოფინებს  
უხუცესთ,  
მე პოეტი ვარ ...  
შენ გეყოლებოდა ქმარი,  
შენ ქმარი გეყვარებოდა,  
მე - ჩრდილი და სიშორე ...  
მე არ დავწერდი ლექსებს შენზე,  
შევძლებდი კი,  
მაგრამ არ დავწერდი -  
- არცროს მქონია დაქცეულ მელანზე ეჭვი ...  
შენ გეყოლებოდა ქმარი,  
შენ ქმარი გეყვარებოდა  
და  
თუ მე დამინახავდი,  
თუ მე შემიყვარებდი,  
თუკი ქმარს გაეყრებოდი ჩემთვის -  
- მოვპარავდი მეზობელს ჯორს,  
სხვის ოცნებას - ბერის ჩოხას  
და  
გავიქცეოდი  
იერუსალიმს ...

### არჩევანი

როცა ვერძი შობს კუროს,  
ფოთლებს უკვე ჭეშმარიტად  
დაეტყობათ შენი თვალების  
ფერი...

შენი თვალების ფერი -  
- ფერი ტყიდან უცაბედად  
გამოსული ქარის სამოსის..  
და მით უფრო ვერ შეგიპყრობ, კარგო...  
ასეთია პოეტების სევ-  
- იფრინონ ქარებზე წუთით ნელა...  
ყოველთვის.....

### ლამა

თქვენ წადით სოკოზე  
და ისე გვიან დაბრუნდით,  
ქალბატონო,  
რომ ამაოდ მეძახით ახლა -  
- ეს კარავი ვერ დაგვიტევს  
სამს...

### ნატურმორტი

ღმერთი ბავშვივით წერდა  
ცის უსაშრობო რვეულში  
ვარსკვლავებს  
და მთვარე დაეღვარა....

### „პოლადიური ჰაიკუ“

„ცოცხალი პოეტი ანაქრონიზმია“  
შან კოკტი

„ერთხელ მიჩვენეთ გაიუს ჩემო კუბიკულუმი“  
ცოცხალი პოეტი

მე მეგვიპტელი ვაჭარი ვარ  
ტფილისს ვცხოვრობ რვა წელია  
და ქვიშას ვყიდი. ....  
ჩემი სახლი.  
- უმინაო მანსარდაა -  
- მოვლენ ჰინდო მონები  
მოვლენ და უკავენ ჩემს ფანჯრებთან  
ზღვის ნიუარაზე  
- ტფილისში ხშირია ქარი -  
- ქარი ჩემი თვისტომი ....  
ქარის სახლიც სხივგადამფრთხალი  
ახლო სხვენია  
მკვდრადშობილი შემოდგომის ძვალშესალაგი -  
- მე მეგვიპტელი ვაჭარი ვარ  
ფოთლებში ვცხოვრობ  
და ქარში ვცხოვრობ  
და ქვიშას ვყიდი,  
უდაბნოდან ტომრით მოტანილს.  
.... ჩემი და -  
მთვარე -

ჩემი ცოლია  
სხვა ცოლები საქორნინო  
სარეცელზე გარადამეცვალნენ  
და მერე ცაზე გადმოჰკიდეს  
ვარსკვლავები,  
ვარსკვლავები,  
- საძეძან წითელი ფანრები  
რახან მიწად ვერ ნახული,  
მაღლით ეგრძნოთ  
დიდებული ღალატის გემო.  
და ჩემი და -  
მთვარე  
ჩემი ცოლია ... ჩემი ბოლო ცოლი  
მე მეგვიპტელი ვაჭარი ვარ  
და ქვიშას ვყიდი,  
და საფასურად გაოცების  
ოქრო მივიღო. ....  
ვყიდულობ ფუნჯებს,  
პურს და ფუნჯებს  
და შუადლისას  
დალალული სხვენში ვბრუნდები. ....  
ნუ გაიკვირვებთ ჩემს სილარიბეს!  
- მე ვხატავ ქარს!  
მე ვხატავ ქარის უმკაცრეს პროფილს  
კიდევაკეცილ ზეცის ტილოზე  
მზის სისხლით -  
- და შემოდგომის ფოთლებით  
ვხატავ ....  
ცოდვილი სული  
დავმარხე  
ცხრამეტ წყრთაზე  
ნაკურთხ ფურცლებში  
მეოცე წყრთა იყო სამარე მისი  
მე მეგვიპტელი ვაჭარი ვარ  
მე ვხატავ ქარს!  
მე ყოველდამ ვგრძნობ  
ცაზე  
ღმერთს  
რომელიც დამეძებს ....  
ღმერთს მოაქვს პური,  
ღმერთს მოაქვს სამოსი,  
მე კი მშიერი,  
მე შიშველი  
ვემალები  
ღმერთს  
და  
თუ მკვდარი მოპოვოთ  
საღმე

ნუ გაიკვირვებთ  
ჩემს სახეზე  
უცნაურ ღიმილს ....  
მე ამაყი ვარ ....

### რატომ კვდებიან პოეტები

#### ციკლიდან “ნიუანსური პოეზია”

თქვენ მიყრდნობილხართ  
ახლახან შეღებილ ფანჯარას,  
გაცვიათ თეთრი,  
მყინვარის სულზე  
უფრო თეთრი  
ხალათი,  
და მაღლა იყურებით...  
ო, თუ ეს არ გსურთ;  
ყვავილოვან მდელოზე ზიხართ  
და ისე შესცექით ცას...  
ცა არის ლურჯი,  
ცაზე უთუოდ შეამჩნევთ  
მთვარეს...  
მერე მიხვდებთ  
ან სულაც იგრძნობთ,  
რომ უკვე დაიღალეთ,  
იმდენად ნაცნობი  
გახდა სამყაროს მუზეუმში  
ოდესადაც დაკიდული ეს სურათი,  
დღეს ხომ მეათასედ გიწევთ  
მისი გადმოწერა...  
მაშინ დახუჭეთ თვალები,  
ღრმად დახუჭეთ  
და როცა გაახელთ-  
- თქვენ ისევ შესცექით ცას,  
ცა არის ლურჯი,  
ცაზე უთუოდ  
შეამჩნევთ  
დედამინას...

### სამთვრალიო

#### ციკლიდან “ალ”

მთვარე სალამბო,  
მთვარე დალის დახრილი  
ლანდი  
და ფრთა მოტეხილ მთვარესავით  
ანთია ლამფა,  
დაისის ფერფლი დაეფიფქა  
თეთრ გირლიანდებს  
და მთვარის სულის დაბებკილი  
კაბა შელამბა. ....  
თუ კარის ჩემის იდუმალი  
კლიტენი განდე,  
უჩემო წელთა მაისებზე ეგებ  
გეამბა!  
მთვარე სალამბო,  
მთვარე დალის  
დახრილი ლანდი  
და ფრთა მოტეხილ მთვარესავით  
ანთია ლამფა. ....

## აპესალოვ და მუზა

მე მითხრეს;  
რომ მზემდე შენი სახლია,  
რომ მღვრიე ღრუბელს  
ახლავს ამ სახლის კარები  
და თუ თეთრ ოცნებებს  
ქარებს დაახლიან  
– შემოგეფარები ...

არავის უნახავს  
ჩვენსა ჩემზე დიდი მკრეხელი;  
სამი წლის მზერა გამხელილი  
სხივების ნაწნაეზე ავცოცდი  
და სამასი საუკუნით  
მოხუც ქალზე ვიქორწინე,  
ნისლის ხეზე  
ვიპოვნე ობოლი  
ეთერი,  
სულს რთავდა,  
მომენონა

და  
ვიქორწინე ...  
ოცი წლისა დავბრუნდი,  
დავბრუნდი ცოლით,  
მეფე დავბრუნდი  
და მთელმა დედამიწამ შეგვაყარა  
ფეტვი ...

## სად მთავრდება პოეზია

გენიალურად გასრულდა  
ამბავი –  
– აიგნიდან გადმოვიხედე  
და  
კარის ზღურბლთან ქალის  
ნაფეხური წავიკითხე –  
– წერტილი მთელი დღე ნაწერი  
თოვლის...



## სოსო მეშველიანი

### დაგე

დუმილი უონავს სახლის კედლებში,  
ვაშლის ფოთლებში სძინავთ ბეღურებს,  
ფერადი ფიქრი, შეეზარდა ფოთლებს ბალახის,  
ხოლო სხეული...  
მიზიდულობას კარგავს მიწასთან,  
ვწევარ,  
ლეიბად ღრუბლის ქულა მიგია ახლა,  
და ზედაპირზე ვტივტივებ ბიბდის,  
ოცნებები კი,  
ყველაფრისებან განცალკევებით,  
ჩიტის სხეულის ტემპერატურით,  
იჩეკებიან თივის ბუდეში,  
ანუ გამხმარი ბალახის ქოხში.  
ყვავილ დაყრილი წაბლის ფოთლებში.  
მოძრაობს ბინდი.  
და ყანებში ციცინათელებს,

აყვავებული სიმინდი ხიბლავთ.  
დუღს სიმფონია, მხოლოდ ხილული,  
ყველანაირი სმენის გარეშე.  
სივრცეებს არწევს, შემოდის ჩემში,  
ვარ ჩასახული, ნებისმიერ არსების შიგნით,  
მთელი სამყაროს სიცოცხლით ვცოცხლობ,  
ენერგიული ფუტკრის ინსტინქტით,  
და...  
და მოლოდინით უსასრულობის.

\* \* \*

ავფორიაქდი, როცა უცებ მზემ  
შემონანათა ჩემს მყუდრო ედემს,  
სადაც ფუტკრები მკბენენ ტუჩებზე,  
სადაც ჩიტები ყურებზე მჩხვლეტენ.

და გიმწიფდება გრძნობით სხეული  
და ვიღვენთები მთლიანად ლექსად

და მაჯისცემა ათასწლეულის  
თითქმის სხეულის ნაწილად მექცა.

\* \* \*

არის ქუჩები, პარალელურად,  
სკვერებიცა და ხეივნებიცა,  
მოდის გოგო და ტანისამოსი,  
შეუწოვია სხეულს ვნებისგან.

ცოცხალ ორგანოდ მიკვრია ჭინჭიც  
და კივის ტანი ვნების არიას,  
ჩაფიქრებული კაფედან ბიჭი,  
თვალს გააყოლებს და უხარია.

ზის და სიგარეტს ეწევა, თან სვამს,  
რომ დაყრდნობია ნიკაპით ცალ ხელს,  
ფიქრის მიგნება, არ უჭირს მთვრალსაც,  
ბედნიერებას თვალებით ამხელს.

\* \* \*

გადამეყლაპა შენი სუნთქვა,  
როცა გაცოცე,  
გაზაფხულივით შეგიწოვა ოცნების კვირტმა,  
მზის ბრწყინვალება იმარცვლება, ნაწვიმარ ტოტზე,  
წვრილი ნისკარტით,  
დამიჩხვლიტა ყურები ჩიტმა.  
წუხელ მესიზმრა, დაფრინავდნენ ჭრელი ძროხები,  
ატმის ყვავილით შეღებილ ქარში,  
შენ ღრუბლიანად ძირს ჩამოხვედი,  
მნახე და დარჩი,  
კმაყოფილი ჩემს გამოხედვით.  
გკითხე — თუ ხედავ — აყვავებულ ვეება მსხლებზე,  
მამლისოდენა ლურჯფრთიანი სკვინჩები სხედან,  
კომბოსტოს თავის ოდენა კვირტებს,  
— ხედავ?!

თუ ხედავ არ გაგიცვირდეს,  
სიდიდე ხეთა.  
იყო სიზმარი, ნოყიერი და სასურველი,  
იქნებ არც იყო,  
ვერ ვიხსენებ, რაღაც შიშში ვარ  
იქნებ, სიზმარში დავიკარგე ბავშვი სულელი,  
და იდუმალმა სულმა მიშვილა.

\* \* \*

აწიწენის ქარი,  
ერთკვირიან ყვავილებს ასკილს,  
ცოცხლდება სივრცე.  
ტოროლები წრეს, რომ შეკრავენ,  
შემანჯლრევს ქარი,  
ჩემს დამარცვლულ ყურთასმენას კი  
ჩიტები ჩემში, ნოტებივით ამოკენკავენ.  
და კვლავ ივსება, გაზაფხულით ჩემი სხეული,  
გუბდება ჩემში, სუნთქვა მამაპაპისეული,

და ვყლაპავ ელვას,  
იგუდება ჩემში მეხის ხმა,  
და მებერება პოეზიის წნევით სხეული,  
დავდივარ ადგილს ვერ ვპოულობ,  
რახან მელირსა,  
აჩურჩულება გაზაფხულის,  
დაღამებისას, ტანში რომ გრძნობა იკლაკნება ელვისებური.

\* \* \*

დათარეშობენ ქარები მთაში,  
ადგილზე მდგარი, თითქოს მივქრი და...  
ამიღულდება მუსიკა ტანში,  
და კვლავ დაორთქლავს თვალებს შიგნიდან.

სტვენენ ჩიტები, ვეუბდები სუნთქვით,  
ღრუბლის გრილ ჩრდილში თავდახრით მდგარი,  
მაგრამ ბუმბულით შეფუტულ ხმას კი  
ჩემამდეც ძლივსლა მოათრევს ქარი.

\* \* \*

(პოეზია XXI 2006 V)

წავაწყდი, როგორც მდიდრულ რესტორანს,  
სად საუცხოო კერძების სუნმა,  
მიძნებული მადა აღმიძრა,  
ვენისავ, მგონია ყველგან ნესტო მაქვს,  
ჩემი ცხოვრების გახდა ნაღდი ძმა.

აპოლინერის ლექსის თარგმანი,  
როგორც თავიდან,  
გაცხელებული ფრანგული კერძი,  
სიტყვები ოქროს იატაგანით,  
ამოკვეთილა ჩემს ველურ მკერდზე.

ჩემი ქართული გემოვნება კი,  
ხარს გავს, რომელიც ყვავილებს ღეჭავს,  
ნატურალური პოეზიაა,  
რომელშიც მხოლოდ ჩემი სახე ჩანს.

ოთხშაბათს, 14 მარტს  
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის  
სხდომათა დარბაზში  
გაიმართება  
ტრადიციული

### გალაკტიონის დღე

დასაწყისი 14 საათზე  
კოსტავას №5

მაკა ჯოხაძე

## სამოთხე უსიყვარულოდ

ჰერმან ჰესე, ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი გატაცება...

მძლავრი, სერიოზული, უცნაური...

თბილისის იტალიურ ეზოში გავიზარდე და დავქალიშვილდი.

მობინადრეთა იარუსებად გარშემორტყმული მრგვალი ტერიტორია თითქოს მთელი ქალაქის მიკრომოდელს აირევავდა თავისი მრავალეროვანი მეზობლებით, სხვადასხვა აკუსტიკური ჟღერადობის მქონე ინტონაციებით, მეტყველების მანერით, საერთო ხურმის ხისა არ იყოს, საერთო ქალაქური ჟარგონით, ურთიერთრიცით, პატივისცემით, სითბოთი, სიყვარულით, გულგასნილობით... ჰერიოდული გალიზიანებებით, მოულოდნელად დანთებული ჩეუბის კოცონებითა და კეთილშობილი გამშველებლებით, სეირის-მოყვარეთა გულისგასახეთქად არასოდეს რომ არ აცლიდნენ კოცონს ხანძრად ქეკეას...

შეიძლება ითქვას, რომ არაფერი მაკლდა, ყველა ადამიანური განცდა და ემოცია, ყოველგვარი მუსიკა და ყველა გასტრონომიული სურნელი, ათასგვარი პორტრეტი, ნატურშორტი, მრავალი ადამიანური ბედი, კომიკურ-დრამატული სიტუაციები (მინდოდა, თუ არ მინდოდა) ჩემს თვალ-წინ თამაშებოდა.

ცხოვრება თავისი ხიბლითა და ამაოებით ზედ ხელის გულზე მედო და მეც ძალაუნებურად ვაკევირდებოდი, ვფიქრობდი, განვიცდიდი, ვსწავლობდი...

თუმცა „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქის“ ამ ტრაგიკომიკური მონაცვლეობისადმი ხშირად ინტერესს ვკარგავდი და ერთგვარ მოწყენილობაშიც კი ვვარდებოდი.... სწორედ ამ დროს, რომ იტყვიან, სულზე მოუსწროო, ინწყებოდა ზაფხულის სამთვარი არდადეგები, თავისი მანგლისებითა და კიკეთებით, ნალვერებითა და ბიჭვინთებით.... უფრო ხშირად კი სვანეთის ცისკან გაქცეული უშბითა და თეთნულით, ფუტკრებისა და ჭრიჭინობელების ბზულით გაპრუებული შუადღის ლეჩხუმური ნირვანებით.... დედულეთისა და მამულეთის ძვირფასი სახებითა და სანახებით....

ოოო! რა შეედრებოდა ნაკვერჩლების დასახსრულ შრიალს, გახურებული თონის კედლებზე აცაცახებული შოთების ტკაცუნს. ყოველდღიური არსებობის სურნელი საყდრილან გამოღწეული საკმეველივით რომ მოედებოდა სოფლის საგარეულო უბნებს, მაღამოდ ეფინებოდა აფორიაქტულ სულებს. ჩარკვინანების გორიდან გიორგობიანების გორამდე თალივით აღწეული ცაში გადებულ ხიდს წააგავდა, მერე მოპრუნდებოდა, მოტრიალებოდა კაცივით, ჭელიძეების ვენახებიდან ბაკურაძეების კაკლებით დაჩრდილულ ეზოებში გადავიდოდა, მერე მანუგეშებლად მიადგებოდა ობოლაძეების ჭიმქარს... და მიდიოდა ასე უჩინრად, უცნაურად, მიედინებოდა არსობის პურში გახვეული დრო, დრო აწყული, გამოზომილი... რიტუალთა შორის ყველაზე ღვთაებრივი და ყველაზე მიწიერი ერთდროულად.

და მაინც ნაღალატევ ალიონებზე, მამლის ყივილისა არ იყოს, არაფერს ისეთი სევდა არ მოჰქონდა, როგორც ახლადგამომცხვარი პურის ჩუმ ფშვინვას... სადღაც ქვეცნობიერში სიცხიანი ბავშვის მაჯისცემასავით გამალებით ფეთქვადა განცდა – ადამიანი არსობის პურისათვის არ იყო მხოლოდ გაჩერნილი. უამიდან-უამზე სხვა ალმურები შემოენთებოდა სულსა და გულს, სხვანაირად აჩქროლებული სისხლი მოაწყდებოდა ჯებირებს. კეფას მობჯენილი ფიქრი წრიალებდა, რაღაც მნიშვნელოვანსა და დიადს დაეძებდა – ამ კლდეებივით ძლიერსა და მყარს, პორიზონტივით ვრცელსა და უსასრულოს...

მაშინ ჯერ არ ვიცოდი, რომ არსებობდა ორი რეალობა, ორი ცხოვრება, ორი სინამდვილე...

ჯერ არ ვიცოდი, რომ ამ ორიდან ერთ-ერთს თამაში ერქვა ყალბი მარგალიტებით...

მაშინ სამყაროში ვიყავი ჩარგული სუსტი მცენარის ღეროსავით. მხოლოდ საქციელებითა და სიტყვა-პასუხებით ვასხივებდი ოჯახური თუ სოციალური სტატუსის შესატყვის ნაყოფებს, – ჩემი სიბეჭითისა და ფრიადოსნობის მშობლიურ დღესასწაულებს. ჯერ მხოლოდ ეს შემეძლო, ამით ვაქარვებდი დედ-მამის დარდიან გულს.

არადა, რაღაც სხვას მთხოვდა სული, სხვა სივრცეებისაკენ მენერდა, სხვა აფრებს მაბერინებდა ნარმოსახვის ქარები, სხვა ნემსისყუნწში, სხვა სვრელებში ვძვრებოდი, სხვის ტყავს ვირგებდი და სხვის ცრემლებს ვაღვარლვარებდი...

ჯერ არ ვიცოდი, რომ ამ სხვად ყოფნისა და სხვაში ყოფნის სურვილს გარდასახვა ერქა ხელოვნების ენაზე.

მაინც რა იყო ეს ამხელა ამბიცია მთელი სამყაროს გაგებისა თუ შემორიგებსასა, – თამაშის სურვილი, მიბაძვის ნიჭი თუ უბრალოდ ახალგაზრდობიდან, თითქმის ბავშვობიდანვე აყოლილი უცნაური შიში, რომ ყველაფერს, რაც მიყვარდა და რასაც მიველტოდი, დრო მომტაცებდა და აღარასოდეს დამიბრუნებდა.

ამიტომ წრიალებდა წარმოსახვა, ფოტოობიექტივის თვალივით ყველაფრის მოხელთებასა და აღნუსხვას ცდილობდა...

ჯერჯერობით კი მთელი სამყარო ჩემი იყო – ხალისანიც და უხალისოც, გულთბილიცა და გულგრილიც, ინტელიგენტურიცა და პლეიბურიც. არისტოკრატიულზე ბოდიში!

მისი ნამცერევებილა შერჩენოდა საგარეულო რელიქვიებით ქალაქს.

და მაინც მაშინდელ თბილისში ნაკლებად ჩანდა წრებანას, მით უფრო, ფეხნისას თამაში. ერთ ეზოში ვცხოვრობდით და ერთ მერჩხე ვისხედით – აკადემიკოსის, ბალერინას, მღვდლის, გადამდგარი გენერლის, მეფურნის, ფოტოგრაფის, მუსიკის მასნავლებლის, ექიმისა თუ „ცეხავიკის“ (თანამედროვე ენაზე, – ბიზნესმენის) შვილები და შვილიშვილები. აზრად არ მოგვიდიოდა, რომელიმე ჩვენთაგანისათვის ასეთი მწირი დახასიათება მიგვეცა – ეს მდიდრის შვილია, ის კიდევ ღარიბის...

ასე გავიზარდეთ, ასე ჩამოვყალიბდით მეტ-ნაკლებად თავისუფალ, ბუნებრივ, შეზღუდულ თუ საინტერესო ადამიერად.

ეს ისეთი ბაზისი იყო, მთელი ჩვენი შემდგომი ცხოვრება რომ უნდა განესაზღვრა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს მარადიულ ხეტიალს პრაქტიკული ცხოვრების, შემეცნებისა თუ რწმენის გზაზე გამოულეველ საგზლად რომ უნდა გაჰყოლოდა.

ამ დროისათვის ჯერ კიდევ შემორჩენილი გრინალური პედაგოგების, ლექტორებისა და ჭყვიანი მშობლების წყალობით უკვე წაკითხული გვექნდა ქართული და რუსული კლასიკა. ზოგიერთი ჩვენთაგანი ორიგინანაში, ზოგიც თარგმანში ვეცნობოდით ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურენოვან ლიტერატურას...

და აი, ჰესეც გამორჩდა, ჰერმან ჰესე, ასეთი უჩვეულო და უცნაური. კაფეს მერე უცნაურობაზე ლაპარაკი თითქმის გამორიცხული იყო, რადგან მისი „პროცესის“ კოშკებსა თუ ლაბირინთებში ჯერ კიდევ გაოგნებული დავწრია-ლებდით.

ჰესე კი სხვა იყო, მანუგეშებლად მშვიდი და ჰარმონიული.

მის ხაზგასმულ ეკროპულ სიმშვიდეს საოცარი ბუნებრიობით დაატარებდა თბილისის ქუჩებში ჰერმან ჰესეს შემოქმედების დიდი თაყავანის მცემელი და მცოდნე, ქართველი გერმანისტი, ბუბა (რეზო) ყარალაშვილი...

ჰესებს დიალოგის წონას წორობა მოკამათე პერსონა-  
ჟებს, ოპოზიციურ წყვილებს ღირსების სიმაღლეზე წარმო-  
აჩინდა.

ინტელექტუალურ სამყაროში სხვადასხვა მსოფლგან-  
ცდის ადამიანები ისეთი ტოლერანტობით თანაარსებობ-  
დნენ, როგორც თბილისის მთავრობან რელიეფზე მეჩეთი,  
სინაგოგა, მართლმადიდებლური თუ კათოლიკური ტაძ-  
რები.

„ მეტობელი გაფაციცებული ადევნებდა თვალს მწერლის მიერ სასწორის პინძზე დაწყობილ სხვადასხვა არგუმენტებს და მისი ინტერესიც ამ „ქნელი“ მოსაუბრებისად- მი პროპორციულად ნაწილდებოდა.

ორი სამყაროს, ორი რეალიბის უპირატესობის წარმო-  
საჩენად ორივე პერსონაჟს – იოზებ კწეტასაც და პლინიო  
დეზინიორისაც თავითავიანთი სიმართლე გააჩნდათ. მნერა-  
ლა კი ისეთი ობიექტური, ზედმინევნითი სიზუსტით მოქმე-  
დებდა რომანში „თამაში ყალბი მარგალიტებით“, აღარ  
იცოდი, რომელ მათგანს მიმხრობოდი, რომელი მათგანი  
აგერჩია.

არჩევანში ისევ კასტალია გშველოდა. კასტალია კი, — მეცნიერებისა და ხელოვნების სადაფისუერი ნაკრძალი, რომლის ნიაღიდანაც დაბურული მარგალიტების გამოციმ-ციმებას მთელი ცხოვრება უფრთხილდებოდა თამაშის მა-გისტრი, — მცურავი კუნძულივით თანდათან შორდებოდა თვალსანიერს. ეს დაშორებაც ისევ და ისევ კნეტტის წყალო-ბით, სულიერ ზრდასთან ერთად სხვა განზომილებაში რომ გადადიოდა, წინ მიიჩევდა, მაღლა და მაღლა, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად რომ კარგავდა ეგოცენტრიზმს, თანდათან რომ შეკერძობდა და მოიაზრებდა არა მხოლოდ კასტალი-ის ელიტარულ ნაწილად თავს, არამედ მთელი სამყაროს, კოსმოსის ნაწილად; ჭეშმარიტი საყრდენის მოძიებით კი მშეგიდებოდა და თავისი უფლებებით.

ასე რომ ხელოვნების საუცდლოდ წოდებული ეს მარადი-  
ული „სპილოს ძვლის კოშკი“ – საუკუნის პირველ ნახევარში  
შეაბური წარმოშობის გერმანელმა ასეთი სერიოზული  
თრთოლვით რომ აავრ კასტალიის კუნძულის სახით, საუ-  
კუნის მეორე ნახევარში ინგლისელმა ფაულზმა ირონიუ-  
ლად დაამკრო და „ნის კოშკის“ სიმბოლიკამდე ჩამოაქვეი-  
თა ამავე სახელწოდების რომანში.

რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა იყო მათი მიზნები და მიზანები.

ფაულზმა ნამდვილი, ჭეშმარიტი ხელოვნების კვდო-  
მის პროცესი გამოხატა მეოცე საჯულებელი, როცა მსოფ-

ლიონს სხვადასხვა მასატერული სკოლებისა და მიმდინარე-ობების ათვისების გააფთორებულ ტენდენციას გაუსვა ხა-ზი საკუთარი ეროვნული ფესვებიდან სრული მოწყვეტის ხარჯზე.

ამ თვალსაზრისით ფესვებს ე.ი. სიღრმეს მოწყვეტილი, გლობალური ციფრის სამსახურპლოტე მიტანილი ხელოვნება ზერგლე ხელოსნობად იქცა და მასკულტურაში ჩაიხრიო.

ჰესემ მოულოდნელი, გაცილებით სახელისწერო სიტუაცია შექმნა იმისათვის, რომ შემოქმედს, დათახებრივს რომ თავი დავანებოთ, მორალური არჩევანი მაინც გაიკუთხიბია:

ხელოვნება თუ სიკოცხლე?

რომელი უფრო ძვირფასია?

არჩევანი ამ უკანასკნელის, სიცოცხლის უპირატესობით დამთავრდა. არარჩეულებრივი დამაჯერებლობით განხორციელებული სიცოცხლის გადარჩენის ეს აქტი რომანში გმირობის ტოლფასია, რადგან გააჩნია, ვინ აკეთებს არჩევანს – კაცი, რომელმაც ხელოვნება კერძად აქცია და მის მსახურებაში სამსხვერპლოზე მიიტანა საკუთარი ცხოვრებისა და სიცოცხლის საუკეთესო წლები. ასეთი კაცისთვის ხელოვნება სიცოცხლის ფორმაა და მნიშვნელოვანია ეს განუყოფლობა ფორმა-შინაარსისა (ზოგადად ჰქესეს მხატვრულ სამყაროში გაცილებით აქტუალურია გმირის შინაგან სულიერ სამყაროში მიმდინარე ურთულესი პროცესები, სულიერი წინსვლა და პიროვნული ზრდა, ვიდრე მისი წარმატება თუ წარუმატებლობა ამსოფლიურ ორომტრიალში).

რალაცით ნაგავს კასტალია დიდ საერთაშორისო ვეგეტაციანული საზოგადოების მიერ მცირე აზიაში შეძენილ მინის უზარმაზარ ნაკვეთს, რომელიც მოკრძალებულად კი არ მოიაზრება, არამედ ვეგეტაციანულთა ყველაზე ამბიციური კასტის მიერ სამოთხედ სახელდება მოთხოვაში, „დოკტორ ქიოლების აღსასრულია“.

როგორც ჩანს, ფანატიზმის არსში გარკვევა ჰქესს გაცილებით ადრეული წლებიდან აინტერესებზღვა, უფრო ადრე, ვიდრე ფაშისტური გერმანია შეიქმნებოდა. და თუკი ქრონოლოგიური სიახლოვის თვალსაზრისით შესაძლებელია ისტორიულ „დამთბვევებზე“ საუბარი, საუბარი იმზე, რომ ოცდაათანი წლებიდან გერმანიაში გვერდიგვერდ, პარალელურად იქმნებოდა ორი რეალობა: ინდივიდუალურ-შემოქმედებითი და მასობრივ-პოლიტიკური, და პიტლერის ძალაუფლებაში მოსვლას სულ რაღაც ორი-სამი წლით წინ უსწრებდა მუშაობის დაწყება რომანზე – „თამაში ყალბი მარგალიტებით“, ამაში თითქოს გასაკვირი არაფერია. პირიქით, ეს ბუნებრივიცაა, რადგან საყოველთაო სულიერი თუ ფიზიკური ფორმიაქი, ნაცისტური იდეების აფეთქებამ რომ გამოიწვია გერმანიაში, თავისებურ აურას ქმნიდა იმი-სათვის, რომ ხელოვანთა ისედაც გაფაქიზებული ინტუიცია კიდევ უფრო მეტად გამადაფრებულიყო და გააქტიურებულიყო.

მოთხოვთ, ზღაპრების ციკლიდან „დოკტორ კნიოლგეს ასასასრული“, ჰესეს ჯერ კიდევ 1910 წელს გამოუქვეყნებია მიუწენებით გამომავალ ურნალ „იუგენდში“.

ქურნალმა „ჩევენი მწერლობა“ 2006 წლის №3-ში დაბეჭდით გვიანდება ეს მცირე მოცულობის შედევრი, რომელშიც აირკელა მთელი XX საუკუნის არსი, მისი სულიერი მდგრამარეობა.

გამომყვა და რატომძაც განსაკუთრებული სიმწვავით ყოველთვის მაშინ მასხენდება, როცა ევრონიუსის მაუნიებლობა საერთაშორისო, გლობალურ კატასტროფებს ასახს, როცა ნანგრევებში მოყოლილთა გმინვას გამოსცემს და ტერორიზმის ცეცხლში გახვეულ ქალაქებს გვიჩვენებს უკომენტაროდ.

„დოკტორ კნიოლგეს აღსასრული“ – თვალხილული მეტაფორაა ულვთოდ დარჩენილი საუკუნისა, რომლის წიაღში ათასგვარმა გულუბრყვილო, უცნაურმა, შეშლილმა თუ შემზარევმა იდეამ უნდა იბარტყოს, რათა ადამიანთა ჯგუფები, გაერთიანებები, პარტიები, საზოგადოებები, სექტები, ორგანიზაციები მიზიდოს, ისევე, როგორც მღვიმეები და გამოქვაბულები იზიდავენ და იფარავენ შუქით დაბრმავებულ ღამურებს მზისგან.

მზე კი, შპენგლერის ალიარებით, უკვე ჩაესვენა, ყოველ შემთხვევაში, ევროპაში – ნამდვილად, დაბეჭითებით. ეს თითქმის მოარული აზრი გახდათ ცოტა უფრო ადრეც მე-19 საუკუნის მთაზროვნე ინტელექტუალთა შორისაც. მაგრამ სამართლიანად მიიჩნევდნენ, რომ „ევროპის ცხოვრების განცდა და გახმოვანება“ ფილოსოფიური სისტემის სახით ყველაზე ზუსტად სწორედ შპენგლერმა შესძლო.

სიტყვა „ჩასვენება“, რომელიც თავისი დიახამიკით აშკარად ასოცირდება უპირველესი მნათობის ჩასვლა-ამოსვლის დავთაებრივ ტემპითან, თვით ყველაზე პესიმისტი ადამიანის ცნობიერებაშიც კი ტოვებს დროებითი მიტოვებულობის, თვალსმიფარებულობის განცდას. დოსტოევსკიმ და ნიცხეშ საბოლოოდ გამოყენების წირვა დროებითობის ამ პატიმისტურ ილუზიას, როცა სიტყვა „ჩასვენა“ მახვილივით ბასრი და პირდაპირი სიტყვა სიკვდილით შეცვალეს:

„ღმერთი მოკვდა! ყველაფერი ნებადართულია!..“

ეს ფორმულა ჩამომხრჩვალის თოკივით პერიოდული სიხშირით დღემდე ირხევა თითოეული ჩვენგანის წარმოსახვაში.

„ღმერთი მოკვდა!“ – ეს იყო დიაგნოზი.

„ყველაფერი ნებადართულია!“ – ეს უკვე პროცესი იყო, ღმერთის სიკვდილის მერე რომ განვითარდა. ამ პროცესში მთელი მეოცე საუკუნე აღმოჩნდა ჩართული არა მხოლოდ პრაგმატულ დონეზე, ყოველდღიური ყოფისა და ურთიერთობების დონეზე, არამედ შემოქმედებითადაც.

ჩემი თაობა ულმერიობით მოგვრილი სიცარიელის განცდას, რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს ევროპელთა და ამერიკელთათვის (ჩვენ ხომ დიად საბჭოეთში ვიზრდებოდით!), უმაღლერანგული ეგზისტენციალიზმით ეზიარა, ვიდრე საკუთარი ცხოვრებით, ანდა თუნდაც მშობლიური ლიტერატურით. ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ აკრძალული ქრისტიანობის ტვირთი ქართულმა მწერლობამ მთელი ორი საუკუნის მანძილზე ღირსეულად ზიდა.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სარტრსაც და კამიუსაც, ეგზისტენციალური ფილოსოფიის ამ თვალსასჩინო მწერლებს, ბევრი არაფერი წაურთმევიათ სი-

ცოცხლისმოყვარე ჩვენი ახალგაზრდული ბუნებისათვის. შემდგომი თაობების საუკეთესო ნაწილს, რომელიც კარგად იცნობს ზოგადად თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებსა და პრობლემატიკას, დღემდე ჰეროიკული ნარსულისაკენ გაურბის თვალი და „ქალდეას მონატრებითაა“\* დადასმული.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე შენიშნული გვქონდა მანველიძეთა კარმიდამოს გახევებული მდუმარება, რომელიც სხვა არა იყო რა, თუ არა სულიერი კრიზისი, გაუქმებული

არსებობის, საზრისის რაობის დაკარგვით მოგვრილი უპერსპექტივობის განცდა, ე.წ. ეგზისტენცია და საერთოდაც. მიუხედავად იმისა, რომ ამ ყბადალებულმა გაუცხოებამ ცხოვრებასთან ერთად ჩვენს მშობლიურ ლიტერატურაშიც გადაინაცვლა (გზისკენ მაცქერალი კლდიაშვილის ცვილისფერი მოხუცები ამაოდ ელიან ბარათის მიღებას, სოფლიდან აყრილი და ქალაქს შეხინული შვილების ასავალ-დასავალი რომ შეიტყონ), მაინც ძალიან უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა ქართველებისათვის წლობით უნახავი დელის ცხედართან მდგარი კაცის უგრძნობლობა კამიუს „უცხოში“.

„მზისა და ვარდების მხარეში“ გაზრდილი ვოგო-პიჭებისათვის სარტრის „გულზიდვაც“ მეტისმეტი იყო და ბეკეტის ნაგვის ურნებები ჩასმული ცოლ-ქმრის ვერშემდგარი დაილოგიც. მაგრამ, როგორც რუსები იტყვიანი: „ეთი ნაიმ ძავნი და ერთაც“ –

ჩვენც თავი დავიდშვიდეთ ამ „იყო და არა იყო რათი“.

თუმცა ამასობაში ტრადიციების ერთგულ ქვეყანაში ისეთი ტემპით ამოძრავდა ე.წ. დემოკრატიზმისა და ლიბერალიზმის მაგია, თავისუფლებისა და ზოგადად „უფლებების ერაში“ (მოვალეობათა ცნება საერთოდ გაუქმდა) პოსტმოდერნიზმად მონათლული ისეთი აბსურდული, სიურეალისტური სურათ-ხატები ამოიყარა ქვეცნობიერებიდან, ისე მეთოდურად, მიზანმიმართულად გადაიფარა ნორმალური, ჯანსაღი ურთიერთობები არაორმალური, არაჯანსაღი ურთიერთობებით („აბსურდი – ნორმაში“), რომ ამის შემხედვარე შემოქმედებით ფანტაზიას დამბლა დაეცა და აშკარა მოდუნება დაეწყო.

განცდა განცდა, რომ შემოქმედება ცხოვრებას ვეღარ ენევა.

ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი, ეროვნული ჰუმანიტარული ინსტიტუტის დამფუძნებელი და თავმჯდომარე, უურნალ „ჰუმანიტას“, გამომცემელი, კლას გ. რინი თავის წიგნში – „დასავლეთის დემოკრატიის კრიზისი და იაკობინიზმის წარმოშობა“ – ნერს:

„მაშინ, როცა მრავალი ქვეყანა თავს აღწევს ტოტალიტარიზმს და იბრუნებს ან ქმნის ეროვნულ სახეს, დასავლეთი დემოკრატიები, მთელი თავისი სიმძიდრით, ფუფუნებით, ტექნილოგიური მიღწევებით, ცოტა არ იყოს, დატაკ მაგა-

\* იგულისხმება როსტომ ჩხეიძის მონოგრაფიის სათაური

ლითს უჩვენებენ. უცნაური არ უნდა იყოს, თუკი მთელი მსოფლიოდან მომზირალი და დაკვირვებული თვალებისათვის ისინი აკინძებენ დემოკრატიას.

ვარაუდი, რომ შეერთებული შტატებისა და დასავლეთის კრიტიკა მსოფლიოს სხვა ნაწილებში მხოლოდ შურის შედეგია, ამპარტაგნებასაც გვიჩვენებს და წარმოსახვის ნაკლოვანებასაც...

დემოკრატიას ყველა სხვა რეჟიმზე უფრო მეტად სჭირდება მტკიცე ზნეობის მოსახლეობა.

სახალხო მთავრობის ცივილიზებული ფორმის ჩამოსაყალიბებლად იგივე ზნეობრივი პრინციპებია საჭირო, რაც მნიშვნელოვანია ჯანსაღი ეროვნულობის დასაფურცელად.

მე ვფიქრობ, რომ ამერიკელი პროფესორის ეს დაკვირვებები განსაკუთრებული აქტუალობით სწორედ ჩვენთანაა შესასწავლი და გასაანალიზებელი:

ალბათ, სამყაროში ძნელად მოიპოვება ინდივიდუალიზმისაკენ ეგზომი მიდრეკილი ისეთი ერი, როგორც ჩვენ ვართ. ამ თვისების წყალობით ქართულ გენის, მართალია, არაერთგზის გაუძრნებია, მაგრამ იმავე ინდივიდუალიზმით („უჩემოდ ვინ იმღერეთა“) არაერთგზის ტრაგიკულ ბედისნერადაც ქცეულა ჩვენი ისტორიული ცხოვრების მანძილზე. თუმცა ეს ინდივიდუალობა თავისი საუკეთესო გამოვლინებით აბსოლუტურად დაკარგულია ზოგადად დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში, სადაც პიროვნებათა აშკარა დეფიციტია და სადაც პოლიტიკოსები მარიონეტებივით იმართებიან.

და სწორედ ამ თვისების გამოცაა საოცარი, რომ ქართულმა ცნობიერებამ ერთობლიობაში, მთლიანობაში არაფერი მიიღო ისე გულმხურვალედ და ნებაყოფლობით, ისე არაფერს მოუდრიყა თავი, როგორც საკუთარ სარწმუნოებას – მართლმადიდებლობას.

დღეს ძალზედ გააქტიურდა მართლმადიდებლობისა და დასავლეთ ევროპის კულტურული თავსებადობის თეორია, რომლის შესახებაც თეოლოგიის ავტორიტეტები და ექსპრეტები აღნიშნავენ, რომ ეს პროდასავლური პილიტიკოსებისა და ინტელიგენტების იდეოლოგიური შტამპია, რათა დაფაროს რეალური სიტუაცია და შეცდომაში შეიყვანოს ისინი, ვინც ამ ისტორიის შესახებ არაფერი იციან.

მართლაც, ისტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ თავისთავად რელიგიური საფარელი ჰუმანიზმის დაცვის გარანტია ვერ გამოდგება.

ინკვიზიციას რომ თავი დავანებოთ, მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან (1252 წლიდან პაპის, ინიკენტ IX-ის დროს) შემოიღეს ნამება, როგორც ძიების მეთოდი, რაც უშუალო სტიმული აღმოჩნდა მოგვიანებით გაჩერილი ყველა ევროპულ-ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის.

ეს მეთოდი სახელმწიფოს მართვის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი გახდა.

როცა სარწმუნოების იდეოლოგიად გადაქცევას ახერხებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ რელიგია სასტიკ დაცემას განიცდის.

დაცემის თვალსაზრისით კი დღევანდელი დასავლეთი სულაც არ განსხვავდება დღევანდელი აღმოსავლეთისაგან და ის ფაქტი, რომ ექსტრემისტები შეყავს როგორც მაშამადიანურ, ისე ქრისტიანულ სამყაროს, თვალსაჩინოდ გამსუბანდა ოცდამეტთე საუკუნის გარიურაჟზე – 2001 წლის 11 სექტემბერს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდიდან მოყოლებული, როგორც ამბობენ, პიბლიის გასაკეცებული ტირაჟები გაიყიდა ამერიკაში, ტერორისტების ე.ნ. „საღვთო მოის“ მსგავსად „ქრისტიანული ღმერთის შურისძიების“ სახელით დასავლეთიც „წმინდა შურისგებაზე“, „ჯვაროსნულ მოზე“ ალაპარაკდა და გამოფხიზლება-მობილიზება „ახალ ენაზე“, „უნივერსალურ რელიგიაზე“ ზრუნვით გამოხატა.

არადა, სწორედ ამგვარად ახდენენ ქრისტიანობის ანტიპროპაგანდას.

ამჯერადაც მოხდა ის, რაც ყველთვის ხდებოდა.

თანამედროვე პოლიტიკოსებიც ნებისმიერ ტრაგედიას შესანიშნავად იყენებენ გარკვეული მიზნებით.

ასე რომ, ყველაფერი ლიად და გამჭვირვალედ ჩანს – ყველაფერი გათვლილი და დაგეგმილია მსოფლიო რელიგიათა შორის თანამშრომლობის მიზნით (ის, თუ რისთვისაა საჭირო ეს გლობალური ფუსფუსი, რომელი მესიის მისაღებად ამზადებენ კაცობრიობას, ცალკე განსჯის თემაა. ერთი კი ალბათ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: მართლაც, დღეს უფრო გვიანაა, ვიდრე ჩვენ გვგონია...).

ძალა, რომელიც ხელმძღვანელობს ქეშმარიტ ქრისტიანულ შემეცნებას, არის სამართლიანობა, მაგრამ სამართლიანობა – სიყვარულში. წარმოუდგენელია, მივიღოთ თუნდაც „ომის საწინააღმდეგო ომის თეზის“. მართლმადიდებლური თვალსაზრისით მოი არის გაუცხოება და თავისთარი მტრების მიმართ ქრისტიანული სიყვარულისაგან. ეს ჩვენი რწმენის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მომისბლელი, მაგრამ ძნელად გასაგები „პარალელისა“.

თუმცა მაცხოვარი გვეუბნება „უფროვასი ამისა სიყვარული არავის აქუს, რათა სული თვის დადვას მეგობართა თვისთავს“ (იოანე 15, 13), რაც იმას ნიშნავს, რომ დაშვებული და გამართლებულია თავდაცვითი ომები, როდესაც იძრდვი შენი ოჯახის, შენი ნათესავის, მეზობლის, მეგობრის, შენი მამულის გადასარჩენად. მაგრამ ამ ქმედებას მოყვასისათვის თავისთავივა ჰქვია და არა შურისგება...

ალბათ, ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ თავის დროზე არა მხოლოდ პოლიტიკური განხეველებებით, არამედ მომრავლებული სექტებით, რელიგიური შეღლითა და შეუწყნარებლობით დალლილი და დაბნეული თომას მანი აღიარებდა – იმდენად სარწმუნოების, რელიგიის არ მჯერა, რამდენადაც სიყვარულისო.

სწორედ სიყვარულია ქრისტიანული სარწმუნოების უპირველესი შთაგონების წყარო, ამიტომ ყველანარი ნიჭი არაფერია (არაფრადა მიჩრეული) სიყვარულის გარეშე:

„თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩინა, მაშინ უღარუნა რეალი ვარ, ან ჩხარუნა ნინილა.

ნინასანარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნა რომ უწყებულებების სრული მიზნის შემთხვევაში, ისეთი, მთების გადადგილება რომ შემძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩინდეს, არარაობა ვიქენიდო.

მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასავლეთი გავნირთება და ანგელოზთა ენით ვლაპარაკობ, არაფერი სარგებელი მაქვს (1 კორინთოელთა, 13, 1-3).

ასე ბუნებრივად მივადებით საუკუნის იმ უმიშვნელოვანება დაავადებას, რასაც სიყვარულის დეფიციტი, უსიყვარულობა ჰქვია.

დღეს ინტენსიურად საუბრობენ ე.ნ. ეკოლოგიურ კატასტროფაზზე, ნიადაგის გადაღლაზზე, გამოფიტვაზზე, ჰაერის დაბინძურებაზზე, ოზონის ხერელზზე, უჟანგბადობაზზე,

არაბუნებრივ დათბობაზე, ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანის უცნაურ დონიაზე, საპარის უდაბნოს რადიუსის გამაონებელი სისწრაფით ზრდაზე, ხანძრებზე, მინისტრებზე, ზღვებზე, მეწყრებზე, ვულკანური ლავების გახშირებულ ამოფრქვევებზე, გაცოფებულ სტიქიონებზე... არადა, ესაა პასუხი უსიყვარულობაზე, დაუდევრობაზე, ამბიციურობაზე, უცრემლობაზე...

სამყაროს ამ გაგიუების, ბუნების ამ შურისგების მიზეზი რომ ადამიანია, ისე ღრმად და ზუსტად არავინ იცის, როგორც წმინდანმა და როგორც ხელოვანმა, რადგან ყველაზე მძაფრად სწორედ ისინი გრძნობენ საკუთარ ადამიანურ სისუსტეებს.

ჩემი აზრით, მონანული გულებითა და ამ სინანულის ამოთქმის ანუ ალსარებისაკენ გამუდმებული ლტოლვით ჰგვანან ისინი ერთმანეთს. თუმცა ალსარების ხარისხითა და მისი განხორციელების გზნებით მათ შორის ისეთივე სხვაობაა, როგორც მდინარისა და ოკეანის, ჩანჩქერისა და ნაკადულის სილომესა და სიმძლავრეებს შორის.

მე არ მახსენდება, ლიტერატურაში, დოსტოევსკის გარდა, ჰესემდე ვინმე გულისყური (ალსარებაზე) ამ კუთხით შეჩერებულა თუ არა, მაგრამ ის, რაც გერმანელმა მწერალმა გაგვიზიარა, უალრესად ღრმა და მნიშვნელოვანი დაკვირვებაა. ჰესეს წმინდანისა და ხელოვანის (ლიტერატორის) ალსარებთა შედარებისას, კერძოდ რუსოსა და ნეტარი ავგუსტინეს ალსარების შედარებისას, ასეთი დასკვნები გამოაქვეს:

„პირველი საკუთარი თავისი განსჯას მთლიანად ღმერთს ანდობს, მეორე კი თავს იმართლებს.“

ორივე იწყებს ერთი და იმავე მოტივით, მაგრამ სხვადასხვა პოლუსებზე ამთავრებენ:

ერთი ხდება წმინდანი, მეორე – პოეტი, ერთი გადალახაგს თავის პირვენულობას და ხდება დოდი ადამიანი, მეორე კი თავის კომპლექსებში იხლართება და, საუკეთესო შემთხვევაში, ხდება საინტერესო ადამიანი“.

მოუხდებავად იმისა, რომ ჰესე ხელოვანი იყო და არა წმინდანი, მხოლოდ დიდ ადამიანს შეუძლია, გააცნობიეროს რწმენის ძალა ასე ზუსტად, გააცნობიეროს რწმენის „უპირატესობა“. ამიტომ ღრმად ვარ დარწმუნებული ღმერთთან მისახლებლად (სიყვარულის სასწავლებლად) ხელოვენება, როგორც ალსარების ერთგვარი ფორმა, მისთვის წინგადადგმული ნაბიჯია ღვთისმაძიებლობის ურთულეს გზაზე. პირადად ჩემთვის, ჰესეს მთელი შემოქმედება ამ გზის – ღვთისა და სიყვარულის ძიებაა.

ამ თემას, ამ გზას იგი, როგორც მოაზროვნე და ხელოვანი, მთელი ცხოვრება უტრისალებდა, რომ ალარაფერი ვთქვათ რომანებზე: „თამაში ყალბი მარგალიტებით“, „ტრამალის მელი“, „მომლოცველობა აღმოსავლეთის ქვეყანაში“ და სხვა მოთხრობებზე. ამის ნიმუში გასული საუკუნის ათიან წლები შექმნილი ერთი ციცქან ლიტერატურული ზღაპარიც, რომელიც, როგორც წევთი ოკეანისა, ისე აირეკლავს ეპოქის გემოსა და გამჭვირვალე სულისკეთებას.

არსებობის საზრისის საკითხი XX საუკუნის ყველაზე დიდ ფილოსოფიურ პრობლემად რომ ჩრებოდა, არა მგრინია, ასე ერთბაშად და მოულოდნელად გადაწყდეს XXI საუკუნეში. ამისათვის დიდი, ხანძრძლივი ღვანლის გაღებაა საჭირო როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად და არა ღვთისხელისშემყურეთა გულუპრყვილო, პასიური მოლოდინი – აი, აგერ მოახდენს სასწავლას უფალი და ერთი ხელისდაკვრით უკეთესობისკენ შეცვლის სამყაროს.

არ შეიცვლება სამყარო, რადგან ყველაზე დიდი ჯილდო – არჩევანის თავისიუფლება, ასე უანგაროდ რომ მოგვანიჭა უფალმა მის მიერ შექმნილ ხილულ სამყაროში მხოლოდ ადამიანებს, ჩვენვე ვიქტორ ყველაზე დიდ სასჯელად. უსაფუძვლო ამბიცია ქვირითივით ყრის ეგოიზმის ბაცილებს; წამდაუწუმ ცდილობს სამოთხის ბალიდან, ღვთისა და სიყვარულის მონიბიდან გამოგვიხსნას და გამოგვაციოს.

საკუთარი ცოდვებისა და გნებების მძევლები იმ ჯოვოხეთურ წრეში ვტრიალებთ, ჰეგელი „ცუდ უსასრულობად“ რომ მოიხსენიებდა.

სასულები გადამცდარი გულნამცეცობითა და პატარაპატარა შურისგებებით დაცხოლული ჩვენი დღეები დიადი მიზნებით ველარ ხარობდენ.

როგორი ჰერმეტული, როგორი დახუფულიც უნდა მოგვეჩების სივრცე „დოკტორ კნიოლგეს ალსასრულში“ რომ წარმოსახს მწერალმა, როგორი განცალკევებულიც, ფიზიკურად როგორი მოცილებულიც უნდა იყოს მცირე აზიაში შექმნილი ეს კუნძული გარე სამყაროს, აქ მაინც არაფერი ხდება განსაკუთრებული, მით უფრო, ამალებული.

ისევე როგორც ზოგადად ჰესეს ფანტასტიკურ წარმოსახვებს საფუძვლად ყოველთვის რეალისტური მოტივაციები, კონკრეტული ადამიანების მიერ განხორციელებული კონკრეტული პროცესები და ტენდენციები უდევს საფუძვლად, ასევე „დოკტორ კნიოლგეს“ შემთხვევაშიც. ეს პატარა მოთხრობა ჰესეს გარეგნულად მშვიდ, მაგრამ სულიერი ღვთებით მშვიოთვარ შემოქმედებით ტალღებზე ისე მოტივტივებს, როგორც ბავშვის ხელით აგებული ქალალდის პანია ხომალდი და ერთ უბრალო, მარტივ ჭეშმარიტებას გვაზიარებს:

განწირულია სამყარო, რომელშიც ადამიანებს ერთმანეთი აღარ უყვართ.

სულერთია რა იდეებსაც უნდა ემსახურებოდნენ – ამალებულსა და ზოგადსაკაცობრიოს, გლობალურსა თუ ეროვნულს... სულერთია ვიზუნდა იყვნენ ისინი – კოსმობოლიტები თუ ნაციონალისტები, დოკტორ კნიოლგესავით ფილოლოგი პატრიოტები თუ მისი თანავეგეტარიანელები, სოციალური რეფორმების იდეებითა თუ გათანაბრებისა და გლობალიზაციის რიტმით შეყყრიბილები.

ღღევანდელი გადასახედიდან, როდესაც თუნდაც ინფორმაციულად დაშიორულ ამ უცანურ ზღაპარს კითხულობ, როცა კითხულობ პასაჟებს, რომლებიც ასე გამაონებლად ემთხვევა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ტერიტორიაზე ერთი შეხედვით დარდიმანდულ, სინამდვილეში კი მკაცრად გათვლილ უცხოელთა მოხვევა-მოპატიუბას, კრედიტ-ინვესტიორთა გამუდმებულ ლაშქრობებს და საკუთარი სამშობლოს დიდ აუქციონზე გატანას, ზოგჯერ ისეთი სასონარკვეთილება გიძყრობს, რომ ფიქრობ – რაღა აზრი აქვს ადგილობრივ კონკისტადორებს, როგორც ალქაიდელ ტერორისტებს იტალიელი ორნელია ფალარიტით „ღვთისმოყვარე სისხლისმსმელებს“ დაუძახებ, გამყიდველებს თუ საერთოდ გაჩუმდები.

„ამ მინაზე საოცრად ნაზი და პარაქიანი ხილ-ბოსტანი მოდიოდა, დიდი ცენტრალური სახლის სამზარეულოს „სამოთხისაკენ მიმავალი გზების“ ავტორი ხელმძღვანელობდა, ბევრს კი განსაკუთრებით სიამოვნებდა ის გარემობა, რომ იქ მშვიდობ, ღვარძლიანი მსოფლიოს დაცინვის გარეშე იცხოვრებდა. ვეგეტარიანიზმისა და ჩაცმულობის რეზორმისადმი მისწრაფების ყველა ნაირსახეობა ნებადარ-

თული გახლდათ, აკრძალვით კი – ხორცისა და ალკოჰოლის მიღების გარდა არაფერი იკრძალებოდა.

მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიოდნენ ლტოლვილი ახირებულები, ნაწილობრივ იმისთვის, რომ იქ, მცირე აზიაში ბოლოს და ბოლოს სიმშვიდე და შვება ეპოვათ მათი ბუნებისათვის შესაფერის ცხოვრებაში, ნანილობრივ კი იმისათვის, რომ განკურნების მოზღვავებულ მოსურნეთაგან ხეირი და გამორჩენა ენახათ. ჩამოდიოდნენ ყველანაირი ეკლესიების გამოქცეული მდვდლები და მასნავლებლები, ცრუ ჰინდუსები, ოკულტისტები, ენის მასნავლებლები, მასაჟისტები, მაგნეტოპათები, ჯადოსნები, ექიმებამები. ექსცენტრიულ არსებათა მთელი ეს ჯამაათი უფრო უწყინარი წვრილ-წვრილი ცრუუბენტელებისაგან შედგებოდა, ვიდრე ყალთაბანდი და ბოროტი ადამიანებისაგან, რადგან იქ დიდ ხეირს ვერ ნახავდა კაცი და უმეტესობას მეტიც არა უნდოდა რა, გარდა თავის შენახვისა, რაც მცენარისმჭამელთათვის მეტად იაფი ჯდებოდა სამხრეთის ქვეყნებში“.

ისეთი რაციონალური აზროვნების მქინე მწერლისათვის, როგორიც ჰესეა, მის დარბასისლურ ინტონაციაში, თხრობის მშვიდ მანერაში მთელი გვერდების მანძილზე რომ გასვენებს და, შესაძლოა, ზოგჯერ სიფხაზლესაც გიდუნებს, არც ერთი ტროპი, არც ერთი მეტაფორა შემთხვევითი არაა. ისინი ფრთხებდაკეცილი ფრინველებივით ნიშანს ელიან და ასაფრენად ემზადებიან.

მით უფრო, შემთხვევითი ვერ იქნება პირდაპირ გეოგრაფიული სახელდებით მოხსენებული მცირე აზია. უზარმაზარი ტერიტორიის შესაძენად რაღა მანცდამაინც ეს მონაკვეთი აირჩია გერმანელმა მწერალმა ვეგეტარიანელთა მსოფლიო საზოგადოებისათვის, გერმანელი, ავსტრიელი, ჰოლანდიელი მცენარისმჭამელების იდეალისტურ დაჯგუფებათა წამოწყების ასპარეზად... ოცნებამ რომ სადმე, მსოფლიოში საკუთარი ქვეყანა, საკუთარი მმართველობითა და საკუთარი წესრიგით შეექმნათ ძალაუნებურად ახალი მსოფლიო ქვეყნის ახალი მსოფლიო წესრიგი გაგვასხვანა.

სარეკლამო რგოლის მაცდური პათოსით უდერს მოწოდება – „ვეგეტარიანული და ვეგეტაბილისტური ცხოვრების წესის, სიმიშვილის კულტურისა და ცხოვრების რეფორმირების ყველა მეცნიერას“ ამ „სამოთხეში“ ეპატიუება, რათა განერიდოს პრაგმატული ევროპის ბოროტების ყვავილებს – სკეპსისა და ნიპილიზმს, რათა თავი მოიზღუდოს „ლავარძლიანი მსოფლიოსაგან“.

ვეგეტარიანელთა გონიერებითა და სულიერებით გამორჩეული კასტა!

კაციჭამა არიელებმაც ასე დაინტერეს თავის დროზე, გამორჩეულობისა და ცისფერი სისხლის შემოცურებული იდეით გაწყალდა ტრინიც და გულიც.

რაღა აზია და არა რომელიმე სხვა კონტინენტი?!?

იქნებ იმდროინდელ სამხრეთს (შესესდროინდელ აზიას) სურნელოვანი მინისა და არომატული ხილის გარდა ჯერაც შერჩენილი ჰქონდა ურთიერთობათა მისტიური ხიბლი, იქნებ მისი რიტუალური ადათ-წესები და იერარქიული ტრადიციები, დროისადმი აზიური დამოკიდებულება იყო ის მიმზიდველი ძალა, რომელიც მათ მცონარე, ზარმაც ბუნებას გაცილებით შესაბამებოდა, ვიდრე თუნდაც მაშინდელი ევროპის სამენარმეო და პოლიტიკური ცხოვრების აჩქარებული ტემბი.

„ლვარძლიანი მსოფლიოსაგან“ რომ თავი მოეზღუდათ, თავად უნდა ყოფილიყვნენ სიყვარულისათვის გახსნილები:

ყოველგვარი კლასობრივი, სოციალური სტატუსი, წარმომავლობა, პოლიტიკური შეხედულებანი, რასობრივი კუთვნილება, თვალის ჭრილი, კანისფერი და ა.შ. გაცილებით მაღალი იდეის სამსხვერპლოზე უნდა მიეტანათ, გაექროთ და გაეუქმებინათ.

ყოველივე ამაზე „აბალლებული“ ვეგეტარიანიზმის ჩუმი პათოსი კი დოგმატური პრინციპებისა და არჩევანის შეუზღდულებივი უფლებით თავად ქმნიდა ვეგეტარიანელთა ახალ კლასობრივ ბანაკებს, თავად ახარისხებდა და განასხვავებდა (მოსისხლე მტრებივით) ჰურისა და ბრინჯისჭამიებს, რძისმსმელებს, ნაყოფისმჭამელებსა და ასკეტურ მოშინილეებს.

და აი, ფანატიზმის სიბრძეში თანდათან ამოიზარდა ნაყოფისმჭამელთა კასტის ბელადი, ძმა იონა, რომლის ტვინშიც, რახანია, მწიფებრიობა ბუნებრიობისა და ხელახალი გაადამიანურების აკვიატებული ამბიცია.

თითქოს უბინო დარვინისტები ლვთის წინააღმდეგ ხელახალ შეთქმულებას აწყობდნენ უკან ულრანებში დასაბრუნებლად.

იონა იყო ამ თეორიის აღმომჩენი და მათი ბელადი, მათი მარცხებისა და ხელმოცარვების ყველაზე უტყუარი დოსტაქარი.

იონა, რომელმაც ყველაზე უკეთ იცოდა ბუნების უცდომელი ენა და ისიც, თუ რა სურდა ბუნებას კაცთა მოდგმისაგან.

ეს თმანვერგაბურდენული, ქუსლებდახეთქილი და კანდაშამრული დედიშმბილა მთარული, ბუნების გვირგვინი“ წვრთნიდა და ამათრახებდა საკუთარ სხეულს (თავს). ღრევით, ღრენითა და ხარხარით იძლეოდა რეაქციებს და მინიშნებებს იმის შესახებ, რომ როგორც ყველაფერი ამ ქვეწად, სრულყოფილების მისაღწევად აღარც სიტყვა იყო საჭირო. თითქოს მესვეტე და მდუმარე ბერივით იონასაც თავისი მისია ჰქონდა შესასრულებელი.

მართალია, ვინც მარხვაშიც ზომიერების მომხრე იყო, ამ ახლადგამოჩეილ ბელადს ჩუმად ქირდავდა და გულში „გორილას“ ეძახდა, მაგრამ რადიაციასავთ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ხესშეზრდილი ველურის გამოსხივება. ასეა, მძულვარებასაც თავისი გამოსხივება აქვს. სძულვილით კი ყველა სძულდა, როგორც ეს ფანატიკოსებს სჩვევიათ. ყველა, ვინც არ ეთაყვანებოდა და არ იზიარებდა სიცოცხლის მიმიქცევის მისეულ სრულყოფას, გაადამიანურების უკუდმა გავლის გზას და საწყის წერტილთან მიბრუნებას.

ბუნებადცევების მომხრე ფანატიკოსები კი მოთხრილი ხებივით დახეხტებოდნენ კუნძულზე. ამ უსაქმურთა ხროვის ირგვლივ ამოყრილი ფესვები ურჩეულებივით იკლაკნებოდნენ... რაღაც საავდროდ იქუფრებოდა ზღაპრული გარემო.

დოკტორი კნიოლგე, ავადმყოფობის გამო რომ დაიწყო თავის დროზე დოგტის დაცვა, თითქოს აე წინათერმინას შეებყრო. იქნებ ამიტომაც გადაეწყვიტა მომავალ თვეს სამშობლიში დაპრუნება. მაგრამ არ დასცალდა. ერთ მთვარი-ან ღამით კუნძულზე მოსეირნებ ბედნიერი სტუდენტობის-დროინდელი მოტივი რომ წაუსატევო სტუსტივინა, მოულოდნელად „ბურქარიდან ტყის კაცი გამოშლიგიგინდა, მელოდიისაგან გალიზიანებული და გახელებული. მუქარით გადაუდგა წინ მოსეირნეს, თან უშველებელ კომბალს იქნევდა. მაგრამ გაოცემული დოკტორი ისე იყო გააფორებულ-გაგულისებული, რომ კი არ გაიქცა, არამედ იმ წუთის დადგომა იგრძნო, როცა თავის მტერს უნდა შებმოდა. სასტიკი ლიმილით მო-

იდრიკა თავი და შეურაცხყოფა ჩააქსოვა: ნება მიპოძეთ, წარმოგიდეთ, დოქტორ კნიოლებე.

გორილამ ერთი საშინლად დაიღრიალა, კომბალი მოისროლა, ეცა უძლურს და ერთ წამში თავისი სასტიკი ხელებით მოახრინ. დოქტორი მეორე დილას იპოვეს. ზოგი ხვდებოდა, რაც მომხდარიყო, მაგრამ ვერავინ გაბედა გორილა იონასთან დაპირისპირება.

ვან მოთვლის, რამდენი ასეთი ფილოლოგი, ჰუმანიტარი, ზოგადად ჰუმანისტი შეუნირავთ (მოუკლავთ) სამყაროს გარდაქმნის სახელით „რეფორმატორებს“. სულერთია, რას დავარქმევთ მათ – კომუნისტებს, დემოკრატებს, ლიბერალებს, კოსმოპოლიტებსა თუ ვეგეტარიანელებს... სულერთია, რასი სახელით მოხდება ეს გარდაქმნა – სამყაროს სამოთხედ გადაქცევისა თუ სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე დგომის სახელით.

სანამ სამყაროს სივრცეებში გაყინული ზოგადი იდეები და კაცობრიობაზე ზრუნვის მისიები კონკრეტულ ხალხზე, კონკრეტულ ერზე და კონკრეტულ ადამიანებზე ზრუნვამდე არ „ჩამოქვეითდება“, მანამდე ფანატიზმს ყოველთვის ექნება პრეტენზია, სამყარო გადაარჩინოს.

„დოქტორ კნიოლებეს აღსასრული“ – ზღაპრის ამ წევეთში ჰერმან ჰესემ არა მხოლოდ იმდროინდელი, არამედ მთელი დღევანდელი სამყაროს სახე და ბედისწერა განჭვრიტა...

ყოველგვარი არჩევანი საიდუმლოა.

აგრ თითქმის წელი გადის, რაც უურნალში „ჩვენი მწერლობა“ ჰერმან ჰესეს ეს ლიტერატურული შედევრი დაიბეჭდა...

მასინაც, როცა პირველად წაკიცითხე ეს ზღაპარი და ახლაც, როცა მასზე დაწერილ ესეს ვამთავრებ, გერმანიაში მცხოვრებ იმ ნიჭიერ ახალგაზრდა ქართველ კაცზე ვფიქრობ, ჰესეს უმდიდრესი მემკვიდრეობიდან მაინცდამაინც ეს მოთხოვთ რომ აირჩია სათარგმნელად.

ვეგეტარინელთა საერთაშორისო კუნძულზე ჩამოსულ ადამიანებზე ნათქვამი ჰესეს ერთი ფრაზა გიორგი ბრეგაძემ ასე თარგმანი: „ვეროპიდან და ამერიკიდან გამოსხლეტილ ამ ადამიანთა უმეტესობა...“

საოცარი სინონიმი მოძებნა – არა გადმოხვეწილი, არა გადმოსული, არამედ „გამოსხლეტილი“.

ეს ზუსტი შესატყვისი ქართული სიტყვის გენითაა დაშიფრული.

რაღაც არამყარის, ლორნოვანის, მოუხელთებლისა და არასამიეროს მატარებელია ამ სიტყვის ფორმაცა და შინაარსიც.

სამაგიეროდ, ჰერმან ჰესეს ეს ლიტერატურული ზღაპარიც, ისევე როგორც მთელი მისი შემოქმედება, ძალზედ მყაფიოდ ასახავს უსიყვარულოდ დარჩენილი სამოთხის მთელს აბსურდულობას.

## გამოხაურება

# ისე3 ჯდა მტირალი

მშვენიერია რუბრიკა „პოეტის ერთი ლექსი“.

მშვენიერია ელა გორჩიაშვილის ლექსი, „ჯდა მტირალი“.

როცა ამაღლებული პოეზიით მოგვრილი სიხარული ოდნავ დაცხრება, მხატვრულ სახეებში გამოხვეული სინამდვილე ასოციაციებში გაგიტყუებს და ყოველდღიურობის „ანალოგიებს“ დაგიხვავებს. და ნანობ, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა ან სარდლებმა ქართული ენა არ იციან და ქართულ პოეზის არ კითხულობ და, რომ პოეზიას არა აქვს ძალა ქვეყნის ცხოვერაზე, მძღვრთა აზროვნებაზე სწრაფი და უშუალო ზემოქმედებისა.

„ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზევე დაბეჭდილ წერილში ვკითხულობთ, რომ სტაინბეკი გაოცებული ყოფილა პოეზიის პოპულარობით საქართველოში; ასე იყო მეოცე საუკუნის შეასანებში; დღეს კი ქართულის არმცოდნებ პოლიტიკოსები იქადნებიან, თუ მწერლი არ დაწერ, ჩვენ დავწერთა და ყურს აღარ უგდებენ ან კი როდის უგდებდნენ ყურს, კასანდრადნ მოყოლებული, ნინასანარმეტყველს, პოეტს, ვინც მათზე გაცილებით შორსა და ღრმად ხედავს.

დიდი პორზაიონი პოეზიას ყველაზე ნინ აყენებს და ამბობს, პოეტი ერთ სტრიქონში ჩატევს იმას, რასაც ჩვენ მთელ რომანშიც კი ვერ გადმოვცემთო; ასეთია ელა გორჩიაშვილის ლექსი!

ვრცელია მისი ყოფით-ეროვნული სივრცე და ღრმაა წვდომა ერის ხასიათში.

ელა გორჩიაშვილი ახსა-განმარტებას ძველ, რუსთაველისულ წესა და ანდერში ეძებს და არა ახალიაკობინურ გლობა-

ლიზმა, რუსოისტულ „სამოქალაქო ხელშეკრულებასა“ თუ ჰეგელისულ „სამოქალაქო საზოგადოებაში“.

არავინ ირწმუნებს რუსთაველსული გზის სისწორეს ჩვენს სსობურ, ფსევდოდასავლური კვაზიკულტურის მოტრიფიალე, გლობალისტური უნივერსალობით თვალმოჭრილ საზოგადოებაში.

ვის დაჯერებ, რომ უბედურებაა, როცა ქართველი გმირი აღარ არის „უცხო მოყმე“, ვისაც ტირილი ისევე უხდება, როგორც მეტრის ჯარში ქორივით გარევა; აღარც ავთანდილი ჰყავს, არც „არაბეთი“ მიესველება „ქაჯეთის“ წინააღმდეგ ბრძოლაში და არც არავინ „გადადებს ქორნილს“ მისოვის და არც „სადილ-სამარსა“ „შეიშლის“ ვანმე.

დანურულია და ოთხ სტრიქონში ჩატეული დღევანდელი ყოფა, მოჩვენებითობა, ბაქი-ბუქი, ფართი-ფურთი:

თითქოს ვეფხის ტყავი გეცვას,  
თითქოს ნეკით ჭიდაობდე,  
თითქოს გესხას მარგალიტი  
შავი ცხენის ჯიდაოზე...

ეს არის, რასაც დღეს PR-ს უწოდებენ და გაპყვირინ: პიარი, პიარი. . . ყველაფერი პიარია, ყვირილიც პიარია, ტირილიც პიარია და აღარ უხდება დორბლიანი ყვირილ-ტირილი „ნაცემსა და ყოვლის მთმენ“ ქართველს, სხვის იმედად (თუნდაც ერთადერთი სუპერსახელმწიფო იყოს) მოქადულს, საკუთარი ფესვების ამომძრევას და უმზეოდ, ბერნად დარჩენილს.

აფსუს, „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“!

ეჭ, რამდენ ფიქრებს აძლის ქართველი პოეტი ქალის მიერ გამოთქმული საყვედური, მშვენიერი ლექსით.

ნიმ ტლაშაც  
გორი

სიმონ ლეისი

# MEMENTO MORI

მარკეზის უამს ნავოქრი

დარღობთ, რომ წუთისოფლის დატოვება მოგინერეთ? უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო და ეს სვიფტმა კარგად დაგვანახა. ლუვნაგში ჩასული გულივერი შეიტყობს ადგილობრივი მოსახლეობის წიალში „უკვდავთ“ არსებობის შესახებ: დროდადრო ჩნდება ბავშვი, რომელსაც შუბლზე მრგვალი დაღი აჩნევია, უტყუარი ნიშანი იმისა, რომ საქმე ეხება შტრულდბურგს – პიროვნებას, რომელიც არსოდეს მოკვდება. ეს ფენომენი მემკვიდრეობითი არ არის, პირიქით, შემთხვევითია და თანაც უიშვიათესი. გულივერი ადტაცებას ვერ მაღლავს: გამოიდის, რომ შესაძლოა იარსებონ ადამიანებმა, რომლებიც თავისუფალი იქნებიან ჩვენი საერთო ხევდრის თანამდევი ძრწოლისაგან? ანდა რამხელა მორალური და მატერიალური სიმდიდიდრის – ცოდნის, გამოცდილებისა და სიბრძნის მარგალიტების დაგროვება შეეძლებათ ამ შტრულდბრუგებს წლების მანძილზე! მისი ენთუზიაზმის შემხედვარე მასპინძლებს მხოლოდ ეღამებათ. რადგან, მიუხედავად იმისა, რომ შტრულდბრუგები უკვდავნი არიან, ისინი მაინც ბერდებიან. რამდენიმე ასეულ წელიწადში მათ დასცვივდათ კბილები და თმები, დაკარგეს მეხსიერება, ძლიერდა ინძრევიან, ყრუები და ბრმები არიან, მოკაკულ და შემზარავ არსებებად ქცეულან (განსაკუთრებით ქალები), იმ დროს, როცა ენის ბუნებრივი ევოლუცია მათ ახალ თაობასთან ურთიერთობის ყოველგვარ საშუალებას ართმევს – და, ამგვარად, საკუთარი მოდგმისთვის გაუცხოებულნი, სიბერის ცველა სიავით შეჭირვებულნი, უსასრულოდ აგრძელებენ არსებობას გაოგნებასა და სასონარკვეთილებაში. თანამედროვე მედიცინის მიღწევები ამ წინასწარმეტყველური ხილვის მრავალრიცხოვან ილუსტრაციებს იძლევა.

ერთხელაც, ალბერტ შპერის „დღიურს“ რომ ვფურცლავდი, უცრად ერთ საგულისხმო ნაწყვეტს წაკიტი ყოფილი შპანდაუში პატიმრობის მეტივიდმეტე წელს შპერი ჩაინიშნავს: „დღეს ტურგენევის ზიგნში „მამები და შვილები“ ვკითხულობ სიტყვებს, რომლებიც ჩემს ბოლოდროინდელ გამოთვლებს ეხმანება (შპერი მტანჯველ მოწყენილობას იმით იქარვებდა, რომ სასჯელის მოხდამდე დარჩენილი დროის მათემატიკურ ვარიაციებს ადგენდა): „ამბობენ, რომ ციხეში დრო უფრო სწრაფად გადის, ვიდრე რუსეთში“. როგორ უნდა შენელებულიყო დროის მსკლელობა მაშინდელ რუსეთში!“

თუმცადა, როდესაც თვითონვე გადავიკითხე „მამები და შვილები“, აღმოჩნდა, რომ იგივე ნაწყევტი სრულიად სპაირისპირონ აზრს გამოხატავს. ტურგენევი აღნერს შუახნის მაგავაცს, რომელიც გულგატებილია იმის გამო, რომ საყაზარელმა მიატოვა და რესერტში ბრუნდიბა: ბერძნ

აღარავერს მოელის არც საკუთარი თავისგან, არც სხვებისგან და მარტომბასა და მოწყენილობაში შერდება; „ასე პირქუშად და უნაყოფოდ განვლო ათმა ნელინადმა; კი არ განვლო, შემაძრნუნებელი სიჩქარით გაირბონა. არსად ისე არ მიქრის დრო, როგორც რუსეთში; ამბობენ, რომ ციხეში ის კიდევ უფრო სწრაფად მიქრის“. აქ ტურგენევი გარკვევით ამბობს, რომ რადგან ყოველი დღე ცარიელი და უშინაარსოა, დრო ელვის სისწრაფით გადის. მაგრამ შევერის-თვის, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და საკმაოდ სიცოცხლისუნარიანიც, ციხეში ყოფნა და იძულებითი უმოქმედობა ტანჯვას ნარმოადგენდა. ამიტომ ტურგენევის სიტყვებს თვითნებურად (სპონტანურად) ისე განმარტავს, თითქოს ირონიულად იყოს ნათქვამი: რუსეთში დრო ნელა გადის, თითქმის ისევე ნელა, როგორც ციხეშიო.

ნიგნში „ეს უცობი ადამიანი“<sup>1</sup> ალექსის კარელი აანალიზებს განსხვავებას ქრონომეტრისა და კალენდრის ასტრონომიულ დროსა, რომელიც ადამიანთან მიმართებით უძრავი და გარეგნია, და შინაგან დროს შორის, რომელიც ყოველი ინდივიდისთვის განსხვავებულია და თვით ერთსა და იმავე ადამიანისთვისაც განსხვავდება სხვადასხვა ასაკში. ასე მაგალითად, ჩვენს ბავშვობაში წელიწადი უსასრულოდ გრძელდება, რადგან აღსავსეა, ერთი მხრივ, ფიზიოლოგიურ (ზრდა) და, მეორე მხრივ, ფსიქოლოგიურ (ახალი ინფორმაციისა და შთაბეჭდილებათა განუწყვეტელი მიღება) მოვლენათა სიქარბით. დროის გასვლასთან ერთად ეს სტიმულები სულ უფრო მწირი ხდება (ივლინ ვო ჩიოდა, რომანისთვის ახალი იღების პოვნა მიჰირსო: „რაც ჩვენს თავს ხდება ორმოცი ნლის მერე, ჩვენზე არანაირ შთაბეჭდილებას აღარ ახდეს“). ამას მოჰყვება დროის აჩქარება, რომელიც საბოლოოდ მის მიერვე შექმნილ უფლესობრივობის ინთენსივა.

79 ნლის ტოლსტიო თავის „დღიურში“ შენიშვნადა, მხოლოდ ბავშვები და მოხუცებულები ცხოვრობენ ნამ-დვილი ცხოვრებით. პირველი ჯერ არ დამონებულან დროის ილუზიას, ხოლო მეორენი მისგან საბოლოოდ თა-ვისუფლებიან.

ასე განსაჯეთ, სიცოცხლის ბოლოს ჩევენ ვემსგავსე-  
ბით იმ ფანჯრების მრეცხავს, რომელიც მესაე სართული-  
დან გადმოვარდა. მისი ვარდინის სიჩქარე იმატებს, მაგრამ  
ვიდრე ქვაფენილზე დაენარცხებოდეს, მარადიულ სიცა-  
რიელებია გამოკიდული.

გამუშავებით გვიკვირს, რა სწრაფად გადის დრო: „როგორ! ჯერ კიდევ გუშინ ეს მელოტი და ულვაშებიანი ოჯახის თავაცი მოკლებარვლაინი პატარა ბიჭი იყო!“ ეს იმაზე მეტყველებს, რომ დრო არ არის ჩვენთვის ბუნებრივი წიაღია. შეგვიძლია კი ნარმოვიდებინოთ თევზი, რომელსაც წყლის სისველე გააკვირვებდა? ეს იმიტომ, რომ ჩვენი ნამდვილი სამშობლო მარადისობაა; დროს მხოლოდ გავლით ვესტუმრებით.

რა მოხდა, თუ სწორედ დროში აშენებს ადამიანი შარტრის საკათედრო ტაძარს, მოხატავს სიქსტეს გუმბათის ჭერს და უკრიეს შვიდსიმან კითარაზე – რაც უილიამ ბლეიკის ელვარე ინტუიციას ამ სიტყვებს შთააგონებდა: „მარადისობას უყვარს დროის ქმნილებანი“.

ფრანგულიდან თარგმნა  
ალისა ქადაგიშვილი-ოქროპირიძემ

როსტომ ჩხეიძე

ପଦ୍ମ,  
ଶବ୍ଦାଳୀ  
ରାଜନେତା

\*

ଭାବିତାରେ ଏହାକିମଙ୍କଣ  
ଏବଂ ଭାବିତାରେ

მაინც რას გულისხმობს დემოკრატია?

დეივიდ ჰერბერტ ლორენსი თვალსაჩინოებისათვის იმ სიმბოლურ სურათს მოიშველიებს, რაც სატირულს ჩამოჰყავს, მნერლისათვის კი რეალისტურია და მხოლოდ რეალისტური.

აა, სეპტემბერს დოკი (პერსონაჟი ჯეიმზ  
ფენიმორ კუპერის რომანისა „გზა შინისა-  
კენ“) მეცვე ართურის კარზე მოხვედროლა  
და, თითქოს ტოლნი იყვნენ, ისე ელაპარა-  
კება და სთხოვს, იქნებ შენი გრძელი ხმალი,  
თუნდაც შენი რაინდობისა და ხელმწიფო-  
ბის სიმბოლოდ გეგულებოდეს, ახლა მე  
გადმომცვე, ღვთის თვალში ხომ ყველა თა-  
ნასწორნი ვართო.

ართური ეთანხმება და ხმალს გაუწვდის, ის კი, სეპტემბერი, მაშინვე მკერდში აძგერებს ცონიკური სიტყვებით: მითხარი, ართ, მეხოთე ნიკი სადა გაჭარ?

აღმატებულება იგივე ხმალია, — დასძენს ლორენცი, — სეპტიმუსს თუ გადასცემ, დაბრუნების მაგიერ ნეკენბში გაგირიჭოს — აი, დომოკრატიის თავი და ბოლოო.

იგი ისე ირნმუნება: ამერიკამ მეფების, ლორდებისა და ბატონების მოსპობა რომ განიზრახა ანუ მთელი იმ ავ-ლადიდებისა, ევროპის აღმატებულებას რომ ჰქონდაო, – თითქოს ეს ისტორიული პროცესი ამერიკაში დაწყებულიყოს და ეს ქვეყნა უშუალოდ არ აგრძელებდეს ევროპის კონტინენტზე მომხდარ მკვეთრ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცვლილებათა გზას.

რევოლუციებს მონელებდა ევროპა, ადრე თუ გვიან გადალახვდა ბუნებრიობისა და ლეთიური წესრიგის წინააღმდეგ დაძრულ ამპონებათა ნაკადს, მაგრამ რასაც თვითონ გამოსკილდებოდა, ამერიკას იმას არგვუნებდა მექვიდრეობად და საკმაოდ მძიმე მექვიდრეობადაც, რომელიც სახიფათოდ ემუქრება ევროპას ოკეანის გაღმიდან ახალი, არანა კლიმატის გადაცვითი.

ეკროპა მთელი ძალ-ღრინით ეღლობება წინ თავისისვე წიაღში შობილ იმ ახალ ფასეულობებს, რაც ამერიკულ ყაიდაზე შეფერილა აღარ ექვმნისკებდა და ძალმომრეობად და ეროვნულ თავისებურებათა გაქარნებულებად ესახება; და ეკროპის გაირთიანების მკლელობას **XX** საუკუნის დასაწ-

ყისშიც ეს გამოიწვევდა და ჩვენს თვალინი კულაპ იგივე საზოგადოებრივ-კულტურული მოვლენა მეორდება ამერიკის პოლიტიკური და მორალური ექსპანსიის დასაოკებლად.

ამერიკის შეერთებული შტატების ნინაშე ევროპის შეერთებული შტატები წარმომდგარა და გაჯისცდენა დათმობასაც აღარ ფიქრობს, ვაითუ მცირე დათმობას უეცრად ყოვლისნამლეკავი ნაკადი მოჰყვესო.

და ხელისგულზე გამოჩნდეს ამერიკის მორალურ-  
ფსიქოლოგიური პორტრეტის ფარული მხარე, მის უკე-  
თეს შეილთა ლიტერატურული სილუეტების ანარეკლში –  
ასეთია განზრახვა და თავისთავად ძალიან რთულ მოვა-  
ლეობასაც იტვირთავდა დევიდ ლორენსი იმ ესეების  
ციკლის შექმნით კლასიკური ამერიკული ლიტერატურის

შესახებ, რომელიც იმთავითვე გასცდებოდა ლიტერატურათმცოდნებითი კვლევისა და ანალიზის საზღვრებს და პოლიტიკურ პამფლეტად უფრო წარმოგვიდგებოდა, პამფლეტად, რომელშიც საქ-ვეყნოდ აღიარებული რომანები თუ ნოველები მხოლოდ ხელსაყრელ მასალად ჩა-ლაგდებოდა.

ამერიკული კლასიკური მწერლობა  
მხოლოდ გარეგნული იერია ზნეობრივი  
ორმაგობისა თუ ელვარე, თუმც ფუჭი  
იღუზიების გასათვალსაჩინოებლადაც და  
იმ კლიშეების დასარღვევადაც, რომელ-  
საც ლორენსის ბუნების შემოქმედი ვერც  
ვერასოდეს შეეგუებოდა. მას საზოგადო-  
ებრივ-პოლიტიკური რეალობის წარმოჩე-  
ნა უფრო ენადა, მაგრამ ღრმა ერუყდიცია  
ძალდაუტანებლად გამოათქმევინებდა  
უმნიშვნელოვანეს დაკვირვებებსა თუ შე-  
ხედულებებს ჯეიმზ ფერნიმორ კუპერსა  
თუ ალექს ჰარი ბერნარდინ ურჩა

თუ ედგარ ალაძ არსე, ძეგლაშინ ფრან-  
კილინსა თუ ჰერცოგობრ სენტ-ჯონ დე კრევერზე, ნათანიელ  
პოთორნისა თუ რიჩარდ ჰენრი დენაზე, ჰერმან მელვილსა  
თუ ულტონ ჰიმერზე.

სხვებზეცაა მიმოფანტული ცალკეული საგულის-  
ხმით თვალსაზრისები, მაგრამ ეს შემოქმედნი მისი წიგ-  
ნის მთავარ ძარღვს ქმნიან, მთავარ მასალას სულინ-  
მინდის ნინაშე დალატისა; და რაკილა ამ გადასახედი-  
დან გადაკყურებს ლორენსის საზოგადოებრივ-ლიტერა-  
ტურულ მოვლენებს, უპირველესად თვისტომთ ამჟა-  
თებს: ჩვეულებისამებრ ძველ ამერიკელ კლასიკოსებს  
საბავშვო ლიტერატურად რომ ვრაცხო, ჩვენი მხრივაა  
ძალზე ბავშვური საქციილი. ძველ ამერიკულ სალიტე-  
რატურო ენას უცნაური თვისება აქვს, რომელსაც ამე-  
რიკის გარდა ვერსად ნახავთ, მაგრამ ვიდრე ამ წიგნებს  
საბავშვო ზღაპრებად აღვიქვამთ, ამას, ცხადია, ვერ  
შევამჩნიათ.

ახალი ხმის მიყურადება რომ ძნელია, ისევე ძნელი,  
როგორც უცხო ენის მოსმენა, ამის გამო ლორენცის ვერა-  
ვის გაამტყუნებდა, მაგრამ ის კი ვეღარ მოეთმინა, სურ-  
ვილით მაინც რატომ არ სურდათ მოსმენა ევროპელებს  
საერთოდ და, კერძოდ, ინგლისელებს ამერიკელ კლასი-  
კოსთაგან მომდინარე ახალი ხმისა.



ე. ვ. ცოჩინა

ესები  
კლასიკური ამერიკული  
ლიტერატურის შესახებ

J. H. Lawless

შიშისაგანო, – თვითონ ასე ხსნის ლორენსი, მაგრამ ეს გამართლებად არ ესახება.

რისი შეიძლება ეშინოდეს მსოფლიოს ყველაზე მეტად?

ახალი გამოცდილებისა, „რადგან ახალი გამოცდილება მრავალი ძველი გამოცდილების ადგილს იკავებს. ეს იგივეა, რაც ამონქრონ კუნთება, რომლებიც ან არასოდეს გაგინდრევია, ანდა საუკუნეების მანძილზე უძრავად გქონდა. ეს საშინლად მტკიცებულია“.

ლორენსს მიაჩნდა, ამერიკელ კლასიკოსთა წიგნებს შერჩენილი აქვთ ის ახალი გრძნობა, რისგანაც შემდგომი ხანის გამოცდები სრულად დაცლილი არიან, და კლასიკოსთა ეს ახალი გრძნობა რაღაც სხვანაირია: მათ ძველი ფსიქე მიატოვეს და სხვა, ახალი ადგილსამყოფელისაკენ გადაინაცვლეს, გადანაცვლება კი ყოველთვის მტკიცებულია. ამიტომ ცდილობთ ზედ ჭინჭი მაგრად შემოვიხვიოთ, თითქოს გაჭრილი თოთი იყოსო.

მასაც ჯეროდა – და, ცხადია, არც საკუთარ თავს გულისხმობდა გამონაკლისთა შორის – ყოველი შემოქმედი, როგორც წესი, საზიზღარი მატყუარააო.

მაშტამარიტება არც უნდა ვეძიოთ წიგნებში?

აუცილებლად უნდა ვეძიოთ, რადგანაც „მისი ხელოვნება, თუკი ის მართლა შემოქმედია, მისი დროის ჭეშმარიტებას გაუწყებთ. მისი დროის-მეტები, რომ ვამბობ, მხოლოდ ესაა მნიშვნელოვანი. ძირს მარადიული ჭეშმარიტება! ჭეშმარიტება დღიდან დღემდე ცოცხლობს. გუშინდელი განსაცვიფრებელი პლატონი დღეს მეტნილად ნაგავია“.

პარადოქსული აზროვნება უცხო არ არის ლორენსისათვის და ამჯერადაც სწორედ საამისო ნიმუშს გავეცანით, პლატონიც პარადოქსებისადმი ლორენსის ამ მიღრეკილებას შენირა, და თვით ჭეშმარიტებაც ისე გამოცხადდა დროებით და წარმატებად მოვლენად, ფრაზების შინაარსს ასე პირდაპირ რომ აღვიქვამდეთ, გაოგნებული დავრჩებოდით.

უბრალოდ ლორენსი ირონიული ლიმილით მიგვანიშნებს, რომ მირაჟების გამოდევნებამ ვაითუ არაფერი შეგვარჩინოს, ამიტომაც აუცილებელია მარადიულობისაკენ სწრაფვისას ჯერ იმ ჭეშმარიტებაში გავერკვეთ, ჩვენს თვალწინ რომ ტრიალებს და უშუალოდ ჩვენგან მოითხოვს სახელის დარქმევას, საფეხურადაც მხოლოდ მაშინ გამოგვადგება იმ მარადიულისაკენ, რაც უამისოდ მართლა „ძირს“ აღმოჩნდება.

როგორც ყოველივე ამქვეყნად, ჭეშმარიტებაც შეფარდებითია – ცნობიერი „მე“-სათვის ხელმისაწვდომი, თორემ ცნობიერის მიღმა არაცნობიერ „მე“-თა ისეთი გაუვალი ტევრია, ტყუილუბრალოდ ნურავინ შეეცდება მათ გაღმევას, მოვალენი ვართ მხოლოდ, შესაფერისი მორიდებითა თუ მოწინებით მოვეცყრათ მათ სიუხვესაც და სულინმინდსათან უშუალო სიახლოვესაც, რათა არ შევცოდოთ უზენაესის წინაშე.

გადავლილია მამა-ღმერთის ეპოქა.

გადავლილია ძე მისი – იქსო ქრისტეს ეპოქაც.

და ამჟამად სულინმინდის ეპოქაში გვინევს სიცოცხლე, სამება ერთარსების მესამე დრო-უამულ განზომილებაში.

ასეთია დეივიდ ლორენსის მხატვრული ქრონოლოგიაც და ზნეობრივი მრნამსიც, და რომანებში განფენილი ეს

თვალთახედვა და სისტემა ესეების ციკლშიც გადაინაცვლებდა, რომელიც ადრე თუ გვიან ქართულ ენობრივ სამოსელშიც მოექცეოდა თამარ კოტრიკაძის ჩინებული თარგმანის წყალობით, რადგენიმე წლის წინათ გაზეთ „ალტერნატივას“ ფურცლებზე გაგრძელებით გამოქვეყნებული ეს ლიტერატურული ნარკვევები უკვე ერთ გარეკანშიც გამთლიანდებოდა („კავკასიური სახლი“, 2004), და წარმოგვიდგება არა მხოლოდ სახელმძღვანელოდ და გზისმკვლევად ამერიკული მხატვრული აზროვნების უმრავალფეროვანებას სამყაროში, არამედ ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უშუალო მონაწილედაც, რაკილა ლორენსის ტკივილები ჩვენთვისაც არანაცლებ მახლობელია და ისევე გვაქვს გადასალახი ჩვენს სულიერ სინამდვილეში, როგორც ამ თვალსაჩინო ინგლისელ მწერალს, ვინც ამერიკული კლასიკური მნერლობის შესწავლა-გააზრებისას უპირველესად თავისი სამშიბლოს ბედისწერას უტრიალებს.

მას დაბეჭითებით სწამს, რომ ყოველ ადგილს საკუთარი მაგიური ცენტრი, საკუთარი სული აქვს?

და ეს სული უცვლის სახეს მისი გავლენის არეალში მოხვედრილ საგნებსა და არსებებს, ეს სული განსაზღვრავს მათ ბედისწერას?

რაკილა ლორენსს საკუთარი მითოლოგია შეუმუშავებია და მის მთავარ საყრდენად ეს მაგიური შუაგული თუ სული უქცევია, კუპერსა თუ პოთორნზე, მელვილსა თუ უიტბენზე მსჯელობისას ძალაუნებურად ინგლისის თანადროულ რეალობასაც უნდა გადაწვდეს და დაუფარავად განაცხადოს, რომ:

„კუნძულ დიდ ბრიტანეთის ნიადაგს საკუთარი სასწაულად დიდი მაგნეტიზმი ჰქონდა და ამას უნდა ვუმადლოდეთ ინგლისელი ხალხის წარმოშობას. დღეს ეს ძალა თითქოს იმსხვრევა. ნეტავ შეიძლება ინგლისი მოკვდეს? და, თუ მოკვდა, რა გაჩნდება მის ადგილას?“

რა ხდება – თვით ინგლისის მომავალ არსებობაშიც დაეჭვება?

მაგრამ თუკი ვედარ გრძნობ იმ სასწაულად დიდ მაგნეტიზმს, შენი მშობლიური ერი ვისაც უშვია?

და თუ მის ადგილას ნამსხვრევები გელანდება?

თუ ინგლისი აღარ იქნა, მერე რაც გინდა ის გაჩნდეს მის ნაცვლად.

აპოკალიფსური შეგრძნება უფორიაქებს სულს დეივიდ ლორენსს და სწორედ ამ ფორიაქსა და დაუშოშმინებლობას გამოჰკვეთს მთარგმნელის წინასიტყვაობაში – „დეივიდ ლორენსის ამერიკეს სულის გზაზე“ – თამარ კოტრიკაძე, როდესაც „ესეების“ გამომწვევ ტონს ფრიდრიქ ნიცხეს „ასე იტყოდა ზარატუსტრას“ მეამბოხურ სტილს შეუდარებს: ორივე ეს თხზულება, შეიძლება ითქვას, სახარებისეულ სტილშია შექმნილი, ორივე უმოწყალოდ ანგრევს მოვეცებულ სტერეოტიპებს და ახალ ჭეშმარიტებაზე გველაპარაკებაო.

ლორენსმა თავის თავში გადალახა ის გაორება, როდესაც მოჩენებით იდეალებს, ძველ მორალს თან უპირდები და თან მის ტყვეობაშიც რჩები, ანდა ცდილობ სამყარო წარმოიდგინო ისეთად, როგორც ეს შენ გაძლევს ხელს. ან კუნძულებივით თავს იტყუებდე, რომ ყველაზე საოცნებო შენთვის ვიგვამების ჩრდილია, აღტაცებული და ექსპრესიულად საზღბობდე ინდიელთა საზოგადოების

რაღაც განსაკუთრებულ მომწუსხველობაზე, ათასობით ევროპელსაც რომ გადაიბირებს და გააინდირებს, მაშინ, როდესაც აპორიგენი ნებაყოფლობით არასოდეს გადაიქცევა ევროპელად, და... შენ თვითონ ამერიკიდან პარიზში გარბოდე და იქაური სალონებიდან გერჩივნოს ველურთა ყოფა-ცხოვრების გამორჩეულობის მტკიცება – ასე უფრო მშვიდად და უვნებლად გრძნობ თავს, სახელსაც მოიხვეჭ, როგორც ეგზოტიკური სამყაროს აღმომჩენი ევროპისათვის, მაგრამ ლორენსის გესლიან სიცილს კი ვერსად დაემალები, მატყუარად რომ მოგიხსენიებს და მეითხველთან ასე ნარგადებნებს: თუმცა ხორციელ შეცნობას ვერ ბედავს, ნარმოსახვაში უსაზღვროდ გამბედავია.

დემოკრატიული იდეალის არსის ნარმოსაჩენად კი კუპერის თეთრი რომანების ციკლს მოიშველიებს: ამერიკამ მეფების, ლორდებისა და ბატონების მოსპობით თვითონვე გაიყარა ქინძისთავი სხეულში და დღესაც მასზე დარჭობლი პეპელასავით თრთის და საცოდავად იყლაკნება. ესაა თავისუფლება – დემოკრატიული თანასწორობის ქინძისთავი.

მწარე სიმბოლო მოუქებნია ლორენსს დემოკრატიის განსაზღვრისათვის, მაგრამ ამის გაცხადებას იგი აუცილებლობად მიიჩნევს, რათა ამერიკაში მთელი არსებით ფერქდეს სიცოცხლე, საამისოდ კი ერთადერთი გზა ქინძისთავის ამოძრობა და ლვითისაგან ნაბოქები უთანასწორობის ალიარებაა, ლვითისაგან ნაბოქები ბუნებრივი სიმაღლისა და სიმდაბლისა.

ამერიკელნი თავიანთი თავისუფლება-თანასწორობის ქინძისთავზე დარჭობილი მწერებივით რომ ბზუინ და ფუთფუთებენ, ჯეიმზ ფენიმორ კუპერის თეთრი რომანები ამის ნათელსაყოფად ყველაზე მეტყველ ნიმუშადაა მოხმობილი „ესეებში“: ყოველი მისი გმირი ამა თუ იმ იდეალზე სოციალური ქინძისთავითა დარჭობილი. მათ ეს ხვედრი თვითვე აირჩიეს, ამ ქინძისთავთა გარშემო პროპელერებივით ტრიალებენ და მომაბეზრებლად ზუზუნებენ დემოკრატიის იდეალზე.

და თუ კუპერი – თავისუბური ამერიკული ოდისეას შემქმნელი, ვისი ტყავის ნინდის რომანებიც ახდენილ იცნებად ნარმოუდგებობათ ევროპელ ყმანვილებს – საკუთარ თავში აერთიანებდა ორივე სწრაფვას – ძველი ცნობიერების ნერევასა და ჩამოშორებას, და მის ქვეშ ახალი ცნობიერების შექმნას – ედგარ ალან პოს მხოლოდ ნგრევის ნადილი შერჩენოდა, და თუ მორალისტებს არასოდეს ესმოდათ პოს „ავადყოფური“ ნოველების დაწერის აუცილებლობა, ლორენსისათვის მიზეზი საქმაოდ მარტივია: ყოველივე ძველს სიკედილის დრო დაუდგა, რადგანაც ახლის აღმოცენებამდე თეთრკანიანი მოდგმის ძველი ფისიქე უნდა ამოიძირკვოს.

და თუ სხვანი მის შეურაცხყოფასაც არ დაერიდებოდნენ – როგორ თუ ეს უმძიმესი ადამიანური გამოცდილება იტვირთე, დაშლის კონვულსიებით გახლეჩილ-განენილი საკუთარი სულის დაშოშმინება და იმავდროულად ამ პროცესის აღწერათ – ლორენსი ამ უაღრესად დრამატულ მხატვრულ ძიებებსა და მისიას აუცილებლობის აღსრულებად ჩამოართმევდა ედგარ პოს, რადგანაც: ადამიანის სულმა, თუკი გადარჩენა სურს, საკუთარი დანაწევრების ტკივილი გაცნობიერებულად უნდა განიცადოს.

საერთოდაც, იქნებ პოს სხვაზე მეტი თანაგრძნობით მოჰკიდებოდა, მაგრამ „ლიგეას“ შემოქმედს გამბედავ მოგზაურად რომ მოიხსენიებდა ადამიანის სულის ბნელ სარდაფები, მინისქვეშეთსა და საზარელ დერეფენშები, საშინელებისა და განწირული წინაგრძნობის ზარის მორეკავად, ვინც საკუთარი სენი დაგვიტოვა, კიდეც შეეცადა მის მიერ შექმნილი ტილო მშვენიერი და მიმზიდველი ყოფილიყო და ეს განზრახვა წარმატებითაც აღასრულა, ლორენსის თავს მაინც ვერ შეიკავებდა: და სწორედ ამაშია ხელოვნების, განსაკუთრებით კი ამერიკული ხელოვნების, მატყუარა ორსახოვნებაო.

ნათანიელ პოტორნის მერამული ასოს ალეგორია ჩემ-თვის უდიდესია მთელს ლიტერატურაში განსაციფრებელი ქეყტექსტითა და გრინიალური ირაზროვნებითო, – აღტაცებით კი წამინდახვებს, მაგრამ ისე როგორ იქნება, მის ერთ ფრაზას – „ასე პაეროვნად არასოდეს მიგრძნია თავი“ – ასე თუ არ გადაკეთებს: სჯობდა ეთქვა, ასე სულელურად ჯერ არ მიგრძნია თავიო.

მიზეზსაც ახსნიდა:

შრომის გაიდეალებას მხოლოდ სულელი თუ შეეცდება. სანამ მიწის თხრას შეუდგებოდე, იდეალიზმის ქურთუკი უნდა გაიხადო, უხეში ფიზიკური შრომა კაცს იდეალიზმს უცვითავს და გონებას ბურუსით უფარავს. რაც მეტ ძალისხმევას დაახარჯავს კაცი გონებრივ შრომას, იდეალიზმითა და ტრანსცენდენტალიზმით რაც მეტად შეიქცევს თავს, მით უფრო გაუთხელდება სისხლი, მით უფრო გაუფაქიზდება ნერვები.

რიჩარდ ჰენრი დენას მარცხის სათავეც აქ ეგულებოდა: უხეში შრომის გაიდეალებისას იდეალისტს ყოველთვის ეს დაემართებაო.

და იყოს დენას მისტიკური ხედვა ჭეშმარიტად დასაფასებელი, მისი თხრობა კი საძა და, იმავდროულად, ღრმა ემოციითა და სრული წვდომით გაჯერებული, დაეის შეგრძნებაც გიჩნდებოდეს, დენა თითქოს სულ სხვა სამყაროში, არამინიერ საუფლოში გადადის და მთელი არსებოთ ეგებება მის ჩასანთქმელად გადასხინილ შავ მორევს, საბოლოოდ შინ მაინც იმიტომ ბრუნდება, რომ... იურისტი გახდეს და საკმაოდ უდიმდამო და სანიმუშო მოქალაქედ იქცეს. ერთხელ კინალამ ელჩადაც კი დანიშნონ.

ზღვის უდიდესი პოეტი და წინასწარმეტყველიო, – აღტაცებას ვერა ფარავდა ლორენსი პერმან მელვილის სენებისას და მეტი დამაჯერებლობისათვის სხვა თვალსაჩინო სახელებსაც გამოიხმობდა: მისეული ხილვა სუნინერნისაზე უფრო გულწრფელად მიმართია, რადგანაც არ ახდენს ზღვის გაპიროვნებას, და ჯოზეფ კონრადისაზე უფრო ჯანსაღი, რადგანაც ოკეანეს სენტიმენტების გარეშე ეყყრობაო.

და მაინც გაიმეტებდა, როგორც სიცოცხლისმოძულერენეგატის, სხვა ამერიკელი „რეფორმატორებისა“ და „იდეალისტებივით“ ისიც ველურების განდიდებით რომ გვაყრუებდა და... მძორისტი ფრინველს დაემგვანებოდა.

თუ მეძაგვივით ითვალმაქცე, გაიხრინები და განადგუდები, დაურიდები, – დაურიდებელია ლორენსი, – გახრინილი თეთრკანიანი კი, მელვილისა არ იყოს, ამაზრზენი სანახავია.

ეს იმიტომ – ველურებთან დაბრუნებამ მელვილი კი- დევ უფრო გაანადგურა, ვიდრე ეს კერამ და დედამ შეძლესო.

უოლტ ჟიტმენის სახელი თუ რატომ ნიშნავდა ძალიან ბევრს ლორენსისათვის, განუმარტავს არ დატოვებდა: იგი ერთადერთი იყო, ვანც წინ მიმავალი გზა გავალა, მხოლოდ უიტმენია პიონერი – არც ინგლისში, არც საფრანგეთში, საერთოდ ევროპაში სხვა პიონერი-პოეტი არ არსებობს.

და კიდევ: მას კაცთა ძარღვებში სისხლის შეცვლა ხელენიფებოდა და მოსესავით დიდ წინამდღოლად ჩრებაო.

მაგრამ სავალალო შეცდომასაც უხსენებს და არც იმას დაფარავს, რომ იმ ადგილას, ზედ ვება უფსერულის პირას, სადაც უიტმენის პოეტური კარავია დაცემული და იქიდან კი ლაუვარდოვანი სივრცეები და მომავალში მზირალი ლურჯი რღვეული მოჩანს, ქვემოთ ჩასასვლელი გზა მოჭრილა და ყოველივე ერთბაშად ჩიხში ემწყვდევა.

მე მსოფლიოს სიყვარულის ტკივილი მწვავსო, – ირნენებოდა „ბალახის ფოთლების“ „შემოქმედი და განცდა, როგორიც გამჭილ იდეად გასდევს მის პოეტურ ხილვებს, ლორენსისათვის სასაცილოზე სასაცილოც კია: პირველი უხერხული უნივერსალიზაცია. ვაი, დედა! ამას მუცლის გვრემა მირჩევნია. კუჭის ტკივილს ოდნავი თვითმყოფა-დობა მაინც აქვს. თავი დაანებე მაგას, უოლტერ, თუ რაიმე ტკივილი გრვავს, ეს მსოფლიო სიყვარულის ტკივილის იმდენად მცირე ნანილია, და იმდენად დიდი ნანილი რჩება შენგან აუთვისებელი, რომ ნამდვილად მეტი სიმშვიდე გმართებსო.

ირონიასა და სარკაზმს იქ იპოვნით თუ იპოვნით, ამ პოლიტიკური პამფლეტის დასაწყისშივე, ბენჯამინ ფრანკლინის ლიტერატურული სილუეტის ნარმოსახვისას, თავისუფლების დევლარაცია ვინც შეუქმნათ, ლორენსის აზრით კი, პირველი ამერიკული მანეკენი ვინც დაამზადა.

ადამიანის სულის დაბურული ტყიდან, ველური სიცოცხლით ალსავსე უღრანი ჯუნგლიდან ბენჯამინმა მხოლოდ მცირე ნაკვეთის შემოლობება შეძლო, – ქილიესაც არ იშურებს „ესეების“ „შემოქმედი დეკლარაციის მიმართ, – შეარქვა მას ადამიანის სული და მის დამუშავებას შეუდგა. ესეც მისი ეკლიანი გისოსი – ჩამოწერა სათონებათა სია და, თვითონაც დაფეხვილი ცხენივით შეძლენ-სულდა თავის მიერ შემოლობილ მინდორში. ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ეკლიანი გისოსის ნაგლეჯი საკუუნოდ დაგვაკვებსო?

და იმის დასტურად, რომ ეს ეკლიანი გისოსის ნაგლეჯი საუკუნოდ ვერაფრისდიდებით ვერ დაგვაკავებდა, ლორენსი ბენჯამინ ფრანკლინის მრნამსს თავის მრნამსს შეუპირისპირებდა, გისოსებში გამოჭედილ პარია მინდორს წინ დაბურულ ტყეს შეაგებებდა, რომლის შეუგულ-შიც გაცნობიერებული „მე“-ს პატარა მდელო შემორკალულიყო; უცხო ღმერთები ანუ გაუცნობიერებელ „მე“-თა მთელი ლაშქარი დროდადრო კიდეც გამოჩნდებოდა ამ მდელოზე, რათა კვლავ გაუჩინარებულიყვნენ, პირვენებისათვის კი დაეტოვებინათ რწმენა, რომ არასოდეს დამორჩილებოდა კაცობრიობის ნებას – თავზე მოეხვია თავისი სურვილები თვითუეული ადამიანისათვის, არამედ ეღიარებინა და დამორჩილებოდა ღმერთებს საკუთარ არსებაშიც და სხვა პირვებებშიც.

ამერიკელის ახალი ტიპი, რომელიც ჯეფერსონის დეკარაციას თავის სამოქმედო პროგრამად აღიარებდა, ლორენს აუტანლად ეჩვენებოდა, ეთიკოს-მისტიკოს-ტრანსცენდენტალისტის თავისებურ სახეობად, იუმორშიც კი დამღლელად და საზეიმოდ გაბლენძილად, რის თვალსაჩინო ნიმუშადაც თავისი წიგნის გმირების (ჰო-თორნი, მელვილი) გარდა რალფ უოლდო ემერსონსა და ჰენრი უორდსურორ ლონგფელოსაც გაიხსენებდა.

თუმც ჰოთორნსა და მელვილს, პოსა და უიტმენთან ერთად, აღიარებდა იმ პიროვნებებად, რომელთაც ცნობიერების იმ უკიდურეს მიჯნას მიაღწიეს, ფრანგული მოდერნიზმისა და ფუტურიზმის ყველაზე შორს წასულ ახირებებსაც რომ ვერ მიეგონო. და დასძენდა: თანამედროვე ევროპელი მხოლოდ და მხოლოდ ცდილობს იყოს უკიდურესი, ეს დიდი ამერიკელი კი უბრალოდ ასეთნი არიანო.

ყოველი ამერიკელისათვის – მისი რწმენით – სისხლისმიერ სამშობლოდ მაინც ევროპა რჩებოდა. ამერიკა მხოლოდ სულის სამშობლო გახდა. და ტრანსცენდენტალიზმი ამერიკელისათვის სწორედ ამას ნიშნავდა – გადაელახა სამშობლოს პირველადი ცნება და ცამდე აეზიდა შტატების იდეა, ვიდრე ის მსოფლიო იდეად არ იქცეოდა.

ამ გზაზე თავისი სისხლისმიერი სამშობლო გადაღობებოდა და მსოფლიო იდეა ამერიკელისაგან ისევე მოითხოვდა პირვანდელი სამშობლოს – ევროპის – დამხობას, როგორც ბედისნერა მოელოდა ზევსისაგან საკუთარი მამის შთანთქმას ბერძნულ ღმერთთა პანთეონის უმაღლეს საფეხურზე ასამაღლებლად.

ამერიკული დემოკრატიაც ამიტომ დაცილებოდა ევროპულს, თანაც ისე ძალიან, რომ ლორენსის განცდა უწნდებოდა, არც არასოდეს ჰგავდათ. ევროპულ თავისუფლებას სიცოცხლის დად მაჯისცემასთან გააიგივებდა, ამერიკულ დემოკრატიას კი ამ ფორმულაში მოაქცევდა: მუდამ სიცოცხლეს ენინააღმდეგებოდათ.

მაშ აბრაამ ლინკოლნი?

მის პირვენებასა და ღვანწლს როგორლა გაიაზრებდა „ესეების“ „შემოქმედი, მის მსგავსთ როგორლა შეაფასებადა?

წიგნში ასეთ დაკვირვებასაც აღმოვაჩენთ: ლინკოლნისარ დიდ დემოკრატებს ხმაში მუდამ რაღაც შესვერპლისეული, თვითგანადგურების სწრავით შეფერილი უღრადობა ემჩნევდათო. და იქვე მოსდევდა დამაფიქრებელი ფრაზა: ამერიკულ დემოკრატია თვითგანადგურების თუ არა, სხვისი განადგურების ფორმა მაინც იყო ყოველთვისო.

მსოფლიო იდეა მოითხოვდა ამერიკელისაგან პირვანდელი სამშობლოს – ევროპის დამხობასო...

ლორენსი ფრანკლინს ადებს ხელს, მან გადადგა პირველი ნაბიჯები მთელი ევროპის დასამხობად, მან გამოუხრა ინგლისის კედელს მცირე, მაგრამ სახიფათო ხვრელი, რის შედეგადაც დღეისათვის მთელი ევროპა თითქმის ბოლომდეა სისხლისაგან დაცლილიო.

ამერიკელის მექანიკური, მშრალი, მორალური ხატის შექმნა უკვე ამ სისხლისაგან დანართას განამტკიცებდა და კატესტროფის წინაშე მდგარი ლორენსი ევროპას გადასძახდა: აინყვიტე და შენი კუთვნილი დაიბრუნე, ახალ ზღვაში შეაცურე ნავი მანამ, სანამ ამერიკა თავის

ოქროს ნეხვსაყრელზე განისვენებს საკუთარ აკრძალვებში, იდეალებსა და მორალში ჩამხრივალი, აინტენტე და აინტენტე.

ნიცხესებური გახელებით მისტანებია ლორენსი თავისუფლების დეკლარაციასაც და ამერიკულ მწერლურ გენისაც, ამ დეკლარაციის ჩარჩოებს ვერაფრით რომ ვერ გააღწიეს?

თვალს არ მოუხუჭავდა, თვითეული თქვენგანი ძველ მორალს მთელი გრძნობითა და ვწებით უტეს, მაგრამ თქვენს გონებას უკეთესი მაინც არაფერი ეგულება, ამიტომ ის ერთგულების ფიცს სდებს იმ მორალის წინაშე, რომლის დასამხობადაც იღვნის მისივე ვნება. და თქვენი გაორებაც სწორებ აქედან მოდისო?

მაგრამ ამერიკელი კლასიკოსებიც თავიანთ ვალს დიდი ხელოვნებით აღასრულებდნენ და თამარ კოტრიკაძეც წინასიტყვაობაში ამ გარემოებას საგანგებოდ გამოჰკვეთს: თავიანთი შემოქმედებით მათ, თუნდაც უნებლივთ, აღბეჭდეს ის გზა, რომელიც ამერიკის სულმა თავისი არსებობს მანძილზე განვლონ და ამ გზის ჯერაც გაუვლელი მონაკვეთისთვისაც სცადეს თვალის შევლებათ.

ამიტომაცაა, თვითონ ლორენსს საკუთარი თავის პოვნაში უიტმენიც საქმაოდ რომ შეენეოდა, იქნებ ყველაზე მეტადაც, რაკილა „ესეებში“ ასეთ ფრაზასაც აღმოვაჩინო:

„უიტმენმა საკუთარი ბედი თავის სულსა და ლია შარას მიანდო – ამაზე ვაჟკაცურ გადაწყვეტილებას კაცი ვერ მიიღებდა“.

იქვე დანანებასაც გამოთქვამს, ეს ბოლომდე ვერ შეასრულაო, – მაგრამ ასეა თუ ისე, ჭეშმარიტი დემოკრატიის განასაზღვრისას სწორედ უიტმენის მეტაფორას იშველიერებს, ლია გზის სიმღერაში ასე ხელშესახებად გაცხადებულს, როცა სული სულს უნდა შეხვდეს.

სულს მაშინვე სცნობენ მისი სვლით, მაგრამ მაინც რითო:

სამისითა და გარეგნობით?  
ლვთისმოსაობითა და სიქველით?

არა და არა:

„სულს მხოლოდ და მხოლოდ იმით სცნობენ, რასაც თავად ხარმადგენს. ის თავისთვის, ფეხით მიდის და თავის თავად ყოფნის გარდა სხვა არა მოეთხოვება რა. მას ისე ხვდებიან და ისე ეგებებიან, როგორც სულის დიქტატორი მოითხოვს. თუკი ეს დიადი სულია, მას იქვე, შარაზე, დაუჩინებენ“.

დემოკრატიული თანასწორობის ქინძისთავი უშლიდა ხელს სულთა დინებას ლია შარაზე და ლორენსი კვლავ და კვლავ დაუბეჯითებდა მკითხველს ლვთით ნაბოძები უთანასწორობის აღარებას. და რევოლუციურ იდეალს რომ დაუპირისპირდებოდა, გუნებაში დაძრახავდა უან-უაკ რუსის რობესპიერისა და მმათა მისთა წაქეზებისათვის ფუჭ და ამაო იდეალთა აღსასრულებლად.

ისე ჰენრი ტოროსაც რომ მწარედ გაჰქრავს კბილს („... მან თავისი მკვიდრი მიდამო თითქოსდა შემოსაზღვრა, გამოაცალეკევა და გამადიდებელი შუშის ქვეშ მოაქცია შესასწავლად. მან ლამის ანატომიურ დანანევრებამდე დაიყვანა ბუნებით ტკბობა“), უთუოდ იმიტომ, ამერიკელ მწერალს რუსოს მიმდევრად რომ მიაჩნდა

თავი და პირველყოფილებასთან დაბრუნებით ლამობდა რუსოს იდეათა გადმონერგვას ახალი დროის სინამდვილეში.

ლვთისაგან ნაბოძები ბუნებრივი სიმაღლე და სიმდაბლეო...

ყველა ადამიანი თანასწორია, – იქადოდნენ ბასტილის დამხობით გულმოცემული ფრანგები და დაუნდობლად ულეტდნენ, ვინც სხვაზე აღმატებული მოეჩვენებოდათ; და სამუდამოდ ამოშლილი ეგონათ კაცობრიობის მეხსიერებიდან ის შეხედულება, რაც ათასგვარად განმეორებულიყო, ჩვენთვის კი, რუსთველურ ენაზე, ასე გამოითქმოდა: კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძევს კაცით კაცამდისო.

მაცდური გახლდათ, ძალიან მაცდური და ბრჭყვიალებით დაშვენებული თანასწორობის იდეალი, ერთხანს ილია ჭავჭავაძესაც რომ აღიტაცებდა, ვიდრე გარეგნული ელვარების მიღმა დიდსა და სპეციალისტი საშიშროებას არ დალანდავდა, მცირეოცხოვანი ქვეყნებისათვის მაინც განსაკუთრებით სახითათვის, და წამიერ აყოლიებას საკუთარი სისხლით გამოისყიდდა.

ლუარსაპ თატეარიძეს წამითაც ვერ აცოუნებდა საიდანდაც შემოქრილი ფანტომის მოჩვენებითი ხიბლი.

დიდი და პატარაობა სად არ არის? – დაარიგებდა მოურავს, – აი, თუნდ თითებზედ დაიხედე: ერთი დიდია, მეორე პატარა. რისთვის? ამისთვის, რომ ლმერთს ეგრეგორენია, დიდი და პატარაობა ყველგან უნდა იყოს. აბა, დაიხედე!

განა არ დამიხედინა, შენი ჭირომ! დიდი არის, პატარაც, მაგრამ, დაილოცა ლვთის სამართალი, ისე გაუჩენია, რომ ერთმანეთს არ უშლიანო, – მიუგებდა ცბიერი მოურავი და გულში შენატრებდა იმ დღეს, როდესაც რევოლუციის ტალღა საქართველოსაც მოაწყდებოდა.

გულუბრყვილო ლუარსაბი მის სიცბიერეს ვერ ამოიცნობდა და კვერის დაკვრით გახარებული თავისას იმეორებდა:

– მაშ! ყველგან არის დიდი და პატარაცა, ეხლა როგორ იქნება, რომ ჩვენში არ იყოს. ან რა დასაჯერია?

ნეტა ღდესმე რუსოც თუ დაჰყურებდა თავის თითებს ამ თვალით?

ლორენსი უთუოდ დაჰყურებდა და ვერც დემოკრატია წარმოედგინა ლვთისგან ნაბოძები უთანასწორობის გარეშე, დაე თავისულებ ედინათ სულებს ლია გზაზე, და ადამიანებს მხოლოდ ის მართებდათ, ანგარიში გაენიათ სულის უღრმესი მოძრაობებისათვის, იქნებოდა ეს სიყვარული, სიძულვილი, თანაგრძობა, უკმაყოფილება თუ გულგრილობა.

საითაც წაგივანთ, იქ უნდა გაჰყვეთო, ურჩევდა ადამიანებს „ესეების“ შემოქმედი უიტმენის კვალად, რადგანაც თქვენი ფეხები, ბაგე და სხეული თქვენივე სულია. მას დამორჩილდითო.

თუ არადა, ყოფილიყავი სამუდამოდ მიბნეული სხეულზე ქინძისთავით და პეპელასავით გეთრთოლა და საცოდავად გეკლაკნა.

ფრენსის ოტო მატისენი თავისი ვეება მონოგრაფიით „ამერიკული რენესანსი“ სულ სხვა სურათს ქმნიდა XIX საუკუნის ამერიკული კლასიკური მწერლობისა. უმთავრესად იმავე სახელებს დაეყრდნობოდა, რასაც ლორენსი,

ოლონდ პირწმინდად ლიტერატურისმცოდნის მზერითა და ანალიტიზმით გაიაზრებდა მხატვრული გენის იმ მიღწევებს, არც ევროპული გავლენის გამორჩებოდა, არც თვითმყოფადობის ნაკადი თუ უკვე აქედან დაძრული ტალღა ევროპულ მხატვრულ აზროვნებასა თუ ცხოვრების წესზე გავლენის მოსახდენად.

იმას რა ენაღვლებოდა, თითქოსდა საიმედოდ გამაგრებული კედელი თუ გამოხროდა ევროპას და სისხლის-განაც თანდათან იწრიტებოდა. დამარცხდებოდა ევროპა ამ შეურიგებელ ჭიდილში? ვაი დამარცხებულსო, ოდესაც ესეც ეთქვათ რომაელებს და ეს სენტიცია გახსნილ იარასავით გამოჰყებოდა კაცობრიობის ცხოვრებას, ათასგარად ამღელვარებულს, ღმერთსაც რომ მიაკარგავდნენ სადაც და მის ნაბოძებ უთანასწორობის იდეალსაც, და თუ ამ მძაფრ ტკივილებზე ფრიდრიჩ ნიცშე, ნაცვლად ჩურჩულისა, მთელი ხმითა და განცდით იყვირებდა, დეივიდ ლორენსიც მას მიბაძავდა, როდესაც სულის სილრმიდან, იმ გაუვალი, უდაბური ტყიდან, შეუცოვარი კივილი აღმოხდებოდა განნირულების დასაოკებლად:

აიწყვიტე ევროპავ, აიწყვიტე და კუთვნილი დაიბრუნე!

\* \* \*

და კვლავინდებურად დიან სულები ლია გზაზე, ვიდრე უმეტესობა დემოკრატიის ქინძისთავით მიებნეოდეს სხეულს და პეპელასავით დაინტებდეს თრთოლასა და კლაკვნას.

ლორენსს კი ეამაყებოდა, რომ სწორედ მან აიყვნა ხელში ამერიკის ნაშიერი – ჩვრებში გახვეული ჭეშმარიტება, მოუვლელობით გამხდარი და დაუძლურებული. ჩვრებში კი იმ იმედით გაეხვიათ, დანწულ კიდობანში ჩაეწვინათ და ლელიანში დაემალათ, ოდესმე ეგვიპტელი ფარაონის ასული მოვა ბავშვის გადასარჩენად.

ნაცვლად ფარაონის ასულისა, სწორედ ლორენსი გამოცხადებოდა ჩვრებში გახვეულ ჭეშმარიტებას მხსნელად, თუმც ვერც ევროპის დაწრეტას შეეგუებოდა სისხლისაგან და ძველ ფასეულობათა რღვევისას დაუნდობლად გააშიშვლებდა ყველა იმ სიახლეს, რაც ძველის ადგილს ეპოტინებოდა, გააშიშვლებდა სიმართლისა და მაცუდურების დასაცალევებლად, რათა ქინძისთავზე პეპელასებურ თრთოლასა და კლაკვნას თავისი სახელი დარქმეოდა და არა მოჩვენებითობაში აზელილი. და ქინძისთავის ამოძრობას მითუფრო მოგანდომებდა – თანაცრაც შეიძლება დროულად.

სულებს კი ედინათ ლია გზაზე.

## ვიპრეზი

### გივი ალხაზიშვილი

## შთაგეზდილებათა ნაკვალევი

### „პარის საფლავი“

გასული საუკუნის სამოციან წლებში მანდელშტამის ლექსებს საბეჭდ მანქანაზე ბეჭდავდნენ და ისე ავრცელებდნენ. ეგრეთ წოდებული „ოთეონის“-ი მის შემოქმედებას ნაწილობრივ შექმნა და 1973 წელს „პოეტის ბიბლიოთეკის“ სერიით მანდელშტამის ლექსების წიგნი გამოიცა 15 000-იანი ტირაჟით.

მანამდე, პეტერბურგიდან (მაშინდელი ლენინგრადი-დან), ან განსვენებულმა პოეტმა დალი ცაავამ მანდელშტამის ის ლექსები ჩამოიტანა თბილისში (მანქანაზე გადაბეჭდილი), ჩვენთვის საერთოდ რომ არ იყო ცნობილი და, გასაგები მიზეზების გამო, საბჭოთა ცენზურა მათ გამოქვეყნებას კრძალავდა.

2006 წელს ზაზა შათირიშვილმა მაჩუქა ოსიპ მანდელშტამის რჩეული – შემდგენელი, წინასიტყვაობისა და შენიშვნების ავტორი ნერლერია. ეს წიგნი 1989 წელსაა გამოცემული და უფრო თამამი და სრულია წინარე გამოცემებთან შედარებით.

ოსიპ მანდელშტამის შემოქმედება თავდაპირველად შალვა ალხაზიშვილმა გამაცნო. მთხოვდა, მეთარგმნა

ცნობილი ლექსი თბილისზე – „Мне Тифлис горбатый снится...“ მაშინ ყმაწვილი ვიყავი და ეს „Тифлис горбатый“ ავითვალნუნე, ერთ-ერთ ვერსიად განვიხილავდი „მთაწმინდაინი თბილისის“ ვარიანტს, მაგრამ არც ეს დამიჯდა ჭკუაში და ამ ლექსის თარგმნა გადავიფიქრე.

2006 წელს ხელახლა და გულდასმით წავიკითხე ნერლერისეული რჩეული და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი მანდელშტამის პოეზიის გენიალობაში.

ჯერ კიდევ 1915 წელს მანდელშტამი ერთ-ერთ მოხსენებაში წინასწარმეტყველურად აღნიშნავდა: მხატვრისთვის სიყვდილი, შესაძლოა, მისი უმთავრესი შემოქმედებითი აქტია. ნერლერი წერს (და არამარტო ის), რომ მანდელშტამის გარემე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მეოცე საუკუნის რუსული პოეზია, საერთოდ რუსული პოეზია.

მანდელშტამი 1939 წელს გარდაიცვალა საბჭოურ საკონცენტრაციო ბანაკში, ვტარაია რეჩეკაში, ვლადიგოსტრიკის მახლობლად.

საოცარია პოეტის მეუღლის ნადეუდა მანდელშტამის და საერთოდ მისი მეგობრების, განსაკუთრებით კი ნატალია შტემპელის თავდადება, გადაერჩინათ პოეტის მემკვიდრეობა. ბოლო პერიოდის ლექსები მათ მეხსიერებაში ჩაბეჭდილიყო და ხელნაწერები კი ალარ არსებობდა. ასე გადაურჩა განადგურებას მანდელშტამის მრავალი ლექსი უახლოეს ადამიანთა ხსოვნის ფურცლებზე აბეჭდილი. ხსოვნა კი, მოგეხსენებათ, ოფიციალური ცენზურისთვის საბედნიეროდ ხელმიუწვდომელი იყო.

თქვენს ყურადღებას შევაჩირებ ოსიპ მანდელშტამის ერთ ლექსზე – „ლექსი უცნობ ჯარისკაცზე“, რომელიც

დაიწერა 1937 წლის ოქტომბერი - მარტში. ჩემამდე სხვაც შეამჩნევდა ერთ საინტერესო გარემოებას, კერძოდ იმას, რომ მანდელშტამის ამ ლექსში რამდენიმეჯერ მეორდება მეტად უცნაური მეტაფორა - „გათეუშოაჯ ნედიმა“.

### Как мне с этой воздушной могилой Без руля и крыла совладать...

### Как супулого учит могила И воздушная яма влечёт.

ეს ლექსი მრავალპლანინია, მრავალ დინებათა და შენაკადთა მთლიანობაა და საკმაოდ რთულია. მაგრამ „воздушная могила“ სრულიად ლოგიკურად მახსენებს ცელანის (პაულ ლეო ანჩელის) უცნობილეს ლექსს - „სიკვდილის ფუგაში“, მის პირველ წიგნში რომ დაიბეჭდა და 1948 წელს ვენაში გამოიცა.

**პაერში ვითხრით საფლავებს ჩვენსას.  
იქ ადგილი ყველას ეყოფა...**

**ღრუბლებში თქვენი საფლავებია.  
იქ ადგილი ყველას ეყოფა...**

**ის ჩვენ საფლავებს გვჩუქნის პაერში.....  
(ზეიად რატიანის თარგმანი)**

ცნობილია, რომ ცელანი აქტიურად თარგმნიდა რუს პოეტებს - ალექსანდრე ბლოკს, სერგეი ესენინს, ოსიპ მანდელშტამს და ა.შ. სავარაუდოა, მას ნაკითხული ჰქონდა და მანდელშტამის „ლექსი უცნობ ჯარისკაცზე“.

„სიკვდილის ფუგაში“ პაერის საფლავი“ სრულ მეტა-მორფოზას განიცდის, იგი არც ალუზიაა და არც რემინის-ცენტია - უფრო ინტერპრეტაციაა, ციტაციაა, ასე რომ აძლიერებს იმ საშინელ განცდას, რასაც ცელანი „სიკვდილის ფუგაში“ გადმოგვცემს და მანდელშტამის „პაერის საფლავი“ განსხვავებულ დატვირთვას იძენს.

სხვაგვარადაც შეიძლება დავასკვნათ: შესაძლოა, მსოფლიო ისტორია რამდენიმე მეტაფორის სხვადას-ვაგვარი ინტერპრეტაციით წარმოთქმის ისტორიაა (ბორხესი).

### შეივარებულთა ლაშები

არ გათენდება სოვლის ღამე,  
ღამებნელობა კი არი...  
მთქმელო, ვერ ამსრულებელო,  
რაღა შენ სიცოცხლე არი!?

ხვარამზეს „ღამებნელობა“, გაუთენდებელი ღამის დაუსაბამობა აწუხებს და ამოიკვნესებს კიდეც ღამის მტეხველი:

ნეტავი ვაჟად მაქცია,  
ქალი არა მქნა თმიანი...

არც ამ ნატვრას იმყოფინებს, სულ რაიმედ თუ რასმედ ცევას მოისურვილებს. სიყვარულით აღსავსე მისი ლექსებიც ხომ გაბმული ნატვრაა: „ნეტავი ფრინვლად მაქცია...“, „ვერცხლის თასადამც მაქცია“, „ანა მქნა ვერცხლის სათითე“ და ასე შემდეგ.

თუ ხვარამზე სოვლის „ღამებნელობას“ წუხს, მურმანის სადარდელი ისაა, რომ ღამე მაღე არ გათენდეს: - „ამაღამდელო ღამეო, ნუ გათენდები მაღეო.“ ხვარამზეს საწადლი აუსრულებელია და „ღამებნელობა“ ტანჯავს, მურმანს კი გათენდება აშოთოებს, ცალმხრივ, არასრულ სიყვარულზეც თანახმაა, თუმცა იცის, რომ ეთერის გული აბესალომს ეკუთვნის.

რომეოსა და ჯულიეტას უშლევეს სიყვარულს სხვა ხიფათი ემუქრება, ამიტომაცაა, რომ გათენების ეშინია ორივეს. ჯულიეტა დარჩენას სოხვეს გულის სწორს და აიმედებს: „ჯერ ადრეა, ჯერ ხომ შორსაა. ეს ბულბულია, ტოროლის ხმა ნუკი გგონია.“ „ტოროლა იყო, გამთენის მაუწყებელი“, პასუხობს რომეო.

დიახ, ტოროლა იყო. საცაა ინათებს და ჯულიეტას სხვა არა დარჩენია, თავის გულისწყორმა ტოროლას დაატეხოს თავს, მხოლოდ იმის გამო, რომ ტოროლას ხმა გათენების მაუწყებელია:

ო, არა, არა, გაეშურე! უკვე გათენდა!  
ეს ტოროლა, შემაზრზენად რომ ჭყივის ასე,  
უსიამოვნოდ, უხმატკბილოდ, შემაღონებლად.  
ზოგს საამურად ეჩვენება მისი სიმღერა,  
მაგრამ ცდებიან - სწორედ ეს ხმა გვაშორებს  
ერთურთს.

(ვახტანგ ჭელიძის თარგმანი)

გულში ჩამწვდომია ჯულიეტას სიტყვები: „დღე შემოუშვი, მაშ სარკმელო, სული გაუშვი...“, „ყოველდღიურად, ყოველ საათში მომაწვდინე შენი ამბავი. ჩემთვის კი წუთში ბევრი დღეა. ამ ანგარიშით მე დავბერდები, კელავ რომეოს ვიდრე ვნახავდე.“

ჭემარიტი სიყვარული უმაღლესი გულწრფელობითა და ნაივურობით, თავგანწირვით გამოირჩევა და პოეზიითა გამსჭვალული.

სამი სიყვარულის ამბავი გავიხსენე. სამივე მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან და თავისებურად ტრაგიკულია.

თუმცა არსებობს ფოთოლათ მერცხალას „სიყვარულიც“, უფრო სწორად, ვნებიანი სურვილი, რომელიც ეროტიკითა და ბაქტერი ექსტაზითა გაჯერებული [როსტომ ჩეხიძე - „ისიც - ფრთოსნად ცისა“ (მერცხალას პოეტური საგზალი), „ჩვენი მნერლობა“, 23, 2006]. მერცხალა სკაბრეზის დიდოსტატია, არც თუ იშვიათად მისი ლექსი წმინდანწყლის პაროდიაა, გადაკრული სიტყვაა, ღიმილის მომგვრელი ირონიაა, ყოფითა ამბების გაპამბულებაა, დიონისური თავდავიწყების ხალისიანი სურათებია. აქ ყველას და ყველაფერს ეროსი მართავს. ნაკლებად მაინტერესებს, ეს ეროტიკულობა ნამდვილია თუ მოგონილი, მართლა იყო თუ მერცხალას ფანტაზიის ნაყოფია. მთავარია, რომ მერცხალას ნათქვამი ყველაზე ახდენს ზეგავლენას, მეტადრე მათზე, ცისაც სჯერა, რომ

„გონებით ღმერთის სჯულის მონაა, ხოლო სხეულით – ცოდვის კანონის.“

მერცხალას სიკვიმატე, ენამოსწრებულობა, ოცნების სინამდვილედ წარმოსახვა ყველა საზღვარს სცდება:

ფოთოლათ მერცხალაი ვარ,  
მთქმელი ოხერი სიტყვისა,  
ქალ კი უმისოდ ვერ გაძლებს,  
მგელ კი გაიძლებს შიმშილსა.

სხვაა ხგარამზეს, მურმანის, აბესალომისა და ეთერის, რომეოსა და ჯულიეტას სიყვარული, სხვაა ფოთოლათ მერცხალას სკაპრეზული ხილვები: „ოცნება ოცნებად და ცაბაურთა ბეწნას ქალს რომ შეფრთხინვდა შორიდან, საიმედოს ვერც აյ ჰპოვებდა ვერას... მაგრამ მერცხალას ფიქრი სულ სხვაგან გადაიხრებოდა და დაუკებელ სურვილს ლექსს გაანდობდა“ (როსტომ ჩხეიძე):

მაგასთანამც დამაწვინა,  
სუ ლამე ქნა ერთ კვირასა!

მერცხალასგან არაფერია გასაკვირი. იქეიფა სადღაც, ყველა წავიდ-წამოვიდა, დარჩა მერცხალა დედაბრის სახლში ლამის გასათვევად, იფიქრა, იფიქრა და ასეთმა სტრიქონებმა გაუკლოვა თავში ნაბაძუსეკა:

დიდება შენდა უფალო,  
მერცხალა დარჩა უქალო,  
ხან ისეთა გულ მამილის,  
ებებურ ნამაჯანო.

სხვაგანაც, სხვა მელექსე, გულის სწორთან სწრაფად გარბენილ ოამისთვის ნანობს:

მეცხვარის ცოლსა მივუწექ,  
აუქან-ჩამოუქანდი,  
მალე გათენდა, ტიალი,  
თორო ვიკა. რასაცა უძამდი.

კიდევ რას აპირებდა ეს მამაცხონებული, კაცმა არ იცის. ქადილი ყოველთვის ჰიპერბოლურია, ალბათ, ამ ლაქსშია.

არ წამოვინებულ საუბარს „ეროვნისა“ და „აგაპეტ“ თემაზე. ეს საკმაოდ რთული საკითხია და ეროვნის რომ იქცეს აგაპეტ, სამისო რეცეპტი არ არსებობს, ამგვარ ზრდას მხოლოდ რნმენა განაპირობებს.

არც ნათქვამი და არც ბეჭდური სიტყვა არ იკარგება თუ გულსა და გონებაში ჩაითესა, წუთისოფელი კი ვიდრე იარსებებს, შეყვარებულებს ღამები უცრად შემოათხოვდებათ ან გაუმხელელი სიყვარულის შემნახველის „ამაბინილობის“ აგანხეხა მოუწევთ.

გოგოლაურმა, ურედაქტორა და მამის გარდაცვალების შემდეგ გამოსცა მისმა ქალიშვილმა თამილა გოგოლაურ-მა.

ამ პატარა კრებულს თავის კონსულტანტიც ჰყავს – დავით მჭედლური. მან ხომ შესანიშნავად იკოდა ფშავური ზეპირსიტყვიერება. ფოთოლათ მერცხალას არაერთი ლექსი, როგორც წიგნში ჩართული შენიშვნებიდან ირკვევა, დავით მჭედლურს ჩაუწერია.

„ცნობადი სახელი“

ხშირად გაიგონებთ ტელევიზიით ასეთ სიტყვათ-წყობას. ალბათ გულისხმობები ცნობილ ადამიანებს ან იქნება მოღვაწეებს. თუმცა, სიმართლე გითხრათ, „ცნობა-დი სახეები“ ზუსტად გამოხატავს იმ ადამიანთა საზოგა-დოებრივ მდგომარეობას, რომელსაც განეკუთვნებიან. მთავარია, რომ სახითა ხარ „ცნობადი“ და არა საქმით. ერთ-ერთი ცნობადი სახეა რომელიდაც ახალგაზრდა მომღერალი ქალი, ვოკალური მონაცემებითა და მუსიკალური ნიჭით რომ არ გამოირჩევა, მღერის ისე, როგორც ყოველი მესამე ქართველი გოგონა. ასეთივე საშუალო ან სულაც გაუნათლებელი და უნიჭო ადამი-ანების აზრევების ხანა დამდგარა. ჯეობარში მონაწ-ილეობის (თუნდაც „წარუმატებელი“) მონაწილეობის შემდეგ ხომ უყოფანოდ ჩაგრიცხავენ ცნობადი სახეების საში.

მეოცე საუკუნის ბოლო ორმოცწმლეულში არაერთ იდიოზურ პარტიულ მაღალჩინოსანზე მეტად პოპულარული, როგორც ახლა უნდობენ, „ცნობადი სახეები“ იყვნენ თბილისში კიკა და მარინა. განსხვავებით იმათვან, ვინც საზოგადოების რომელიდაც გაპრონჭულ ფენას წარმოადგენდა, არც კიკა და არც მარინა არაფრეს აშავებდნენ, მათი არსებობა ქალაქს უზდებოდა კიდეც, და ეს იმიტომ, რომ იყვნენ ისეთები, როგორებიც სწავლით იყვნენ.

„ცნობაზე და საქებად“ მონათლულნი არ არიან ისეთები, როგორებადაც უნდა თავი მოგვაჩვენონ, სინამდვილეში თავის აბაზრუ კობას მალაზონ.

ცნობადი სახეების ბუტაფრიულობა თვალშისაცმია  
და მათი უმთავრესი დამსახურება ტელეეკრანზე ხშირად  
გამოჩენით, სისულელის ლაქლაქით, უხმო სიმღერით ან  
სრული უვიცობით გამოიჩენა. მაგრამ ეს არაა მთავარი,  
მთავარია, ხშირად ჩანდე ტელეეკრანზე და ე.ი. იყო  
„ცნობადი სახე“.

როგორც ირკვევა, კიდა და მარინა თბილისის კოლორიტში უფრო ბუნებრივად იყვნენ ჩანერილნი, ვიდრე ეს ცრუბოლიტიკოსები, ცრუბომლერლები, ცრუბურნალისტები.

ეს სამწუხაო რეალობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ერთი ბრძენი კაცის ნათქვამს, რომ საზოგადოებრივი აზრი ცნობილი პროსტიტუტია – იგი გარემოებებისა და საჭიროების შიხედვით იცვლის ცნობად სახეებს და ცნობადი სახის დაკარგვის ძემდეგ, რაც გარდუგალია, რჩება უცნობი სიცარიელე, ამაო გულისწყვეტა პოპულარული სახის დაკარგვის გამო.

P.S.

ნიგნი „ფოთოლათ მერცხალაი ვარ“ შეადგინა, ნინა-სიტყვაობა, შენიშვნები და ვარიანტები დაურთოთ ირაკლი

## კაცი, რომელის ნინებიც ათელი ქვეყანა ვალშია

ვეკითხები: – როგორ ხარ ძმაო?  
მექითხება: – როგორ უნდა ვიყო?

მრავალი ბრიყვი მინახავს თავის შესაძლებლობაში თითქოსდა დარწმუნებული და თავალერილი, სინამდვილეში კი შურით შეჭმული და გამოშეგნული. ჟანგისფერ თვალებში ბოროტება უელავს და საკუთარ უძლურებას ცრუ სიამაყითა და მოჩვენებითი ქედმაღლობით ნიღბავს. შემბრალებია და კეთილი სიტყვა მითქვამს, მას კი მაღლიდან დაუხედავს ჩემთვის, ისე მაღლიდან, საიდანაც არაფერი მოჩანს საკუთარი ფიტულის მეტი, საყრდენი რომ გამოცლია და სადაცაა თვალწინ ჩაიფრენება, თავისივე ღვარძლიან თვალებში ჩაინთქმევა, რათა ხელახლა წამოიმართოს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყალბი სიტყვებით საკუთარ დანანერებულ უძლურებას შეაკონინებს, რათა კიდევ ერთხელ გადმოიხედოს ზევიდან და ამით დაიკმაყოფილოს პატივმოყვარეობა, ანუ კონკრეტული სიცარიელე.

სისინი შემომესმა. ეს შურით აღვსილი გულის ხმა იყო, კბილებიდან რომ გამოსცრიდა – მისივე ხორზი იქცა მკვდრადშობილ სიტყვათა საფლავად (ფსალმუნური ალუზია).

მისი ხმის ტემბრი, მკვდარი სიტყვების სიცივით ავსილი, იმ შურის ექვს შერწყმოდა, თანდათანობით რომ შთანთქა ეს საბრალო, გაბლენილი არსება.

– დავთის შეწევნით უკეთ ვიქნებით.  
– უკეთესობა არ არსებობს. ჭეშმარიტება სხვა რამეს ქადაგებს!

– მაინც რას?!

– თვითონ უნდა მიხვდე. ცხოვრება მიგახვედრებს!

იგი რწმენაზე მაღლა იდგა. თვითონ იქცა უმაღლეს ინსტანციად, ანუ საკუთარი თავის კერპად. თუ რამეს ამბობდა უკიდურესად თვითდაჯერებული ტონით, მის ნათქვამს და ჭეშმარიტებას შორის ტოლობის ნიშანი თვითონვე დასვა. განდიდების მანით შეპყრობილი, ანუ არაჩეულებრივი ბრიყვი – ფრიად საშიში კაცია, ვიდრე ნებისმიერი სულელი, რადგან მისი გული ბოროტებისა და შურის წვენში ისე მოხარშულა, რომ აღარც კი უცემს და თუკი უცემს, როგორც საათის მექანიზმი, მექანიურად, მხოლოდ პირობით დროს რომ ითვლის. მისი თვალებიც გულგრილად, ძლიერ ირეკლავენ ყველაფერს იმ გუბესავით, რომლის ფსკერზეც მღვრიე წყალი და შლამილა დარჩა და ისიც, სადაცაა, ამოშება.

მებრალება, მაგრამ როგორ ვუშველი?!

## ნაყიდიც და ნაჩუქარიც

დიდი ფილოსოფოსისა და პეტის ვლადიმირ სოლოვიოვის ლექსების კრებული 1974 წელს გამოსცა „სოვეტსკი პისატელის“ ლენინგრადის განყოფილებამ. სატიტულო გვერდზე მითითებულია – ბოლშა სერია.

Второе издание. Ам Сеरнот (Библиотека поэта) арა ერთი მნიშვნელოვანი წიგნი დაიბეჭდა, თუმცა სოლოვიოვის ტირაჟი 15 000-ია. ასეთივე ტირაჟით გამოიცა ოსიპ მენდელშტამი. იმ დროისათვის ეს მეტად მცირე ტირაჟი იყო და მხოლოდ ერთეულებს მიუწვდებოდათ ხელი.

ამ წიგნის გამოცემასაც კი ვერ შევიტყობდი, მეტადრე იმას, თუ ოდესმე ეს წიგნი ჩემს ბიბლიოთეკაში დაიდებდა ბინას და თუ რამდენიმე თეული ლექსის თარგმნას საკმაო დროს მოვანდომებდი, რომ არა ერთი კურიოზული შემთხვევა.

იმ დროისთვის უკვე თარგმნილი და ცალკე წიგნად მქონდა გამოცემული ათანას ფეტის ლექსები, ვთარგმნიდი ალექსანდრე ბლოკის ლექსებს. აუსრულებელ ოცნებად დამრჩა ქართულად „გარდამეთქვა“ „სიკვდილის როგვა“ და „სკვითები“. რამდენიმე ვარიანტი ამ ლექსების თარგმანისა დღემდე უგზოუკვლოდაა ჩაკარგული ჩემს არქივში. „სკვითების“ ეპიგრაფად ბლოკეს ვლადიმირ სოლოვოვის საპროგრამო ლექსიდან („პანმონგოლიზმი“) აურჩევია შემდეგი სტრიქონები: „Панмонголизм! хотят слово дико, но мне ласкает слух оно“ და ეპაექრება ვლადიმირ სოლოვიოვს, რომელიც თავის ლექსს ასე ამთავრებს:

**დანგრეულია მესამე რომი,  
ხოლო მეოთხე, აღარ იქნება.**

რუსეთისათვის სახითათვა და დამანგრეველს უწოდებს „პანმონგოლიზმის“ ავტორი ამ იდეას, ალექსანდრე ბლოკი კი ესარჩევება, იცავს და მკვეთრად უპირისპირდება სოლოვიოვის მართებულ მოსაზრებას.

ერთმა მამისტოლა პოეტმა ეს წიგნი 1974 წელს მაჩუქა: შენ გამოგადგება, რაკი რუსულ პოეზიას თარგმნი, მე ისედაც არ მომწონსო. წიგნის ფორზაცზეც ნამინერა: „პოეტსა და მეგობარს სიყვარულით“ – და ცოტა ხნის უხერხეული პაზუზის შემდეგ, ფული გადამიხადეო, ხმადაბლა მაუწყა. – რამდენი? გავიკოვება ვერ დაგმალე. ფასი ზედ ანერია, დაამრგვალე და ეგ არიო. დავხედე წიგნს, გავიცდი. 94 კაპიკი ლირდა. რამდენად დავამრგვალო?! ჩავაცივდი. – იყოს სამი მანეთი. ისევ გაიღიმა. ჯიბე მოვიქექე, როგორც იქნა შევაკონინე სამი მანეთი და სოლოვიოვის პოეტურ კრებულს დავეპატრონე.

დავყურებ ნაჩუქრობის წარწერას და დღემდე ვერ გავრკევეულვარ, როგორ შეძლო უფროსმა კოლეგამ – ერთდღოულად ეჩუქებინა და მოყიდა კიდეც ჩემთვის წიგნი, რომლის ხელში ჩაგდებასაც ვოცნებობდი...

თავშესაქცევი და თან დამღლელი საქმეა ბაბლიოთეკის დალაგება. ახლა, 33 წლის შემდეგ, მერამდენედ დავყურებ ამ წიგნს და ვპოულობ გამოსავალს, რაზეც ადრე არ მიფიქრია. ალბათ, მამისტოლა პოეტს მაშინ ძალიან სჭირდებოდა სამი მანეთი, მაგრამ ის კი ვერ გამიგია, ნაჩუქრობის წარწერით რატომ „დაამშვენა“ სოლოვიოვის წიგნის ფორზაცი?! თან მაჩუქა, თან მომყიდა.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

# ପ୍ରକାଶନ ପରିଷଦ

1314 ნელს საფრანგეთში კოცონზე დაწვეს ტამპლიერთა ორდენის დიდი მაგისტრი – ჟაკ დე მოლე. ორი წლით ადრე კი პაპმა თავისი დეკრეტით გააუქმა ეს ორდენი. ტამპლიერთა წინააღმდეგ დეკრეტის გაშმაგვებული ინიციატორი იყო საფრანგეთის მეფე – ფილიპე IV (იგი ისტორიაში ცნობილია ფილიპე ლამაზის სახელით). მან თავის ძროზე მოახერხა უზენაესი პონტიფიკასის ტახტზე საკუთარი მარიონეტის – პაპი კლიმენტი V-ის დასმა, რომელმაც აქტიურად მხარი დაუჭირა ამ რეპრესიებს. ამიტომ ფილიპე ლამაზის მიერ დაწყებული სასამართლო პროცესში აიტაცა ინკვიზიციამ და შესაბამისად, ორდენის წევრთა დევნა გავრცელდა მთელი ევროპის მასშტაბით. თუმცა განსაკუთრებით მკაცრი ხასიათი მას სწორედ საფრანგეთში ჰქონდა. ფილიპე IV-ის ეს აგრესია განპირობებული იყო სხვადასხვა მოწივებითი: იგი აღიქვამდა მძლავრი სამხედრო ორგანიზაციის არსებობას საკუთარი ქეყნის ტერიტორიაზე, როგორც რელიურ საფრთხეს მის ხელისუფლებისათვის; მას მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი ორდენის უზარმაზარი სიმდიდრის შესახებ; და ბოლოს ფილიპეს ჰქონდა პიროვნული მძაფრი სიძულევილიც ტამპლიერთა მიშართ. აღსანიშნავად, რომ ორდენის წევრთა დაკაითხვები მიმდინარეობდა საზინელი ზენოლისა და წამების პირობებში. მათ ბრალს სდებდნენ ერეში, ბავშვთა მკვლელობებში, ჰომოსექსუალიზმი და ა.შ. ამ აუტანელი წამების შედეგად ბევრი მათგანის გან მოახერხეს აღიარების მიღება. ისმის კითხვა: ვინ იყვნენ ტამპლიერები და რატომ არიან ისინი დღეს ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესონი?

ტაძრელ რაინდთა ორდენი (სწორედ ამას ნიშანვას ტერ-მინი „ტაპლიერი“) შეიქმნა 1118 წელს. მათ ოფიციალურ მიზანს შეადგენდა იერუსალიმის სამეფოს დაცვა და პილიგრიმების უსაფრთხოების უზრუნველყოფა „ნმინდა მინაზე“. თავიდანვე ორდენის ნებრები იყენებნ საკმაოდ დიდ-გავაროვანი პერსონები: გრაფი ჰუგო შაბაპანელი, მისი ვასალი – ჰუგო დე პეიენი, ნმინდა ბერნარის ბიძა – ანდრე დე მონბარი, ანჟუის ჰერცოგი – ფულკ ნერა და ა.შ. სწორედ ჰუგო დე პეიენი გახდა პირველი დიდი მაგისტრი. საეკლესიო კრებაზე ტრუაში ორდენმა მიიღო წესდება, რომლის მიხედვითაც ქრისტიანული ისტორიაში სრულად ახალი ფენომენი გამოჩნდა: მეომარი-ბერი ანუ ბერი-მეომარი. ორდენი სწრაფად ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა: იზრდებოდა მისი წევრების რაოდენობა, შემოსდიოდა მას დიდი ფულადი და ნატურალური შემონიტულობები. სულ მაღლე ტაპლიერები მრავალ ტერიტორიას ფლობდნენ საფრანგეთში, ინგლისში, შოტლანდიაში, ესპანეთში, პორტუგალი-

აში, იტალიაში, ავსტრიაში, გერმანიასა და კონსტანტინოპოლში. დიდი მაგისტრი თავის პროვინციებში ინშავდა მაგისტრებს და ქმნიდა ფილიალებს, ე.ნ. პრეცეპტორიებს. ორდენის ქალები ფართოვდებოდა მთელი ევროპის მასშტაბით. თუმცა ტაძრებს რაინდებს აქაურ მონარქებთან არა-ერთმნიშვნელოვანი ურთიერთობები ჰქონდათ. ამ მხრივ გამოიჩინეოდა მათი მტკიდრო თანაბრძოლობა და მეგობრობა ინგლისის მეფებთან, მაგალითად, რიჩარდ ლომ-გულთან, რომელსაც ხშირად საპატიო ტამპლიერადაც კი მიიჩნევდნენ. ხოლო მისი ძმის ჯონის (ხანძოკლე პერიოდში ასევე ქვეყნის მეფის) უახლოესი მრჩეველი იყო ინგლისის დიდი მაგისტრი – აიმერიკ დე სენ მარი, სწორედ, რომლის უშუალო შეგონებითაც მან ხელი მოაწერა თავისუფლება-თა დიდ ქარტიას 1215 წელს.

ტაძრელ რაინდთა ორდენის სიძლიერე განპირობებული აღმოჩნდა რამდენიმე ფაქტორით: ა) მათი ბრწყინვალე სამხედრო მომზადებითა და ორგანიზაციით, ბ) პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტოებით, გ) უდიდესი ეკონომიკურ-ფინანსური პოტენციალით. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მათ უზარმაზარი შემოსავლები შემოსდიოდათ არა მხოლოდ თავისი მინებიდან, არამედ აგრეთვე წმინდა ფინანსური და კომერციული საქმიანობიდან. კომპეტენტური სპეციალისტების აზრით, სწორედ, რომ ტამპლიერები აღმოჩნდნენ იტალიური სავაჭრო სახლებისა და თანამედროვე საბანკო საქმის წინამორბედნი. დიახ, ისინი აქტიურად იყვნენ დაკავებულნი, როგორც ვაჭრობით (მაგალითად, შალის ესპორტით), ასევე პროცენტიანი სესხების ანუ კრედიტების გაცემით. ამგვარად, ყოველივე ერთად აღებული განაპირობებდა ორდენის უზარმაზარ გავლენას და მტკიცე პოზიციებს ეკროპულ სამყაროში. ტაძრელ რაინდთა ტრანსნაციონალურმა მოღვაწეობამ, ალბათ, განსაზღვრა მათი ის ინტერნაციონალისტური სულისკვეთება, რაზედაც ხშირად საუბრობენ ხოლმე ისტორიკოსები; ხოლო მათმა სიახლოებმ აღმოსავლურ კულტურებთან, შესაძლებელია, ხელი შეუწყო იმ თავისუფალი (დოგმატური) რელიგიური მრნამსისა და შეხედულებების განვითარებას (მათ შორის, ქრისტიანობის, იუდაიზმის და ისლამის ურთიერთშერიგების იმპულსებს), რაშიც მათ ინკვიზიცია ბრალს სდებდა. 1291 წელს დაეცა ჯვარისნების უკანასკნელი ბასტიონი წმინდა მინაზე – ქალაქი აკრა, რის შედეგადაც დასრულდა იერუსალიმის ქრისტიანული სამეფოს არსებობა. ფაქტობრივად, ტაძრელ რაინდთა ორდენი დარჩა ბაზირების ადგილისა და ფუნქციის გარეშე. თუკი სხვა ორდენები ამ დროისათვის ინარჩუნებდნენ თავიანთ სამოქმედო ასპარეზს (მაგალითად, ჰოსპიტალიერები – მალტაზე, ტევტონებები – ბალტიკში), ტამპლიერები, როგორც უძლიერესნი და გამორჩეულნი მათ შორის, სრულიად ხელმოცარულნი აღმოჩნდნენ. დაიწყო ორდენის დაისი. სწორედ ამ ვითარებით ისარგებლა ფილიპე ლამაზმა, როდესაც შეუდგა ტამპლიერების მასობრივ რეპრესიებს. საბოლოოდ კი, 1312 წელს ბერ-რაინდების ორგანიზაციამ ოფიციალურად არსებობა შეწყვიტა რომის პაპის გადანკვეტილებით.

ტბამპლიერების თემა იმიტომა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო, რამდენადაც ავტორიტეტული მეცნიერული ვერსიების თანახმად, სწორედ ისინი გვევლინებიან მასონობის წინაპრებად. ამ ფრონტების გენეზისში არაერ-

თბა ფაქტორმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი და მათ შორის ტაძრეულ რაინდთა ორდენმაც. ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსების – მაიკლ ბეიჯენტის და რიჩარდ ლის – კლევები ცხადყოფენ, რომ მასონობის წარმოშობა და კავშირებული იყო დევნილი ტამბლიერების ემიგრაციასა და დამკვიდრებასთან შოტლანდიაში, სადაც მათი ტრადიციები გარკვეულნილად მემკვიდრეობითად შემონახულ იქნა ქვისმთლელთა და მმენებელთა გილდიების მიერ. ერთი შეხედვით, შეიძლება გაგვიკვირდეს, თუ რა შუაშია უბრალო ქვისმთლელები და მმენებელები ამ პროცესებთან! მაგრამ ფაქტია, რომ ეს გილდიები განსაკუთრებული პატივით და ყურადღებით სარგებლობდნენ მოტლანდიაში (მემფიზ კი მთელ ბრიტანეთში) და მათ უფროსს (ანუ სიტყვასიტყვით „სამუშაოთა მმართველს“) მეუე ნიშნავდა მე-15 საუკუნიდან მოყოლებული. სწორედ 1441 წელს პირველი სამუშაოთა მმართველი გახდა დიდგვაროვანი სერ უილიამ სინკლერი შოტლანდიის მეფის იაკობ II-ის ხელდასხმით. გილდიების ქსელი სწრაფად ვრცელდებოდა და იქმნებოდა მისი ლოუები სხვადასხვა ქალაქებში. მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა და შარავანდედი განპირობებული იყო იმ ეზოთერული დატვირთვით, რასაც ისინი, თუნდაც მხოლოდ რიტუალურ დონეზე თავის თავში ატარებდნენ და რაც მათ თავიდან ძეთვისებული ჰქონდათ სწორედ რომ მიგრანტი ტაძრელებისგან. ეს ეზოთერიკა კიდევ უფრო მძლავრად შემოვიდა მოტლანდიასა და ინგლისში კონსტანტინოპოლის დაცემის შემდგომ: იქდან დაძრულ ლტოლვილთა ნაკადთან ერთად დასავლეთი ევროპას მოაწყდა ჰერმეტიკოსების, ნეოპლატონიკოსების, გნოსტიკოსების, კაშალის ტექსტები, რამაც დიდი გავლენა მოახდინა თავად რენესანსის აღმოცენებაზე. კონტინენტიდან კი, ცხადია, ყოველივე ამან კუნძულზეც შემოაღწია. ამასთან ერთად 1492 წელს ესპანეთში ფერდინანდისა და იზაბელას მიერ წამოწყებულ სასტიკ იმს ისლამისა და იუდაიზმის წინააღმდეგ შედეგად მოჰყვა ლტოლვილ მუსლიმანთა და ებრაელთა ტალღა აღმოსავლეთისკენ და ჩირდილოეთისკენ, რომლებიც იქ ასევე თავისი ეზოთერული „კაპიტალით“ მიდიოდნენ. ხოლო ლოტარინგიის საპერიოდო კარმა შეასრულა იმ პირდაპირი ხიდის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ეს ახალი იდეები შეეციდა შოტლანდიაში, ვინაიდან სწორედ დე-გზები აღმოჩნდნენ მეთექვსმეტე საუკუნეში ევროპული ეზოთერიკის გულანთებული მფარველები, მარია დე-გზით გახდა შოტლანდიის მეფის იაკობ V-ის მეუღლე, რამაც განაპირობა ლოტარინგიასა და შოტლანდიას შორის მჭიდრო ახლობლობა. დიახ, მოვგაინარებით აღმოცენებული მასონიბის მსოფლმხედველობა და ეფუძნება აი, იმ ახალ „დაფარულ“ ცოდნას, რომელიც ქრისტიანული, იუდაური, ისლამური და ბერძნული ფილოსოფიის თავისებურ ნაზავს ნარმოადგენდა და რომლის ქავაკუთხედიც იყო იდეა ღმერთის, როგორც არქიტექტორისა და ღვთაებრივი გეომეტრიით აგიბულ სამყაროს შესახებ.

და კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მასონობის გენეზისისა გერმანული როზენეროიცერიანელობაა, რომელიც მე-17 საუკუნეში ენერგიულად შემოიჭრა პრიტანეთში (სადაც ინგლისი და შოტლანდია უკვე გაერთიანებული იყვნენ) ერთი მეფის – იაკობ I-ის ხელისუფლების ქვეშ) და აյ იგი ძალზედ ნაყოფიერად შეერწყა ქვისმთლელთა ლოების სისტემას. მაშასადამე, შეიძლება ვთქვათ, რომ მა-

სონობა აღმოცენდა იმ მდიდარ ნიადაგზე, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა, „ინგრედიენტებისგან“ და სახელდობრ, ნარმოადგენდა ტამპლიერთა ტრადიციების, შოტლანდიელ ქვისმთლელთა გილდიების, ეზოთერული ცოდნისა და როზენროიცერიანელიბის უცნაურ სინთეზს.

საკუთრივ პირველი მასონური ორგანიზაციები გაჩნდნენ მე-17 საუკუნეში. სახელდობრ, ყველაზე ძველი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც 1641 წლით თარიღდება, სერ რობერტ მორეი მიღიბულ იქნა ელინბურგის ქელი ლოფის ნევრად. იგი იყო ინგლისის მეფების ჩარლზ პირველის და ჩარლზ მეორის დაახლოებული დიდგვაროვანი და საკმაოდ მაღალი თანამდებობაც ეყავა. მორეის აგრეთვე იცნობდნენ, როგორც ქიმიკოსს, ბრნისივალე მათემატიკოსს და როზენკროიცერიანელთა მგზნებარე დამკველს. ამავე პერიოდში მოღვაწეობდა კიდევ ერთი ცნობილი ინგლისელი მასონი – ელიას აშმოლო, რომლის ხელდასხმაც ასევე დოკუმენტურად არის დამოწმებული. ის აქტიურად ეწეოდა მეცნიერულ, ფილოსოფიურ, ისტორიულ კვლევებს და სერიოზული ავტორიტეტითაც სარგებლობდა. სწორედ რობერტ მორეი და ელიას აშმოლი არიან ინგლისის სამეფო საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელობი.

1717 წელს შეიქმნა ინგლისის დიდი ლოუპა, რაც იყო შედეგი მიმიტანტული მასონური ლოუპების ცენტრალიზაციის ტენდენციისა. მისი იურისადიქციის ქვეშ მოქცეულია სამი ხარისხი: მონაფე, შეგირდი და ოსტატი. თუმცა არსებობს დამატებითი უფრო მაღალი „გრადუსებიც“, რომლებსაც თავიდან ტრადიციულად სხვა ლოუპები განკარგავდნენ, როგორიც იყო, მაგალითად, სამეფო თალის დიდი კაპიტული და ა.შ. რაც შექება საფრანგეთს, აქ მასონობრი შემოაღწია ემიგრირებულ იაკობიტებთან ერთად (ლაპარაკია ინგლისის დამარცხებული და განდევნილი კათოლიკე მეფის – იაკობ II-ის მომხრეებზე). მასონური ორგანიზაციების ქსელმა ამ ქვეყანაშიც სწრაფად დაიწყო გავრცელება და საბოლოო ჯამში, მე-18 საუკუნის ოციან ნლებში ჩამოყალიბდა (კინტრალური ლოუპა – დიდი ალმოსაკლეიტი).

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ ამ ისტორიულ ექსურსს, ვინაიდან მოცემული სტატიის ამოცანას არ შეადგენს მასონობის ფერმენტის ფართო და დეტალური განხილვა. ეს ზოგადი, მაგრამ ობიექტური მიმოხილვა მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული სწორი დასკვნებისა და შეფასებების გაკეთებას. თუკი გავაგრძელებთ საუბრის თემას, აღვნიშნავთ შემდეგს: რაღაც ისტორიულ ეტაპზე მასონობა, მართლაცდა, ჩამოყალიბები იმ დიდ, ქმედით და ორგანიზებულ ძალად, რომელმაც მეტ-ნაკლებად განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცესები მსოფლიო არენაზე. ინგლოსში მან ძალზედ შეუწყო ხელი ლიქერალური პოლიტიკური გარემოსა და სოციალურად მობილური საზოგადოების ჩამოყალიბებას; სერიოზული გავლენა იქონია საფრანგეთში აპსოლუტიზმის საწინააღმდეგო და განმანათლებლობის იდეების გავრცელებაზე (თუმცა, სამნეუსარიდ, ყოველივე ეს რევოლუციის ტრაგიკულ შედეგებში გადაიზარდა); უზარმაზარი როლი ითამაშა იტალიის გაერთიანებაში; საკმაო წვლილი შეიტანა ისეთ დიდ მოვლენაში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატების დამკვიდრება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და კიდევ მრავალ სხვა პროცესზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ. მასონები იყვნენ ვოლტერი, მონტესკიე, ლაფაიეტი, დანტონი, ტალეირონი, ნელსონი, ვე-

ლინგტონი, ვალტერ სკოტი, კიბლინგი, გოეთე, ბლიუხერი, კუზუზოვი, პუშკინი, ბოლივარი, ხუარესი, გაშინგტონი, რუზველტი და სხვა ბუმბერაზი პიროვნებები. მასონები ქადაგებდნენ ადამიანის უფლებებს, თანასწორობას, ერთა შორის დაახლოებას, რელიგიურ შემწყნარებლობას და რაც მთავარია, მათი აქტივობის შედეგად ამ იდეებმა მოიპოვეს უდიდესი ეფექტი და ზეგავლენა. დიას, ჩვენთვის შეიძლება მიუღებელი იყოს მათი რელიგიურ-ფილისოფური შეხედულები მართლმადიდებლური სარწმუნოების თვალსაზრისიდან, მაგრამ ამჟამად ეს არ შეადგენს ჩვენი შეფასების საგანს. საუბარია მასონების როლზე გარკვეულ ისტორიულ პროცესებში და ამ მხრივ ისნი, უთუოდ, მნიშვნელოვან პროგრესს ემსახურებოდნენ დასავლეთის კათოლიკურ-პროტესტანტულ სამყაროში. დიას, როდესაც ევროპაში ბატონობდა პოლიტიკური ტირანია, ინკიზიცია, კონფესიათა შორის სასტიკი ანგარიშსწორება და მრავალწლიანი გამაჩრინაგებელი ომები, აი, სწორედ მამინ მასონები ამვიდრებდნენ ლიბერალიზმის, ტოლერანტობის და ერთაშორის ძმობის იდეებს. ცხადია, ეს პროგრესული მოვლენა იყო იმ პერიოდში და ჩვენ გვმართებას შეფასებები გავაკეთოთ ყოველგვარი ემოციებისა და წინასწარი განწყობის გარეშე. მაგრამ ფაქტია, რომ ისტორია ერთ ადგილზე ვერ ჩერდება. ისტორია სიცოცხლის სფეროა და ამიტომ იგი (ბერგსონისეული ტერმინოლოგიით) მუდმივ შემოქმედებით ევოლუციას საჭიროებს. მას სჭირდება ახალი მამოძრავებელი იდეები. რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია ის ფუნდამენტი, რომელიც უკვე მოვიპოვეთ ლიბერალური დემოკრატიის სახით და მისი დაკარგვა ყოვლად დაუშვებელია. მისი მოშლა და დაკარგვა დასავლური ცივილიზაციის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. მაგრამ ვდგავართ რა ამ ფუნდამენტზე, ჩვენ ისევ წინ ვიხედებით. რა შეიძლება იყოს ეს ახალი მამოძრავებელი იდეები? რამ შეიძლება დიდი განახლების სული შთაბეროს ევროპულ სამყაროს? კითხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვისაც, ე.ი. ქართველებისთვის, ვინაიდან საკუთარ

ქვეყანას ამ სამყაროს ნაწილად აღვიქვამთ. ცხადია, ჯერჯერობით მასზე ზუსტი პასუხის გაცემა არარეალურია. ჩვენ მხოლოდ ბურუსში დავლანდავთ მომავლის ტრანსფორმაციებს და შესაბამისად, პასუხიც მხოლოდ ვარაუდის ხასიათს შეიძლება ატარებდეს. თანაც ამ საკითხის ანალიზი მოცემული სტატიის ამოცანებში არ შედის. ჩვენ უბრალოდ გვსურს გავაკეთოთ ზოგადი მინიშნებები და აღვნიშნოთ შემდეგი: ალბათ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის „ახალი“, მაგრამ „ძველი“ იდეები, რომლებიც მთელი მეოცე საუკუნის გენიალურ მოაზროვნებს ასაზრდოვებდა: სახელ-დობრ, იდეა რელიგიის როლის გაძლიერების შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაზეც ლაპარაკობს შესანიშნავი პოსტმოდერნისტი გერმანელი ფილოსოფოსი პეტერ კოზლოვსკი. ანუ ეს გულისხმობს ევროპელი ერებისათვის ისტორიულად პრიორიტეტული რელიგიური ინსტიტუტების მნიშვნელობის და ფუნქციის ზრდას. და განა ჩვენც არ ვგრძნობთ უტყუარი ინტუიციით, რომ დიდი ცვლილებები ქართველი ერის ცხოვრებაში დაკავშირებული იქნება, სწორედ, მართლმადიდებლური ეკლესის როლის აღორძინებასთან?! ალბათ, მხედველობაში უნდა გვქონდეს აგრეთვე უალრესად აქტუალური იდეა ეროვნული სასიცოცხლო პოტენციალის (რაც მის დემოგრაფიაშიც ვლინდება), ფასეულობების და ცნობიერების აღზევებაში, რის შესახებაც საოცარი დრამატიზმით გველაპარაკება ამერიკელი ფილოსოფოსი პატრიკ ბიუკენენი; და კიდევ სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის იდეები ტრიალებენ ჩვენს დამუხტულ ატმოსფეროში. საქმე ისაა, შეიძენ თუ არა ისინი ქმედით ძალას, როგორც ეს მასონურმა იდეებმა შეიძინეს! შეძლებენ თუ არა ისინი გარდაუვალი პროცესების და გარდატეხების ინიციორებას? დაინტერესობთ თუ არა დიდი განახლება ევროპული ცივილიზაციის? დიას, ყველაფერი ჯერ მაინც კითხვების დონეზე რჩება, მაგრამ ჩვენ მაინც თითქოსდა ვხედავთ მომავალი ტრანსფორმაციების ბუნდოვან კონტურებს. ვნახოთ, დრო გვაჩვენებს, თუ საით მივდივართ და რა გველოდება!

## ეპისტოლები

# ავანტიურისტის ცხოვრება ვრცელ ეპოქად

გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი პალინდრომი „აი რა მზის სიზმარია“ („აი, რა მზის სიზმარია, აირევი ივერია, აი დროშა, აშორდია, აერების სიბერეა“) ყოველი ქართველის მიერ ალიქმება, როგორც წალმა-უკულმა, ერთნაირად წასაკითხი სიტყვებით შედგენილი ლექსის ნიმუში, რომელშიც აზრი სიტყვათქმადობას ეწირება, და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ასეთი ტიპის ნანარმოებთა ავტორებს, როგორც წესი, აქცენტი მხოლოდ ფორმალურ მხარეზე გადააქვთ და აზრობრივ დატვირთვას მიზნად არ (თუ ვერ) ისახავენ.

ელგუჯა თავბერიძე პირველია, ვინც ამ პალინდრომს მეცნიერის თვალით შეხედა, მასში დაფარული სათქმელი

ამოიკითხა და დაგვარწმუნა, რომ „თუ თითოეულ სიტყვას ლრმად ჩავუკვირდებით, მასში გამულავნებულ აზრს მოვიძებთ, იმდროინდელ ამბებს გავიხსენებთ, ნათელი გახდება, ეს სიტყვები სულაც არაა შემთხვევით მოხმობილი, მათში რაღაც აზრია გაცხადებული“.

მეცნიერების „ჩავუკირებების“, „მოძიებისა“ თუ „გახსენების“ შედეგად იშვა პიკარესკული რომანი „აირევი ივერია ანუ ჯერტლმენ სოლომონ აშორდიას ცხოვრება და შეხედულებანი“, რომლის რამდენიმე თავისი გაცნობის შესაძლებლობაც უურნაალ, ჩვენი მნერლობის „მეშვეობით მოგვეცა.“

ნანარმოები, პირველ ყოვლისა, სწორედ მოულოდნელი მიგნებით იპყრობს ყურადღებას. ვრცელი საარქივო მონაცემების შესანვლა, დოკუმენტური მასალების გაცნობა, მოგონებათა თუ გადმოცემების მოძიება გალაკტიონის თხოსტრიქნიანი ლექსის განსხვავებულ წაკითხვას მოჰყევა და „არაფრიდან“ (ან თითქმის არაფრიდან) აიკინდა ერთი ავანტიურისტის ცხოვრების პირუთვნელი მატიანე, 900-იანი წლების ქართული სინამდვილის ვრცელებულებასაც რომ მოიცავს.

ელგუჯა თავბერიძის ნაწარმოების ფრაგმენტები თავდაპირველად გაზეთ „მწერლურ ცხოვრებაში“ (2006 წ.) დაიბეჭდა. მასალა, რომლის საფუძველზეც იგი აღმოცენდა, ერთი შეხედვით, იმდენად ეფემერული გახლდათ, რომ ძნელი ნაწარმოსადგენიც კი იყო, იმ ნარკვენებს გაგრძელება თუ მოჰყვებოდა. „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა ნაწყვეტებმა (№23, 24, 25, 26) და ცნობამ იმის შესახებ, რომ რომანი (თანაც ძალზე სოლიდური, 320 გვერდიანი!) მალე წიგნადაც გამოვა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ის, რაც უკვე ხელთა გვაქვს, შესაძლებლობას გვაძლევს, განვაცხადოთ: მთავარი მაინც მკვლევრის ალბოა, ალბო და სწრაფვა, ერთი თაღლითი კაცის ოდისეის სა-

ფუძველზე აღადგინოს იმ წლების სუნთქვა და მაჯისცემა, როცა „ივერია, მართლაც, აირია, აითქვიფა, აიღდვიბა, აშორდიასა და მისი მეგობრების მეშვეობით თავადობა, აზნაურობა ადვილად მისაღწევი გახდა და ასეთად შეეძლო ქცეულიყო ყველას, ვისაც ფული ჰქონდა და სურვილიც გააჩნდა“.

დიდი მადლობა „ჩვენი მწერლობის“ რედაქციას ესოდენ საინტერესო მასალის დაბეჭდვისა და იმ სასიამოვნო განცდისათვის, ერთ კარგ წიგნთან შეხვედრის მოლოდინი რომ ჰქვია.

**როზა დევდარიანი  
ქუთაისი**

## დაუვიწყარი სახელები

თამარ მიქაელე

# გურამ პატარაიას მონატრეპა

მეორე კლასში ვიყავი, ბებიამ და ბაბუამ სკოლაში რომ მომაკითხეს და ეს სურათი გადავიდეთ.

მაშინ ჩემთვის, როგორც ყველა ბავშვისთვის, სურათი სურათი იყო და მეტი არაფერი.

დღეს კი ჩვენს ხელთ არსებული ფოტოები, დოკუმენტები, პირადი ნერილები ერთად თავმოყრილი და სათუთად შენახული, ოჯახურ რელიკვიას – ყიფიანების შტოს ხუთი თაობის ისტორიას წარმოადგენს.

არქივის დღის სინათლეზე გატანის აუცილებლობაში დრომ დაგვარწმუნა. მიდიან ჩვენგან საყვარელი ადამიანები, მათთან გატარებული ლამაზი დღეები კი მოგონებებად რჩება. მოგონებები მით უფრო მნიშვნელოვანია, როცა საქმე რჩეულთ ხეხბა.

ჩვენი სურვილია შეძლებისდაგვარად დავხატოთ პიროვნების პირტოტი, მისი წინაპრები, ოჯახი, გარემო, თვისებები, რათა მომავალ თაობას ახლო გავაცნოთ ისტორიის რჩეული ადამიანი, ხოლო მის თანამედროვეთ გავახსნოთ საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, კინორეჟისორი გურამ პატარაია.



გურამ პატარაია

პატარაიების ოჯახი თბილისში, ბაქრაძის ქ. №11-ში ცხოვრობდა. ვასო პატარაია დრამატურგი იყო, ასევე – სკეტჩებისა და იუმორისტულ-სატირული წიგნების ავტორი.

როგორც მისი ავტობიოგრაფიიდან ვიგებთ, თავდაპირველად იქცევდებოდა ფსევდონიმებით „დონ ბაზილიო“, „ტრადიცია“. თავიდანვე ცხოვრება ხელოვნებას დაუკავშირა. 1929 წ. დაინიშნა ოპერის თეატრის დირექტორის მოადგილედ; 1934 წ. ჩამოყალიბდა საქართველოს სიმფონიური ორკესტრი ევგენი მიქელაძის სამხატვრო ხელმძღვანელობით, რომლის დირექტორიც ვასო პატარაია გახლდათ. 1936 წლიდან ოპერის თეატრში მიინვიეს რეჟისორად, სადაც დადგა „აიდა“, „ჯამბაზები“, „ტრადიცია“. მუშაობდა მარჯანიშვილის თეატრის სალიტერატურო განყოფილების გამგედ. ქართულ ესტრადაზე შესრულდა მისი

ხუთასზე მეტი სკეტჩი და მინიატურა იმ პერიოდის ცნობილი მსახიობების მონაწილეობით. დაკრძალულია დიდუბის მოღვაწეთა პანთეონში.

გურამის დედა – ქეთევან სულხანიშვილი დიმიტრი ყიფიანის უფროსი ვაჟის – ნიკოს შვილიშვილი, დახვენილი გარეგნობის და შინაგანი კულტურის ქალბატონი იყო, დამთავრებული ჰქონდა ნმინდა ნინოს სასწავლებელი.

ქეთო ბებიას წინაპრები ფრიად განათლებული ადამიანები იყვნენ. იცოდნენ 5-6 ენა და აქტიურად მოღვაწეობდნენ სამშობლოში თუ საზღვარგარეთ.

მათ ორი შევილი ჰყავდათ: ლალი და გურამი. შეიძლება ითქვას, გურამს საუკეთესო გენეტიკური თვისებები ხვდა წილად: დედის გარეგნობა და კეთილშობილება, მამის შე

მოქმედებითი ნიჭი და იუ-  
მორი.

ეს იყო ტკბილი და ღი-  
მილიანი ოჯახი, სადაც სუ-  
ფევდა ურთიერთგაგება,  
უყვარდათ მისვლა ახლობ-  
ლებს.

გურამი მეექვსე კლასში  
იყო, დიდი დაბადების დღე  
რომ გადაუხდიათ.

სტუმრებს შორის იყ-  
ვნენ: ვასო გოძიაშვილი,  
აკაკი ხორავა, აკაკი ვასა-  
ძე, აკაკი კვანტალიანი,  
ოდისე დიმიტრიადი, პეტ-  
რე ამირანაშვილი.

იმხანად გურამი ფეხ-  
ბურთით იყო გატაცებული, ერთ მატჩის არა სტოვებდა  
თბილისის „დინამის“ მონაწილეობით. ამდენად, ყველაზე  
უფრო „დინამის“ იმდროინდები მეერაის სტუმრობა გა-  
ხარებია. მეორე დღეს მთელმა სკოლამ იცოდა, რომ გუ-  
რამმა ალექსანდრე დოროხოვი გაიცნო.

მაშინდელი თბილისელებისათვის ეზო იყო მეორე დი-  
დი ოჯახი. მოსკოვდან გამოგზავნილ წერილებში, ოჯა-  
ხის წევრებს გვერდით, ჩამოთვლილია მეზობლების სა-  
ხელები, მათი პრობლემები, მოკითხები.

არ მახსოვს ბაქრაძეზე გატარებული დღეც კი მანაგა-  
ძების გარეშე.

შოთა მანაგაძე, ცნობილი რეჟისორი, წარმოსადეგი  
გარეგნიბის, ამავე დროს საინტერესო პიროვნება გახ-  
ლდათ.

კაცები ხშირად თავს ირთობდნენ ჭადრაკით; მათი სა-  
უბრები კი ძირითადად ხელოვნებას შეეხებოდა.

ქალაბატონები, როგორც წესი, ახლოს ეცნობოდნენ  
ყველანაირი საქმის ვითარებასა და წინააღმდეგობებს,  
ამავე დროს ხარობდნენ მეუღლეების წარმატებით.

ბაბუა ხუმრობდა: „ქეთო, შენ ყველაფერი იცი, ისიც  
გეცოდინება, რა ერქმევა ჩემს შემდეგ პიესასო“.

გურამი თავიდანვე იუმორის მოყვარული ყოფილა. ბე-  
ბიას სულ ჰქონდა შიში, აივანი კარგად ჩაკეტეთ, არავინ  
გაგვეურდოსო. ქეთო მანაგაძე ამშვიდებდა – რა გვაქვს  
წასაღებიო. დიდი „ემალის“ ტაშტი მთელი ქონება არისო  
– პასუხობდა ბებია.

ერთხელაც ბებიას მურაბის მოხარება გადაუწყვეტია,  
შუა მზადებაში ქალბატონ ქეთოს უყვირია: „მართალი  
ხარ, ქეთო, ტაშტი მიაქვთ აივნიდან“.

მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დიდი  
ტაშტის უკან ბატარა გურამი დაინახეს, რომელსაც ქალ-  
ბატონების საუბარი გაუგია და ასე უხუმრია.

\*\*\*

ქეთო ბებია შვილს იურიდიული ფაკულტეტისთვის  
ამზადებდა. გურამის წინააღმდეგობა გაუწევა და მოს-  
კოები გამგზავრებულა კინომატოგრაფიის ინსტიტუტში  
გამოცდების ჩასაბარებლად, რაც იმ დროს ადვილი არ  
იყო. როგორც ოჯახისადმი გამოგზავნილი წერილიდან  
ვიგებთ:



ქეთევან სულხანიშვილი, თამარ მიქაელ და ვასილ პატარაია

„ძალიან ძნელია გა-  
მოცდების ჩაბარება. პირ-  
ველი გამოცდა საერთო  
განვითარების გამოაშეა-  
რავება იყო. ზუსტად ორ-  
საათნახევარი ვიჯექი კო-  
მისის წინ. მეკითხებოდ-  
ნენ რუსულ და დასავლეთ  
ევროპულ მხატვრობას,  
კლასიკურ ლიტერატურა-  
სა და ხელოვნებას. ბევრ  
სხვა რამეზეც მაგარ კით-  
ხევებს მაძლევდნენ, მაგ-  
რამ მეც მაგრად დავუხ-  
ვდი. ამ გამოცდას სამი  
პროფესორის გარდა  
იუტკევიჩიც ესწრებოდა.

შემდეგ იყო დეკლამაცია. წავიკითხე გალაკტიონის „მე-  
რი“, თარგმანი ცაგარელისა.

კიდევ მომცეს სამი სურათი, ავხსენი იდეა და შინაარ-  
სი და „რასკადროვე“ გავუკეთე.

მეორე გამოცდაზე რეჟისორული გეგმა უნდა გამეკე-  
თებინა, 8 საათი ვწერე“.

\*\*\*

გურამის წერილები სიყვარულით და ხალისით არის  
სავსე. შიგადაშიგ იყითხება პრობლემები, მათ შორის მა-  
ტერიალურიც, რაც კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს იმაზე,  
რომ წარმატების გარეგანი ხიბლის მიღმა არსებობს  
რთული შემოქმედებითი გზა, რომლის გადალახვას ნიჭ-  
თან ერთად დიდი ძალა და ნებისყოფა სჭირდება:

„ჩემო დედა, ვასო და ლაკუცი!

ვეცდები ყოველდღე დავრეკო. ვცდილობ აქ წამოს-  
ვლა გავამართო. ისე კი მოკლედ მოგწერთ.

ჩვენ ერთად სამი ბიჭი ვცხოვრობთ. კარგად მოვეწ-  
ყვეთ ძალიან. საჭმელს რიგორიობით ვაკეთებთ. გაზიც  
გვაქვს, ისე რომ, წავთის პრობლემა გადაწყვეტილია.

დედიკო! ჩემთან ერთად რომ არავან ბიჭები – თენგიზ  
აბულაძე და რეზო ჩხეიძე, ძალიან პატიოსანი და ბეჯითე-  
ბი არიან. სამივე ერთნაირი დარიგებებით ვართ დედები-  
საგან აღჭურვილი და მშვენივრად შევქმენით პატარა  
ოჯახი.

პურის წიგნაკი აქამდე არ მქონდა – ახლა კი გავვაჭე  
და აღარ გამომიგზანოთ, თქვენ ტყუილად არ დაკარგოთ  
ერთი წიგნაკი.

მისალები გამოცდები კარგად ჩავაბარე. „საბჭოთა ხე-  
ლოვნებაში“ აღნიშნულია, ქართველმა წაციონალურმა  
კადრებმა ყველაზე უკეთ ჩაბარესო.

დილიდან თავაუღებლად ვმეცადინებთ სამივე და  
ასე თუ გავაგრძელეთ, პირველი სემესტრის მერე თავზე  
დავაჯდებით რუსებს.

მოკლედ, დედიკო, ვეცდები ვადაზე ადრე ჩავაბარო  
გამოცდები და თუ მექნა ერთი თავისუფალი თვე იანვარ-  
ში, ჩამოვიდე ისე, რომ მამაჩემმა, თავის სიცოცხლეში  
პირველად, სამართლიანად იტრაბახოს თავისი შვილით.

მოსკოვში ორი დღეა თოვლი მოვიდა, წარმოიდგინეთ,  
ჩემზე როგორ იმოქმედებდა ეს ამბავი. დიდი იმედი მქონ-

და, გაივლის-მეთქი, მაგრამ გუშინ რომ გავიღიძე, არემარე გადათოვლილი იყო. ჩქენი ინსტიტუტი არის ქალაქარეთ, სულ გამლილ მინდორზე. მინდვრის გადალახვას უნდა 15 წუთი. თქვენც კარგად იცით, რომ არაფერი თბილი არ მაქვს. ჯემპრი და ხელთათმანები შემიმსუბუქებდა მდგომარეობას. ვიცი, რომ ძნელია, მაგრამ ფიზკულ-ტურელივით დავდივარ.

თქვენი იმედი მაქვს, გამოცდების წინ პროდუქტსაც გამომიგზავნით და არ დამსეამთ წმინდა ანტონიოს დიეტაზე. სწავლაში კი ჩემი იმედი გქონდეთ.

მიჭირს ეკონომიურად, მაგრამ მორალურად მაგრად ვარ. ოპტიმიზმს მეგობრების წერილებიც მმატებს. სისტემატურად ვიღებ ლელოს და თემიკო ჩირგაძის წერილებს.

ბაზარში კაცი ქალის საათს ყიდდა, ძალიან მომენთა, მაგრამ 450 მან. ლირდა. ზუსტად მაგდენი მქონდა, ის კი ნაკლებად არ იძლეოდა. სტიპენდიას რომ ავილებ, აუცილებლად ვუყიდი ლალის.

მოკითხვა ვალიდას, შოთას და ყველა მეზობელს.

P.S. დედიკო, ვასოს გაახსენე შვილს მიწეროს წერილი. ნუ დაიზარებს. მე მოწმე ვარ, როგორ გადაიწერა 3-ჯერ თავისი პიესა.

გკონციო თქვენი გურამი".

\*\*\*

გურამ პატარაია 1928 წლის 14 თებერვალს დაიბადა. შემოქმედებითი ბიოგრაფია 1945 წლიდან იწყება. მუშაობდა რუსთაველის სახელობის თეატრში რეჟისორის თანაშემნედ, შემდეგ დამდგმელ რეჟისორად დასხუმში, გორში, თბილისში, მოზარდ მაყურებლთა ქართულ და რუსულ თეატრებში, მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრებში, მოსკოვში „მალაია ბრონაიას“ თეატრში.

1957 წლიდან საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის მთავარი რედაქტორი იყო, 1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ტელეფილმების სტუდიას ხელმძღვანელობდა.

იუმორითა და უშუალობითაა გაქლენთილი მისი მხატვრული ფილმები „რეკორდი“, „კუჩხი ბედნიერი“, „სიყვარული, ხანძარი და პომპიერო“.

იგი გახლდათ სცენარის ავტორი ფილმის „თოჯინები იცინიან“ და მაინც, ქართული კინოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაინერა მისი დოკუმენტური ფილმები სერიიდან: ქართული კულტურის კერები საზღვარგარეთ. ესენია: „რუსთაველის ნაკვალევზე“, „შორია გურჯისტანამდე“, „პალესტი-



გურამ პატარაია  
ბავშვობაში

ნის სიძველეთა საიდუმლოებანი“, „ათონის მატიანე“, „ტაო-კლარჯეთი“.

\*\*\*

1969 წ. თეირანში ჩავიდა ექსპედიცია ფერეიდნელი ქართველების გადასაღებად. ექსპედიციაში შედიონენ: რეჟისორი გურამ პატარაია, უურნალისტი ლამარა ბოკერია, ირანისტი – პროფესორი მაგალი თოდუა, ოპერატორი ირაკლი ონიფრიშვილი.

თეირანში გაირკვა, რომ შაჰის ნებართვის გარეშე ფერეიდანში ჩასვლა და გადაღება შეუძლებელი იყო.

ირაკლი ონიფრიშვილი იხსენებდა, რა სიძველების გადალახვა დასტირდათ და როგორ შევლოდათ გურამის გამჭრიახობა და მოხერხებულობა. ჯერ იქ მცხოვრები რეზო მიქელანის (მიქელაძის) წყალმისი იპოვეს შუამავალი ბატონ შაფასთან, რომელიც იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, „სპარსეთის ისტორიის“ ავტორი და რაც მთავარია, მესამე კაცი სახელმწიფოში ირანის შაჰის – მუჰამედ რეზა ფუჰლევის შემდეგ.

რიდესაც აუდიენცია დაინიშნა, საქართველოდან ჩატანილი ძღვენით ესტუმრნენ მასპინძელს. ბატონ შაფას პატარა წვეულება გაუმართავს. გურამ პატარაიამ არ დააყვნა და სუფრის თავში მოექცა და მოუხედავად იმისა, რომ არ სვამდა (ვინაიდან საქმემ მოითხოვა), დაინყო გულისამაჩუყებელი სადღეგრძელოების წარმოოქმედა.

განსაკუთრებით თბილად ბატონი შაფას მშობლები შეუმეგია. ბატონი შაფა ჩუმად გასულა ოთახიდან და მამის ჩალმიანი პორტრეტი შემოუტანია. გურამისთვის ცრემლიანი თვალებით მიუმართავს, პირველი ადამიანი ბრძანდებით, ვინც მასაჩემი მოიგონა და მოსაგონარი შესვაო.

ამ სადღეგრძელოს წყალმისით, ორჯერ მოხვდნენ ნიავარანის სასახლეში, გადაიდეს ირანის შაჰი მუჰამედ რეზა

ფუჰლევი და დედოფლები ფარადიბა.

ამ შემთხვევითაც ისარგებლა გურამ პატარაიამ, იქვე სთხოვა დედოფლების ფერეიდანში ნასვლისა და გადაღების ნებართვა.

ფარადიბამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. რამდენიმე დღეში მიიღეს გადაღების უფლება და სიხარულით გაეგმზავრნენ ფერეიდანში, სადაც შეიქმნა ქართული დოკუმენტური ფილმი: „შორია გურჯისტანამდე“.

გურამ პატარაიას დღიურიდან:

1979 წ. 15 მაისი. იმთავითვე ჩვენი მიზანი იყო სირია-იორდანიის ქართული ძეგლების გადაღება და რაც მთავარია, სანდერსის მიერ მითითებული XII საუკუნის ხელნაწერის მოკვლევა. ეს ის სანდერსია, ამერიკელი მეცნიერი, რომელმაც ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი მო-



შვილთან, სოფოსთან, ერთად

ნასტრის სხვენზე იპოვა ქართული ხელნაწერი და გადა-  
იღო მისი თავფურცელი.

დიარბექირში ერთი კვირა დავყავით. რამდენიმე მო-  
ნასტერში ჩვენი კვლევა უშედეგო აღმოჩნდა. ბოლოსდა-  
ბოლოს, სანდერსის ცნობის ჭეშმარიტებაში ეჭვიც კი შეგ-  
ვეპარა. ეკლესის სარდაფში აღმოჩნდა რამდენიმე ათეუ-  
ლი ხელნაწერი, ამის შესახებ გვითხრა სრულიად შემ-  
თხვევით გაცნობილმა სათავსოს მცველმა.

ბერ სარდაფში, პირდაპირ იატავზე იდო რამდენიმე  
ათეული ხელნაწერი. ეს იყო სი-  
რიული, გვიანდელი ხელნაწერე-  
ბი. მხოლოდ ერთი აღმოჩნდა  
საკმაოდ ძველი, სავალალო  
მდგომარეობაში. ეს იყო ქართუ-  
ლი მანუსკრიპტი. სწორედ ის,  
რასაც ამდენი ხანი ვეძებდით,  
სწორედ ის, რომელიც სანდერ-  
სმა გადაიღო და ელენე მეტრე-  
ველს გადასცა. სწორედ ის, რო-  
მელიც დიარბექირის ერთ-ერთი  
მონასტრის სხვენზე უნდა გვე-  
პოვნა და საპატრიარქო ეკლესი-  
ოს სარდაფში აღმოჩნდა.

შევეცადეთ ჩვენი აღელვება  
დაგვეცარა. ჩვენი სანუკარი  
ხელნაწერი მცველმა 800 დოლა-  
რად დათმო. მოგვიანებით გავი-  
გთ, ასეთი ხელნაწერი ლონდო-  
ნის აუქციონზე 50 ათას დოლა-  
რად შეაფასეს.

სარდაფიდან გაოგნებულები  
გამოვედით, გზისპირა სასაუზ-  
მესთან შევჩერდით. სულ იმას  
ვფიქრობდი, რა მოულოდნელად,  
უცნაურად მოვიპოვეთ ეს რე-  
ლიქვია, ის, რაც დამპურობელმა ნადავლის სახით წაიღი  
საქართველოდან.

მე და ორაკლი გაშტერებულები შევყურებდით ერთმა-  
ნეთს. საუზმე ხელუხლებლად იდო მაგიდაზე.

\* \* \*

გურამ პატარაია 1983 წ. გარდაიცვალა, მოსკოვის სა-  
ავადმყოფოში, 55 წლის ასაკში. ბოლო ნელს მძიმედ ავად-  
მყოფობდა, მაინც სიცოცხლის ბოლომდე ხალის ინარ-  
ჩუნებდა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე კი დედა-  
ჩემს – თავის საყვარელ დას, ლალის ანუგეშებდა: „მე თუ  
ალარ ვიქები, იმდენი რამე ვნახე ამ ქვეყნად, გული არ  
დაგრძელოთ“.

დაკრძალულია დიდუბის მოღვაწეთა პანთეონში,  
მშობლების გვერდით. ჰყავს შვილი – სოფიკო პატარაია,  
რომელიც მისი საფიცარი და ამქვეყნად ყველაზე დიდი  
სიყვარული იყო და შვილიშვილები, რომელთაგან უფ-  
როსს, მისი სახელი – გურამი ჰქვაა.

ყოველმხრივ საინტერესო ცხოვრება განვლო. ნიჭი  
იყო მისი უსაზღვრო სიექთე, დახვენილი იუმორი, ჯადოს-  
ნური ხიბლი და რაც მთავარია, დღესასწაულები, რითაც  
ხშირად გვანებივრებდა ახლობლებს.

ჩვენს მცირე მოგონებას კი მისი უახლოესი მეგობრის,  
ცნობილი რეჟისორის – მერაბ კოკოჩაშვილის გამოსათხო-  
ვარი წერილიდან ამონარიდით დავასრულებთ, რადგან,  
ვფიქრობთ, მასში არაჩვეულებრივი სიზუსტითაა გამოხა-  
ტული გურამთან განმორებით გამოწვეული განწყობა:

„მიუხედავად იმისა, რომ გურამი ალარ არის, მაინც არ  
მტოვებს იმის განცდა, რომ გაიღება კარი, შემოვა გურამი  
განუყრელი სიგარეტით ხელში, ნალვლიანად გადმომხე-  
დავს და მოულოდნელად გაიხურობს.“

ნინააღმდეგობებით სავსე კა-  
ცი იყო და, ამავე დროს, ჰარმო-  
ნიული: თითქოს სამყაროს სევ-  
დას ატარებდა, და, ამასთან ერ-  
თად, უსაზღვრო იუმორით და  
ირონიით იყო გაულენთილი. მის  
ხასიათში თანაარსებობდნენ  
სრული მოშევბულობა, ინერტუ-  
ლობა და დაუშრეტელი ენერგია.  
ბავშვური გულუბრყვილობა,  
ნდობა და, როცა საჭირო იყო, სა-  
ოცარი ეშმაკობა. მასთან ყოფნი-  
სა ნიჭიერებისა და იუმორის  
მორევში ექცეოდი.

მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ  
ტახტზე წოლისას, ის, უბრალოდ  
ენერგიას იკრებდა იმ მთავარი  
ბრძოლისათვის, პალესტინისა  
და სირიის უდაბნოში, ტაო-  
კლარჯეთის ხეობებში, ქალკე-  
დონის ნახევარკუნძულზე და  
სპარსეთის მთიანეთში რომ  
ელოდა.

აი კიდევ ფოტოები და კინო-  
მასალა: სახედარზე შემჯდარი,  
თავჩაქინდრული გურამი. ეს ხომ

ნარმოუდგენელია! გურამ პატარაია – სახედარზე. იგი  
უმანქანოდ გმირთა მოედნამდეც არ მივიდოდა. როგორც  
თავად უყვარდა თქმა, კომფორტისა და ცივილიზაციი-  
საოცის იყო დაბადებული. ამ დროს უკვე ავად იყო და ძა-  
ლიან უჭრდა. საშინალ ცხელოდა, – მითხრა გურამმა,  
ჯორი ყოველ წყაროსთან ჩერდებოდა და მადინად სვამ-  
და, მაგრამ რა მექნა, ჯორიდან რომ ჩამოვსულიყვავი, უკან  
ველარ ავცოცდებოდიო.

ჩემი იმის მეასედიც არ ვიცით, ნერვების რა დაძაბვით  
უხდებოდა გურამს კადრის გადაღება. ამ კადრებზე კი  
აღბეჭდილია სამხარის ქართული მონასტრის ნარჩერები,  
სვიმონ მესვეტის ტაძრის ნაშთები, შავი მთის პეიზაჟი,  
სოფელი მალულა – როგორც მეცნიერები ვარაუდობენ,  
ყოფილი ქართული სოფელი სირიაში.

სულ ღელავდა, წუხდა, რომ უამრავი მასალა ჰქონდა  
დაუმუშავებელი, დაუსრულებელი რჩებოდა ფილმები  
ლაზებზე და სირიის ქართულ ძეგლებზე.

ეს ფილმები, ჩემი გურამ, დასრულდება. სხვა მრავა-  
ლი სიკეთის გარდა, შენ იმდენი მეგობარი დატოვე ამ  
ქვეყნად, რომ არცერთი შენი ჩანაფიქრი დაუსრულებელი  
არ დარჩება. იმ გზას კი, რომელიც შენ გაკვალე, დასას-  
რული არ უწერია...“



ფილმის გადაღებისას:  
„სიყვარული, ხანძარი და ჳომპირო“

## უდა გააგრძელოთ!

ნაპირები არ უჩანს უდაბნოს, ხოლო შუაგულში ოაზისი უბრნყინავს და შრიალებს. მის მწვანე ჭიშკარს რომ შეალებთ, კეთილი მასპინძელი შემოგეებებათ ხელადით ხელში და სუფთა წყაროს შემოგთავაზებთ. მომრავლდნენ უდაბნოს ხვატითა და ძნელად სავალი გზებით გატანჯული მგზავრები, ხარობენ ამ ოაზისით, ლოცავენ ღვთისნიერ მასპინძელს, რომელმაც ერთხელ, გაგანი პაპანაქებაში, ხელადას ხის უბრალო სასმისი დაბაზურა და სრულიად მოულოდნელად იკითხა: „რა ვქნა, გავაგრძელო?“ ხმა არავის ამოულია. მერე ერთ-ერთმა თქვა თავისითვის: „კი, მაგრამ... ამ უდაბნოში სხვა ოაზისი თუ არსებობს? თუ არსებობს, ასე დალლილნი და ნყურვილით გათანგულნი, მივაღწევთ კი იმ ოაზისამდე?“

\*\*\*

ეს პატარა ჩანახატი „ჩვენი მწერლობის“ მესამე ნომერში გამოქვეყნებული ნაკვესების მინაწერის გამოძახილია. შეიძლება არავინ დამიჯვროს, მაგრამ თქვენი უურნალის ნებისმიერი ნომრის გაცნობა ჩემთვის ნაკვესებთან შეხვედრით იწყება – იუმორის მარგალიტებით მორჭვილი მინიატურებით გახალისებული და ფიქრებიდან ცხოვრებისეული წვრილმანების მტკვერჩამონენდილა ვრმვაზაურობ უურნალის დანარჩენ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ, მაგრამ უერთმანეთოდ ძნელად წარმოსადგრენ მამულებით.

იშვიათად თუ გააჩნია რაიმეს ამქვეყნად ისე ზუსტად მოზომილი ადგილები, როგორც პროლოგსა და გპილოგს (ერთი თავში, მეორე ბოლოში!), მაგრამ ჩემთვის ამჯერად ეს მარადიული კანონი უმტკვენეულოდა დარღვეული: „ნაკვესები“ თქვენი მონა-მორჩილისათვის „ჩვენი მწერლობის“ პროლოგია, სადღაც უურნალის სილრმეში მოქცეული. მე რომ ჯერ „ნაკვესებს“ ვკითხულობ და მერე კი – დანარჩენ მასალებს, ეს დაახლოებით იგივეა, მეფოლადე ჯერ წყალს რომ გადაივლებს, სულს მოთქვამს, გამსუბუქდება და მერე გადაეშვება ცეცხლის შუქსა და მხურვალებაში...

## დასანაცი იქნება

ერთია, როცა მწერლის, პოეტის, შემოქმედის, მოლვანის ბიოგრაფიას, ცხოვრებას, შემოქმედებას და ნალვანს იცნობ, ეცნობი და სულ სხვაა, როცა მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს უყურებ და ხსნი ერთი თითქოსდა სასხვათა-შორისო შტრიხით.

ნაკვესებში განაკვესი უბრალო შტრიხით ზოგჯერ პიროვნების მთლიანი სახე წარმომიდგება თვალნინ და უფრო ნაცნობი, ახლობელი ხდება. ხშირად მთელი ნარკვევი ვერ გაგაცნობს ისე კარგად პიროვნებას, როგორც ნაკვე-

უურნალი „ჩვენი მწერლობა“ ყველასათვის საჭირო სავანეა, ხოლო „ნაკვესები“ – ამ სავანის წიაღის ბუნებრივად შეზრდილი დიდი სიბრძნის პატარა ოთახი. ისიც ფაქტია, რომ „ნაკვესებმა“ ბევრი მკითხველი შესძინა უურნალს, სხვებისთვისაც ქცეულა იგი ტრადიციულ ადგილს მოწყვეტილ პროლოგად. აյ ბევრი რამეა გულისა და გონების გამხარებელი: კონტრასტული ხასიათები, დროის სევდიანი სარკმლებიდან იუმორის შემონათება, ცრემლი და ლიმილი. თხრობა უბრალო, ლალი და ნათელია, ხოლო ამა თუ იმ ამბის დასასრული (ბოლო წერტილის მოხმობის ნიჭი!) – მართლაც დიდებული – ისეთი, ნოველის ოსტატებსაც რომ მოეწონებათ!

კარგი იქნება, თუ პერიოდულად (თუნდაც წლის მიწურულს) ცალკე წიგნად აიკინძება „ნაკვესების“ რუბრიკით გამოქვეყნებული მასალები.

\*\*\*

უურნალი „ჩვენი მწერლობა“ იმ კუნძულს მომაგონებს, რომლისკენაც სხვადასხვა ხასიათის ადამიანები სხვადასხვა ბილიკებით მიისწრაფიან. „ნაკვესების“ გაუქმება-გაუჩინარებით ერთ-ერთი მშვენიერი ბილიკი წაიშლება და აბალახდება...

**და მაინც რა ვქნა, რა ვილონო:**  
**გავაგრძელო თუ... ნულა შევწუხდები?!**

უნდა გააგრძელოთ. კვლავაც უნდა დაიხარჯოთ მაგიაზისში (ჩვენის გარშემო დიდი უდაბნოა!), ხელადაში წვეთზეთობით უნდა აგროვოთ სასმელი მწყურვალთათვის და მერე გასცეთ თქვენებული სიუხვითა და უანგარობით, როგორც დიდი შოთა რუსთველი იტყოდა: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია!“

შეწუხებითაც უნდა შეწუხდეთ და, რაც უფრო შეწუხდებით, მით უკეთესი თქვენთვისაც და მკითხველისთვისაც! ვაჟა-ფშაველას სიტყვებით დაგემშვიდობებით:

**მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,**  
**როცა ვარ შანუხებული!**

ვაჟა ხორნაული

სებში ამოკითხული ერთი ეპიზოდი. თითქოს მთელი ცხოვრება ერთ ნაკვესად გაგიელვებს თვალნინ. ასე გაკროება სახე შალვა წუცუბიძისა, გაოგნებული იმით, თუ როგორ ვერ მიაგნო თვითონ თემას, შრომის როლი ადამიანის გამამიზუნებაში. კითხულობ, რა მშვიდად ხსნის სიტყვა „შემაზრზენის“ მრიშვნელობას რევაზ თვარაძე და გიხარია, რომ მის პორტრეტს დამატებული შტრიხი სითბოს გმატებს... აგრეთვე სულში იხსნება სახე და საოცრად გულწრფელი ბუნება გიორგი წერტილისა, ძროხების ქურდის კლებტომანობას რომ უმტკვებს ავლიპი ზურბიშვილს. სახელგანთქმული ფსიქიატრის ბუნება იკვეთება თითქოსდა სასხვათაშორისოდ. კითხულობ ითარ ჩეხეიძის სიტყვებს: „იმანაც ფორმით დაიწყოო“, – და თითქოს ეს უბრალო სიტყვები დგანლმოსილთა ძარღვიან გაფ-

რთხილებად ჩაგვესმის, რათა არ გავამპარტაენდეთ და დიდებულ მოღვაწეებს იოლად არ გავუტოლოთ თავი. ამ ერთი ციცქანა ნაკვესებში ბევრი რამ ოსტატურად, ცოცხლად და დასამახსოვრებლად გადმოსცა როსტომ ჩხეიძემ და ალზიურად გახსენდება უამრავი ეპიზოდი სახელმოვანი ადამიანების სახელმოვანი ცხოვრებიდან.

დასანანი იქნება, როცა „ჩვენ მწერლობას“ შევიძენ, ჩვეულებისამებრ ბოლოსნინა გვერდზე გადავჭრი და იქ ნაკვესებს ველარ ვნახავ...

**ეპისტოლე**  
ბათუმი

### დიმილის ცუთაპი

#### მარტი ლარნი

## კუპრ სართად

ამერიკელი მისის კუპერის ასაკის განსაზღვრა ამაო გარჯაა. მაგრამ რადგანაც უკვე 41 წელია ბიზნესმენობს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, სულ ცოტა, ორმოცს გადაბიჯებულია... იგი კოსმეტიკის მწარმოებელი საწარმოსა და ათობით სხვა მაღაზიის მფლობელია.

ორი კვირის წინათ მისის კუპერი მისტერ სანდერ-სის მაღაზიაში შევიდა და ნოქარს სთხოვა:

- შეიძლება რევოლუციელი ვნახო?
- რევოლუციის შეძენა გსურთ? - ჰყითხა ნოქარმა მამობრივი ღიმილით.

- დიახ. თანაც ისეთისა, ჩანთაში რომ ჩამეტიოს. - მისის კუპერის ხმამ კანტორამდე მიაღწია, სადაც მაგიდასთან მაღაზიის მეპატრონე თვლემდა. მისტერ სანდერის წამოვარდა და დახლისაკენ გაემართა. კლიენტს მიამტერდა, ცხვირწინ აეტუზა და შესძახა:

- ღმერთო ჩემო, ეს ხომ მისის კუპერია! ვერ გიცანი! წლებთან ერთად სულ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებით. როთ შემიძლია გემსახუროთ?

- რევოლუციი მომეცით.

და მისტერ სანდერს მა კლიენტს მიჰყიდა რევოლუციი ვაზნითურთ.

მეორე დღეს მისის კუპერი ისევ გამოჩნდა სანდერ-სის იარაღის ფარდულში. მისი თმის ფერი ერთ ღამეში ღია ოქროსფერიდან წითლად ქცეულიყო და ჯოვოხეთურ ალს აფრქვევდა. ნოქარისათვის ყურადღება არ მიუქცევია, პირდაპირ კანტორისაკენ გაემართა, ჩანთიდან რევოლუციი ამოიღო და მეპატრონეს ჰყითხა:

- შემიძლია ფული დავიბრუნო?
- კი, მაგრამ, ძეგირფასო მისის კუპერ, წუნი აღმოჩნდა?
- არც გამისინჯავს. მაგრამ აღარ მჭირდება. ჩემი ქმარი გუშინ მანქანამ გაიტანა და მოკვდა.
- გითანაგრძნობთ. ვიზიარებ თქვენს მწუხარებას.
- რას გულისხმობთ? უკეთესია, ჩემი სიხარული გაიზიარეთ, ახლა ხომ, სულ ცოტა, ისევ შემეძლება გათხოვება. აი, თქვენი რევოლუციი. ფული დამიბრუნეთ.

მისტერ სანდერს სახე დაეძაბა. ფინანსურ კრახთან დაკავშირებით რაღაც ჩაიბურტყუნა. ერთი წლის

წინათ ექვსი ათასი ასეთი რევოლუციი იაფად შეიძინა გაკოტრებული იარაღის ფაბრიკის საწყობიდან. ამ რევოლუციელში მთელი თავისი კაპიტალი დააბანდა, თუმცა საქონელი ისევ ისე ანუყიდი საწყობში, რადგანაც იარაღზე მოდა ცხრა თვის წინათ შეიცვალა. კაცებმა იარაღი ბაგშვებს აჩუქეს, თვითონ კი ავტო-

მატებით დაიწყეს შეიარაღება. ქალებისათვის გამოუშვეს პომადისმაგვარი ხელყუმბარები, რომლებსაც იოლად ატარებდნენ ჩანთით.

ეს სევდიანი ამბავი რომ დაამთავრა, მისტერ სანდერს მა წამოიძახა:

- ძვირფასო მისის კუპერ! არ მოითხოვოთ უკან თქვენი თანხა! გაკოტრების პირას ვარ, წყეულიმც იყოს ეს კონკურენცია!

- დიახ, კონკურენტები ფეხს გვაჭრენ, - დაეთანხმა მისის კუპერი. - სულ უფრო რთულდება ჩემი ფაბრიკის ნაწარმის გაყიდვაც, თუმცა ისინი მსოფლიოში საუკეთესოა.

- მსოფლიოში რომ საუკეთესოა, თქვენს სახეს ეტყობა. მაგრამ არც ჩემი რევოლუციელია უვარგისი.

- მოსინჯეთ და რეკლამა გაუწიეთ.

- არ უშველის. რა აღარ ვცადე, ფასი დავაკელი, ერთწლიანი განვადებით ვყიდდ. მაგრამ ეს წყეული კონკურენცია...

- როდესაც საქმე ბიზნესს ეხებოდა, მისის კუპერს გული ულბებოდა. სურვილი გაუჩნდა იარაღის გამყიდველს დახმარებოდა და გადაწყვიტა უფასო რჩევა მიეცა.

- მისტერ სანდერს, მყიდველთათვის რაღაც პრემია უნდა მოიფეროთ.

- საამისო სახსრები არ გამაჩინა.

- მაგრამ ხომ თქვით, საწყობში ექვსი ათასი რევოლუციი ინახება. თუ ჩემს რჩევას დაუჯერებთ, ყველას ერთ კვირაში გაყიდით. თვითეულს ხუთი დოლარი მიუმატეთ და მყიდველს უფასო საჩუქარს დაპირდით, რომელიც მხოლოდ ერთი დოლარი დაგიჯდებათ.



ადამიანები ყოველთვის ყიდულობენ რამდენსაც გინდა და იხდიან კიდეც, ოღონდაც სართად რაიმე მიიღონ უფასოდ. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, წილში შემოვალ.

მისტერ სანდერსი დაეთანხმა. მეორე დღეს ქალაქის გაზეთებში გაჩნდა ნახევარგვერდიანი განცხადება:

„რევოლუციერი – ყველა ქალის ჩანთაში! ყოველი კლიენტი, რომელიც სანდერსთან რევოლუციერს შეიძენს, უფასოდ მიიღებს მსოფლიოში საუკეთესო ორ ქილა ფერ-უმარილს! ქალებო! გახსოვდეთ, კონსტიტუციამ ყველა ჩვენგანს ცეცხლსასოლი იარაღის ტარების უფლება მოგვცა. ისროლე, თორემ შენ გესვრიან! იყიდე რევოლუციერი და იყავ ახალგაზრდა!“

ორი დღის შემდეგ კი ყველა გაზეთში, ახლა უკვე მთელ გვერდზე, ასეთი განცხადება გამოჩნდა:

„კუპერი და კომპანია“ ამზადებს მსოფლიოში საუკეთესო კანის საცხებსა და ფერ-უმარილს! ყველანაირი გემოვნების მდიდარი არჩევანი! ყველას, ვინც შეიძენს მსოფლიოში საუკეთესო კოსმეტიკას, საჩუქრად ეძლევა რევოლუციერი, რომელიც ქალის ჩანთაში თავსდება. ქალებო! კუპერის კოსმეტიკა შეგინარჩუნებთ ახალგაზრდობას, სანდერსის რევოლუციერი კი თქვენს სიცოცხლეს დაიცავს.“

კიდევ სამი დღის შემდეგ მისტერ სანდერს დამატებით ოთხი გამყიდველისა და რიგის მოსაწერიგებლად კიდევ ერთი ადამიანის დაქირავება მოუხდა... მისის კუპერთან შეხვედრასაც ეცადა, დახმარებისათვის მაღლობა რომ გადაეხადა, მაგრამ ის უკვე ჰავაის კუნძულებზე გაფრენილიყო საქორნილო მოგზაურობაში.

მაგალითი გადამდები აღმოჩნდა.

ქალაქის ყველა ფაბრიკანტი და ვაჭარი კლიენტს სართად რაიმეს აძლევდა. ფასები მინი-ქვედაბოლოებივით იწევდა ზემოთ, მაგრამ ეს მყიდველებს სულაც არ აწუხებდათ. მათ უფასო საჩუქრარი ახარებდათ. ქველმოქმედებას მიჰყო ხელი ცნობილმა ნავთობკომპანიამაც, რომელმაც გამოაქვეყნა განცხადება: „მხოლოდ ჭეშმარიტი კეთილდღეობის სახელმწიფოს ძალებს შესთავაზოს მოქალაქეებს შემდეგი სარგებელი: თუკი შეიძენთ ათ გალონ ბენზინს, უფასოდ მიიღებთ ორ ბოთლ ტომატის ნვენს“. ტომატის ნვენის ფაბრი-

კანტი კი ბენზინის გაღონს პირდებოდა ყველას, ვინც ოც ბოთლ მის პროდუქციას შეიძენდა. ველოსიპედების გამყიდველი ყველა მყიდველს უფასოდ აძლევდა ოც ყუთ სარეცხ ფხვნილს. ერთმა თავშენახულმა ქვრივმა ექვსი ველოსიპედი შეიძინა, უფასოდ 120 ყუთი სარეცხი ქიმიკალია რომ მიეღო.

ფილანტროპთა რიცხვი იზრდებოდა. საქმეში საავ-

ტომობილო კომპანიებიც ჩა-ერთვნენ. მანქანებზე ფასის აწევამ მათ საშუალება მისცა სართად ხუთი შეკვრა საღეჭი რეზინი, ან ციგურები ან ტუალეტის პარფიუმირებული ქალალდი თუ ფორთოხალი მიეცათ. ბევრი მაშინვე იძენდა ავტომობილს, შემდეგ კი მთელს თავის დარჩენილ ქონებას აგირავებდა, მანქანის მორიგი შენატანი რომ გადაეხადა. კომერციული გამოგონების მწვერვალს მიაღწია საავტომობილო ფირმამ, უზარმაზარი ასოებით შემდეგი განცხადება რომ გამოაქვეყნა: „თქვენი საუკუნის ყველაზე სარგებლიანი და მომხიბლავი წინადადება: ორწლიანი განვადებით ვყიდით უკანასკნელ სიახლეს, რომელიც ყველაზე მომთხოვნ ჯენტლმენებსაც დააკმაყოფილებთ, – ავტომობილი „რექს-603“. ყოველი მისი მყიდველი სართად მიიღებს ახალგაზრდა და შვენიერ მანდილოსასანს!“

ამ რეკლამამ ყველაზე მოულოდნელი შედეგი გამოიღო. მისი წაკითხვის შემდეგ ავტომობილთა ერთ-ერთი მეფე ისე აღლდა, ამ განცხადებას ასე გამოეხმაურა: „განქორწინებას ვაპირებ. თუკი ვინმე ჩემი ცოლის წაყვანას მოინდომებს, სართად ვაძლევ სამ დიდებულ ავტომობილსა და ოც სათადარიგო საბურავს“. ჩვენი წაცნობი მისტერ სანდერი კი ზის შინ, ტახტზე და ათვალიერებს გაზეთების სარეკლამო გვერდებს, რომლებზეც მყიდველს სართად ნებისმიერ საქონელს სთავაზობენ, საბავშვო ეტლით დაწყებული და კუბოთი დამთავრებული. იგი დიდად მადლობელია მისის კუპერისა, რომელიც ჯერ კიდევ თაფლობის თვით ტკბება ჰავაის კუნძულებზე. მისტერ სანდერსი თავს დიდ ფილანტროპად მიიჩნევს. ქალაქის მანდილოსნებს უკვე 12 ათასი, მსოფლიოში საუკეთესო ფერულმარილი აჩუქა და 6 ათასი რევოლუციერი კარგ ფასად გაყიდა.

თარგმა  
თიხა ძევლაძე

გივი გამრეკელი

## როცა „პასადენელი განდეგილი“ „რეიკიავიკის დევილად“ იძცა

9 მარტს მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონი რობერტ ფიშერი, რომელ-საც ექსპერტების უდიდესი უმრავლესობა ყველა დროის უდიდეს მოჭადრაკედ მიიჩნევს, 64 წლისა ხდება. ამ ასაკში დიდოსტატების ერთი ნაწილი თამაშსაც კი განაგრძობს, თვით ბობიმ (ასე უწოდებს მას საჭადრაკო სამყარო) გამოსვლები ჯერ კიდევ 1972 წელს შეწყვიტა, როცა რეიკიავიკში დიდი უპირატესობით სძლია ბორის სპასკის. ამ დროისათვის ამერიკელს, რომელმაც პრეტენდენტთა მატჩებში ჯერ მარკ ტაიმანოვს, შემდეგ კი თვით ბენტ ლარსენსაც პირდაპირ დაუჯერებელი ანგარიშით 6:0 სძლია, მსოფლიოში ღირსეული მეტოქე არა ჰყავდა და თითქოს უასლოეს წლებში არცკი ეყრდნობდა, მაგრამ...

ფაქტი ერთია, მომდევნო მატჩი ახალ პრეტენდენტთან ანატოლი კარპოვთან, მოუხედავად სხვადასხვა ქვეყანაში გამართული ხანგრძლივი მოლაპარაკებისა, არა და არ შედგა. ნუ გამოვუდგებით ამის მიზეზების ძიებას: ძირითადი დამნაშავე „კომუნისტური მხარე“ იყო, მაგრამ ნურც ბობის ჭირვეულ ხასიათს დავივინწყებთ.

ფიშერი, რომელიც არსად თამაშობდა, ქ. პასადენაში დასახლდა, თავისი უზარმაზარი ქონება სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებს დაურიგა და აშშ-ს ერთ ჩვეულებრივ მოქალაქედ იქცა. უცნაური ის იყო, რომ ამ პერიოდში უზრნალისტები მასზე მეტსაც კი წერდნენ, ვიდრე მაშინ, როცა იგი მთელ საჭადრაკო სამყაროს აზანზარებდა. „იგეგმებოდა“ მისი მატჩები სვეტოზარ გლიგორიჩთან, გასტროლები სხვადასხვა ქვეყნებში, თუმცა რეალურად არაფერი მომხდარა.

ასე გაგრძელდა 1992 წლამდე, როცა მითქმა-მოთქმას ბოლო მოეღო, ფიშერი ჩავიდა იუგოსლავიაში და თავისი გაჩემპიონების 20 წლის თავზე კიდევ ერთი ორთაბრძოლა გამართა იმავე ბორის სპასკისთან. შედეგი ზუსტად იგივე იყო – ამერიკელის დიდი უპირატესობა, უზარმაზარი ჰონორარი (ბობიმ 3 268 000 დოლარი მიიღო), მაგრამ



რობერტ ფიშერი

ყოველივე ეს ძალიან ძვირად დაუჯდა. საქმე ის არის, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა თავის მოქალაქებს იუგოსლავიასთან (იუგოსლავიას ტერიტორიაზე!) ყოველგვარი ურთიერთობა აუკრძალა. ფიშერმა სწორედ ეს კანონი დაარღვია (ამასთან მისთვის გამოგზავნილ შეტყობინებას დააფურთხა კიდეც) და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დიდ ფულად ჯარიმასთან ერთად ათწლიანი დაპატიმრებაც ელოდა. სპასკის კი რა ენაღვლებოდა: მან ფიშერთან დამარცხებისათვის იმდენი ფული მიიღო, რომ პეტერბურგში რამდენიმე ბინა იყიდა და თავის ნათესავებს დაურიგა. როგორ არ გაგვასესენდეს ამასთან დაკავშირებით დიდოსტატ ალექსანდრ კოტოვის ხუმრობა: „სჯობს ფიშერთან ერთი მატჩი წააგო, ვიდრე პეტროსიანს 20 მატჩი მოუგო“.

რახან სამშობლოში ვეღარ დაბრუნდებოდა, ფიშერს რამე ახალი ბინა უნდა ეძებდა. ერთხანს ცხოვრობდა იუგოსლავიაში, შემდეგ უნგრეთში, აქაც ძალიან ეშინოდა, ამერიკელებს არ მიეკითხათ და არ დაეპატიმრებინათ. ბოლოს იაპონიაში გადავიდა, სადაც ნამდვილად მიაკითხეს და ციხეში ამოჰყო თავი. კიდევ კარგი, რომ ყოველივე ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, დახმარების ხელი ისლანდიამ გაუწიოდა, რომლის პარლამენტმა (მისი სპიკერი ადრე ცნობილი დიდოსტატი ფრიდრიკ ლაფანიშვილი იყო) დევნილ ჩემპიონს ამ ქვეყანაში ხანგრძლივად ცხოვრების ნება დართო. აი, მაშინ კი საბოლოოდ გამოირკვა, ჭადრაკის სამყაროში ბობისადმი ვის როგორი დამოკიდებულება ჰქონდა. ზოგმა დიდოსტატმა ისიც კი იკადრა, რომ ისლანდიელთა ხელისუფალთ სპეციალური წერილით მიმართა, რატომ მისცეს დევნილს თავშესაფარი, თუმცა ფიშერი არც მეგობრებმა დაივინწყება: ბორის სპასკიმ და ჟერარ ლოტიერმ იგი რეიკიავიკში მოინახულეს.

ყველაზე ხშირად, ცხადია, რეიკიავიკში ფიშერის მეუღლე ჩადის. მიიღო ვატაი ჭადრაკის ნრეებში ცნობილია თუნდაც იმით, რომ იგი იაპონიის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტია! იგი ფიშერმა კარგა ხნის წინათ გაიცნო, ახლა პატარა ქალიშვილიც ჰყავთ, თუმცა დედამიწის სულ სხვადასხვა მხარეში ცხოვრობენ. ტოკიოდან კოპენჰაეგნამდე ფრენას 13 საათი უნდა, ამას დაამატეთ კიდევ სამი საათი რეიკიავიკამდე. სწორედ ქალბატონ მიიღო ვატაისაგან იღებენ უზრნალისტები ცნობებს ფიშერის შესახებ, ამასთან ბობი სავსებით ენდობა მეუღლეს და დარწმუნებულია, რომ იგი ზედმეტს არაფერს იტყვის.

როგორც ცნობილია, ფიშერს არ მოსწონს თანამედროვე საჭადრაკო სამყაროში შექმნილი სიტუაცია, ადრე არაერთხელ გამოუთქვამს უარყოფითი აზრი ანატოლი კარპოვის შესახებ, რომელსაც მოლაპარაკებისას შეხვედრია,

აი, თამაში კი არ დასცალდათ. რაც შეეხება გარი კასპაროვს, იგი ბობის აშკარად არ უყვარს, ახლანდელი გვარით არასოდეს ახსენებს, არამედ უნინდელით – „ვაინშტეინს“ უნიდებს. რაც შეეხება ახლანდელ ჩემპიონ ვლადიმირ კრამინეს, იგი, ქალბატონ მიიღო ვატაის სიტყვით, ფიშერს მოსწონს, როგორც მოჭადრაკე და პატივს სცემს მის ადამიანურ ლირსებებსაც. თვით ფიშერი კვლავნიდებურად ადენტებს თვალყურს საჭადრაკო მოვლენებს, კითხულობს გაზეთებსა და უურნალებს, არც ინტერნეტს უგულებელყოფს. ტურინის ოლიმპიადის დროს მან თავის მეუღლების გვისაუბრია.

ლეს სთხოვა გაეგო, რა საჭადრაკო ლიტერატურა გამოდის რუსეთში და შეეძინა ეს წიგნები. თავის დროზე, ყმან-ვილმა ფიშერმა სწორედ ამ წიგნების გამო ისწავლა რუსული (გარდა ამისა, იგი ფლობს ესპანურსა და გერმანულს).

ყოველივე ეს, ცხადია, საინტერესოა, მაგრამ უსიამოვნო ის არის, რომ ფიშერი, რომელიც მთლიანად კარჩა-კეტილად ცხოვრობს, ჭადრაკის თამაშს თითქოს აღარ აპირებს, ამასთან ეს ჩვეულებრივ თამაშსაც შეეხება და იმ „ფიშერის ჭადრაკსაც“, რომლის შესახებაც ჩვენ ადრეც გვისაუბრია.

## რეაგირება

## თევდორე ბენდელიანი

# ნარსულთან – მისტიკური კავშირი

\*

## საარსული კოეზიტის საღამო „კავკასიურ სახლში“

10 თებერვალს „კავკასიური სახლის“ პროექტის „კულტურის კალენდარი“ მორიგი საღამო ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს – ისლამური რევოლუციის გამარჯვების 28-ე წლისთავს მიეღდვნა. სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებით გაიმართა სპარსული პოეზიის საღამო, სადაც თავი მოიყარეს სპარსული ლიტერატურის აღიარებულმა მთარგმნელებმა, ირანისტებმა თუ უბრალოდ ამ ქვეყნით დაინტერესებულმა საზოგადოებამ.

საღამოს საპატიო სტუმარი იყო საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი ბატონი მოჯთაბა დამიტრი ბატონი.

„კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელმა, მწერალმა ნაირა გელაშვილმა შესავალ სიტყვაში ბრძანა, რომ ამ „კავკასიური სახლის“ მიზანს კულტურული კავშირების გაბმა და შენარჩუნება ნარმოადგენს მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან, უპირველესად კი ჩვენს უშუალო და ისტორიულ მეზობლებთან, რომლებთანაც ურთიერთობის განვითარება რეგიონის სტაბილურობის უმნიშვნელოვანებს პირობად გვევლინება. ამიტომაც, გამუდმებით უნდა ვეცადოთ, გამოვიყენოთ ყველა ის რესურსი, რაც კი საუკუნეების მანძილზე ჩვენ შორის არსებული კავშირების მეოხებით დაგვიგროვდა. პოეზია ამ მხრივ ბრწყინვალე საშუალებას ნარმოადგენს, რადგან დიდი პოეტები თანაბრად ეკუთვნიან, როგორც თავანათ ერებს, ასევე მსოფლიოს ყველა ხალხს, ვისაც მშვენიერების, სამართლიანობისა და სიკეთისაკენ სწრაფა შერჩენია.

ქალბატონმა ნაირა გელაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში მუდამ აფასებდნენ სპარსულ პოეზიას. საუკუნეთა მანძილზე ქართველი მთარგმნელები ტოლს არ

უდებდნენ მეზობელი ქვეყნის პოეტებს და მათი შესანიშნავი ლექსები მმობლიური ენაზე აღეკატურად, დედნისეული სილრმითა და მშვენიებით გადმოჰქონდათ.

ეს ტრადიცია, საბედნიეროდ, აქამდე გრძელდება და ამ სიტყვის დასტურად ალბათ დღევანდელი საღამოც გამოდგება.

„კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელმა აღნიშნა: „ირანი ჩემთვის ის ქვეყანაა, სადაც ერთმანეთს კი არ ენინაალმდებება, პირიქით, ავსებს და სრულყოფს ტრადიციას და თანამედროვეობა. ამ სახელმწიფომ მოახერხა ერთი მხრივ აეთვისებინა და გაეთავისებინა ტექნიკური ცივილიზაციის ყველა სასიკეთო მიღწევა და მეორე მხრივ შეენარჩუნებინა ღრმა სულიერება, თავის წარსულსა და კულტურულ სათვესთან მისტიკური კავშირი.“

ამის შემდგომ ირანის ისლამური რესპუბლიკის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა ბატონმა მოჯთაბა დამირჩილუმ ვრცლად ისაუბრა ირანის ისლამური რევოლუციის მიზეზებსა და შედეგებზე და, სხვათა შორის, პრძნა, რომ რევოლუციის შემდგომ ირანში შეიქმნა სრულიად ახალი ტიპის ლიტერატურა, რომელსაც ქართველი მეითხველი ჯერჯერობით ჯეროვნად არ იცნობს და ამიტომაც ამ ლიტერატურის უახლესი ნიმუშების ქართულად თარგმნა და გადმოლება საშუალ და მნიშვნელოვან საქმედ ესახება.

ბატონმა ელჩმა, რომელსაც აშკარად სასამოვნო მოულოდნელობად დაურჩა „კავკასიურ სახლში“ შეკრებილი საზოგადოების სიმრავლე, მადლობა გადაუხადა საღამოს ორგანიზაციორებს, „კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელობას და აღნიშნა, რომ თითოეული ასეთი საღამო თავის უაღრესად პოზიტიურ წლილის შეიტანს ორი – ისტორიულად მეზობელი და მეგობარი – ერის ურთიერთობათა განვითარებაში. თავის მხრივ კი ირანის საელჩო მუდმივად მხარს დაუჭერს და წაახალისებს ყველა ანალოგიურ სასიკეთო წამოწყებას.

სპარსული პოეზიის საღამოს ესწრებოდა შესანიშნავი ირანისტი, ირანისტთა არაერთი თაობის აღმზრდელი და, რაც მთავარია, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ბატონი ჯემშიდ გიუნაშვილი. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა:

„შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ისლამური რევოლუციის ლიდერი და ამ რესპუბლიკის ფუძემდებელი იმამი აიათოლა მუსავი ხომეინი, გარდა იმისა, რომ უაღრესად შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი ბრძანდებოდა, შესანიშნა-

ვიპოეტიც იყო და მისი ლექსების კრებული „სიყვარულის ღვინო“ ქართულად ორჯერ, ორ ვარიანტად ითარგმნა და გამოიცა.

ბატონმა ჯემშიდმა, რომელსაც საქართველოში ალბათ ყველაზე უკეთ მოეხსენება ირანში ამჟმად არსებული ვითარება, საქმაოდ დაწვრილებით ისაუბრა ამ ქვეყნის დღევანდდელობასა და სამომავლო პერსპექტივებზე, სხვათა შორის კი იმ გარემოებასაც შეეხო, რომ ერთ-ერთი ინიანი, რაც ირანის სტაბილური განვითარების პერსპექტივებზე მიგვითითებს, ქალთა სოციალური აქტივობის მაღალი დონეა. დღევანდელ ირანში ქალი სერიოზულადაა ჩართული ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტის მუშაობაში და თავისი წვლილი შეაქვს უფლებლივ ყველა სფეროს განვითარებაში. დღეს ირანის უნივერსიტეტების სტუდენტთა 65% ქალია და თავისთავად ესეც უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს.

ბატონმა მოჯოთაბა დამირჩილურ, რომელიც გიორგი ლობჟანიძის მეშვეობით, თვალყურს ადვენებდა ბატონი ჯემშიდ გიუნაშვილის საუბარს, ამაზე ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად განაცხადა, დღეს ირანში უკვე კაცები იბრძვიან საკუთარი უფლებებისათვისო. ნათელებამს დარბაზის მხრიდან ადვეკატური რეაქცია მოჰყვა და საზოგადოებაში ხალისიანი განწყობა შემოიტანა.

სპარსული პოეზიის საღამოზე საკუთარ თარგმანებს კითხულობდნენ ზეზვა მედულაშვილი და გიორგი ლობჟანიძე.

ამ ფონზე ჯემალ აჯიაშვილმა, რომელმაც თქვა, რომ იმ დღეს „კავკასიურ სახლში“ შემთხვევით აღმოჩნდა, თავისი თარგმანების კითხვას ვახუშტი კოტეტიშვილის ბრწყინვალე ნიმუშთა გახსენება ამჟობინა, ოლონდ, ექსში შესულს, ნამდვილი მთარგმნელის გამოცხადება დაავინყდა და ვახუშტი კოტეტიშვილის მთარგმნელობითი ხელოვნების შედევრები ლამის საკუთარ დამსახურებად „მითვალა“.

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, რადგან იმ დღეს „კავკასიურ სახლში“ შექრებილ საზოგადოებას ვერავინ მოატყუებდა, რადგანაც ყველად თითქმის ზეპირად იცოდა აქ ნაკითხულით თარგმანები და ყველა ლექსი მიდენად გათავისებული ჰქონდათ, რომ თითოეული მათგანი ამ ნიმუშებს თავისად მიიჩნევდა.

ამიტომ ჯემალ აჯიაშვილს ეს ნაბიჯი თავისი მასნავლებლის, ბრწყინვალე მთარგმნელის ვახუშტი კოტეტიშვილის პატივისცემად მიუთვალეს, რომელმაც მიზეზთა გამო, იმ საღამოს „კავკასიურ სახლში“ მოსვლა ვერ მოახერხა.

სამაგიეროდ, „შესანიშნავ ფორმაში იყო“ ზეზვა მედულაშვილი. მან თავისი თარგმანები ჯერ სპარსულად, ხოლო შემდეგ ქართულად იკითხა და ბოლოს, როცა ბოლიში მოხადა, დავბერდი და ბევრი რამ უკვე აღარ მასხველო, სწორედ მისი მეხსიერებით აღფრთვოვანებულმა ირანის ელჩმა მიუგო: „ჯერჯერობით სიბერეს ნამდვილად ვერ გამჩნევთო“.



ნაირა გელაშვილი, მოჯოთაბა დამირჩილურ, გიორგი ლობჟანიძე

ამის შემდეგ ჩვენმა აღიარებულმა მთარგმნელმა გივი შაპნაზარმა აღნიშნა, რომ მიუხედავად თავისი სპარსული ძირებისა, იგი სომხური ლიტერატურის მთარგმნელია, მაგრამ ჭაბუკობიდანვე ეტრიფის და აფასებს დიდ სპარსულ მწერლობას, რომლის ნიმუშთა გაცნობა ქართველ ირანისტთა ბრწყინვალე ნამუშევართა წყალობით მოუხერხდა.

თავისი ბურად ყველა გამომსვლელს შეეხმიანა მწერალი როსტომ ჩხეიძე, რომელმაც

„კავკასიურ სახლში“ გამართულ მსგავსი საღამოების მნიშვნელობა საგანგებოდ გამოკვეთა და აღნიშნა, რომ „კავკასიური სახლი“ ნაირა გელაშვილის დაუღალვი ენერგიის წყალობით მართლაც მზესავით თანაბრად მიმოაფენს სხივებს ყველა მხარეს, დასავლეთსა თუ აღმოსავლეთს და აღუნიშნავი არ რჩება არცერთი მნიშვნელოვანი ფაქტი და მოვლენა ჩვენა საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

დღევანდელი პოეზიის საღამოც ამის მკაფიოდ დასტურია. საერთოდ, „კავკასიური სახლი“ ყველაფერს მისი მნიშვნელობის მიხედვით აფასებს და არა ჩვენში გავრცელებული სნობური ტენდენციებით, რომლის თანახმადაც, მაგალითად, თარგმნა, თანამშრომლობა მხოლოდ დასავლეთთან ღირს, რადგან აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი დღეს აღარაფერი იქმნება და ეს ქვეყნები საქართველოს ახალს ვერაფერს შეპმატებენ. ერთეული პირველი, ვინც ამ მცდარ პოზიციას დაუპირისპირდა, მაშინ გაზეთის და ახლა უკვე უურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაც იყო. ჩვენ თავის დროზე ცალკე ნომერი მიუვდლენებით სპარსულ ლიტერატურას და, მიუხედავად იმისა, რომ აქ-იქ გაგვაგონეს, საგანგებო ნომრები რალა ირანითა და აღმოსავლეთით, ბარემ მონიანები დასავლური ქვეყნებით დაგენუროთ, ჩვენ მაანც მიგვაჩნია, რომ მაშინდელმა ინიციატივამ გაამართლა. უურნალი იმის უურნალა, რომ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, გინდ დასავლეში და გინდ აღმოსავლეთში გავრცელებული სალიტერატურო ტენდენციებით თანაბრად და თანამიმდევრულად ასახოს. ჩვენ ერთნაირი გულისყრით ვეკიდებით ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში შექმნილ ნიმუშებსაც და აღმოსავლეთის ლიტერატურასაც, რადგან თანამედროვე სამწერლობო პროცესი ერთ მთლიანობად მიგვაჩნია, სადაც ყველა რა თავისი წელილი შეაქვს და თავისი განსაკუთრებული ადგილი გააჩნია.

ბოლო ხანს ასეთივე საგანგებო ნომერი არაბული ლიტერატურისაც მოვაზნადეთ, შემდგომი ნომრები ამერიკული, ინგლისური და ფრანგული მწერლობისა იქნება.

პოეზიის საღამო თითქმის ორი საათი გაგრძელდა, მაგრამ საზოგადოებას დიდხანს არ ეთმობოდა „კავკასიური სახლი“, სადაც ჩვენი მთარგმნელების წყალობით, აღმოსავლეთი მთელი თავისი მშვენიერებითა და დიდებულებით ნარმოგვიდა.

ნინო სადლობელაშვილი

## ნუგაშის ნიგნი

\*

**მთაგაზდილება  
დავით-დაფი გოგიგადაშვილის  
რომანის „დეკამერის თილისმა“**

არსებობს ასეთი გადმოცემა: ძველად თურმე, წმინდა მამები, განსაკუთრებულად დაზიანებულ, განადგურების პირას მისულ წიგნებს ერთ რომელსამე სუფთა ადგილას წვავდნენ და ფერფულს საგანგებოდ მინაში მართავდნენ, იმ რწმენით, რომ ამ წიგნისა სულები ზეცაში დაივანებდნენ და ოდეს-მე ახალ სიტყვად კვლავ მოევლინებოდნენ დედამინას...

ლიტერატურული რეინკარნაცია იქთ იყოს და, თუკი დღესაც იწერება წიგნები, რომლებშიც წმინდა მამათა შიერ იმ დამარცულთა სულები განხორციელდნენ, ერთ-ერთი მათგანი ნამდვილად მეპყრა ხელთ რამდენიმე თვის წინ, და არ მშორდებოდა განცდა იმისა, რომ ის ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ, ჩემივე ცნობიერების სამარხებში დაფლულ ჩემსავე თავს წაკითხული ჰქონდა...

დავით-დეფი გოგიბედაშვილის რომანი „დეკამერის თილისმა“.

ის 2001 წელს გამოსცა ჯერ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ, 2004 წელს კი „საარმა“. თუმცა, დღეს მისი ხილვა წიგნის მაღაზიების თაროებზე გაგიჭირდებათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის მთლიანად გაიყიდა (ჩემს ლიტერატურულ სივრცეში ამგვარი ფაქტი სასიამოვნოდ გასაკვირიც კია). ახალი გამომცემელი კი, „დეკამერის თილისმას“ რატომლაც ჯერ არ გამოსჩენია.

ბაკშვერბაში, ჩემი გულუბრყვილო საუბრების დროს, მე და ჩემი მეგობრები წიგნებს იმის მიხედვით „ვახარისხებდით“, თუ ვის რამდენჯერ წაგვაკითხა თავი თითოეულმა მათგანმა. „გამარჯვებულთა“ სიაში ის წიგნები ხვდებოდნენ, რომლებიც, თურმე ყველაზე ბევრჯერ გვქონდა წაკითხული... რადგან, ასეთები ბუნებრივად ბადებდნენ მონატრებას, გვიტყუებდნენ თათაში, სადაც გვეგულებოდნენ ისინი. და ათასჯერ გადაფურცლული შეგრძნებების ხელახლა გამოწვევით გვანიჭებდნენ ხოლმე უსაზღვრო, განუმეორებელ ტყბობას...

მერე ყველანი გავიზარდეთ და, წიგნებიც – ყველაზე საყვარებიც, რატომლაც ამოჩემებულებიც და სახიფათოებიც (!) თავ-თავის ადგილას დალაგდნენ. შეიცვალა დამოკიდებულებაც მათ მმართ, და მრავალი წლის შემდეგ, ხანდახან ჩემს თავში მათ ისე ვაყუჩებთ, როგორც ყველაზე მთავარ სათქმელს, საუბრის ბოლოსკენ შემონახულს.

„დეკამერის თილისმა“ იმ წიგნად მექცა, რომელმაც რატომლაც ბაკშვერბის აი ეს მთაბეჭდილებები წამომიშალა. პირველად წაკითხვის მერე წინ მიღევს იგი და ყველა მიკრებაზე ისევე უცნაურად ვფრთხილობ, როგორც უკვე დაუფლებულ, ჩემად დაგულებულ და ახდენილ საწარელთან შეხებისას. მაგრამ, ჩემ გავიზარდეთ და, ახ-

ლა ყველაზე მეტად ის მინდა, სწორედ ეს შთაბეჭდილებები გავუზიარო ჩემს მეგობრებს.

... და ყველას მათ, ვისთვისაც წიგნი დღემდე სასიცოცხლო ძალად რჩება.

„დეკამერის თილისმა“ რომანი-დლიურია, „ჩანერილი მინდა ლასარებშვილის მიერ“. დლიურის ფორმა არც ისე უცხოა ჩვენს მზერლობაში (ქეთი ნიუარაძის „ავტოპორტრეტი“ მასხენდება), თუმცა ეს წიგნი მკვეთრად განსხვავებული შინაგანი წყობისა და, ამის გამო – მეტად მომხიბლავიც.

დლიური – ინტიმური, ხშირად აღლოგიური და თვითშემეცნებითი ლიტერატურული ფორმაა. დლიურებს წერენ, როდესაც უყვარდებათ; დლიურებს წერენ, როდესაც თვითგამორკვევას იწყებენ; წერენ ზოგჯერ უბრალოდაც, მიზეზების გარეშე, და ეს ინდივიდუალური „ეამთაალნერა“ ხშირად ყველაზე ფაქტი საქმიანობად ექცევათ ხოლმე... არინ ისეთებიც, რომლებსაც არასდროს მსგავსი არაფერი დაუწერიათ და ეს მათ სულაც არ ჩრდილავს.

თუმცა, საინტერესო ისაა, როდის იწყება ადამიანის ცხოვრებაში დლიურის შექმნის სურვილი?! დავით-დეფი გოგიბედაშვილის რომანის შემთხვევაში, მთავარი გმირი – მინდია ლასარებშვილი, ნერას იწყებს ყველაზე მძაფრი სულიერი კრიზისის შეგრძნებისთანავე. მამინ, როცა ჩნდება დაუძლეველი სურვილი – აღნუსხოს ყველაფერი, რასაც ახლა, ამ დროს და ამ სულიერი მდგომარეობით განიცდის.

დლიურის შექმნისკენ მას უხილავი ხმაც (ალტერ-ეგო, ენიგმა) უბიძგებს. საერთოდაც, ამ უხილავით იწყება რომანი და ეს საკარალური ფონი ბოლომდე გასდევს მას. ის ხან სიზმრებში, ხან მისტიკურ ცხადში გარდაისახება და მთავარ გმირთან ერთად მკითხველიც ცნობიერების მიღმიერ ბენტვის ხილზე გაჰყავს.

თვითონ სახელიც – „მინდია“ ხომ, ქართველი მკითხველის შეგნებაში ერთხელდასამუდამოდ დაუკავშირა ფშაველმა პოეტმა ზედროულ მითს... ყველა ახალი მინდია ნება-უნებურად იმ პირველის, მითოლოგიურის რაღაც ეტაპზე ინტერპრეტაციას. მინდია ლასარებშვილი, თავისი თანამედროვეობით, უპოქალური ტრაგიზმით და რაც მთავარია, სიახლით, იმ თავსი შორეული მოსახელის ანარეკლსაც იტევს.

სხვა რომ არაფერი ჰქონდეთ საერთო, ერთი რამეც კმარა, რაც ამ ორს ერთნაირი ვნებით მოსჭარებებია. ეს – სიმარტივის შეგრძნებაა. ადამიანის მარადიული თანამდევი, მისი ლენინის და ჭირის მოზიარე-სიმარტივე.

დლიურის წერაც ძალიან ხშირად იმის სიტყვიერი და-დასტურებაა, რომ ირგვლივყოფთა სიმრავლის მიუხედავად, მანიც მარტო ხარ. და მინდიაც, „იღებს დლიურს, იწყებს წერას, თენდება“.

... ძალიან საგულსხმოა, რომ მთელი წიგნი სწორედ გამთხინისას დანერილის შთაბეჭდილებას ბადებს. გარიყრაჟი, ჯერ კიდევ მზეამოუსვლელი ცა, ცისკრის ურუანტელიანი სუსხი და თითქოს ფოთლებიდან გადმოსული სისველე – ეს დროის ის შუალედია, რომელშიც ამ წიგნის კითხისას ცხოვრობ და განუწყვეტლივ განიცდი მას. განიცდი საოცრად შთაბეჭდავად ალნერილ გამთხინისპირს და ემზადები რაღაცისთვის. ჩემ ყველანი ხომ, წინაღამიდან მოყოლებული, რაღაცას ველით...

ამ წიგნში ყველა დღე, წუთი, ყველა ნივთი და მოვლენა უსილავი ნიშნითაა აღქვეჭდილი. აქ ლამის ასო-ასო უნდა იკითხო სიმბოლოები და ეძებო მათი გაცხადებანი. თვითონ სათაურშიც ხომ ნათლადაა – „თილისმა“ – ამ ნიშანთა, სიზმართა და სიმბოლოთა შესაკრებელია, სავანეა, რომელიც თანდათან ივსება და ლვთაებრივი აღსასრულოსკენ მიგიყოლებს... სულაც არა საჭირო მაინცდამაინც ზედმინევნით ფლობდე პოსტმოდერნისტულ ტერმინოლოგიას, რომ იგრძნო – არც მთლად ტექსტია ძველებურად ლილინით თვალმისადევნები. აქ ტექსტის შიგნითაც სხვა ტექეტს კითხულობ და იმ სხვის მიღმა – კიდევ ახალი ინყება....


დიდი ხნის ჩინ, ინტერებოდა წიგნები ძლევამოსილ გმირთა მოგზაურობებზე. მერე ამ გმირობებს ნანილ-ნანილ ვიზეპირებდით და ვთხზავდით ახალ „ილიადებს“ და „ოდისებს“... გვაოცებდა მათი უკიდევანო და ბობოქარი ხეტიალი, ათასი შემხვედრი, ათიათასი გამვლელი და უფრო მეტი – თანამგზავრი.... „დეკემბრის თილისმაც“ – წიგნია „მოგზაურობაზე“. ზუსტად იმ მასშტაბის გზები, იმდენივე მრავალფეროვნება და ვნება; სამი თვის განმავლობაში, დასაზღვრულ დროში – 13 ოქტომბრიდან 9 დეკემბრამდე – მოგზაურობა ათასი ხიფათის გავლით!.. ოღონდ, არა „გარეთ“, ხილულში, არამედ – „შიგნით“, ადამიანის სულის უკიდევანობაში. მინდიას „ოდისეა“... მეგობრებო, ბავშვობა გახსოვთ?..

მინდია სიყვარულმა აქცია უცნაურ მოგზაურად. სიყვარულმა, როგორც ყოველივეს მიზეზმა ამქეყუნად. არავითარი უარყოფა სიყვარულის მხრიდან, არავითარი ღალატი ან ამგვარი სისულელები. უბრალოდ, ორმა უსაზღვროდ შეყვარებულმა ადამიანმა ყოფიერების ქაოსში ერთად ვეღარ ატარო ის. მინდია წავიდა – სიყვარულის გადასარჩენად. ოღონდ, მარტო თავისი გრძნობის კი არა, არამედ – ზოგადად, მთლიანი, ზე-სიყვარულის გადასარჩენად.

უხილავმა ხმამ, სიზმრებმა და საკუთარმა გზებმა ის ბეთანიის მონასტრამდე მიიყვანა. აი მერე კი... როგორ უნდა მოყვე! ან აქამდე რაც მოგყევი. მოვიხელთე კი?!

... ჩამოუსხედით თუნდაც ხუთი წუთით ბეთანიის შავკაბიან ბერებს, ფიქრი მიადევნეთ მათ უცნაურ მეტყველებას. შეეცადეთ ბოლომდე გაუგოთ ხალხში გიუად მონათლულ კეთილ მწყემსს – თომას, და ნელ-ნელა იგრძნობთ, როგორ გამოგეცალათ ხელიდან ცოდნა, რომელსაც ნლების მანძილზე, თარო-თარო აკონინებდით... როგორ მშვიდად და უმტკივნეულოდ დაგავინწყდათ ყველაფერი, რაც კი გსმენიათ, გისნავლიათ, შეგიკრებიათ... როგორ შიშვლდება თქვენი სული, და რჩებით დედიშმბილები, სრულიად თავისითავადები, ბავშვებივით უბინონ, – და ამ მშვიდი, უმტკივნეულო „გადატრიალების“ მერე ისევ ნელ-ნელა ინყება შემოსვა! სამყაროს შესახებ ცოდნა უკვე სხვა გზებიდან, მადლიანად შემოდის თქვენში!

ყოფიერების ორომტრიალიდან რომ გახედო, სამყარო ჰეგას ქისას, რომელსაც პირამდე შესასებლად თითო გროში ყოველთვის აკლდება. ზოგი მტკივნეულად განიცდის ამ „დანაკლისს“, ზოგი ვერც ამჩნევს. მეოცნებები და



დეკემბრის  
თილისმა

ხელოვანები სწორედ იმ ერთი გროშის ძებნაში აღმატებენ წუთისოფელს. ეწირებიან მას და ათას ზღაპარს თხზავენ, რათა თავიანთ აღმოჩენაში დაგვაჯერონ – „აი, თურმე სადა ყოფილა ის დალოცვილი...“ სამყაროს სრულქმნილების განცდა, მისი „უნაკლობის“ შეგრძნება ნეტარებაა აღმატად, იმიტომაც არაან ნეტარნი ისინი, რომელთაც მიაგნეს და დაიჯერეს კიდეც.

„ახალ ცოდნაზე“ როცა ვამპობდი, ამას ვგულისხმობდი. ბეთანიის მონასტრის მამები ის დიდი სინამდვილეა, რომლებმაც სამყაროს შესახებ, სწორედ ახლა და სწორედ ამ წიგნში, ხელახლა მოგვითხრეს.

... და, თუკი ვინმეს უსიამოვნოდ გააჭრულებს ხოლმე, როცა თანამედროვე ლიტერატურაში სასულიერო პირებს შეხვდება, ძველმოდურობაში და მხატვრულ სისუსტეში ჩაუთვლის ამას ავტორს და დამცინავად ჩაიღიმდება... ან თუკი ვინმე, ჭარბი რელიგიურობისგან გულაჩუყებული მკითხველი თითო ეპიზოდში თითო ანაფიორიანის გამოჩენას, სამ-სამჯერ პირჯვრისნერით შეეგება და ვაიდა, მათზე რამე „გადაკვრით“ იყოს ნათებამი, მაშინვე ანათემას გადასცემს მწერალს... – ასეთებისგანაც და მათი ანტიპოდებისგანაც, „დეკემბრის თილისმას“ სწორედ ის თავისი თილისმა დაიფარავს, თავისივე თავი, შინაარსი და დიდი ძალა, რომელიც ამგვარი სისულელებისთვის დროს აღარავის უტოვებს. ეს წიგნი ყველასთვისაა – მათთვისაც, ვისაც გულით სწამს და, მათთვისაც, ვინც ამ რწმენამდე მისასვლელად გონებას აწვალებს.

მინდია ლასარეიშვილის დღიური, დაწერილი ახალი წამის ძებნის დღიდან მის აღმოჩენამდე, მასში შერწყმამდე... – არის ის თილისმა, რომელიც ყველა მისი წამკითხველის ხელში თავიდან გაცოცხლდება. ეს სიცოცხლე გადამდება, ისევე, როგორც სიტყვის ძალა ამქეყუნაზე.

ქრისტიანობის დიდი წიჭი ხომ – წუგეშია. პარში გამოკიდებული, უსულო სიტყვა კი არა, – წამდვილი, გულისგულამდე ჩაღრმავებული წუგეში. თქვენ მას აუცილებლად იძოვით „დეკემბრის თილისმაში“... და კიდევ ერთხელ გაულიმებთ ერთმანეთს ახლად წიგნანაკითხები, რადგან ბავშვობა გაგვახსენდება, და ბავშვურად მტკიცე რწმენა იმისა, რომ წიგნები – ადამიანების მანუგეშებლად იწერება მხოლოდ...

და, უკანასკნელ წამზეც. მითუმეტეს, რომ არ ვიცით, ვის როდის გვეახლება ის. მინდა, ორიოდე ფრაზით გითხრათ, ახლა უკვე ჩემი საყვარელი წიგნიდან: „როცა იხილავ იმ უკანასკნელ წამს – არავის უთხრა, არ დაწერო, არ მოყვე, არ გაამხილო! არსებობს რალაც, რასაც ფარვა და გულში მარხვა სჭირდება. ამის წამკითხველი გულით იგრძნობს და გონებით დადუშდება. სიზმარმა წინასწარ იცის მონევნის ჟამი, ის ხომ წრეზეა. შენს წინ მდგარ შენივე თავში, და სიცოცხლის გასრულებამდე ცოდნას გადასცემს მას, ვინც მის წინაა, ის კიდევ მის წინ მდგომას და ასე შემდევ უსასრულოდ, სანამ ზურგიდან არ გეტყვის შენივე თავი – მას, რაც ჭეშმარიტია!..“

ამ ფრაზიდან კი, საჩუმე ინყება. უბრალოდ, მე „დეკემბრის თილისმაში“ გინვდით...

### ოსიპ მანდელშტამი

\* \* \*

უძილო ლამე, ჰომეროსი. სავსე აფრები.  
ვწევარ, შუამდე ჩავიკითხე ნუსხა ხომალდთა.  
ნეროთა გუნდად, მოფართქალედ, კვლავ ამოლანდდა,  
ელადის მიღმა სამანს იქით გადასაფრენი.


სოლად შეჭრილა, განელილა, ჯერ ისევ დრო აქვს, –  
მეფეთა თხემებს ლვთაებრივი ქაფი ევლება.  
საით მიცურავთ შეჭურვილნი? თუ არ ელენე,  
რას ვაქნევთ მაშინ, აქაველნო ვაჟკაცნო, ტროას?

სიყვარულია, – ჰომეროსად იძვრის და ზღვებად.  
აპა, ჩერდება ჰომეროსი. მიწყდა თხრობილი.  
ზღვა მოხმაურობს ლამეული, ზღვა ოქროპირი,  
და სასოფლო ბნელხმოვანი გრუზუნით წვება.



### პოლ ვალერი

### ელენი, მაშუცვარი დედოფალი



აპა, ლაჟვარდო, კვლავ დავტოვე აჩრდილთა მღვიმე!  
მაღალი ტალღა საფეხურებს აწყდება ჟღერადს  
და განთიადის მსუბუქ ნისლში ირეკლავს მზერა  
მკვდრეთით აღმდგარი ხომალდების ოქროვან ქიმებს.

ჩემი ხელები, მარტოული, მეფეებს მისტირს,  
მათ ხვეულ თმა-წვერს ნაფერები, ზღვისაგან მლაშეს.  
კაცები ომებს გამლეროდნენ, დარახტულ რაშებს,  
კონცხებს, იალქნებს, მე ვტიროდი, მორბეულ ზღვისპირს...

ვუსმენ ნიუარას – ბუკთა ხმობას, საომარ ძახილს  
ხოფების მოსმას, მიმოქცევას ხმებისა მჭახის,  
შელოცვებს მღერენ მენიჩხენი: ქარიშხალს ველით.

ზღვის მძიმე ბორგვა ნიუარიდან შავად ხმიანებს...  
ელადის ღმერთებს ვყვარებივარ, ტანნაკვთიანებს,  
მკლავებს მიწვდიან ღიმილებით, ქაფისგან სველით.

რუსულიდან და  
ფრანგულიდან თარგმნა  
დავით ცერეზიანი



ამ პუბლიკაციას რომ ვამზადებდით, ავტორს ალი მოჰამადზადეს ავტობიოგრაფია და პატარა წინათქმა ვთხოვთ. ცოტა სანში თეირანიდან ბარათი შივილეთ – ვრცელი, ხატოვანი, ზოგი სპარსული სასოფლო ტრადიციის გამო და ზოგიც ავტორის ასაკის გამოისამძიოთ, მხატვრული ჩუქურთმებით მოვარაყებული.

ბარათში, რომელიც ახალგაზრდა ირანელ პოეტს ასე დაუსათაურებია: „ოცნების ნაპირიდან ჩვენს დღევანდელობამდე“, გვნერდა:

„ეს 26 გაზაფხული ჩემი ყმანვილკაცობისა საკუთარი ცხოვრების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ხანა მგონია, რადგან ეს დრო ცხოვრებაში საოცარი გარდა მნების და-საწყის გამოდგა. ის შინაგან ძირეულ სახეცვლილებას დაემთხვა, რადგან სწორედ ამ ხანის გარიურაჟზე მომაჯადოვა მშობლიურმა ირანულმა ლიტერატურამ ჯერ ძველი მგოსნების – ნიზამის, ფირდოუსის, პაფეზის, საადისა და ჯალალ ედ-დინ რუმის შემოქმედებამ, ხოლო შემდგომ ახალი თაობის პოეტთა – ნიმა იუშიჯის, სეფეჰრის, ფორუყის, აპმად შამლუსა და სეიდ ალი სალეპის ბრწყინვალე ლექსებმა. ამ სიყვარულმა ჩემში ნელ-ნელა გააღვივა ლექსის წერის სურვილი და აი, რამდენიმე კრებულის გამოცემაც მოვასრარი“.

ალი მოჰამადზადეს ლექსებს ჯერჯერობით ნამდვილად სჭირდება დალინება, მაგრამ პოეტური ნიჭი მართლაც იგრძნობა მის პწკარებში და ალბათ ამ ნაპერნკლებს ქართველი მკითხველიც დააფასებს.

## ალი მოჰამადზადე

\* \* \*

მე ზეცის გვარ-ტომის ვარ:  
მზე ჩემი უბინო დაა,  
მთვარე – ჩემი კუნთმაგარი ძმა,  
ვარსკვლავები კი – ჩემი დაწინდულნი.

მე ზეცის გვარტომის ვარ,  
მე ვარ მცოდნე ცაში თავაღერილი ქარის გზისა,  
ღრუბელთა ფარის მწყემსიც მე ვარ და  
წვიმის მოსვლის მახარებელიც.

საოცარია,  
მე – გამოგონილი –  
ზეცის გზათა დასაწყისში  
ზღვის ზღურბლზე ვოცნებობ.

\* \* \*

საკვირველ სამყაროში ვცხოვრობთ:  
ჩვენი ცოცხლები  
დავინცების მიწაში დამარხულან,  
მკვდრები  
ამაო ქება-დიდებით ჩამოლლილან,  
საოცარია,  
ყოველი კაცი  
თითქოს საკუთარი მარტოობის წრეში მომწყვდეულა.  
რა თქმა უნდა, მშვენივრად ვიცი:  
სიძნელე არის, იყო და იქნება,  
წუნუნისა და მოთქმის ხელახლი გადაკითხვა კი  
წარსულს ვერაფრით ვეღარ შეენება.  
როდემდე აპირებთ თვალები მზეს,  
ბაგეები კი სალამს მიაწებოთ,

დარეტიანებულო მიწის ბინადარნო,

დაიჯერეთ, რომ

ბორბალიც კი დაიღლება

ერთი წერტილის გარშემო ბრუნვით

და თქევნ რაღა მოგივათ...

მოდით, მხოლოდ

ადამიანური კავშირის ხათრით,

დავინცების შადრევანს მოშორდით,

ერთურთი გაიხსენეთ...

\* \* \*

სადაცაა, ცა ინათებს...

არ მეძინება.

ლაწვთა სივრცეებს

ცრემლის ჩქარი ნაბიჯები მიცახცახებენ,

გული ავად შემომკვენესის,

დღეები

დაღლილი რწმენის გროვაში ჩავკარგე,

თავი დავივინცე,

არა მკითხო, რატომ...

არ ვიცი...

ნეტავ, ვინმე მაინც მოვიდოდეს,

ან მე ნავიდოდე

სადმე, სადაც ხალისის ნიავი იქნებოდა,

ადამიანური გაგება,

სიმღერის წერიალი და

ფრინველთა ლაღი, საამო ჭიკჭიკი...

ძალიან ცუდადა ვარ,

არც წასვლის თავი მაქვს და

არც დარჩენის გული...

არ მკითხო, რატომ...

არ ვიცი!

აქ ბებრუხანა ყვავი

ჩემს ხანგრძლივ ძრწოლას

ფანჯრის მიღმა ტკეპნის...

\* \* \*

აქ რას აკეთებ,  
უმეგობრო,  
პატარა ჩიტო,  
გადამფრენ ჩიტთა შენს ქარავანს რატომ ჩამორჩი,  
რა გსურს ამ გაძრვილ-გაფიჩხული ტოტებისაგან,  
აქ ყველა მტრედი ცუდადაა, ვინც ჩვენთან დარჩა.  
რა გულუბრყვილო ჩიტუნა ხარ,  
რადგან შენსავით,  
ვინც შემოდგომის ნამგლის ჩრდილქვეშ ჩამოიძინა,  
მეორედ აქ ძილისათვის აღარ მოსულა,  
ვერ ჩაგათბუნებს ეს კალთა, ვერ დაგინანავებს.  
ჭკვინად იყავ,  
წადი, თორებ  
წელს შემოდგომა  
ყველაზე უფრო სამარცხვინო ქარებს მიგყიდის...

\* \* \*

ღამის მრუმე ტოტები გაიფოთლნენ,  
დედაჩემი ქარის გემოსა და ზეცის მზერას  
ვეღარ ამჩნევს  
და თავი ფანჯრის კალთაში ჩაურგავს...  
უხმო მოგონებებს მერამდენედ ფურცლავს  
და მისი ტირილის ნაკვალევი  
ვარსკელავთა ხაზებიდან გამოკრთის,  
თავი წითლად აჭრელებული,  
ცხოვრების საშინაო დავალებებითა აქვს ავსებული,  
მისი გული სიყვარულის გაძარცვული საგანძურია,  
ხოლო ხელი ერთ ვარსკელავზეც კი ვერ მიუწვდება.  
როგორ სწადია,  
ქარმა დაკარგულ ახლობელთა წერილი მოუტანოს,  
როგორ ლამობს, დეკებრის ყველა გაყინული მტრედი  
თავისი შვიდი წლის ასაკის  
ქუჩათა ტკბილ სიზმარში დააბრუნოს,  
როგორ სურს,  
აპრილის ყვავილთა მივიწყებული სახელები გაიხსენოს,  
ზღვის აკვის კალთასა და საამო იავნანას დაუბრუნდეს.

\* \* \*

მზის მწველი თოკი  
უჭერთ მერცხლებს გამომშრალ ყელზე.  
პატარა ბალი კი საგსეა წყლის მოლანდებით  
და მეც ვარ ასე, შფოთანი, მოუსვენარი...  
დიდი ხანია,  
არცერთ ნიავქარს  
წვიმის სუნი არ მოჰყოლია...  
აქ ყოველმა დამტვრეულმა ბალახის ღერომ  
იცის, ღრუბელთა განშორება  
ყვავილისა და პეპლის სიზმარს რადაც დაუჯდა.  
და როდისღა,  
უგასალებო, ჩაგმანულო მოლოდინო,  
მითხარ, როდის გამოილები?

\* \* \*

შენი შეცდომა სწორედ ის იყო,  
რომ გეგონა, ჩემს ოცნებებს სამარეში გავიყოლებდი,  
მაგრამ ხომ ხედავ,  
ბოლოს და ბოლოს გაზაფხულის ჯანსაღმა ხელმა  
ზამთრის ჩაშლილი გალავანი გადააქცია,  
ხედავ, ნატანჯი იადონი  
ისევ ვნებით მოფარუნე ბალს დაუბრუნდა...  
ახლა რომელ ზრახვასაც გსურს  
გადანასკვე ამ მცოდნე მარცვლის აღმონაცენი...  
სიცოცხლის ველზე ქარს ჯერაც მოაქვს ღმერთის სურ-  
ნელი...

\* \* \*

იმ წლებში, როცა ვიღლებოდით,  
თუთის ხის ჩრდილში ვიძინებდით  
და სიზმრად  
ღმერთს და ვარსკელავიან ზეცას ვხედავდით...  
აფსუს, დაიმსხვრა ჩვენი ბავშვობის ტკბილი სიზმარი,  
ახლა აღარც თევზი დარჩა იმ ჩვენს აუზში  
და არც სიმღერა – უკაცური ქუჩის სიღრმეში,  
არც პიტნასა აქვს ძველებური მწველი სურნელი...

\* \* \*

არ ვიცი, ეს ჩაჟანგული ბოქლომი  
არცერთი ლოცვის გასაღებით რატომ არ იღება  
და ეს უზნეო ჯაყვა  
მოცახცახე, უსიმღერო იადონს თავს რად არ ანებებს.  
ფრთადაჭრილი მტრედები  
თავისუფლების ათასწლეულის სიზმრიდან  
უკან როდისღა დაბრუნდებიან?  
მეტს აღარ გავაგრძელებ...  
ზოგჯერ ზოგი რამის თქმისას  
ენა მებმის და ტირილი მივარდება..

სპარსულიდან თარგმნა  
გიორგი ლოპათანიძე



უილიამ ფოლკნერი

## შეცდომა პიმიაში

ცოლი მოვკალიო, ჯოელ ფლინტმა თვითონ აუწყა ტელეფონით შერიცის. და როცა შერიცმა და მისმა თანა-შემწემ ოც მიღწე მეტი გამოიარეს, რომ მოელწიათ შემ-თხვევის ადგილამდე – მივარდნილ შორეთში, სადაც ბე-ბერი უესლი პრიტჩელი ცხოვრობდა, – ჯოელ ფლინტი თვითონვე შეეგება კართან და შინ შეიპატიუა ისინი. უც-ხოელი, ხიზანი, იანკი რომ ეთქმოდა – ფლინტი ჩვენს მხარეში გამოჩნდა ორი წლით ადრე მოხეტიალე ქუჩის ცირკათან ერთად – რულეტს ატრიალებდა განათებულ ჯიხურში, რომლის კედლები დახუნძლული იყო მოსაგე-ბი პრიზებით – მონიკელებული პისტოლეტებით, სამარ-თებლებით, საათებითა და გარმონებით, – და როცა ცირკი თავის გზას გაუდგა, ფლინტი არ გაჰყოლია, აქ დაბინავდა და ორი თვის შემდეგ ცოლად შეირთო პრიტ-ჩელის ასული, ერთადერთილა რომ დარჩენოდა ცოც-ხლებში. ეს იყო ორმოც წელს მიტანებული მოჩერჩეტო არსება, რომელიც მანამდე თავისი ფხუკიანი და მძინ-ვარე მამის განმარტოებულ ცხოვრებას იზიარებდა არ-ცოუ მოზრდილ, ოლონდ დოვლათიან ფერმაში.

მაგრამ ბებერ პრიტჩელს შვილის დაქორწინების შემდეგაც კი, ეტყობა, არ სურდა, რაიმე საერთო პქ-ნოდა სიძესთან. თავისი სახლიდან ორ მილის დაშორე-ბით წევე-დედოფალს მომცრო სახლი აუშენა, სადაც მისმა ასულმა ხელი მოჰკიდა ქათმების მოშენებას გასა-ყიდად. მითქმა-მოთქმის თანახმად, ბებერ პრიტჩელს, რომელიც ადრეც თითქმის არსად დაბრძანდებოდა, ახალი სახლის ზღურბლზე ფეხი ერთხელაც არ გადაუ-ბიჯებია. შვილებიდან ეს ქალიდა შემორჩენოდა და იმა-საც კვირაში ერთხელ თუ ხედავდა, როცა ის თავის ქმართან ერთად ჯაბახანა სატერო მანქანით – რომ-ლითაც სიძე ბაზარში მიაქანებდა ქათმებს – კვირაობით სადილად ეწვეოდა ხოლმე ძველ, მამისეულ სახლს, სა-დაც პრიტჩელი ახლა თვითონ დიასახლისობდა და თვი-თონვე უვლიდა კარ-მიდამოს. მეზობლები, მართალია, ლაპარაკობდნენ, თითქოსდა პრიტჩელი კვირაობითაც კი მხოლოდ იმისთვის უშვებს შინ სიძეს, რომ შვილმა კვირაში ერთხელ მაინც ცხელი სადილი გაუმზადოს.

ამრიგად, მომდევნო ორი წლის მანძილზე, ზოგჯერ ოლქის დედაქალაქ ჯეფერსონში, მაგრამ უფრო ხშირად პატარა სოფელში ამ ახალი სახლის შორიახლის მდება-რე გზაჯვარედინზე, ნააწყდებოდით და კიდევ მოუს-მენდით პრიტჩელის სიძეს. ორმოცდახუთი წლის კაცი იყო, არც ტანმაღლი და არც ტანდაბალი, არც მჭლე და არც მსუქანი (სხვათა შორის, ის და მისი სიმამრი ერთსა და იმავე ჩრდილს მოაფენდნენ და მერე ასეც მოხდა მცირე ხნით), იგი გულცივი ზიზღის გამომეტყველებით, გონიერ პირისახეზე რომ ენერა, ზანტი ხმით ათასგვარ

ზღაპრებს როშავდა ხალხით აფუთფუთე-ბულ უცხო ქვეყნებზე, სადაც მისი მსენელნი თავის დღეში არ მოხ-ვედრილან; თხემით ტერფამდე ქალაქელი კაცი, მისივე სიტყვით, არც ერთ ქალაქში არა-სოდეს რომ არ დაყოვ-ნებულა, ფლინტი უკვე პირველი სამი თვე იმ ხალხში ყოფნისას, ვისი ცხოვრების წესიც შეით-ვისა, მთელი ოლქისათვის გახდა ცნობილი, იმათვი-საც კი გახდა ცნობილი, ვისაც თვალით არასოდეს ენახა იგი. და ეს მოხდა მისი ერთი უცნაური ახირების გამო. გაუთლელი და გამანადგურებელი ზიზღით, უდროოდ და უადგილოდ, ხანდახან ყოველგვარი საბაბისა და ყო-ველგვარი ცხადი მიზეზის გარეშეც, იგი მასხრად იგ-დებდა ჩვენებულ სამხრეთულ ჩვეულებას – წყლითა და შაქრით გაზავებული ვისკის სმას. ამ სასმელს ეძახდა „ქალების სიროფს“ და ბალდების ფაფას, თვითონ კი ეტანებოდა ჩვენს შინაურ დაუგარგებელ გაუზავებელ უკანონო სიმინდის შინახადს და ერთ ყლუპ წყალსაც კი არ აყოლებდა.

და აი ახლა, ამ კვირა დილით, შერიფს დაურეკა, ცო-ლი მოვკალიო, სიმამრის კართან შეეგება პოლისმენებს და თქვა:

– უკვე გადავასვენე სახლში, ასე რომ დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ, ნუ დამამუნათებთ, ჩვენს მოსვლამდე ცხედრისათვის ხელი არ უნდა გეხლოო.

– ძალიან კარგი, მინაზე რომ არ დაგიტოვებიათ, – თქვა შერიფმა. – თუ სწორად გაგიგეთ, უბედური შემ-თხვევა მომხდარა.

– მაშასადამე, არასწორად გაგიგიათ, – შეეპასუხა ფლინტი. – მე გაცნობეთ, ცოლი მოვკალი-მეთქი.

ეს იყო და ეს. მეტი აღარაფერი უთქვამთ.

შერიფმა ფლინტი ჯეფერსონში ნაიყვანა და ციხის საკანში ჩაკეტა. იმავე სალამოს, ვახშმობის შემდეგ, შე-რიფი გვერდითა კარიდან შემოვიდა კაბინეტში, სადაც მე, ძა გევინის ხელმძღვანელობით, საქმის მოკლე ში-ნაარს ვადგენდი. ძა გევინი მხოლიოდ პროკურორი იყო ოლქისა, მაგრამ შერიფთან, რომელსაც ეს თანამდებო-ბა თუმცა მუდმივად არა, მაგრამ უფრო დიდხანს ეჭირა, ვიდრე ძა გევინის ოლქის პროკურორის თანამდებობა, მთელი ამ ხნის განმავლობაში მეგობრობდა. მეგობრები ეთქმოდათ, როგორც ორ კაცს, რომლებიც ერთმანეთს ჭადრაკს ეთამაშებიან, თუმცა ხანდახან ერთიმეორის საწინააღმდეგო თვალსაზრისი გააჩნიათ. ერთხელ ყუ-რი მოვკარო, სწორედ ამ საკითხზე მსჯელობდნენ.

– მე მაინტერესებს ჭეშმარიტება, – თქვა შერიფმა.

– ასევე მეც, – თქვა ძა გევინმა. – ეს დიდი იშვიათო-ბაა. მაგრამ კიდევ უფრო მეტად მაინტერესებს ადამია-ნები და სამართლიანობა.



– მაგრამ ჭეშმარიტება და სამართლიანობა ხომ ერთი და იგივეა, – შენიშნა შერიფმა.

– ნეტავი რა დოროიდან? – შეესიტყვა ძია გევინი. – მეთავის დროზე დავრწმუნდი, რომ ჭეშმარიტება ყველაზერთ, რასაც კი ინებებთ, ოღონდ სამართლაზობა – ნურას უკაცრავად. და იმაშიც დავრწმუნდი, რომ სამართლიანობისკენ სწრაფვისას მართლმსაჯულება იყენებს ისეთ იარაღსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც უაღრესად მეტიზღება.

შერიფი ფეხზე იდგა და ისე გვიამბობდა მკვლელობის ამბავს; ზორბა მამაკაცი, მტკიცე გამოხედვა რომ ჰქონდა წვრილი თვალებიდან, აღმართულიყო მაგიდის ლამპასთან და ზემოდან დაჰყურებდა ძია გევინის ნააღრევად გაჭალარავებულ გრუზა თმას და ცოცხალ, გამხდარ პირისახეს. ის კი ლამის საკუთარ კეფაზე ჩამომჯდარიყო და გადაჯვარედინებული ფეხები აერწყო მაგიდაზე, სიმინდის ტარისგან გაკეთებული ჩიტუხის ტარს ღეჭავდა და თითოს გარშემო ატრიალებდა საათის ძენკეს, ფი-ბეტა-კაპას პანია გასაღებითურთ, პარვარდში რომ მოეხვეჭა.

– მერედა რისთვის? – თქვა ძია გევინმა.

– მეც სწორედ ეგა ვკითხე, – თქვა შერიფმა. – ასე მიპასუხა: „რისთვის კლავენ ქმრები ცოლებს? აი, ვთქვათ, დაზღვევის საზღაურისათვის“.

– არაა მართალი, – შეეპასუხა ძია გევინი. – ეს ქალები არიან, უშუალო პირადი სარგებლის გულისათვის რომ კლავენ ქმრებს – მაგალითად, დაზღვევის პოლისის გულისათვის ანდა, როგორც ისინი ფაქტობენ, სხვა მამაკაცის წაქეზებით, რომელიც თითქოსდა რაღაცას დაპირდა. ქმრები კი ცოლებს კლავენ სიძულვილის, მრისხანების ან სასონარკვეთის გამო, ანდა სულაც იმიტომ, რომ გააჩუმონ, რადგან ქალის გული რამდენიც გინდა მოიგო, სახლიდან რამდენჯერაც გინდა გაიქცე, სმას მაინც ვერ ჩააქმნდინებ.

– სწორია, – დაეთანხმა შერიფი. თავისი წვრილი თვალები მიანათა ძია გევინს. – გეგონება ეწადა, ციხეში ჩამაყუდონო. თითქოს იმიტომ კი არ დაგვაპატიმრებინა თავი, რომ ცოლი მოკლა, არამედ თითქოს იმიტომ მოკლა, რომ დაგვეპატიმრებინა, საკანში ჩაგვეკეტა და დაცვის ქვეშ გვყოლოდა.

– მერედა რისთვის? – ჰკითხა ძია გევინმა.

– ეგც სწორი შეეითხვაა, – განაგრძობდა შერიფი. – როდესაც კაცი გაზრიას ჩაიკეტავს კარს, – მაშასადამე, ეშინია. მაგრამ კაცი, რომელიც ციხეში ნებაყოფლობით ჩაჯდება, და მკვლელობაშია ეჭვმიტანილი... – მთელი ათი წამი შეჰყურებდა ძია გევინს, თავისი ხისტ თვალებს ახამხამებდა, ძია გევინი კი ასეთივე ხისტი მზერით პასუხობდა. – იმიტომ, რომ მას არ ეშინოდა. არც მაშინ და არც არასოდეს. დროდადრო გადაეყრები ადამიანს, რომელსაც არასდროს არაფრინისა არ ეშინია. საკუთარი თავისაც კი არ ეშინია. აი, სწორედ ეგეთი ვინმე ბრძანდება.

– თუკი ასე ეწადა ციხეში ჩაჯდომა, მაშ თქვენ რატომდა ჩასვით?

– თქვენი აზრით, ცოტა ხანს უნდა მომეცადა?

ერთხანს შეჰყურებდნენ ერთიმეორეს. ძია გევინი თავისი ძენკვის ტრიალს შეეშვა.

– კეთილი, – თქვა მან. – ბერიკაცი პრიტჩელი...

– სწორედ მაგას ვაპირებდი, – თქვა შერიფმა. – არაფერი.

– არაფერი? – ჩაეკითხა ძია გევინი. – ის არც კი გინახავთ?

მაშინ შერიფმა ისიც გვიამბო, თუ როგორ იდგნენ პარმაზე იგი, მისი თანაშემწე და ფლინტი, და უცრად შენიშნეს, რომ ბერიკაცი ფანჯრიდან უყურებდა მათ – სიავისგან გაშეშებული სახით მძვინვარედ უყურებს ფანჯრიდან და იმნამსვე გაეცლება, ქრება და ტოვებს გესლიანი ზეიმის, გაცოფებული ტრიუმფისა და კიდევ რაღაცის შთაბეჭდილებას...

– შიშისა? – თქვა შერიფმა. – გეუბნებით, რომ არ ეშინოდა. აპ, დაიცათ, – დასძინა მან. – თქვენ ხომ პრიტჩელზე...

შერიფი ძია გევინს ამჯერად ისე დიდხანს შეჰყურებდა, რომ ძია გევინმა საბოლოოდ თქვა:

– კეთილი. განაგრძეთ.

მაშინ შერიფმა ესეც გვიამბო: როგორ შევიდნენ სახლის წინკარში, როგორ შეჩერდა და იმ ოთახის ჩაკეტილ კარზე დააკაცუნა, რომლის ფანჯარაშიც დაინახეს ბებერი პრიტჩელის სახე, და სახელიც დაუძახა, მაგრამ პასუხი მაინც არ მიუღია. და როგორ გასცდნენ წინკარს და უკანა ოთახში სანოლზე დაინახეს მისის ფლინტი, ზურგში ცეცხლსასროლი ჭრილობით, ხოლო ჯაბახანა სატვირთო მანქანა უკანა პარმალთან იდგა, თითქოსდა ისინი, ეს-ეს არის, იქიდან გამოძრვნენო.

– სატვირთოში სამი მკვდარი ციყვი ეგდო, – თქვა შერიფმა. – მე მგონი, ისინი ჯერ კიდევ განთიადისას დაუხოცავთ... – ხოლო პარმაზე და მინაზეც, პარმალსა და სატვირთოს შორის, იყო სისხლი, თითქოსდა ქალს სატვირთოდან ესროლესო, თავად თოფი კი, რომელშიც ცარიელი ვაზა ჩარჩენილიყო, წინკარის შესასვლელს მიღმა აეყუდებინათ, გეგონებოდა, ვიღაცამ სახლში შესვლისას იქ მოათავსაო. და როგორ დაბრუნდა შერიფი წინკარში და კვლავ დააკაცუნა ჩაკეტილ კარზე...

– საიდან იყო ჩაკეტილი? – ჰკითხა ძია გევინმა.

– შიგნიდან, – მიუგო შერიფმა და განაგრძო თხრობა, თუ როგორ იდგა გლუვი, ყრუ კარის წინ, დაემუქრა, შემოვამტვრევ, თუკი არ გამიღებთო, და ამჯერად ხრინინამა ხმაშ ვკირილობით გასცა პასუხი: „გაეთრიეთ ჩემი სახლიდან! წაიყვანეთ ეს მკვლელი და გაეთრიეთ ჩემი სახლიდან!“

„თქვენ მოგინევთ ჩვენების მიცემა“, – პასუხობდა შერიფი.

„მოგცემთ ჩვენებას თავის დროზე! – დაუყვირა ბერიკაცმა. – გაეთრიეთ ჩემი სახლიდან, ყველანი უკლებლივ!“

და როგორ უბრძანა მან (შერიფმა) თავის თანაშემნეს, მანქანით წასულიყო უახლოესი მეზობლის მოსაყვანად, და ფლინტთან ერთად ელოდა, ვიდრე თანაშემწე მოიყვანდა ვიღაც კაცს ცოლთან ერთად. მერე ფლინტი ქალაქში წაიყვანეს, ჩაკეტეს, შერიფმა დარეკა ბეტერი პრიტჩელის სახლში, მეზობელმა აიღო ტელეფონის ყურმილი და თქვა, ბერიკაცი კვლავ ჩაკეტილი ზის, გა-

მოსვლაზე უარს ამბობს, პასუხს არც კი გვცემს და მხოლოდ ღრიალებს, ყველანი წაეთრიეთო (ამ დროისათვის სხვა მეზობლებიც მოქუჩდნენ, ვინაიდან ტრაგედიის ამბავი უკვე გავრცელებულიყო), მაგრამ ზოგიერთი დარჩა და ყურადღებას არ აქცევდა იმას, თუ რას ამბობდა და რას აკეთებდა აშკარად შეშლილი ბერიკაცი, დაკრძალვა კი ხვალ იქნებაო.

- სულ ეს არი? – ჰეთხა ძია გევინმა.
- სულ ეს არი, – მიუგო შერიფმა. – იმიტომ, რომ ახლა უკვე ძალიან გვიანაა.
- ესე იგი რაო? – ჰეთხა ძია გევინმა.
- ის არ მომკვდარა, ვინც უნდა მომკვდარიყო.
- ხდება ხოლმე, – თქვა ძია გევინმა. – ესე იგი რაო?
- ყველაფერი თიხის ორმოს ბრალია.
- რომელი ორმოსი?

დიახაც მთელ ოლქს სმენოდა ბებერი პრიტჩელის თიხის ორმოს ამბავი. მისი ფერმის ზუსტად შუაგულში იყო რბილი თიხის ბუდობი, საიდანაც ახლო-მახლო მოსახლენი ამზადებდნენ ულაზათო, მაგრამ საგსებით გამოსადეგ ჭურჭელს – თუები მოსახრებდნენ საქმარისი თიხის ამოთხრას, ვიდრე მისტერ პრიტჩელი შეამჩნევდა მათ და გაყრიდა. ამ ბუდობში ბიჭუნები უხსოვარი დროიდან პიულობდნენ ინდიელებისა და პირველყოფილ ადამიანთა კულტურის ნამარხ ნაშთებს – ისრის კაუიან ბუნიებს, ცულებს, თეფშებს, თავის ქალებს, კანჭის ძვლებსა და ჩიბუხებს, რამდენიმე წლის წინათ კი არქეოლოგიური ექსპედიცია მისისიპის შტატის უნივერსიტეტიდან აქ გათხრებს ანარმობდა, ვიდრე ბებერი პრიტჩელი თავზე არ დაადგათ, თანაც ამჯერად – თოვით ხელში. მაგრამ ყოველივე ეს ყველამ იცოდა, შერიფი სრულიად სხვა რაღაცას გულისხმობდა და ახლა ძია გევინი უკვე წელში გამართული იჯდა სკამზე და ფეხები დაშვებული ჰერნდა იატავზე.

- მე ეს არცა მსმენია, – თქვა ძია გევინმა.
- ეს ხომ ყველასთვის არის ცნობილი, – შენიშნა შერიფმა. – ეს, შეიძლება ითქვას, სპორტის ადგილობრივი სახეობაა, სუფთა ჰაერზე რომ იმართება. ყველაფერი დაწყო თვენახევრის წინათ. აქ სამი ჩრდილოელი გარეულა საქმეში. როგორც მგონია, ისინი ცდილობენ, რომ პრიტჩელისგან იყიდონ მთელი მისი ფერმა, რათა დაეპატრონონ თიხას და მისგან ანარმონ მასალა გზების ფერილისათვის თუ რაღაც ამდაგვარი. ადგილობრივი მცხოვრები ინტერესით ადევნებენ თვალს, ნეტავი რით დამთავრდებათ. ყველასთვის, ამ ჩრდილოელთა გამოკლებით, ნათელია ერთი რამ – ბებერი პრიტჩელი სულაც არ აპირებს მიჰყიდოს მათ არც თიხის ორმო და არც, მით უფრო, მთელი ფერმა.
- მათ, რა თქმა უნდა, უკვე შესთავაზეს რაღაც ფასი?

– და ნაღდად გვარიან ფასს შესთავაზებდნენ. ზოგი ამბობს, ორას ორმოცდაათიო, ზოგიც – ორას ორმოცდაათი ათასიო – ვერაფერს გაიგებ. ამ ჩრდილოელებმა უბრალოდ არ იციან, თუ როგორ მიუდგრენ ამ კაცს. უბრალოდ რომ მოეხერხებინათ მისი დარწმუნება, თითქოსდა მთელი ოლქი იმედოვნებს, იგი თავის ფერმას

არაფრისდიდებით არ გაყიდისო, ისინი ხუთ წუთში, უსათუოდ, შეისყიდიდნენ ამ ფერმას. – იგი კვლავ მიაჩერდა ძია გევინს, თან თვალებს ახამხამებდა. – ამგვარად, ის არ მოუკლავთ, ვინც უნდა მოეკლათ. თუკი ყველაფერი ამ თიხის ბუდობის ბრალია, ფლინტი გუშინდელი დღიდან ერთი ნაბიჯითაც არ მიახლოებია. უფრო შორსაც კი იმყოფება მისგან, ვიდრე გუშინ. დიას, გუშინ მას და ბებერი პრიტჩელის ფულებს შორის არაფერი იდგა, გარდა ჭირვეულობისა, იმედებისა და გულისადილისა, რაც ეგებ გასჩენდა ამ მოჩერჩეტო დედაკაცს. აი, ახლა კი მათ შორის გაჩნდა ციხის კედელი და, ალბათ, სახრჩობელის ყულფიც. თუკი მას ეშინოდა შესაძლო მოწმისა, არათუ მოსპონ ეს მოწმე ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე საჭირო იქნებოდა რაღაცის დამოწმება, არამედ მანამდეც კი, ვიდრე გამოჩნდებოდა მოწმე, რომელიც უნდა მოესპონ. მან გამოაკრა აბრა ასეთი მოწმდებით: „ფხიზლად მადევნეთ თვალი“, რომელიც მიმართავდა არა მარტო ჩვენი ოლქისა და ჩვენი შტატის მცხოვრებთ, არამედ ყველას ამქვეყნად, ვისაც სწამს ბიბლია, სადაც თემულა: „არა კაც ჰელა“, მერე კი გამოჩნდა და ჩაჯდა საპატიმროში სწორედ იმ ადგილას, რომელიც დაუარსებიათ, რათა დასაჯონ იგი ამ დანაშაულისათვის და შეაკავონ მომდევნო დანაშაულისგან. აქ რაღაც სხვა უნდა იყოს.

– ვიმედოვნებ, რომ მართალი ბრძანდებით, – თქვა ძია გევინმა.

– თქვენ იმედოვნებთ, რომ მართალი ვარ?

– დაახ. დაე, რაღაც სხვა უნდა იყოს იმაში, რაც მოხდა. უარესია, თუკი იგი ჯერ არ დამთავრებულა.

– როგორ თუ ჯერ არ დამთავრებულაო? – გაოცდა შერიფი. – საინტერესოა, როგორ შეძლებს ის, რომ რამე დაამთავროს? ის ხომ უკვე ზის ციხეში, და ერთადერთი კაცი მთელს ოლქში, ვინც შეიტანდა მისთვის გირაოს, – მამა სწორედ იმ ქალისა, ვისი მკვლელობაც, აბა სხვა რა ვთქვათ, მან ალიარა.

– ჰო, სწორედ ასე ჩანს, – თქვა ძია გევინმა. – დაზღვევის პოლისი კი იყო?

– არ ვიცი, – თქვა შერიფმა. – ხვალ შევიტყობ. მაგრამ მე სულაც მაგის გაეგბა როდი მსურს. მინდა გავიგონ, რატომ უნდოდა, საპატიმროში რომ ჩაესვათ. გეუბნებით, არაფრის ეშინოდა-მეთქი – არც მაშინ, არც როდისმე სხვა დროს. თქვენ ხომ უკვე მიხვდით, მათგან რომელს ეშინოდა.

ოღონდ პასუხი ამ შეკითხვაზე ერთბაშად არ მიგვიღია. დაზღვევის პოლისი კი მართლაც არსებობდა. მაგრამ იმ დროისთვის, როცა მისი არსებობა შევიტყვეთ, მოხდა ერთი მოვლენა, რომელმაც ყველაფერი დანარჩენი თავიდან გავვითვინა. მომდევნო დღის გარიურაჟები, როდესაც ზედამხმარებელი ფლინტის საკანში შეიხედა, იქ კაცის ჭაჭაპებისა კი მარტო არ იყო. ფლინტი არ გაქცეულა. ის უბრალოდ ნავიდა – საკნიდან, ციხიდან, ქალაქიდან და, როგორც ჩანს, საერთოდ, ჩვენი ოლქიდანაც – არც კაცი დაუტოვებია, არც ხმა, და არც არავის უნახავს ის ან თუნდაც ვინმე, ვინც შეიძლება ის ყოფილიყო. მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო, როცა შერიფი გვერდითა

კარიდან კაბინეტში შევიყვანე; საძილე ოთახს რომ მივადებით, ძია გევინს უკვე გალვიძებოდა და საწოლში წამომჯდარიყო.

– ბებერი პრიტჩელი! – თქვა ძია გევინმა. – ოღონდ უკვე დავიგიგიანეთ.

– რა დაგემართათ? – გაუკვირდა შერიფს. – გუშინ ხომ გეუბნებოდით, რომ ფლინტს უკვე დააგვიანდა სწორედ იმ წუთას, როცა ჩახმახი დასხლიტა. და ამასაც გეტყვით, თქვენ რომ არ აღელდეთ – იქ უკვე დავრევე. სახლში მთელი ღამე ბარე ათმა კაცმა გაატარა – მორიგეობდნენ მისის ფლინტის სარეცელთან, ბებერი პრიტჩელი თავის ოთახში ჩაკეტილიყო უკნებლად და საღსალამათად. განთიადისას მოესმათ, როგორ დაფლატუნობდა და ფუსფუსებდა, და მაშინ რომელიდაც მათგანმა დაუკაუჭნა კარზე და მანამდე უკაუნებდა, სანამ იმან კარი არ გამოაღო და კვლავ წყევლა-კრულვა გადმოაფრქვია, აქედან გაეთრიეთო. მერე ისევ ჩაკეტა კარი. ბერიკაცი, როგორც ჩანს, მაგრად არის თავზარდაცემული. ყველაფერი, ალბათ, მის თვალნინ მოხდა, ხოლო მის ასაქში, თანაც როცა მთელი ჯალაბობა სახლიდან გაუგდია, გარდა ამ თავისი მოჩერჩეტო ასულისა, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, ასევე მიატოვა და წავიდა უკანმოუხედავად... სულაც არ მიკვირს, რომ ცოლად გაჰყვა ისეთ ტიპსაც კი, როგორიცაა ფლინტი. რა თქმულა ერთი ბიბლიაში? „რომელიც ცხოვრობს მახვილით, მახვილითვე წარწყმდეს?“ აი, ბებერი პრიტჩელის შემთხვევაში კი მახვილს ნიშნავს ის, რაზედაც მან გადავალა მთელი მოდგმა ადამისა, როცა ჯერ კიდევ ჯეელი იყო, ჯანსაღი და ჯანიანი და არავინ არ სჭირდებოდა. მაგრამ თქვენ რომ არ აღელდეთ, ნახევარი საათის წინ იქ გავგზავნე ბრაიან იუელი და უკურძანე, ჩემს განკარგულებამდე თვალი არ მოწყვიტოს ამ ჩაკეტილ კარს – ანდა ბებერ პრიტჩელს, თუკი ოთახიდან გამოვა, და გავგზავნე ბენ ბერი და კიდევ ვიდაც-ვიდაცეცები ფლინტის სახლში და ბენს უბრძანე, იქიდან დამირეკე-მეთქი. როცა რაიმეს შევიტყობ, მაშინვე გაცნობებთ. ოღონდ ვერაფერსაც ველარ შევიტყობ, რადგან ის ტიპი გაიქცა. გუშინ, მკვლელობის შემდეგ, ხელი სტაცეს, რადგან შეცდომა დაუშვა, ხოლო კაცი, რომელსაც ძალუძს ციხიდან გამოსვლა იმგვარად, როგორც ის გამოვიდა, ზედიზედ ორ შეცდომას არ დაუშვებს ჯეფერსონიდან ან მისისი შტატიდან ხუთასი მილის მანილზე.

– შეცდომას? – თქვა ძია გევინმა. – იმან ხომ გუშინ დილით გვითხრა, რისთვისაც სურდა ციხეში ჩაჯდომა.

– რისთვის?

– იმისთვის, რომ იქიდან გაქცეულიყო.

– კი მაგრამ, რისთვის უნდოდა ისევ გამოსულიყო იქიდან, ის ხომ თავისუფალი იყო და შეეძლო თავისუფალი დარჩენილიყო, უბრალოდ რომ მოეკურცხლა, მან კი, ამის ნაცვლად, ტელეფონით მაცნობა, ცოლი მოვკალიო?

– არ ვიცი, – პასუხობდა ძია გევინი. – თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ბებერი პრიტჩელი...

– ხომ გითხარით, რომ დღეს დილით იგი ნახეს და ელაპარაკებოდნენ ნახევრად გაღებულ კარს იქიდან.

ბრაიან იუელი კი, უთუოდ, ახლაც ზის სკამზე, რომელიც სწორედ იმ კარისათვის შეუყვენებია, – აბა ერთი გაბედოს და არ იჯდეს! დაგირეკავთ, თუკი რამეს შევიტყობ. მაგრამ უკვე ხომ გითხარით, მეტს ვერაფერს ვეღარ შევიტყობ-მეთქი.

ერთი საათის შემდეგ დარევა. ეს-ეს არის ჩემს თანა-შემწეს ველაპარაკეო. მას ფლინტის სახლი გაუჩერევია და გვაცნობა, რომ ფლინტი ლამით იქ ყოფილა – უკანა კარი ღიაა, იატაკზე ყრია ნამსხვრევები ნავთის ლამპისა, რომელიც ფლინტის, ალბათ, ხელიდან გაუვარდა, როცა ბინები ფართიფურთობდა, რადგანაც ნაჩქარევად გადაქოთებული დიდი სკივრის მიღმა თანაშემწემ იპოვა ჩალიჩით დაგრაგნილი ქაღალდი – ფლინტმა, ეტყობა, ცეცხლი მოუკიდა, როცა სკივრში იქექებოდა, – ქაღალდის ნაგლეჯია, ბილბორდიდან მოხეული...

– რისგან? – ჰკითხა ძია გევინმა.

– აი, მეც ეგ ვიკითხე, – უპასუხა შერიფმა. – ბენი კი ამბობს: „თუკი არ მოგწონს, როგორ ვეითხულობ, აქ სხვა ვინმე გამოგზავნე. ეს ქაღალდის ნაგლეჯია, ალბათ, ბილბორდის კიდეს მოხიეს, რადგანაც ზედ ინგლისურად წერია, მეც კი შემიძლია წავიკითხო“, ხოლო მე ვეუბნები: „ზუსტად მითხარი, ხელში რა გიჭირავს“. ჰოდა, მითხრა. ესაო, მეუბნება, ფურცელია უურნალიდან ან გაზეთიდან, სახელად „ბილბორდი“ (ანონსი) რომ ჰქვიაო. იქ კიდევ რაღაც სიტყვებია დაბეჭდილი, მაგრამ ბენს ვერაფრით ვერ გაურჩევია – სათვალე დაკარგა ტყეში, როცა ალყას არტყამდა სახლს, ფლინტი რომ დაეჭირა, რითაც გინდა ყოფილიყო დაკავებული იქ – ეგებ თვითონ იმზადებდა საუზმეს. თქვენ იცით, რა არის ეს?

– ჰო, ვიცი, – თქვა ძია გევინმა.

– იცით, რას ნიშნავს ყველაფერი ეს და რატომ იყო იქ?

– ჰო, – უპასუხა ძია გევინმა. – მაგრამ რისთვის?

– ვერაფერს გეტყვით. და თვითონაც არასოდეს არ იტყვის. რადგანაც წავიდა, გევინ. რასაკევირველია, ჩემი მას დავიჭირო, ესე იგი ვინმე დაიჭირს, სადმე, როდისმე. ოღონდ აქ არა და ამისთვის არა. მამასადამე, ეს უბედური უწყინარი მოჩერჩეტო დედაკაცი იმადაც არ ლირდა, რომ მისთვის შეურ ეძია იმ სამართლიანობას, რომელსაც თქვენ ჭეშმარიტებაზე მაღლა აყენებთ.

იფიქრებდი, საქმე ამით დამთავრდაო. იმავე დღეს მისის ფლინტი დაკრძალეს. ბერიკაცი ისევ ჩაკეტილი იყო თავის ოთახში, მაშინაც კი არ გამოსულა, როდესაც ყველანი სასაფლაოსკენ გაჰყვნები კუბოს, ხოლო სახლში დარჩა მარტორდენ შერიფის თანაშემწე, თავისი სკამი რომ მიებჯინა ჩაკეტილი კარისათვის, და ორი მეზობელი ქალი, რომელებმაც ბებერ პრიტჩელს ცხელი სადილი გაუმზადეს და ბოლოს დაიყოლიეს, კარი გაედო კერძიანი სინის გამოსართმევად. მან ბუზღუნით და პირქშად გადაუხადა მადლობა მეზობლებს ყველაფერისათვის, რაც ამ ბოლო დღეს გაუკეთეს. ამან ისე აუჩვილა გული ერთ მათგანს, რომ პრიტჩელს შესთავაზა, ხვალაც მოვალ და სადილს კვლავ გაგიმზადებო, მაგრამ ბერიკაცი ისევ სიფიცხემ და უურნალი შეიძყრო, და გულკეთილმა ქალმა კიდეც ინანა, რატომ ვერაფრიო,

როცა ოდნავ გადებული კარიდან გაისმა ხრინწიანი, ჭრიალა ბებრული ხმა: „არავითარი შემწეობა არა მჭირდება. უკვე ორი წელია, მაინც ალარა მყავს შეიღის“, რის შემდეგაც მეზობლებს ცხვირწინ მიუხურა კარი და კლიტემაც გაიჩხარუნა.

მერე ორივე ქალი გავიდა სახლიდან და მარტო შერიფის თანაშემწე დარჩა კარს მიბჯენილ სკამზე. იგი დაბრუნდა ქალაქში მეორე დილით და მოჰყვა, რომ ბერიკაცმა ანაზდად გამოალო კარი და მთვლემარე თანაშემწემ ვერც კი მოასწორ გახტომა, რომ ბერიკაცმა ფეხის დარტყმით სკამი გამოაცალა და საშინელი ლანძლვა-გინებით უბრძანა, აქედან წაეთრიეო, და როცა მან შერიფის თანაშემწემ მოვისარებით გამოიხედა ფარდულის კუთხიდან, სამზარეულოს ფანჯრიდან გასროლამ იელვა, ციყვებისთვის განკუთვნილი საფანტის მუშტი კედელს შეასკდა და სულ რაღაც ერთი იარდით ასცდა თანაშემწის თავს. შერიფმა ძია გევინს ტელეფონით ესეც აუწყა:

— ამრიგად, ის ისეც მარტოა იქ. და თუკი თვითონ ასე სურს, მეც ყაბულსა ვარ. რა თქმა უნდა, მებრალება. ყველა მებრალება, ვისაც ამგვარი ხასიათით უნევს ცხოვრება ამქვეყნად. ბებერი, ეული, თანაც ასეთი უბედურება დაატყდა თავს. თითქოს გრიგალს წაულიხარ, დაუტრიალებიხარ და უკან გადმოუტყორციხარ ზუსტად იმავე ადგილზე, და არც ხეირი დაგყრია, არც სიამე გიგმია, თითქოსდა სულაც არსად დაგიდგამს ფეხი. გუშინ მახვილის თაობაზე რას გეუბნებიდით?

— არ მახსოვს, — თქვა ძია გევინმა. — გუშინ ბევრი რამ ილაპარაკეთ.

— და ბევრიც მართალი გამოდგა. მე ვთქვი, გუშინ ყველაფერი დამთავრდა-მეტქი. და ასეც არის. ეს ტიპი როდისმე ისეც ჩავარდება, მაგრამ ეს ჩვენთან ალარმოხდება.

მაგრამ მხოლოდ ეს როდი იყო უცნაური. იფიქრები, რომ ფლინტი აქ არასოდეს გაჭაჭანებულა — არც კვალი ჩანდა, არც ნაკანტი იმ საკნის კედელზე, სადაც იჯდა. ერთი საცოდავი მუჭა ჭირისუფალნი — ისინი თანაუგრძნობდნენ, მაგრამ არა გლოვობდნენ — მალევე დაიშალნენ, მიატოვეს ახლად გათხრილი საფლავი ქალისა, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, ერთი ბენზინც არ გაჰკარებია ჩვენს ცხოვრებას; რომელსაც ზოგი ჩვენგანი იცნობდა კიდეც, თუმცა თვალით არასოდეს უნახავს, ზოგს კი უნახავს, მაგრამ არასოდეს გაუცნია... უშვილო ბერიკაცი, რომელიც მრავალ ჩვენგანს საერთოდ თვალით არ ენახა, ისეც მარტოდმარტო სახლში, სადაც, მისივე სიტყვით, უკვე ორი წელიწადი იქნება, შვილებიც აღარ ყოფილან...

— თითქოსდა ყოველივე ეს სულაც არ მომხდარა, — თქვა ძია გევინმა. — ტრიუმვირატი — მევლელი, მსხვერპლი და ნუგეშმიხდილი მამა — სამი ცოცხალი, სისხლითა და ხორცით საესე ადამიანი როდია, არამედ — მარტოდნენ ილუზია, ლანდების თეატრი ზენარზე; ესენი არც მამაკაცები არიან და არც დედაკაცები, არც ახალგაზრდანი და არც მოხუცი, მარტოოდენ სამი იარლიყია, რო ჩრდილს რომ მოაფენენ ერთადერთი მარტივი მიზეზით — იმისათვის, რომ პოსტულატად მიიჩნიო უსა-

მართლობისა და ვარამის არსებობა, საჭირო არის მინი-მუმ ორი. დიას. მათ არასოდეს დაუფენიათ ორ ჩრდილზე მეტი, თუმცა ატარებდნენ სამ იარლიყს, სამ სახელს. ამ უბედურმა ქალმა, თითქოსდა მხოლოდ თავისი სიკვდილის წყალობით, ხორცი შეისხა და იმდენად მოიპოვა რეალობა, რომ ჩრდილი დააფინა.

— მაგრამ ვიღაცამ ხომ მოკლა ის, — ვთქვი მე.

— ჰო, — დამეთანხმა ძია გევინი. — ვიღაცამ მოკლა.

ეს საუბარი შუადლისას გვექინდა. სალამოს ხუთ სა-ათზე კი ტელეფონი ანკარუნდა. შერიფი რეკავდა.

— ბიძაშენი შინ არის? — მკითხა მან. — უთხარი, რომ დამელოდოს. ახლავე მოვდივარ.

შერიფს მოჰყვა უცნობი კაცი — ქალაქელი, გულდას-მით მორგებული ქალაქური კოსტუმი რომ ეცვა.

— ეს მისტერ უორკენი გახლავთ, — თქვა შერიფმა. — დაზღვევის აგენტი. დაზღვევის პოლისი არსებობდა. ხუთას დოლარზე, მისი შედგენიდან წელიწადი და ხუთი თვე იქნება გასული. არა მგონია, რომ ასეთი თანხის გულისათვის ადამიანის მოკვლა ღირდეს.

— თუკი ეს, საერთოდ, მკვლელობა იყო, — თქვა დაზღვევის აგენტმა. სუსხიანი კილოთი ლაპარაკობდა, თუმცა, იმავდროულად, მრისხანებისგან ლამის დუღდა. — პოლისი დაუყოვნებლივ განაღდება, ყოველგვარი შეკითხვებისა და შემდგომი გამოძიების გარეშე. მე გეტყვით იმასაც, რაზედაც თქვენ, როგორც ჩანს, არა-ფერი გცოდნიათ. ეს ბერიკაცი ჭკუიდან შერყა. ქალაქში წასაყვანი და საპატიმროში ჩასაკეტი ფლინტი როდი ყოფილა.

და ოლონდ ესეც შერიფმა გვიამბო: დაზღვევის კანტორამ მემფისში წინა დღეს როგორ მიიღო დეპეშა, რომელსაც ბებერი პრიტჩელი ანერდა ხელს და რომელიც იუწყებოდა დაზღვეული ქალის სიკვდილს, და დაზღვევის აგენტი ბებერ პრიტჩელს შინ ენვია დღეს, შუადლის ორ საათზე, და ნახევარ საათში თვით ბებერ პრიტჩელს გამოსცინცლა მთელი სიმართლე მისი ასულის სიკვდილზე: ფაქტები, რომელთაც ადასტურებდა ნივთიერი საბუთები — სატვირთო მანქანა, სამი მოკლული ციყვი და სისხლი პარმალსა და მინაზე. აი, რა მომხდარა: როცა პრიტჩელის ასული სადილს ამზადებდა, პრიტჩელი და ფლინტი სატვირთო მანქანით გაემგზავრნენ ტყეში, ვაშშმისათვის ციყვების დასახოცად...

— ესეც მართალია, — თქვა შერიფმა. — მე გამოვიკითხე. ყოველ კვირადდეს, დილით, მიემგზავრებოდნენ ხოლმე ტყეში. პრიტჩელი თავის ციყვებზე ნადირობის ნებას არავის აძლევდა, გარდა ფლინტისა, მაგრამ ფლინტსაც კი მხოლოდ მაშინ აძლევდა ნებას, თუკი მასთან ერთად ინადირებდა, — პოდა, ეს სამი ციყვი მოკლეს და ფლინტი სატვირთო მანქანით პირდაპირ სახლის უკანა პარმალს მიადგა, ქალი გამოვიდა გარეთ ციყვების წასაღებად, ფლინტმა კი კარი გამოალო, თოფი აიღო ხელში და კაბინიდან უნდა გამომძვრალიყო, როცა ფეხი გაუცურდა, ფეხსაცმლის ქუსლი წამოედო საფეხურის კიდეს და თოფიანი ხელი აიქნია, არ დავეცეო, ასე რომ, როცა თოფი გავარდა, ლულა მიმართული იყო პირდაპირ მისის ფლინტის თავისაკენ და ბებერი პრიტ-

ჩელი არათუ უარყოფდა დეპეშის გაგზავნას, არამედ იფიცებოდა, ლმერთმანი, არავითარი პოლისი საერთოდ არა მსმენია. იგი გადაჭრით უარყოფდა, თითქოსდა თოფი შემთხვევით გავარდა. ცდილობდა უკან წაელო თავისივე ჩვენება იმის შესახებ, თუ სახელდობრ რა მოხდა, როცა მისი ასული სახლიდან გამოვიდა მოკლული ციყვების წასალებად, თოფი კი გავარდა; საკუთარი ნათქვამის უარყოფას მოჰყვა, როცა მიხვდა, რომ თვითონვე გააქარწყლა სიძის მიმართ აღძრული ეჭვი მკვლელობაზე, მერე კი აგენტს ქალალდი გამოგლიჯა ხელიდან, ეტყობა, ეგონა, რომ სწორედ ეს იყო დაზღვევის პოლისი და აგენტს ხელი რომ არ შეეშალა, ნაკუნ-ნაკუნ დახვედა.

— რისთვის? — ჰქითხა ძია გევინმა.

— როგორ თუ რის-თვის? — გამოეხმიანა შერიფი. — ჩვენ მივუშვით ფლინტი, რომ გაქცეულიყო; მისტერ პრიტჩელმა იცოდა, რომ ის თავისუფალია და სადღაც ახლომახლო დაეხეტება. მაშ, თქვენი აზრით, ენდომებოდა, რომ იმ კაცისთვის, ვინც შვილი მოუკლა, ფულიც გადაეხადათ?

— შესაძლოა, — თქვა ძია გევინმა. — მაგრამ მე ეგრე არა ვფიქრობ. არა მგონია, რომ მას, საერთოდ, აწუხებდა ეს. მე მგონი, მისტერ პრიტჩელმა იცის, რომ ჯოელ ფლინტი ვერ მიიღებს

ვერც ამ პოლისს და საერთოდ ვერაფერს. შესაძლოა, მან იცოდა, რომ მივარდნილ პატარა ციხეში, როგორიც ჩვენია, ვერ დააკავებ ბევრის მნახველ ფოკუსთამ-ქმნელს; ელოდა, ფლინტი უკან დაბრუნდება და ამჯერად მზად იყო საამისოდ. და მე მგონი, როგორც კი მეზობლები გულს აღარ გაუნვრილებენ, თქვენ გამოგიძა-ხებთ და თვითონ გეტყვით ყველაფერს.

— ჰოო, — წარმოთქვა დაზღვევის აგენტმა. — მაშასა-დამე, მეზობლები უკვე აღარ უნვრილებენ გულს. მისმინეთ. როდესაც დღეს იქ ჩავედი, პრიტჩელთან ვიღაც სამი კაცი იმყოფებოდა. მათ ჰქონდათ დამონმებული ჩეკი. დიდ თანხაზე. ისინი ყიდულობდნენ ფერმას — მთლიანად, უკანასკნელ ლურსმნანად, — და სხვათა შორის, მე არც კი ვიცოდი, რომ თქვენს მხარეში მინა ასეთი ძვირი ყოფილა. პრიტჩელს უკვე გამზადებული ჰქონდა ბეჭედასმული დოკუმენტი, მაგრამ როცა ჩემი ვინაობა ვაუნყე, დათანხმდნენ, მოვიცდითო, ვიდრე ქალაქში დავბრუნდებოდი და ამას ვაცნობებდი ვინმეს, აი, მაგალითად, შერიფს. გამომგზავრებისას ეს დამთხვეული

ბერიკაცი ისევ იდგა კარში, თავის ქალალდს მჩრიდა პირში და ჭრიჭინებდა: „ეშმაკმაც წაგილოთ, უთხარით შერიფს! და ადვოკატიც ჩამოიყვანეთ! ჩამოიყვანეთ ეგ სტივენსი! როგორც ამბობენ, ჰგონია, ამგვარ საქმეთა დიდოსტატი ვარო!“

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, — თქვა შერიფმა. იგი ლაპარაკობდა და მიძრაობდა იმ გაზვიადებული, ოდნავ მაღალფარდოვანი, ძევლმოდური თავაზიანობით, რაც ხელერიფებათ მხოლოდ ძალზე ახოვნ მამაკაცებს, მაგრამ ის ყოველთვის ასეთი იყო; პირველად ვხედავდი, რომ ვისიმე სახლიდან გასვლისას არ შეყვინებულა კარში, როგორც სჩვეოდა, თუნდაც განზრახული ჰქონდა იქ მისვლა მეორე დღესვე. — ჩემი მანქანა ქუჩაში დგას, — უთხრა ძია გევინს.

და აი, დაისამდე ცოტა ხნით ადრე მანქანით მივადექით მოწესრიგებულ ლობეს, რომელიც გარს შემორტყმოდა მოწესრიგებულ ცარიელ ეზოს და ბებერი პრიტჩელის მოწესრიგებულ მომცრო სახლს; წინა პარმალთან იდგა ვეება დამტვერილი ავტომობილი ქალაქის ნომრებით და ფლინტის ჯაბახანა სატვირთო მანქანა, რომლის საჭესთან იჯდა უცნობი ზანგი ჯელი — ნამდვილად უცხო, ვინაიდან ბებერ პრიტჩელს არასოდეს არავითა-


რი ფარეში, გარდა თავისი ასულისა, არა ჰქონლია.

— ისიც მიემგზავრება, — თქვა ძია გევინმა.

— უფლება აქვს, — შეემიანა შერიფი.

ავედით პარმალზე. მაგრამ კარამდე მისვლაც კი ვერ მოვასნარით, რომ ბებერმა პრიტჩელმა იყვირა, მობრძანდითო, — ხრინნიანი ჭრიალა ბებრული ხმა მოგვესმა სასადილო ოთახიდან, სადაც სკამზე იდო დიდრონი ძველმოდური დასაკეცი საკვიაუში, პირთამდე გატენილი იყო და ქამრები ჰქონდა შემოჭერილი; სამი ჩრდილოელი, დამტვერილი ტანსაცმელი რომ ეცვათ, იდგა და კარს შეჰყურებდა, თავად ბებერი პრიტჩელი კი მაგიდას მისჯდომოდა. და პირველად მაშინ დავინახ (ძია გევინი მეუბნებოდა, სულ ორჯერ მინახავს) ჭაღარა თმის აბურდული ბულული, ფოლადის ჩარჩიობაზე სათვალის ზემოთ მდვინვარედ აბურდგნული წარბები, შეუკრეჭავი ულვაში და ბლუჯა-ბლუჯა წვერი, საღეჭ თამბაქოს რომ გაემუქებინა.

— მობრძანდით, — თქვა მან. — რაო, ეს არის ადვოკატი სტივენსი?



მხატვარი ვახტანგ მეგრელიშვილი

– დიახ, მისტერ პრიტჩელ, – თქვა შერიფმა.

— ჰმ, — ჩაიძლუკუნა ბერიკაცმა. — რაო, ჰებ, მაქვს უფლება, რომ ჩემი მიწა გავყიდოთ თუ არა მაქვს?

— რა თქმა უნდა, გაქვთ, მისტერ პრიტჩელ, — პასუხობდა შერიფი. — ჩვენ არა გვსმენია, რომ გაყიდვას აპირებდით.

— ჰე, — თქვეა ბერიკაცმა. — შესაძლოა, გადავიფიქრე  
— აი, ამის გამო. — ჩეკი და დაკეცილი ქალალდი წინ ედო  
მაგიდაზე. ჩეკი მიუჩინჩა შერიფეს. ძია გევინისთვის აღარ  
შეუტედავს, ისე უთხრა: თქვენც ნახეთ. — ძია გევინი და  
შერიფი მაგიდას მიუახლოვდნენ და ჩეკი შეათვალიე-  
რეს. არც ერთსა და არც მეორეს მისთვის ხელი არ მიუ-  
კარებია. მათ სახეებს ვხედავდი. ზედ არაფერი ეწერათ.  
— აბა, რას იტყვით? — იკითხა მისგან პრიტჩელმა.

— კარგი ფასია, — თქვა შერიცმა.

ამჯერად ბერიკაცმა მოკლედ და მკვახედ ჩაიბურ-  
ტყუნა:

— აგერ! — ქალალდი გაშალა და ცხვირწინ მიაჩეჩა — ოლონდ შერიფს კი არა, არამედ ძია გევინს: — აპა რას იტყვით? — გაიმეორა. — ადვოკატიონ, რას ბრძანიბურობდა?

— ყველაფერი რიგზეა, მისტერ პრიტჩელ, — თქვა ძია  
გვინდნა.

ბერიკაცი სკამის ზურგზე გადაწვა, ხელები მაგიდა-  
ზე დააწყო, თავი მიაბრუნა და შერითს შეხედა.

- როგორ მოგწინოთ? - თქვა მან. - პო თუ არა?
- მინა თქვენია, - შეეხმიანა შერიცფი. - რასაც იზამთ, ოძინი ნიშაა, არაას, არათორი არა კოტება.

— აპა! — წარმოთქვა მისტერ პრიტჩელმა. არ განძრეულა. — კეთილი, ჯენტლმენებო. — ერთი ბენზეც არ განძრეულა; ჩამოსულთაგან ერთ-ერთი მაგიდას მიუახლოვდა და ქაღალდი აიღო. — ნახევარ საათში აქ აღარ ვიქნები. როგორც კი ნავალ, მაშინვე შეგიძლიათ დაეპატრონოთ აქაურობას ანდა ხვალ დილით იპოვით გასაღიძეს ფეხსანმენდის ქვეშ.

მე მგონი, არც კი გაუყოლებია თვალი, როდესაც  
ისინი ოთახიდან გადიოდნენ, თუმცა მტკიცებას არ  
მოვყვები, რადგანაც სათვალე უბრჭყვიალებდა. მერე  
მივხვდი, რომ იგი შეპყურებდა შერიფს, შეპყურებდა  
მთელი ერთი წუთი და ეგებ მეტიც, მერე კი დავინახე,  
რომ კანკალი აუტყდა, ბებრულად აცახცახდა და აძიგ-  
ძიგდა, თუმცა ხელები, თიხის ორი კოშტივით, უძრავად  
ენყო მაგიდაზე.

— მაში, ხელიდან გაუშვით, — თქვა მისტერ პრიტჩელმა.

— ମାରନ୍ତାଲୀଳା, — ତକ୍ଷବା ଶେରିନ୍ତମା. — ମାଘରାଥ ଗ୍ଵାଫରନ୍ଦିନେ, ମିଳିଟିକିର ପରିତିନ୍ଦିଲ. ହିନ୍ଦିନ ମଧ୍ୟ ଡାଙ୍ଗିଫରିତ.

— რამდენი გადროვოთ? ორი წელიწადი? ხუთი წელიწადი? ათი წელიწადი? მე სამოცდათოთხმეტი წლისა ვარ, ცოლი და ოთხი შვილი დამიმარხავს. ერთი მითხარით, ათი წლის შემდეგ სად ვიქწება?

– ვიმედოვნებ, რომ აქ იქნებით, – თქვა შერიცხმა.

- აქ? - გაიმეორა ბერიკაცმა. - თქვენ რაო, ვერ გაი-  
გონეთ, იმ ჯელს რომ ვუთხარი, ნახევარ საათში ჩემი  
სახლი თქვენი იქნება-მეთქი? ახლა სატვირთო მანქანის  
პატრონი ვარ; ფული ოხრად მაქვს და ვიცი, რაშიც უნდა  
დაკეხარჯო.

— რაში დახარვეთ? — ჰეკითხა შერიტმა. — მაგარი ჩეკია. აგერ, იმ ბიჭსაც კი ათი წელინადი დილიდან საღამომდე ოფლის ღვრა მოუწევდა, ამხელა ფული რომ დაეცალა ხელიდან.

— აბ ფულს იმაში დავხარჯავ, რომ ის კაცი დავიჭირო, ვინაც ჩემი ელი მომიკლა! — უეცრად ზეზე წამოხტადა სკამი გადააყირავა. მერე შებარბაცდა, მაგრამ როცა შერიცი მივარდა მისაშველებლად, ხელი ჰკრა და ლამის ერთ წაბიჯზე უკუაქცია. — თავიდან მომწყდით, — ქოშინით თქვა. მერე ხმამაღლა და მკვახედ დაიყვირა თავისი აკანკალებული ჭრიალა ხმით: — წაეთრიეთ აქედან! წაეთრიეთ ჩემი სახლიდან, ყველანი წაეთრიეთ, ყველანი უკლებლივ! — მაგრამ არც შერიცი, არც ძია გევინი და არც მე ადგილიდან არ დავძრულვართ; მალე დამშვიდდა და წყნარი ხმით თქვა:

— ვისკი მომანწოდეთ. აგერ, ბუფეტზე დევს. და სამი ჭიქაც. — შერიფმა მოიტანა ძეველმოდური გრაფინი, სამი ზონზროხა ჭიქა და ცხვირწინ დაუწყო მაგიდაზე. ახლა, როცა პრიტჩელი ალაპარაკდა, მისი ხმა თითქმის აღერსიანად უღერდა, და მაშინდა მივხვდი, თუ რა იგრძნო იმ საღამოს მეზობელმა ქალმა, როცა შესთავაზა, ხვალაც მოვალ და სადილს კიდევ ერთხელ დაგიმზადებო. — გე-თაყვა, უნდა მაპატიოთ. გადავიქანცე. ისეთი უბედურება დამატყდა თავს, რომ, ეტყობა, ღონე გამინყდა. ეგება სჯობდეს, აქედან გავემგზავრო.

— ოლონდ დღეს არა, მისტერ პრიტჩელ, — თქვა შე-  
რიცხა.

და კვლავ, როგორც იმ საღამოს, როცა მეზობელმა ქალმა შესთავაზა, ხვალაც მოვალ და კერძს დაგიმზა-  
დებო, პრიტჩელმა ყველაფერი წაახდინ.

— ეგებ, დღეს არც გავემგზავრო, — თქვა მან. — ანდა, ვინ იცის, ეგებაც გავემგზავრო. მაგრამ თქვენ კი, ბიჭებო, ქალაქში მიგეჩარებათ, მაშ მოდი, გამოთხოვებისას, უკეთეს დროთა დადგომისა შევსვათ. — გრაფინს თავი მოხადა, სამი ჭიქა გაავსო ვისკით, მერე გრაფინი დადგა და მაგიდა შეათვალიერა. — აპა ერთი, ბიჭიკო, ვედროთი წყალი მომიტანე. აგერ, იქ არის, უკანა პარმაოზე.

კარისკენ მიგბრუნდი გასასავლელად და დავინახე, როგორ იშვერს ხელს, იღებს საშაქრეს, შიგ უშვებს კოზზს და მაშინ კი ერთ ადგილზე გავქვავდი. მახსოვს, რა ენერათ სახეზე ძია გევინს და შერიფს, და მეც თვალებს არ ვუჯერებდი, როცა მან ერთი კოვზი შაქარი ჩაყარა სუფთა ვისკში და მორევა დაუწყო. მე ხომ არაერთხელ მენახა, რომ ძია გევინი, და შერიფიც, როცა ჭადრაკის სათამაშოდ მოდიოდა ძია გევინთან, და ძია გევინის მამაც, ესე იგი პაპაჩემი, და მამაჩემიც, როცა ცოცხალი იყო, და სხვანი ყველანი, ვანც კი პაპაჩემის სახლში მოსულა, სვამდნენ ეგრეთნოდებულ ცივ პუნქს, მაგრამ განა მე თვითონაც არ ვიცოდი, რომ ცივი პუნქისთვის ვისკში შაქარს არ ყრიან, რადგან შაქარი კი არ იხსნება სუფთა ვისკში, არამედ პანია კოშტად რჩება ჭიქის ფსკერზე, ქვიშასავით, რომ ჯერ წყალი უნდა ჩასხა ჭიქაში და შაქარი წყალში უნდა გახსნა – თითქოსდა რაღაც ლეგანტურივს ასრულებდე, – და ვისკის მერელა უმა-

ტებენ, და ყველას, ვინც ბებერი პრიტჩელის მსგავსად მთელი სამოცდაათი წელინადი გაბმულად ხედავდა, როგორ ამზადებენ ცივ პუნქს, და თვითონაც ამზადებდა და სვამდა არანაკლებ ორმოცდაცამეტი წლის განმავლობაში, ასევე უნდა სცოდნოდა ეს. და მახსოვს, რომ იმ კაცმა, რომელიც ბებერი პრიტჩელი გვეგონა, ძალზე გვიან იაზრა, რასაც აკეთებდა, თავი მაღლა ასწია სწორედ იმ წამს, როცა ძია გევინი გაიჭრა მისკენ, ხელი მაგრად მოიქნია და ჭიქა პირდაპირ თავში გაუქანა ძია გევინს; მახსოვს ჭიქის რაკუნი კედელზე, მუქი ლაქა, რომელიც დაეტყო მას, გადაყირავებული მაგიდის ბრახუნი, გრაფინიდან დაღვრილი ვისის ყროლი და ხმა ძია გევინისა, შერიფს რომ უყვიროდა:

— დაიჭით, ჰებ! დაიჭით!

მერე ჩვენ სამივენი იმ კაცს ზედ დავასკდით. მახსოვს ჯოჯოხეთური ღონე და მოქნილობა სხეულისა, რომელიც ვერასდიდებით ვერ იქნებოდა მოხუცებული კაცის სხეული; დავინახე, როგორ დაუსხლტა ხელიდან შერიფს და როგორ ჩამოუვარდა პარიკი; მომერვენა კიდეც, თითქოს ვხედავდი, თუ როგორი მრისხანებით თავისუფლდებოდა მთელი მისი სიფათი გრიმისგან, ჭაღარად შედებილ საფეთქლებსა და ხელოვნურ წარბებს ძირს იგდებდა. როდესაც შერიფმა წვერ-ულვაში ჩამოაგლიჯა, გეგონებოდა, მათთან ერთად კანიც ასძრაო და გაშიმელდა ხორცი, რომელიც ჯერ გავარდისფერდა, მერე წამოუჭარხლდა, თითქოსდა ამ უკანასკენელი, სასონარკვეთილი ფსონის დადებისას მოუნია, რომ წვერ-ქვეშ, ნიღაბქვეშ იმდენად თავისი სახე კი არ დაემალა, რამდენადაც თავისი ხელით დაღვრილი სისხლი.

ბებერი პრიტჩელის ცხედრის საპოვნელად სულ რაღაც წახევარი საათი დაგვჭირდა. ის იწვა თავლაში, ბაგის ქვეშ, ვიწრო, ნაჩქარევად ამოთხრილ ორმოში, ძნელად რომ გამოეპარებოდა თვალს. თმა არა მარტო შეღებილი ჰქონდა, არამედ შეერეჭილიც, წარბებიც — შეერეჭილი და შეღებილი, წვერ-ულვაში — გაპარსული. სწორედ ის ტანსაცმელი ეცვა, რომლითაც ციხეში გაისტუმრეს ფლინტი, ხოლო სახე დაეჩეჩქვა ერთ შემმუსვრელ დარტყმას, ეტყობა, იმავე ცულის ყუით, რომელმაც უკნიდან გაუპო თავი. ასე რომ, წაკეთებს თითქმის ვეღარ იცნობდი, და მინაში კიდევ ორი-სამი კვირა რომ დარჩენილიყო, ალბათ, საერთოდ ვეღარ მიხვდებოდი, რომ ბებერი პრიტჩელი იყო. თავქვეშ რუდუნებით ჰქონდა ამოდებული უზარმაზარი დავთარი, სისქით ექვსი დუიმი და წონით ოცი გირვანქა, რომელშიც გულდასმით იყო ჩანქებული ამონაჭრები ოცი წლის წინანდელი, თუ მეტი არა, გაზეთებიდან. ეს გახლდათ ანგარიში, მონათხრობი ბუნებრივ ნიჭზე, ტალანტზე, რომელიც მან, ბოლოს და ბოლოს, ბოროტად გამოიყენა და უღალატა, და რომელიც მის წინააღმდეგ მოიქცა და მისივე დაღუპვა გამოიზვია. აქ იყო ყველაფერი: დასაწყისი, გზა ცხოვრებისა, მწვერვალი, მერე კი დაცემა — სარეკლამო ფურცლები, თეატრალური პროგრამები, საგაზეთო ამონაჭრები და ერთიც წამდვილი ათფუტიანი აფიშა:

## სინიორ კანოვა

ილუზიის ასტრატი

ქრება მაპურებელთა თვალწინეტი

ადმინისტრაცია ათას დოლარს სთავაზობს  
ნებისმიერ მოზრდილს ან ბავშვს, რომელიც...

და, დასასრულ, ფინალი — ამონაჭერი ჩვენი ყოველდღიური, ქალაქ მემფისისა, გაზეთიდან ასეთი სათაურით: „ჯეფერსონიდან გვაცნობებენ“. ეს იყო ანგარიში იმ უკანასკენელ კარტზე, რომელზედაც მან შეაგდო თავისი ტალანტი და თავისი სიცოცხლე ფულისა და სიმდიდრის წინააღმდეგ და წააგო — გაზეთიდან ამოჭრილი ზოლი, სიცოცხლის აღსასრულს როდი, არამედ ერთბაშად სამისას, თუმცა აქაც ორი მათგანი აფენდა მხოლოდ და მხოლოდ ერთ ჩრდილს — არა მარტო მოჩერჩეტო ქალის სიცოცხლის აღსასრულს, არამედ ჯოლ ფლინტისა და სინიორ კანოვას სიცოცხლის აღსასრულსაც, ხოლო მათ შორის ჩადებული იყო გარიგებანი, ამ სიკვდილის თარიღსაც რომ აღნიშნავდნენ, გულდასმით მოფიქრებული განცხადებანი უურნალებში „ვერაიეტი“ და „ბილბორდი“, სადაც ენერა უკვე ახალი, შეცვლილი სახელი, მაგრამ ამ განცხადებებს, ჩანს, არავინაც არ გამოეხმაურა, რამეთუ სინიორ კანოვა დიდი იმ დროისათვის უკვე მომკვდარიყო და თავის ვადას განსასმენდელში იხდიდა — ექვსი თვე ერთ ცირკში, რვა თვე მეორეში — ორკესტრანტად, უნიფორმისტად, ბორნეოს კუნძულის მკვიდრ ველურად, უფრო და უფრო ძირს ვარდებოდა და, საბოლოოდ, მთლად ფსკერზე დაეშვა: პროვინციულ ქალაქებში დაეხეტებოდა რულეტით, სადაც პრიზებად ჰქონდა სათამაშო საათები და პისტოლეტები, რომელთაც ვერ გაისროდი, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს ეგებ ინსტინქტმა უკანახა, რომ კიდევ ერთი შანსი რჩებოდა თავისი ტალანტის გამოყენებისა.

— და ამჯერად კი სულმთლად წაგებული დარჩა, — თქვა შერიფმა. ჩვენ ისევ კაბინეტში ვისხედით. ზაფხულის დამით გაღებულ გვერდითა კარს მიღმა ციმციმით მიმოქროდნენ ციცინათელები, ყიყინებდნენ ბაყაყები, ჭრიჭინებდნენ კუტკალიები. — ყველაფერი ამ დაზღვევის პოლისმა ქნა. აგენტი რომ არ დაბრუნებულიყო ქალაქს, და ჩვენ კი მისი თხოვნით იქ არ ჩავსულიყავით სწორედ იმ დროისათვის, როცა შევძლებდით დაგვენახა, თუ როგორ ლამობდა ის კაცი შაქრის გახსნას სუფთა ვისკში, მაშინ იგი იგი იმ ჩეკს გაანაღდებდა, სატვირთოში ჩაჯდებოდა და თვალის დახამხამებაში გაქრებოდა. ამის წაცვლად იგი იძახებს დაზღვევის აგენტს და საგანგებოდ გვაიძულებს ჩავიდეთ მასთან და შევხედოთ მის პარიქსა და გრიმს...

— თქვენ ამას წინათ მსჯელობდით იმაზე, რომ მან ძალიან ადრე მოსპო თავისი მოწმე, — თქვა ძია გევინმა.

— მოწმე მისი ცოლი არა ყოფილა. მოწმე, რომელიც მან მოსპო, ის იყო, ვინც უნდა გვეპოვა ბაგის ქვეშ.

— რისი მოწმე? იმისა, რომ ჯოლ ფლინტი ამქვეყნად აღარ არსებობს?

— წანილობრივ. მაგრამ უმთავრესად პირველი, ძველი დანაშაულის მოწმე — იმ დანაშაულისა, რომლის

დროსაც მოკვდა სინიორ კანოვა. მას ეწადა, რომ სწორედ ეს მოწმე ეპოვათ. ამიტომაც არ დამარხა იგი, უკეთესად და უფრო ღრმად არ ჩამალა. როგორც კი ცხედარს იპოვიდნენ, ის ერთხელ და სამუდამოდ არათუ გამდიდრდებოდა, არამედ გათავისუფლდებოდა კიდეც, თავს დაიხსნიდა არა მარტო სინიორ კანოვასგან, რომელმაც უდალატა მას, რვა წლის წინათ რომ მოკვდა, არამედ ჯოელ ფლინტისგანაც. თუკი ჩვენ ვიპოვიდით ცხედარს მანამდე, ვიდრე აქედან გაემგზავრებოდა, თქვენი აზრით, ის რას იტყოდა?

— უფრო მაგრად უნდა დაესახიჩრებინა სახე ბერიკა-ცისათვის, — თქვა შერიფმა.

— არაფერი მაგის მსგავსი, — შეეპასუხა ძია გევინი. — რას იტყოდა-მეთქე?

— კეთილი, — დაეთანხმა შერიფი. — მაშ რას იტყოდა?

— „დიახ, მე ბოლო მოვულე მას. ჩემი ასული მოკლა“. აბა, თქვენ რალას იტყოდით, თქვენ, კანონის ებგურო?

— არაფერს, — ხანმოკლე დუმილის შემდეგ უპასუხა შერიფმა.

— არაფერს, — გაიმეორა ძია გევინმა. სადღაც აყელა და ძალი; მერე თუთის ხეზე, უკანა ეზოში რომ იდგა, მოფრინდა ბუ და საწყალი ბელი მთრთოლვარე ხმით გნიასი ატეხა და, ალბათ, აფუსფუსდებოდა ყველა ბენ-ვიანი ნადირი — მინდვრის თაგვები, ობოსუები, ბოცვრები, მელიები და უფეხო ხერხემლიანიც — მორთეს სირბილი და ხოხვა ბნელ მიაზე, რომელიც გვალვიანი ზაფხულის ვარსკვლავებქვეშ სწორედ რომ ბნელი იყო და პირქში თუ უდაბური არ ეთქმოდა. — ეს არის ერთი მიზეზთაგანი, რატომაც არ დამალა ცხედარი.

— ერთი? — ჩაეკითხა შერიფი. — მეორე რალაა?

— სწორედ მეორე მიზეზი არის ნამდვილი. იგი არანაირად არ უკავშირდება ფულს; ამ მეორეს, ალბათ, ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას, თუნდაც მოენდომებინა. ეს მისი ტალანტია. ახლა იმას კი არ ნანობს უფრო, რომ დაიჭირეს, არამედ იმას, რომ ძალზე ადრე დაიჭირეს, მანამდე დაიჭირეს, ვიდრე ცხედარს იპოვიდნენ, და შე-

**უილიამ ფოლკნერი — დაიბადა 1897 წელს, გარდაიცვალა 1962 წელს. ნობელის პრემია მხატვრული ლიტერატურის დარგში მიანიჭეს 1950 წელს. ფოლკნერზე სხვა რალა უნდა თქვა?!**

აქ გამოქვეყნებული მოთხოვობა პირველად დაიბეჭდა ამერიკულ დეტექტივთა უურნალში (ივნისი, 1946). დაიმსახურა მე-2 პრემია ამ უურნალის რედაქციისაგან, რომელიც ატარებდა კონკურსს 1945 წლის საუკეთესო დეტექტიურ მოთხოვობაზე.

როდესაც ფოლკნერმა შეიტყო, მეორე პრემია მომანიჭეს, თავის ლიტერატურულ აგენტს მისწერა: „საფრანგეთში მოთხოვონ ახალი ლიტერატურული მოძრაობის ფუძემდებლად; ევროპაში მასახელებრ საუკეთესო ამერიკელ მწერლად და ლამის საუკეთესო — საერთოდ მწერლალთაგან. ამერიკაში კი ჩემი მუშაობა სცენარისტად ისეთ უბადრუკ გასამრჯელოს მაძლევს, რომ იძულებული ვარ, ლუკმაპური მოვიპოვო მეორე პრემიის მოხვეჭით საუკეთესო დეტექტიურ მოთხოვობაზე გამოცხადებულ კონკურსში“.

1948 წლის შემოდგომაზე „ნახევრადდეტექტიური“ რომანის („ნეშტის შემბილნეველი“) წარმატების შემდეგ ფოლ-

საძლებლობა ექნებოდა — ამოეცნო ეს ცხედარი, როგორც ვითომდა თავისი; დაიჭირეს მანამდე, ვიდრე სინიორ კანოვა, გამწრალი მის ზურგსუკან, მოასწრებდა დაექნია თავისი ბრჭყვიალა ცილინდრი, თავი დაეკრა განცვიფრებულ მაყურებელთათვის, მქუხარე ტაშით რომ აჯილდოებდნენ, შებრუნებულიყო, კიდევ ორი-სამი ნაბიჯი გადაედგა და მერე საბოლოოდ გამქრალიყო რამპის შუქს მიღმა — წასულიყო, სამუდამოდ მიმალულიყო. დაუფიქრდით, რა გააკეთა: აღიარა, მკვლელობა ჩავიდინეო, თუმცა შეეძლო, ალბათ, თავი გადაერჩინა გაქცევით; თავი გაიმართლა მკვლელობაში მას შემდეგ, რაც უკვე თავისუფალი იყო კვლავინდებურად. მერე საგანგებოდ გვაიძულა მივსულიყავით მასთან და, არსებითად, მისი მოწმენი და თავდებნი გავმხდარიყავით იმ აქტის დასრულებისას, რომელიც, როგორც მან იცოდა, გვსურდა აგვეცილებინა. კაციობრიობისადმი უდიდესი ზიზლის გარდა რას შეეძლო გაჩენა ამგვარი ტალანტისა, როგორიც მას ჰქონდა? და თავის ტალანტს რაც უფრო წარმატებით იყენებდა, მისი ზიზლი მით უფრო იზრდებოდა. თქვენ ხომ თავად მითხარით, თავის სიცოცხლეში არასოდეს არაფრისა არ ეშინოდაო.

— დიახ, — დაუდასტურა შერიფმა. — ბიბლიაშიც კი სადღაც არის თქმული: შეიცან თავი შენიო. ნუთუ კიდევ სხვა რომელიმე წიგნი არ არსებობს, სადაც უთქვამით: ადამიანო, გვშინოდეს შენი თავისა, შენი კადზიერებისა, ზვავობისა და ამპარტავნებისა. თქვენ უნდა იცოდეთ, თქვენ ხომ განსწავლული კაცი ბრძანდებით. თქვენ ხომ თავად მითხარით, რომ ავგაროზი თქვენი საათის ძენევზე სწორედ ამას ნიშნავს. მაშ რომელ წიგნში უთქვამთ ეს?

— ყველა წიგნში, — უპასუხა ძია გევინმა. — უფრო სწორად, მე იმის თქმა მინდა, კარგ წიგნებში-მეოქტე. სხვადასხვაგარად უთქვამთ. მაგრამ ეს ყველა კარგ წიგნში შეგხვდება.

## თარგმნა ლაშა გიორგაძემ

**კნერს გაუწინდა იდეა — გამოეცა წიგნი, მისივე სიტყვით, „მეტნაკლებად დეტექტიური მოთხოვებისა“ იმავე გმირით, რომელიც გახლავთ ოლქის პროკურორი გევინ სტივენსი.**

„მე მაქვს ოთხი თუ ხუთი წიგნელა, რომელებშიც სტივენი იძებეს ან იცდენს დანაშაულს, იცავს სუსტებს, ალადგენს სამართლს და სჯის ბოროტებას“, — სწერდა ფოლკნერი გამომცემლობის რედაქტორს.

ალიშტენული სათაურით, „მხედრის გაბზიტი“ გამოქვეყნდა 1949 წლის წიგნში შევიდა „შეცდომა ქიმიაში“, სადაც მთხოვებელად გვევლინება გევან სტივენსის ძმისწული — ჩარლზ მელისონი.

გევინ სტივენსი — ფოლკნერის საყვარელი პერსონაჟია, რაინდი სიმართლისა და სამართლიანობისა, რომელიც სიკეთის ბურჯად აღმართულა იოვანაპატავის ჯუნგლებში და მთელი ძალისხმეულით ლამობს შეაფერხოს სწორებსთა მოდგმის შემოსვა, კანონიერების ფარგლებში გაუმკლავდეს მათი ძალმომრეობის ნიაღვარს; ოლქის გავლენიანი პროკურორი, ამჯერად, წარმატებით ასრულებს რიგითი დეტექტივის როლს.

ଓଡ଼ିଆ

როდესაც ჰარისონ სოლზბერი მოსკოვში მიემგზავრებოდა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კო-

რესპონდენტთად, უცხოეთის განყოფილების რედაქტორს ემანუელ ფრიდმენს შეუთანხმდა, რომ სტალინის სიკვდილისანაცე, საბჭოთა ცენზურისათვის თვალის ასახვევად, გაზეთის მთავარი ბუღალტრის სახელზე გამოგზავნიდა დეპტებას ამგვარი ტექსტით: „ძილუ-ბუღლი ვარ, ვითხოვ ხარჯების გზზრდა – დაწყებული ამა და ამ დღიობან“ (და ჩაწერდა სტალინის გარდაცვალების თარიღს).

იდგა 1949 წლის თებერვალი. ერთი წლის ნინათ გაჩაღებული „ცივი ომი“ უფრო და უფრო მეტ მხურვალებას იძნდა.

გავიდა ოთხი წელიწადმ მოსკოვში სოლზბერის ჩასვლიდან  
და სტალინი არა და არ კვდებოდა, მაგრამ ამერიკულ უურნა-  
ლისტს რაღაც წინათვრნობა გაუწნდა და 1953 წლის თებერ-  
ვალში ფრიდმენს მისწერა, რომ შეეცვალათ კოდირებული დე-  
პეშის ტექსტი.

სოლგზერი დაუეჭვებია საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებულ მა-  
სალებს, სადაც ლაპარაკი ყოფილა ქართველთა სიკონცხლის ხან-  
გრძლივობაზე – საქართველოს მთებში არცუა იშვიათად შევდე-  
ბით სალსალამათ ბერიკაცებს, 130–140 წლისანი რომ არიანო.

ამერიკელი უურნალისტი უკვე ოთხი წელია მოუთმენლად ელოდა უზარმაზარ სენაციის, რომელიც გაამართლებდა მოსკოვში მისი მუჯაბინის პერიპეტიიებს, ტანჯვა-წვალებას საბჭოთა ცენტრულის მარწმუნებების და ესოდენ გაფიანურებულ მოლოდინის. მას სურდა, დარწმუნებული ყოილობის, რომ თუკი გაგზავნიდა კოდინორებულ დეპეშას, იგი არ ჩინიარყობდა საბოლოოდ. საბოლოო დეპეში ის გახსავათ, რომ საზოგადოებრივი სიტყვით, ვაზების რედაციია იკვენიდა, დღეში დაახლოებით მიღიონ სიტყვას კამუშავებთო. ამიტომაც სწერდა ფოლდმენის: „ჩემი ცნობები იმდენად უზინარია, რომ თუკი სპეციალურად არ გაგაფრთხილეთ, ყურადღებას არ მიაკცევთ“.

სოლებერი თავის მოგონებებში წერს, რომ თებერვლის თვეში სტალინმა სამჯერ მიატოვა განანარტოება, რათა შეხვედროდა უცხოელებს. ესენი იყვნენ: არგვენტინის ელჩი ბრავო, ინდოეთის ელჩი მენონი და ე.წ. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ლიდერი ინდოეთში დოქტორი კიტრიუ. სამივე აღნიშნავდა სტალინის „საუცხოო ჯანმრთელობას“, მისი გონების სისხარტეს და მის უნარს, სწრაფად გარკვეულიყო მოვლენათა არსები.

თემერლის დღეები ნერგა მიედინებოდა და მოლოდინს და-  
სასარული არ უჩანდა. სოლზბერი ერთობოდა სარკასტული წე-  
რილების შეთხვით. ასე მაგალითად, სწრედა მთავარ ცენზორს  
ომელჩერკოს: „ნეტავი ვიცოდე, ერთი საათი და ორმოცდახუთი  
წუთი რას უშვრება ცენზორი დეპეშას, რომელიც სრულიად უც-  
ვლელად უნდა გადასცეს? ლამის ორი საათი ზის და შექურებს  
დეპეშას? ეგებ ჩაის სვამს ანდა გასართობ წიგნს კითხულობს,  
ვიდრე სინდის არ აიძულებს გაინძრეს? ერთვარად გალიზია-  
ნებული თქვენი პარისონ სოლზბერი“.

ამერიკელი უურნალისტი ამბობს, მოსკოვის ატმოსფეროში რაღაც აპოკალიფურს ვგრძნობდიო. თურმე კანით შეიგრძნობდა. შისიგან პირში ლითონის გემო მიჩნდებოდა. პირდაპირ მისტიკა!

1953 წლის 4 მარტს, დილის რვა საათზე შეიტყვეს, რომ სტალინს სისხლი ჩაიქცა ტკინზში, დამბლა დაკავა და უგორნოდ არისო.

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ ମହାନ୍ତିର ପଦିଷ୍ଠାନ

უკვე დავაწლმოსილ კინო-  
რეჟისორს არც პირებულარობა  
აკლდა და არც შემოსავალი,  
მაგრამ ერთი ოცნება თან სდევდა და აწვალებდა თითქმის  
ორმოცი წელიწადი. ფილმს ფილმი მოჰყვებოდა, შემოსავალს  
– შემოსავალი და ოცნება კი ოცნებად რჩებოდა. ჯერჯერო-  
ბით აუზდენელი ოცნება ერქვა.

სოლზბერის სიტყვით, ცხადი  
იყო, რომ სტალინს გადარჩენის  
შანსები თითქმის აღარ ჰქონდა.

ამერიკული ჟურნალისტი წერს: „გულზე მოქმედვა. მე ხომ ველოდი ცნობას ექიმთა შეთქმულებაზე, ასლ საზარელ მხილებს, პოლიტბიუროს ნევროთა დაპატიმრებას, უცხოელ კორესპონდენტთა გასამართლებას. ერთი სიტყვით, რაღაც ამის მსგავს ამბებს. ახლა კი დარტყმა მიერნია თვით სტალინს. ეს საამურო ცნობა იყო, თუმცა არ მასვენებდა ფიქრი, თუ ვის დაადანაშაულებდნენ სტალინის სიკედილში“.

მომდევნო ორი დღე სოლზბერის ცნობიერებაში ერთ  
დღედ გადაქცეულა. ვიცოდი, სტალინი კვდებოდა. ამერიკე-  
ლი უზრნალისტი ხვდებოდა, რომ ყოველი სიტყვა, ყოველი წუ-  
თი, რომელთა აღნუსხვას შეძლებდა, ისტორიის ფურცლებზე  
დაიდებდა ბინას. ერთ ადგილზე ველარ ჩერდებოდა. დაეხეტე-  
ბოდა მოსკოვის ქუჩებში. ელაპარაკებოდა ამერიკელებს, ინ-  
გლისელებს, ფრანგებს. დაარღვია თავისი ჩვეულება და უც-  
ნობ რუსებსაც გამოილაპარაკა. ისინი თავშეკავებული იყვნენ  
და არ სურდათ უცხოელთან საუბარი სტალინის ავადმყოფო-  
ბის თაობაზე.

სოლბერის შეუვლია სინაგოგაში. ნალვლიანად უშმენდა მთავარი რაბინის შლიფერის მოწოდებას თავისი მრევლისადმი – ელოცათ „ჩევნი ძვირფასი ბელადისა და მასწავლებლის იმ-სიფ გისარიონოვიჩ სტალინისათვის“. მერე მოუნახულებია მარ-თლმადიდებლური ტაძარი, სადაც სრულიად რუსეთის პატრი-არქი პარაკლისს იხდიდა. „მთელი რუსი ხალხი და სხვა ხალხები ევედრებიან ღმერთს სწეულის დღეგრძელობას“, – წარმოთ-ქვამდა იგი წამდერებით.

სოლზერი წერს, ურუანტელმა დამიარა, როდესაც თვალი მოვკარი მუხლმოყრილ მლოცველებს, ხნიერებსა და ახალგაზრდებს, ღმიერთისგან ამ აფკაციის დღეგრძელობას რომ იველრებოდნენ.

5. მარტს მთელი დღე მოსკოვის ქუჩებში დავრბოდიო, ამ-ბობს ამერიკელი ჟურნალისტი.

მორიგი სამეცნიერო ბიულეტენი სტალინის მდგომარეობის გაუარესებას იუწყებოდა.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამორჩენოდა მოსალოდნელი სენსაცია.

საღამოს ხუთ საათზე ვეებერთელა, მოკლეტალილინი რადიომიმღები შეუტანა ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ათი წუთიც არ იყო გასული და ორმა თოფვანმა ჯარისკაცმა მოსთხოვა, აქაურობას მოაშორეო. სოლზბერი მ პარატი ჩააბარა თავის რუს მძღოლს და სთხოვა, როგორც კი სტალინზე ცნობას გადმოსცემენ, წყნარად შემოდი დარბაზში და ყურადღიანი მითხარიო. ლამის ოთხ საათზე მძღოლი შემოვიდა დარბაზში და პირდაპირ სოლზბერისკენ გამოემართა.

ამერიკელი ჟურნალსტი მშვიდად წამოდგა და თავისი კო-დირექტორი დეპეშა ჩაბარა პერატორს: „ფრიდემზ, უკანასკნელი საფინანსო ანგარიში გამოგზავნილია გუშინ ღამით. სალაში, სოლობერი“.

ოთხი გრძელი წელნადი ეღლოდა, როდის აფრენდა ნიუ-იორკში ასე მარჯვედ დაშტორულ ინფორმაციას და პირველი ამ-კნობდა მთელ ამერიკას საძჭიროა დიქტატორის სიკვდილს.

ნოესირი ნიადაგი კი პოლონეთის ტერიტორიაზე ჰქოვა. ჰიტ-ლერელთა ოკუპაციამ უკიდურესად მძიმე პირობებში ჩააგდინ პოლონელები და, ადვილი წარმოსადგენია, რა დღე დაადგებო-დათ ებრაელებს (რომან ბრატინის რომანში წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩამდინარებული ახალგაზრდა ებრაელი თავის ეროვნუ-ბას პოლონელ თანამებრძოლებას( კი უმალავეს!).

მრავალი წლის განმავლობაში ექცედა სიუჟეტს ზემოხსენებულ თემაზე ფილმის გადასაღებად. ავტომბილებრაფიული ფილმის გადაღება არ სურდა. ექცედა ამბეჭებს, სადაც გამოიყენებდა თავის განცდილსა და ნაციირალს, მაგრამ პირდაპირი ასლი არ ეჭაშნიერდოდა. უარი თქვა სპილენერების მიერ შემოთავაზებულ „შინდლერის სიაზე“, რადგანაც ეს სიუჟეტი ძალზე ახლოს იყო მის გამოცდილებასთან. პოლანძკის ეჩოთირებოდა უშუალო შეხება საკუთარ წარსულთან, ეჩოთირებოდა სიარული წაცნობი ქუჩებში.

როდესაც ნაიკითხა ვლადისლავ შპილმანის წიგნი „პიანისტი“, მყისვე მიხვდა, რომ მიაგნო სიუჟეტს თავისი საოცნებო ფილმისათვის. აქ შეეძლო გამოეყენებინა თავისი გამოცდილება და პირად მოგონებებს ახლოსაც არ მიჰყარებოდა.

„პიანისტის“ ხორცშესასხმელად უბრალოდ ნიჭიერ სცენარისტს როდი ვეკეძდით, გვაუწყებს რომან პოლანსკი. საჭრო იყო პოვნა ავტორისა, რომელიც კარგად იცნობდა ომის-დროინდელი პოლონეთისა და ვარშავის გეოგროს ისტორიას.

წიგნში არ მოიპოვებოდა სცენები, რომელთა გადაღება შეიძლებოდა ისე, როგორც ეწერა. წიგნს სიუჟეტიც კი არა პერნდა. „გერმანელთა სისასტიკე უსაზღვრო იყო“, – წერდა ბპილმანი. ამას ხომ ვერ გადაილებდი! უნდა აჩვენო მათი ქცევა, უნდა მიაგნო დამაჯერებელსა და გამომსახველობით სიტუაციებს.

და რაც მთავარია, პოლანსკის გულით ენადა, რომ აესახა კონცეფცია, რომელიც გაქარნებული იქ ადამიანთა თვალსაზრისს, აღნიშნულ მოვლენათა გახსენებისას რომ ამბობდნენ: „რატომ არ აჯანყდნენ ებრაელები?“

პოლანძე კი წერს: „ჩემთვის, როგორც იმ ტრაგედიის თვით-  
მხილვებისა და მონანილისათვის, ამგვარი კითხვა-საყვედუ-  
რი აძსურდულად შეიძლო“.

რეფისონი ასე ხსნის მოსახლეობის პასიურობას თუ ინერციულობას: ჯერ ფიქრობდნენ, რომ პოლონეთი ომს არ წააგდიდა. როცა გერმანიულებამა დაიპყრეს ქვეყანა, იმდედი ჰერონდათ, თავს გადავირჩენთ. შემდეგ გერმანიულებამა აუკრძალეს ებრაულებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოჩენა, უბრძანეს ეტარებინათ ტანსაცმლის სახელოზე დაკითის ვარსკვლავი. შემდეგ მოითხოვეს, რომ ეცხოვრათ ერთ უბანში, რომელსაც მალე კედელი შემოვლეს. ყველაფერი თანადათან მიმდინარეობდა. არ არსებობდა რომელიმაც ერთადერთი

ქართული საბაგშვი ლიტერატურის კლასიკოსის შიო მღვიმელის საიუბილეო თარიღს (140 წლისთავი დაბადებიდან) მიეძღვნა ღონისძიება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში რომ გაიმართა 20 თებერვალს.

დაიღო ორი შესანიშნავი გამოცემა: „რჩეული“ შეი მდვიმელისა და ალმანახი საუბილეოდ. ეს მშევნიერი წიგნები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მსარღდაჭერით მომზადდა. სიტყვაციო საქმიანობას ჩინებულად გაართვეს თავი უნიკვერსიტეტის საუცდელობება და მაგისტრულება, ასოცირებული პრიფერსონის როსაობან ნიშნავინდის თაოსახიგმოთ.

ღონისძიებას უძღვებოდა პუმანიტარული ფაკულტეტის ფილოლოგის მიმართულების მაცისტრი გიორგი კაკილიძე.

უდავო საბაძი აჯანყებისა. პოლანსკი თავის იონენტებს სა-  
პასუხო შეკითხვას უსვამს: როცა 1940 წელს გერმანულებმა  
საფრანგეთის ოკუპაცია მოახდინეს, ფრანგები მაშინვე რა-  
ტომ არ აჯანყდნენ?

პოლანდების სიტყვით, ყოველ ეტაპზე ებრაელებს უფრო და უფრო რომ ავინწროებდნენ, ისინი თავს ინუგეშებდნენ, ყველაფერი მალე მოგვარდება, ამაზე უარესი რდა იქნება? მაგრამ კიდევ და კიდევ უარესი ხდებოდა და ებრაელთა უმრავლესობა გაულეოტილ იქნა!

პოლანდის ცენტრულ მინისტრი თავი აარიდოს სპეცი-  
ფიკურ და რაც შეიძლება უბრალოდ გადაიღოს ყველაფერი.  
ეს მისი დევიზია, მისი ურყევი მისწრაფება და მრნამსი, რაც  
ჩამოყალიბდა თავისი ხანგრძლივი პრატიკის საჯუმოვნებლივ.

როდესაც ამ ფილმს იღებდა, აუკარებელი ცდუნებანი ჰქონდა და სპეციალური ტემპის გამოყენებისა. ვთქვთ, რომ გადაედო შავ-თეთრ ფილმზე (სამხედრო ფილმების მიბაძვით), დაეტრიალუდინა კამერა, რათა ყველაფერი დატრიალუდულიყო, როგორც კალატროზ-ურუსევგვარის ფილმში „მიცრინავენ წეროება“, ან და შეეტანა ფილმში ონანიზმის სცენა (დადგი ეს ხომ მოდაში არისო), მით უმეტეს, რომ ლაპარაკაია ჯელზე, რომელიც იმა-ლება და სამი წლის განმავლობაში ეულად ცხოვრობს.

პოლანდსკის სიტყვით, რაც კი გადაუღია „პიანისტამდე“, იყო მისაღვიმები ამ ფილმთან, რომელმაც მთავარი ადგილი დაიკავა მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

... სხვათა შორის, პოლანსკის შეიძლება უზნოდოთ პოლი-  
კუდის „ოეთრი ყვავე“ . საქმე ისაა, რომ იგი პრინციპულად და  
ჯიუტად არ იზიარებს ამერიკულ კინემატოგრაფში გავრცე-  
ლებულ , ჰეპი-ენდის“ ტენდენციას. როდესაც პოლანსკი  
იღებდა „ჩინურ უბანს“, სცენარისტს არ სურდა ფილმის მთა-  
ვარი გმირი ქალის სიკედილი ფინალში. რეჟისორი კი უმტკი-  
ცებდა, რომ კორუფციონა და ტოტალური უსამართლობის ამ-  
სახველ სურათში ამერიკული მართლმასჯულების აპოლოგე-  
ტებად ვერ გადავიქცევით. პოლანსკი ამბობს: დარწმუნებუ-  
ლი ვიყავი, რომ დადგითი გმირი უნდა დამარცხდეს, რათა მა-  
ყურებელი კინოთეატრიდან გამოვიდეს აღმფორებული და  
დათრგუზული და უკანონობის მსხვერპლინი ებრალებოდეს.

პოლანდის თურმე დღემდე ახსოვს, რამდენი ცრემლი და-უღრის, როდესაც უნაავს მაილსტოუნის ფილმი „თაგვებისა და ადამიანების შესახებ“ (ჯონ სტაინბეკის მოთხოვნის მიხედვით). იქ რომ ჰეპი-ენდი ყოფილიყო, არც ვიტირებდი და ეს სურათი რამდენიმე დღეში დამავიწყდებოდა. მაშინ თხუთ-მეტი წლისა ყოფილა და უკვე ესმოდა დრამატურგიის ეს მარტივი კანონი. ახლა კი გაკვირვებას გამოთქვამს, ვერაფრით ვერა ვერები, პოლიუფში მოღვაწე მოზრდილ ძიებს ეს რატომ არ ესმითო.

କର୍ମବୋକ୍ତି

მოხსენება შიო მღვიმელის ცხოვრება-შემოქმედებაზე რუ-  
სუფან ნიშნიანიძემ წაიკითხა.

საზოგადი ღონისძიებები დამტკიცებს მოსწავლეებმა დედაქალაქის საჯარო სკოლებიდან, აგრეთვე ქუთაისიდან და ბრეთიდან, მომავლის სკოლის ალბაზრდლებმა.